ჯანრი კაშია

მარტოობის ქარები

მხატვრული პროზა

პოეზია

თბილისი 2013

ჯანრი კაშია
ტომი VI

მარტოობის ქარები
მხატვრული პროზა
პოეზია

რედაქტორები: ხათუნა თოდუა, თამარ თითმერია

ყდის დიზაინი: © ალექსანდრე ბერდიშევი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნუგზარ არჩემაშვილი

© ჯანრი კაშია

ყველა უფლება დაცულია
ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2013

© Janri Kashia
Winds of loneliness

All rights reserved
Georgian Biographical Centre, 2013

ISBN 978-9941-444-05-0

ამირანიანი

ლიტერატურული სცენარი

1

წყვდიადი სუფევს ირგვლივ...

სიბნელეში ამდენი ხნის ჯდომისაგან თვალებმა სრულიად დაკარგეს ძალა.

ჩამიჩუმი არ ისმის. უკანასკნელი ბგერა, რომელიც თითქოსდა სულ ახლახან გაისმა, ყურშას წკმუტუნი იყო. ვერ მიხვდა, რა მოხდა. ამას ჩამოყრილი ჯაჭვის ჩხრიალი მოჰყვა და დამფრთხალი ფრინველის ფრთხიალი... აღარც ახსოვდა ახლა: არწივი იყო თუ ჭინჭრაქა, ან იქნებ – ყორანი, საჭმელს რომ უზიდავდა ყოველდღიურად... ყველანი დააფრთხო მისმა ჯაჭვებისაგან გამოხსნამ...

რამდენი ხანია, მოჰყვება ამ ვიწრობებს და არ იქნა დასასრული სიბნელისა...

რამდენი უნდა იაროს კიდევ?..

კედელს ხელი მოუსვა. მოესმა: ქვაღრუბელა გაუსვა თითქოს ჯაჭვის რგოლს და ჩაეცინა. სმენა გამახვილებია უსაშველოდ. ახლაღა მისწვდა გონებას, რომ ეს წყვდიადი სავსე იყო ხმებით, იმდენად სავსე, რომ სიარული ჭირდა, ნაბიჯი მძიმდებოდა და ყოველი ფეხის გადადგმა საუკუნობით დაგროვილ ხმათა კედელში გავლას უდრიდა.

ამ ხმების დანახვაც იწყო თითქოს, და წყვდიადიც უკუიქცა თანდათან: წყლის წვეთი ხმაურით ჩამოცურდა კლდეზე, მოსწყდა კლდის პირს და უფსკრულში ჩაინთქა დგრიალით...

იელვა...

სიმხურვალისაგან გადამსკდარი მიწა გამომხმარ ხახას აღებს...

ისევ იელვა...

გაიხსნა ხახა ქვესკნელისა და ავარვარდა გარემო. მკვეთრმა სინათლემ დააბრმავა უეცრად. და ერთხანს კიდეც შედგა გაოგნებული... მერე ისევ ჩაიძირა სიჩუმესა და წყვდიადში...

2

ძველებური ხის კარადა. ჟამთასვლის რგოლები ჩანს ისე ახლოს, თითქოს ამ შექვავებული დროის ჩანაწერს კითხულობსო თვალი და... ისმენს ყური... მძიმედ, ჭრიალით იღება კარადის კარები. თაროები სავსე ხელნაწერთა მტვრიანი შეკვრით. წიგნსაცავი. კედლის გასწვრივ სხვა კარადებია ჩამწკრივებული – სხვადასხვა სტილისა და ეპოქის... მაგიდაზე ღამის სანათი დგას. გრანიტის საწერი გარნიტური... იქვე ხელნაწერია გაშლილი. სათვალიანი კაცი, რომელიც გარეგნობით თვითონაც მტვერდაყრილ ინტელიგენტს მოგვაგონებს, წიგნის ჭიას, „მობი დიკის“ შესავალში აღწერილს (რომელსაც სახელად ისმაილი ერქვა. თუ სამუელი, სამველი, თუ რაღაც ამის მსგავსი, ან იქნებ სულაც გიორგი... ჰო, გიორგი იყოს...), მუშაობს ხელნაწერებზე. რეკავს ტელეფონი. სათვალიანი გიორგი ვიღაცას ელაპარაკება, მერე დგება, მიდის კარადასთან, აღებს, ეძებს ხელნაწერს დამტვერილ საქაღალდეებში, იღებს ორ შეკვრას, მაგიდაზე სინათლეს გამორთავს და გამოდის დერეფანში...

3

კაცი, გიორგი, მიდის დერეფანში. აუჩქარებლად. გრძელი დერეფანი გაუთავებელ ხვეულებად მიიკლაკნება. კაცი ადის კიბეზე, მიდის მარჯვნივ და ისევ გაუთავებელ დერეფანში შედის. ... ჩადის კიბეზე, მიდის მარცხნივ და ისევ დერეფნები... მთელი ეს სვლა სიმეტრიულად ასვლა-ჩასვლათა სერიაა, აღსავსე წამიერად გაელვებული ხილვებით, რომელნიც დერეფნის კედლებზე გამონათებულ სივრცეში ჩნდება, თუ მიმავალის ცნობიერების თამაშის ანარეკლებად ინთება წამიერად. სტატიკური, ხან ნელად მოძრავი სურათები ცვლიან ერთმანეთს: ვეფხვის დატირება, ადრეკილაი, ლაზარობა, ბერიკაობა, მზისადმი აღვლენილი „ლილე“... მრისხანე ზღვა, თმათეთრი გოროზი მწვერვალები კავკასიისა, არწივები ცაში... მრავალჟამიერი, ხატები და ღრეობა ხატებთან, ტყვევა და

ტირილი; მხიარული ნადი, გურული კრიმანჭული და სამსარ-
თულიანი ფერხული... ეკლესიები, ციხეთა ნანგრევები, ფრეს-
კებიდან თბილი მზერით შემომცქირალი სახეები მამათა და
დედათა, რომელთაც ცოცხალი სახეები ენაცვლებიან – გამვ-
ლელთა... ქალთა, კაცთა, ჭაბუკთა... იყო თოფის გასროლის
ხმაც და გაქცეულთა დამფრთხალი სრბოლაც და იყო ხმა
მლოცველისა, ცოდვათა მომნანიებლისა და ბრძოლა ხელშე-
უხებ, ვერსახილვებ ჯაჭვებთან ჩრდილივით თანმხლებთა კა-
ცისა...

4

მ ო ნ ა დ ი რ ე ე ბ ი

ნისლში გახვეულა გარემო. ძლივს მოჩანს რაღაც მოძრაო-
ბა, რომელიც მიგვანიშნებს ხალხის ჯგუფის მოძრაობაზე.
აქა-იქ ნისლიდან ადამიანი წარმოდგება, ქალი თუ კაცი, და
ისევ ნისლში უჩინარდება... უხმოდ მოძრაობენ...

თანდათან ეს მოძრაობა იყოფა და სხვადასხვა მხარეს მიე-
მართება. ფეხით მოსიარულენი ერთ მხარეს მიდიან, მათ მომ-
დევნოდ ნისლიდან გამოდიან და ისევ ნისლში იკარგებიან მე-
ურმეები... ურმის თვლების ჭრიალი საწინააღმდეგო მხარეს
ინთქმება ნისლის გაუვალ კედელში... ასე იშლებიან სხვადას-
ხვა მხარეს ნისლიდან ამომავალი და ნისლშივე განთქეული
ჯგუფები ხალხისა...

ზოგჯერ ნისლი ირევა და იცრიცება და მაშინ ჩანს მნათო-
ბის ხან წითელი დისკო, ხან კი ფერმკრთალი, თეთრი...

წინმიმავალი მოქვეითენი მთაში ადიან, ტყეს გაივლიან და
ისევ ნისლში იკარგებიან...

თანდათან ნისლი იკრიფება და იშლება...

ღამეა. ცაზე მთვარე იწყებს ნათებას, მთვარის დისკო ჩვე-
ნი თვალისათვის უჩვეულოდ დიდია. მგზავრები, რომელთაც
მაღალი, ხმელი და ძლიერი მოხუცი მიუძღვის, ჩერდებიან.
მოხუცი გზას ათვალიერებს. წინ შავი უსასრულობაა, რო-
მელსაც მთვარის სინათლე იდუმალებით მოსავს... ყველანი

ჩერდებიან. მოხუცი ადის მთის წვერზე და იწყებს ლოცვას, ხელაპყრობილი. მისი სილუეტი გიგანტური მთვარის ფონზე ასევე გიგანტური ხდება ლოცვისდა კვალად...

5

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ნ ი

მეურმეთა ქარავანი, რომელიც ჯერ კიდევ ნისლში მოძრაობს, მძიმედ მიემართება გაშლილ, უსასრულო ველზე. დღის სინათლე თანდათან მატულობს და ნისლიც იკრიფება. დილის ცაზე მოჩანს გაცრეცილი, „ნორმალური" მთვარე და მის გვერდით კაშკაშა ვარსკვლავი – ცისკრის ვარსკვლავი. ნისლის ერთი ტალღაც გადაივლის და უკვე მარტო ცისკრის ვარსკვლავია ცაზე, სხვა ვარსკვლავთა გარემოცვაში... და ვიდრე მთელი ქარავანი შეიკრიბებოდეს, მზის პირველი სხივი გაკვეთს დანისლულ გარემოს. ნისლი სწრაფად იკრიფება და ჩნდება გაწმენდილი ცა უზარმაზარი და მოვარვარე მზის დისკოთი...

მეურმეთა ქარავნის თავში მძიმედ მიმავალ ხარებს ძლიერი აგებულების, ზორბა ტანის თეთრწვერგაშლილი მოხუცი მიუძღვის. ქარავანი მდინარეს მიადგა და მის გაყოლებაზე გაიშალა მინდორზე. მოხუცმა ფონი მონახა, ხარებიანად გადავიდა მეორე მხარეს. მას თან გადაჰყვა ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელთაც, წყვილად, ცხრა ხარი გადაიყვანეს მეორე ნაპირზე. ხარებს რქებზე ანთებული კვარი ჰქონდათ დამაგრებული. მოხუცმა ხარები გამოხსნა ურმიდან, წინ გაირეკა და მინდვრის შუაგულში გააჩერა. ჭაბუკებმა გუთანი მოუტანეს. მოხუცმა ხარები გუთანში შეაბა, მათაც ანთებული კვარი დაამაგრა რქებზე და ოროველას მოძახილით პირველი ხნული გაავლო. ჭაბუკებმა აიტაცეს მოხუცის გალობა, სამსხვერპლო ხარები წრეში ჩააყენეს... მოხუცმა ხნულს შემოუარა, მიწა აიღო და მზისკენ აშვერილი ხელით ლოცვა წარმოსთქვა. ჭაბუკებიც აღავლენენ ლოცვას მზის მიმართ... ამ ლოცვის ხმები სასიმღერო გადაძახილივით ქსოვს ხმოვან ბა-

დეს შორისდებულთა: ჰეიო... ჰოიო... ჰარი... ჰარალე... ოდოიაო... და სხვა... მოხუცი ხარების წრეში შემოდის, სატევარს იძრობს და ერთი დაკვრით ჰკვეთს თავებს რიგრიგობით. ჭაბუკები აგროვებენ გადმონადენ სისხლს და წრიულ ხნულებს აპკურებენ... ლოცვა მდინარის მეორე ნაპირზე შემოჯარულ ხალხში იწყება... ყველანი ისეთივე წრეებად განლაგებულან, როგორც სამსხვერპლო ხარები და უვლიან ფერხულს და თან ლოცულობენ... გავარვარებული მზის დისკო დასცქერის ველზე გაშლილ მოძრავ წრეებს, რომელთა მოძრაობაში თანდათან კოსმიური სიმწყობრე ისახება...

მდინარის გამოღმა შეკრებილი მწირავები, რომლებსაც მოხუცი ხელმძღვანელობს, ასევე შეკრავენ წრეს და საგუთნე ხარებთან ერთად უვლიან საფერხულო წრეს. ამ მხვნელთა ფერხულის მძიმე მოძრაობა ხალხის სწრაფ ფერხულთან შეპირისპირებაში მაგიური ენერგიით მუხტავს გარემოს...

6

კოშკებიანი სოფელი მთაში. ღამეა. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. მწუხრის ვარსკვლავი ანათებს...

ერთ-ერთ კოშკში მონადირე ემზადება სანადიროდ წასასვლელად. მართავს მშვილდ-ისარს. სახლის ერთ კუთხეში მოხუცი ქალი საქმიანობს. მონადირის მოძრაობები ზანტია და უყოყმანო. იგი იღებს მშვილდს, რომელიც მიწაში აქვს ჩაფლული, ნადირის ტყავში გახვეული. ხოლო სხვა მშვილდს სხვა ადგილას „ასაფლავებს“, ახვევს რა ტყავში და წარმოსთქვამს ლოცვას, მიმართულს ნადირთ-პატრონისადმი. ისმის მხოლოდ ეს სიტყვები „ნადირთ-პატრონო“... შემდეგ სახლში შემობრუნდება. მთელი შეკვრა ხმელი ძარღვებიდან არჩევს შესატყვისს, ამაგრებს „ამოსვენებულ“ მშვილდზე და ჭიმავს. მოხუცი ქალი გამოდის მის მხარეს, ყურადღებით ადევნებს თვალს შვილის საქმიანობას. მონადირე თავს იღებს:

– დედავ, საგზალი გამიმზადე, გარეული თხის ან შუნის ნახვა მომენატრა...

მოხუცი მიბრუნდება თავისი კუთხისაკენ, კუთხეში დაგებული ტყავებიდან ახალგაზრდა ქალმა წამოყო თავი. ნამძინარევმა თვალი მოავლო იქაურობას, მერე, თითქოს შეიგნოო, რაც ხდებოდა, საწოლიდან წამოდგა. იგი ფეხმძიმედაა.

მოხუცმა მაშინვე ააფარა ტყავი და მკაცრად უთხრა:

– მაცდურ ნუ შეიქმნები ქმრისთვინა, გასწი ახლავ, თვალს მოერიდე...

შეცბუნებული ქალი ისევ მიბრუნდება საწოლისაკენ და კუთხეში მიიყუჟება. მოხუცი აცხობს რიტუალურ პურს, საკმაოდ დიდი, მრგვალი პური ზემოდან სხივებითაა დაღარული. რამდენიმე ცალი აიღო და მონადირისაკენ წაიღო...

– ა, დედა, ხმელგანატეხი, საწებს კლდის ანგელოზ მოგცემდის, იმის მადლს ვლოცულობთ მარად... მშვიდობით გევლოს, ნადირთ პატრონს შეჰვედრე, ნადირნ გაჩუქოს, შინამც მშვიდობით მოხვიდოდედ, შენს ქალსაც თმებ არ გავაშლევინებ, თმას არ დავაბანინებ, ცხიმ-ქონიანს არ გავაკარებ, შენს გზა-სავალს არ გავანდობინებ... მშვიდობით იარე...

მონადირე ამასობაში საგზალს გუდაში ალაგებს. მშვილდისარს მხარზე გადაიკიდებს და ჩუმად გადის სახლიდან.

მთვარე ძალაში შევიდა და ცის მთელი სივრცე დაიპყრო. გარემო იდუმალი სუნთქვით სუნთქავს თითქოს და ყოველი ხე, ბუჩქი, კლდის ჩქამი მაგიურად მოქმედებს კლდეებისაკენ მიმავალი მარტოხელა მონადირის განწყობაზე... მუხტავს მას...

მონადირე ტყეში მიდის. აქ მეტი იდუმალება ახვევია გარს. წამ და წამ მის თვალწინ გაიელვებს ხან ოჩოკოჩი, ხან ბრწყინვალე ოქროსნაწნავიანი დალი... თითქოს ვიღაც ყურადღებით ადევნებს თვალს მის სვლას...

კლდისპირს მიღწეული მონადირე ჩერდება. მოიხსნის გუდას და ამოიღებს „ხმელგანატეხს“, სათუთად აწყობს კლდეზე, ხელებს აღმართავს კლდისკენ და ლოცულობს. მთვარით განათებულ არემარეში მისი სილუეტი თითქოს კარგავს თავის მატერიალობას და ლივლივებს, შერეული ჯადოსნურ სინათლეს...

– ჩემს მწყალობელ ღმერთს დიდება! როდესაც შეგეხვეწო, ყოველთვის შემიბრალე... დალის კლდისას დიდება! აბსალს კლდისას დიდება! გარეულის თავს მდგომი შენა ხარ, რომ მოვიდე შენს ადგილში, მშვიდობიანად გამომიშვი; გარეულის წილი მომეცი; უფროსი ნუ გედიდება, უმცროსი ნუ გეპატარავება. შემოდგომაზე მშვიდობით დამაბრუნე სახლში, მე და ჩემი ამხანაგი კაცები. თუ რამე იკადრებოდეს, მიილოცე, თუ არა და ამისთვინაც ნუ მემდური. შენი საბრალი და საწყალი მე ვარ, კარგი სვე მომეცი, წყალობაზე წყალობა მიმატე, გარეთ და შინ ყველგან მიიღე ჩემი ვედრება, ნუ დამიკარგავ შენს წყალობას და ნუ შემიძულებ, ასემც მადლი გექნება, დალ-ღმერთო, მშვიდობიანად დამაბრუნე სახლში, მარჯვენა დამილოცე, დალი...

მონადირემ ხმელგანატეხი აიღო და თითქოს ვიღაცას, მოთვალთვალეს, აჩვენებსო, ამართა:

– საწები ნუ შეგშურდება, დალი, – წარმოსთქვა და ხმელგანატეხს ყუა ჩამოტეხა. დაჯდა. დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო ჭამა...

მთვარე გადაიხარა. ცის კიდეზე ცისკრის ვარსკვლავი გამოჩნდა. მონადირემ ჭამა მოათავა და მშვილდი მოიმარჯვა. პირველი ნაბიჯი გადადგა თუ არა, არემარეს კივილ-კისკისი მოედო და კლდის თავზე ჯიხვებმა გადაიდგრიალეს...

მონადირე მათ კვალს გაჰყვა.

7

გოდების ხმა ისმის სოფელში. მონადირეებს – სოფლის კაცებს ვეფხვი დაუსვენებიათ და მოსთქვამენ. ვეფხვს ვაჟის ტანსაცმელს აცმევენ, იარაღს უწყობენ გვერდით. მწუხრია. მოღრუბლული გარემო პირქუშად დასცქერის თავს დამტირებლებს. სადღაც მთაში იელვა და გრგვინვა გაისმა...

უხუცესი მონადირე გლოვის ხმაზე წარმოსთქვამს სიტყვებს, დანარჩენები ჩაბუბნით იმეორებენ:

– რომ არ მოგეკლა-ა შენი თავი-ი! (რომ არ მოგეკლა შენი თავი – ბუბუნებენ კაცები...).

– ნეტა-ავ შენ მაგივრად შვილი მოგვეკლა-ა! (ნეტავ შენ მაგივრად შვილი მოგვეკლა...).

– რომ არ მოგეკლა-ა შენი თავი-ი! (რომ არ მოგეკლა შენი თავი ...).

– ნეტა-ავ ისევ ჩვენი სახლი დაგვეწვა-ა! (ნეტავ ისევ ჩვენი სახლი დაგვეწვა...).

– რომ არ მოგეკლა შენი თავი! (რომ არ მოგეკლა შენი თავი...).

– ნეტა-ავ ჩვენი დედ-მამ დახოცილიყო-ო! (ნეტავ ჩვენი დედ-მამ დახოცილიყო...).

– რომ არ მოგეკლა შენი თავი! (რომ არ მოგეკლა შენი თავი...).

– ისე-ევ ჩვენი თავი-ი მოგვეკლა-ა! (ისევ ჩვენი თავი მოგვეკლა! – ბუბუნებენ მონადირენი).

მოზარეთა სიტყვებს გრგვინვა ფარავს. ქარიც წამოუბერავს და ელვაც გახშირდება. გარემო უფრო პირქუში და ჩამოღამებული ხდება.

8

სანადიროდ გასულ მონადირესაც ჯანღი შემოადგა. ელვა და გრგვინვა მოხშირდა. და ამ გრგვინვაში გარკვევით ესმის სიცილ-კისკისი და გადარბენილი ნადირის თქარათქური...

ზოგჯერ, უკვე აზარტში შესულ მონადირეს კლდის თავზე ჯიხვი წამოელანდება, მაგრამ, ვიდრე იგი სროლას მოასწრებს, ისევ უჩინარდება...

მონადირე სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს...

უეცრად მის თვალწინ მგელმა გაირბინა და იმავე წამს ბავშვის ყვირილი გაისმა. მონადირე ამ ხმას გაჰყვა. მგელმა კიდევ რამდენიმეჯერ გაირბინა მისი მზერის არეში და ყოველ გამოჩენაზე სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ჩანდა, რომ მგელს პირში ბავშვი უჭირავს. არც ბავშვის ყვირილი იკლებ-

და – ცოცხალი იყო ჯერ... მონადირემ გადარბენილი ჯოგის თქარათქურის მიმართულებით გაიხედა, მერე მგელს გაადევნა თვალი... რა ჰქნას?..

მონადირემ დასძლია ორჭოფობა და გამოუდგა მგელს... მოხერხებულ ადგილას კიდეც მიაწია ისარი და თვითონაც მიჰყვა... დაჭრილმა მგელმა ბავშვს პირი უშვა და ისარგარჭობილი თავქვე დაქანდა, კლდეს გადმოეკიდა და უფსკრულში ჩაინთქა...

წამიერად გაირინდა არემარე და ს ი ჩ უ მ ე ჩამოწვა სამარისებური...

მონადირე ჩუმად მიეპარა ჩაყუჩებულ ბავშვს, ფრთხილად დააცქერდა, ხელი შეახო და იგრძნო რა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო, – ხელში აიყვანა...

იმავე წამს არემარეს გამაყრუებელი კივილ-კისკისი მოედო და მთვარემაც გამოანათა...

9

მთვარის შუქზე მონადირემ კლდის თავზე გამოქვაბულს მოჰკრა თვალი, გამოქვაბულიდან სინათლე გამოდიოდა და ქალის კვნესა ისმოდა. მონადირემ ბავშვი ტანზე მიიკრა დაწნული თოკით, წელიდან პალოები მოიხსნა და კლდეზე ასვლას შეუდგა...

ისევ დაიჯანღა გარემო. ბურუსით გარშემორტყმული მონადირე სულ ზევით და ზევით მიიწევს, ვიდრე გამოქვაბულს არ მიადგება...

უცნაურ სინათლეში ჯერ ვერაფერს ხედავს, მაგრამ შემდეგ იწყებს გარჩევას: გამოქვაბულში ქალი წევს საკუთარი მოვარვარე თმებისგან გაშლილ სარეცელზე და კვნესის, აგონიაში მყოფი, ალმოდებული. თითქოს მოელანდაო მონადირე, რომელიც ბავშვს იქვე მიაწვენს ნადირის ვეფხვის ტყავზე და თვითონ ქალთან მიდის, იღებს სასთუმალს ქვეშიდან ოქროს დანას და ქალს მუცელზე განკვეთავს... უეცრად ქრება ეს ხილვა და იმავე წამს ახალდაბადებული ბავშვის ყვირილი და

ნაცნობი კივილ-კისკისი აყრუებს მონადირეს და გარემოს ედება გრგვინვასა და ჭექა-ქუხილთან ერთად... იელვებს უცნაური სიკაშკაშით და ელვის გაკრთომასთან ერთად ქრება ყოველივე...

მონადირე კლდის თავზეა შთენილი მარტოდმარტოდ. მის წინ, რიგრიგობით, ცხრა ჯიხვი გადაიფრენს კლდიდან კლდეზე და ყოველ მათგანს მონადირის ისარი ეწევა... ცვივიან გულგანგმირული ჯიხვები უფსკრულში...

კლდის თავს ულამაზესი ხარ-ჯიხვი წამოადგა მეფურად და გაირინდა. მონადირემ რამდენჯერმე მოზიდა მშვილდი, მაგრამ რაღაც აკავებდა თითქოს, სროლა ვერ გაებედა, ხარ-ჯიხვი კი იდგა გაუნძრევლად და არ იძვროდა. ქვისაგან ნაკვეთს ჰგავდა... ბოლოს მაინც ვერ დაითმინა მონადირემ, მშვილდი მოზიდა და ისარი სტყორცნა...

ხარ-ჯიხვი არ განძრეულა. ისევე გაქვავებული, ამაყად წამომდგარიყო კლდის თავზე მთვარის შუქში თეთრად გამომზირალი. მონადირემ ფეხი წარდგა მისკენ, მისაახლოვებლად, და უეცრად ფეხი სიცარიელეს ჰკიდა, თავი ვერ შეიმაგრა და უფსკრულში გადაიჩეხა... სისხლგამყინავმა სიცილ-კისკისმა დაფარა არემარე...

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

თანდათან გადაიწმინდა ცარგვალი და ვარსკვლავებმა იწყეს ქრობა. მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავი-ღა შერჩა ცას და განთიადის სინათლეში იცრიცებოდა და უჩინარდებოდა მისი ბრწყინვალება...

კლდეზე გადაჩეხილი მონადირე ქალამნის თასმებით გამოსდებია კლდის ქიმს და კიდია უმწეოდ...

10

ყორანი აფრინდა ხის კენწეროზე. მერე გადმოეშვა უფსკრულისაკენ...

ჩამოწოლილ სიჩუმეში გარინდებულ გარემოში ძაღლის ყეფა გაისმა. მონადირეს ცნობა დაუბრუნა ამ ყეფამ, თვალე-

ბი გაახილა თავდაყირა დაკიდებულმა, გარემოს თვალი მოავ-ლო, ძლივს შეაბრუნა თავი და კლდის ძირს ჩახედა.

კლდის ძირში მონადირის ერთგული ყურშა შეჰყეფდა თა-ვის განწირულ პატრონს... მონადირემ ძალა მოიკრიბა...

– ყურშა, ჩემო ყურშა, შეჰყეფე, შეჰყეფე, შავო, შე ტიალო, ნაშოვნო შავის დღისაო, ჩადი და ჩაჰყეფე, ან კაცი მშველელი იქნება, ან მონადირე, შავო, ჩაჰყეფე, კლდეს ვკიდივარ ფურ-ბერწის ქალამნითა-თქო, ჩაჰყეფე, შავო... – ირგვლივ ისევ სი-ჩუმეა...

კლდეს შეკიდული მონადირე ცას ავლებს თვალს. ვერ ინძ-რევა, რადგან არავითარი საშუალება არა აქვს გაქანების, ხო-ლო არ წყდება თასმა, იჭიმება და არ წყდება... განწირულის ჩურჩულით, თვალებში სისხლმოწოლილი ბუტბუტებს მონა-დირე:

– თენდები, ნურც გათენდები, დიდო ღამეო სთვლისაო, ამოხვალ, ნუმც რას ამოხვალ, ცისკარო თენებისაო... – მაგ-რამ იცვლება გარემო, იცვლება ამინდიც, წვიმს, მერე თოვს, მერე ნისლით იბურება და თვალთაგან იკარგება მონადირე, მაგრამ მშველელი არა ჩანს... ერთი-ორჯერ კიდეც შეეცადა მონადირე, გაეწყვიტა თასმა, მაგრამ ამაოდ... იჟიჟრიბანდა...

11

განთიადის ჟამს სოფელში ხმაური ატყდა... მთელი სოფე-ლი აშლილა და კლდეებისაკენ მიედინება...

წინ თმებგაშლილი მონადირის დედა მოდის და ტირილით მოსთქვამს... უკან მონადირის ცოლი მიჰყვება ბავშვით ხელ-ში... მთელი სოფელი მოსთქვამს და ამ მოთქმაში არის რიტმი სამგლოვიარო საგალობელ-სასიმღეროსი, რომელიც ხალხის მოძრაობასთან ერთად ჩამოყალიბებულ ფორმას იძენს თავა-დაც და ხალხის ქაოტიურ და აშლილ მოძრაობასაც აწესრი-გებს, ფორმას აძლევს...

– ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდავო,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

ბაილ, მულახ-მუჟალი იკრიბება,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ...
გადმომხტარა თეთრი შუნი, თეთრი ჯიხვი,
გადმომხტარა თეთრი არჩვი,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
გაურბენია ბეთქის ლაჯებში,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ეს ბეთქის წერა იქნება, ცხრა ჯიხვის მოკვლელის,
ბაილ, ბეთქილ საბრალო, ბეთქილ საცოდავო!
შესულხარ ბეთქილ შავს კლდეში, შესულხარ დალის სამ-ყოფოში,
ბაილ ბეთქილ საცოდავო, საბრალო ბეთქილ!

კივილ-კისკისმა გაკვეთა ხალხის გოდება და შეზანზარდა არემარე მონადირის გამაყრუებელი ყვირილით. უკანასკნელი ძალით ცდილობდა განწირული მონადირე, მიეწვდინა ხმა თავისიანებისათვის, ან თასმა მაინც გაეწყვიტა...

კლდის თავზე ყორანთა გუნდი აირია და ნელი ტაატით დაიწყო ბრუნვა ხევში... ყურშა აყეფდა კლდის ძირში...

მონადირის ყურს მისწვდა კლდის ძირში მოჯარული ხალხის ხმები...

გათენდა. სოფლელები ფაციფუცობენ კლდის ძირში.

დედამ გლოვა შეწყვიტა და საგების გაშლა დაიწყო...

ცოლმა მერდინი გაშალა...

კლდის თავზე სხვა მონადირეები გასულიყვნენ უკვე მაშველად და თოკს უშვებდნენ, მაგრამ თოკი მცირეზედაც ვერ სწვდება მონადირეს... ამოკრიფეს და გადააბეს... იგივე განმეორდა; და რამდენიც არ გადააბეს, თითქოს კლდე იწევდა უფსკრულს ჩასული ფესვით, ისევ იგივე მანძილი რჩებოდა მონადირემდე...

ქვემოდანაც რამდენი კიბე არ გადააბეს ერთმანეთს – ნახევრამდისაც ვერ მიუწვდინეს... თითქოს ცისკენ იზიდებოდა იმავდროულად კლდის წვერი... ძალ-ღონეგამოცლილმა მონადირემ უკანასკნელი აღმოხდომით შეჰყვირა:

– მესროლეთ, მესროლე-ე-ე! – მაგრამ ხალხის ყურს მისი ხმა არ აღწევს და ხალხი კი თვითონ უყვირის:

– რამ შეგაშინა, აკი კლდის არ გეშინოდა?! გაწყვიტე ეგ თასმანი, დიაც ხომ არა ხარ?!.. გადვარდი, თუ გადვარდები, შე ჯიხვო მაღლის კლდისაო!..

მაგრამ მონადირეს უკვე აღარაფერი ესმის... სისხლმა იწყო დენა ყურ-ცხვირიდან და თვალებიდანაც... სისხლი მძიმე წვეთებად ეცემა კლდის ძირს მოჯარული ხალხის წინ... გუბდება...

მაშინ ერთი ჭაბუკი მონადირე იღებს მშვილდ-ისარს და უმიზნებს...

მოსწყდა კლდეს მონადირე...

გადმოიქცა უზარმაზარი კლდე...

ჩაინთქა ნაპრალში ზვავი...

აგრუხუნდა მთა და ბარი...

ელვამ გაკვეთა სივრცე, დაიგრგვინა, დაიქუხა და კივილ-კისკისმა გააყრუა არემარე...

12

მონადირეთა სოფელში ფერხულია. ერთმანეთის მიყოლებით ნანადირევი მოაქვთ მონადირეებს: რქებაყრილი ირმები, ჯიხვები, არჩვები... მოაქვთ და საფერხულო წრის შუაგულში აგროვებენ... ფერხულის წრე თანდათან იზრდება და მერე ორ გუნდად იშლება, რომელიც გუგუნითა და სიმღერით უვლის გარს მინდორს... გაზაფხულია ირგვლივ ახალისებული:

– აი ჰოიო, ჰოიო, ჰოიო (გუგუნით მოჰყვება მისამღერი...),
ქალსა ვისმე და ერქვა შრუშანაო,
აი ჰოიო...
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა, ეცვა ბეჭედაო.
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა, მოლი მოსულაო;
მოლის თავსა, მოლის თავსა, ნაძვი ასრულაო;
ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა, ქორს ბუდე ედგაო;
ბუდე იყო, ბუდე იყო, აბრეშუმისაო;
კვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა, იაგუნდისაო;
გადმოჩეკა, გადმოჩეკა, მარგალიტისაო;

ღმერთო, ერთი, ღმერთო, ერთი, ჩემთვის გაზარდეო,
სხვა ათასი, სხვა ათასი, სხვისთვის გაზარდეო.
სანადიროს, სანადიროს, გზა გაუზარდეო.
ინადიროს, ინადიროს, მოკლას ირემიო;
ეიკიდოს, ეიკიდოს, შინ მოიტანოსო;
მაგ ირემსა, მაგ ირემსა, ბეწვი შეგლიჯეო;
მაგ ბეწვისა, მაგ ბეწვისა, ჩოხა დამირთეო;
ნაგულარი, ნაგულარი, წმინდა პაიჭიო.
ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო, ლომო და გმიროო,
მაგ ალვის ხეს, მაგ ალვის ხეს, ტოტი შესტეხეო,
მაგ ტოტისა, მაგ ტოტისა, სახლი დამიდგიო,
ნაფოტარი, ნაფოტარი, წისქვილ-ბოსელიო...

ალალოო, ალალეო, ეელხო და ვარალეო... გუგუნებს ფერ-ხული და ერთ საერთო სიმღერად ერთვება მთა-ბარი და მინ-დორ-ველი, აბიბინებული ბალახი და დედამიწა, წყალი და მთელი სამყარო...

13

ი ნ ი ც ი ა ც ი ა

სოფლის განაპირას ბავშვები შეკრებილან და ერთმანეთს ეჯიბრებიან. ასე ჩღ-ჩძ წლისანი იქნებიან. ერთი ღრიანცელია ირგვლივ. ბავშვები შეიარაღებულნი არიან მშვილდ-ისრებით, ჭიდაობენ, მიზანში ისვრიან. ერთ ყმაწვილს გვერდზე მოკლე სატევარი ჰკიდია – ერთადერთს. იგი ხან მოჭიდავეთა ჯგუფ-ში გაერევა, ყველას ამარცხებს და ისვრის ისეთის ძალით, რომ აღარავის უნდა მასთან ჭიდილი... ხან სხვა ჯგუფთან გა-დავა და იქაც იგივე ხდება... ტოლებს რომ დააწიოკებს, მშვილდ-ისარს მოიმარჯვებს...

მოხუცი ქალი ამოდის გზაზე. მხარზე წყლის კო-კაშედგმული ძლივს მოაბიჯებს აღმართში. ყველას დამწიო-კებელი ყმაწვილი სწორედ ამ მოხუცს უმიზნებს შეშინებული თანატოლების წინ. სტყორცნის ისარს... ისარი ზუზუნით გა-კვეთს ჰაერს და მოხუცს კოკას დაუმსხვრევს. თქეშად გად-

მოექცევა წყალი თავზე საბრალო მოხუცს... ყმაწვილი ხარხარებს... თანდათან სხვა ყმაწვილებიც ახარხარდებიან...

ყმაწვილები წყაროსთან არიან ჩასაფრებულნი, ქალიანკაციანად, ვინც კი წყაროსთან მოვა, ყველას ქვებს ესვრიან, კოკებს უმტვრევენ და არ აძლევენ საშუალებას წყლის აღებისა...

ზოგი კაცი ცდილობს, დაიჭიროს ისინი, მაგრამ აქიდან მხოლოდ ის გამოდის, რომ ყმაწვილები, რომლებსაც პატარა გოლიათი ხელმძღვანელობს, მაგრად სცემენ ხოლმე და ხარხარის ქვეშ კოკებს სულ უმტვრევენ... ყმაწვილები თანდათან მთელ სოფელს, საქონელს, ფრინველსა და ნადირსაც ედებიან და მუსრს ავლებენ... ნგრევის სტიქიას შეუპყრია თითქოს ისინი...

14

დიდი მწვანე მინდვრის შუაგულში გათხრილი ორმოდან ნელი კლაკვნით ამოიმართა ჭრელი გველი და ცისკენ აიზიდა. მიახლოებისას ჩანს, რომ გველი ხელოვნურია, თავი ხისგან აქვს გაკეთებული, ყბები, თვალები, კბილები ინკრუსტირებულია ძვირფასი თვლებით...

ციდან ეშვება არწივი, რომელიც მოახლოებისას ასევე ხელოვნური და ინკრუსტირებული აღმოჩნდება...

გველი და არწივი შეებმიან ერთმანეთს და შებმის მომენტში ნ ა მ დ ვ ი ლ ი გველისა და არწივის ბრძოლას ვხედავთ.

გველი არწივს მოიხელთებს და ჩააფრინდება ბასრი კბილებით...

სწორედ ამ დროს გაკვეთს ისარი ჰაერს და გველს განგმირავს. ხელოვნური გველი იშლება ნაწილებად და იპნევა მიწაზე.

ნამდვილი არწივი თავისუფლდება და აიწევს ცაში...

15

კლდიდან გამოდის მაღალი, პირხმელი და ტანმაგარი მოხუცი. იგი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, არემარეს მოავლებს თვალს. მერე კლდის ქიმს მიადგება და ძირს იყურება...

კლდის ძირში ყმაწვილები შექუჩულან. ისინი ვერ ხედავენ მოხუცის მოძრაობას...

ზვავი მოსწყდა კლდის ფერდს და დაქანდა უფსკრულში... ქარი ამოვარდა, ცა ჩამოღამდა, ირგვლივ საშინელი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ატყდა, ელავს... ყმაწვილები შეძრწუნებულები გარბიან ტყეში... ყოველი ხის უკან წამიერად ნათდება ხან დევი, ხან დათვი, ხან მგელი, ხან ოჩოკოჩი თუ ოჩოპინტრე... მთელი ტყე ივსება მათით და ყმაწვილებს გასაქცევიც აღარ აქვთ... ყოველი მათგანი ძალაგამოცლილი ეცემა და თავჩარგული, სიკვდილის პირას მისული ირინდება... ზოგი მათგანი კვდება, სახე უქვავდება...

ს ი ჩ უ მ ე ა. ღამეულ ცაზე ვარსკვლავები იწყებენ ნათებას და მთვარე ამოცურდება. მთვარის შუქზე გამოჩნდა მოხუცის სილუეტი. იგი ნელა მოდის ტყეში და ყურადღებით დასცქერის ცოცხალმკვდარ ყმაწვილებს...

უეცრად ხის უკანიდან ხანჯალშემართული ყმაწვილი დააცხრება თავს, მაგრამ... სიცარიელეს შეანყდება, მოხუცი გაქრა. ყმაწვილი გაოგნებული შედგა. მერე უცებ იგრძნო, რომ ზურგს უკან ვიღაც უდგას და შემობრუნდა ხანჯლის მოქნევით და ეძგერა მოხუცს... ისევ სიბნელესა და სიცარიელეს წააწყდა... ასე განმეორდა რამდენჯერმე... დაღლილი ყმაწვილი შედგა სულის მოსათქმელად, მიყურადებით...

– ვისი შვილი ხარ შენ? – გაისმა მოხუცის ხმა.

ყმაწვილი შემობრუნდა შემცბარი. არავინ იყო ირგვლივ. თვალი მოავლო ტყეს, მთის წვერებს, ცას... ცაზე მთვარე ანათებს...

– ვისი შვილი ხარ შენ?

– დალის... დარეჯანის... ამირანი ვარ მე... – ყველა მხრით ტრიალებს ყმაწვილი...

– მამა რა უყავი, ამირან?!

– მამა?!

– მამა! ყოველ არსებას ჰყავს მამა... რას ჩაჰფრენიხარ დედაშენის კალთას, წადი, მამა ეძებე... კოშკი იპოვე... ხე გაახარე... ხარი გუთანში შეაბი... გველი მოჰკალი... არწივი აუშვი... ცხენს ლაგამი ამოსდე... ნაწლავები დაიმშვიდე... ნდომა დაიცხრე... ქალს ნურას დაუშავებ... მამას ქალისას ნუ მოკლავ... დედას ალაგი მიუჩინე... ცეცხლი მიიტანე... კერაში ცეცხლი დაანთე... მეზობელი გაიჩინე... მეზობლიანი შეიქმენ... მეზობლობისთვის იღვაწე... ამირან... – ტრიალებს ამირანი და ესმის მოხუცის ხმა...

მთვარე ჩავიდა და ტყეში სიბნელე ჩამოწვა...

16

უზარმაზარი მინდვრის შუაგულში ხე დგას. ტანაყრილი. ხის ტოტებში ბრწყინავს ვერძის ტყავი. ფესვებთან უზარმაზარი გველია დახვეული, ხოლო კენწეროზე ჟღარუნა ოქროს შიბია ამართული, რომელიც ცაში იკარგება...

17

განთიადია. შიშველი ქალები ჩასდგომიან გუთანს და ხნავენ. ისმის გუთნეული სიმღერა...

მზე ამოიწვერა. შორს, დილის ბინდ-ბუნდში გამოჩნდა კაცი, რომელიც ხარებს მოერეკება. მტვრის ბუღი ასდის მინდორს. ხარების მძიმე დგაფა-დგუფი მატულობს... ხარები მოეფინა მინდორს...

ქალები ჯერ არ აქცევენ ყურადღებას, მაგრამ მათი მოახლოებისდა კვალად, სულ უფრო მეტი შეშფოთებით იცქირებიან მტვრის ბუღისა და მძიმე ხმაურის მიმართულებით... სიმღერა ირევა...

ხარები მოთელავენ მინდორს. ქალები ჯერ გუთანს ეფარებიან, მაგრამ შიშს ვერ უმკლავდებიან და გარბიან... გაშმაგებით მოსდევენ ხარები მინდორში გაშლილ შეძრწუნებულ შიშ-

ველ ქალებს და ახლაღა ჩანს, რომ ხარებზე ასევე შიშველი მამაკაცები ამხედრებულან...

მინათმოქმედი კაცები კი ამავე დროს მშვიდად ამთავრებდნენ არხის თხრას და მინდვრისაკენ მდინარიდან წყალი გადმოჰყავდათ. ქალების კივილზე ისინიც აირივნენ და სამუშაო იარაღებით, სატევრებით და სხვა საომარი იარაღით შეიარაღებულნი გაიქცნენ მათ საშველად...

მაგრამ მომხვდურებმა უკვე გადაიარეს და გადაქელეს იქაურობა, ქალებთან ერთად ბლომად კაცებიც დახოცეს... სისხლით მოირწყა მინდორი...

გადაიგრიალა ამ გრიგალმა და ჩაწყნარდა არემარე. ბუღიც ჩადგა... გაშლილ მინდორში, შორს, გამოჩნდა მოხუცი, რომელიც გუთანში შებმულ ხარებს მოერეკება, ორნატს ახნავს მთელ მინდორს და უჩინარდება.

18

ტყეში უკუნი სიბნელეა.

ამირანი მიდის ტყეში. გზას იკაფავს. იბრძვის თითქოს შემომდგარი წინააღმდეგობის დასაძლევად. უეცრად ინათებს და მის წინ შიშველი, თმაგაშლილი ქალი გაკრთება. ქალს ნაწნავები სხეულზე აქვს დაშვებული. ამირანი გაშეშდება. გაისმის კივილ-კისკისი. ქალი ხელს უწვდის ამირანს და იზიდავს თავისკენ. შემოეხვევა... ისევ გაისმის კივილ-კისკისი და ამ დროს გამოერკვევა ამირანი. ქალს მოიშორებს და მისსავე თმებით შებოჭავს. წამოიმართება თუ არა, ახლა სხვა ქალი გამოუჩნდება... ისევ ისმის კივილ-კისკისი და ეს მეორდება მანამ, ვიდრე დამაშვრალი ამირანი უკანასკნელ ქალს არ შებოჭავს და წამოიმართება...

უეცრად განთიადის სიჩუმე ჩამოწვება ირგვლივ. გაირინდა ტყე... ცა... მთები... ზვავი, რომელიც გრუხუნით სკდებოდა კლდის პირზე, ვიდრე ამირანი ომობდა ტყეში, ეს ზვავიც კი შედგა და გაშეშდა...

მზე ამოიწვერა და ამოცურდა დღის მანათობელი უფალი...

ახმაურდა ტყე. გაცოცხლდა გარემო...

ჩაიგრუხუნა ნამიერად შემდგარმა ზვავმა, ჩაეფინა ხეობას...

19

გაშლილ მინდორში ცხენების თქარათქური ისმის. გუგუნებს მიწა. შორს რემა გამოჩნდება გაშმაგებული, ფაფარაყრილი ველური ცხენებისა. წინ თეთრ ცხენზე მჯდომი ჭაბუკი ამირანი მოუძღვის ცეცხლოვანი ხმლით ხელში. ჭაბუკი თანდათან შორდება გაშმაგებით დადევნებულ ველურ ცხენთა რემას და გაიმარტოხელებს მინდორში, მიაგელვებს თეთრ რაშს მინდვრის შუაგულში მდგარი ხისაკენ, გარს შემოუვლის რამდენიმეჯერ და უეცრად მოჰკრავს თვალს ხის ფესვებზე დახვეულ გველს. ხმალს აიქნევს და ცეცხლის ალს მოსდებს გველსაც და ხის გველებივით დაკლაკნილ ფესვებსაც. ცოცხლდებიან ცეცხლის ალებად აკლაკნილი გველები და ეხვევიან ხეს. მაგრამ ხე არ იწვის, მხოლოდ ცაში გამობმული ოქროს შიბი ჟღრიალებს ხმამაღლა...

20

სოფლის სამჭედლო. გუგუნებს ღუმელი. რამდენიმე მჭედელი მუშაობს ერთდროულად. ზოგი გუთანს აკეთებს, ზოგი იარაღს ჭედავს. გამდნარი ლითონი ესხმება ყალიბში. სამჭედლოს გარეთ ახალგაზრდა მჭედელი თეთრ რაშს ნალებს აჭედებს. იქვე სხვა ცხენებიც დგანან მშფოთვარედ...

სამჭედლოდან ვრცელი ხედი იშლება. აბიბინებული ყანები, სოფელი შეფენილი მთის ფერდს. საკვამურიდან ამოსული კვამლი, ყეფს ძაღლი შორეულ ეზოში, ირგვლივ სოფლის ბუნებრივი სიმშვიდე სუფევს...

ცაზე კაშკაშებს მზე. შუადღის ხვატია. მოხუცი მჭედელი თვალს ავლებს ცას. მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ნატამა-

ლი არ ჩანს. მოხუცი მჭედელი თავს აქნევს... მერე სამჭედ-ლოში შედის...

თანდათან იფიტება გარემო. გვალვაა. უცვლელი სურათია ცაზე. კაშკაშა მზე და სიმხურვალისაგან გაფითრებული ცა...

სიყვითლე მოედო არემარეს...

დასკდა მიწა...

ხვატის ალმოდებული სიზანტეა ირგვლივ გამეფებული...

21

პატარა ტიტველი გოგონა თავით-ფეხებამდის იმოსება ბა-ლახით, ყვავილებით, რომლებიც ბავშვებმა დაკრიფეს ტყეში. სახესაც უფარავს ყვავილების საფარი...

მის ირგვლივ გოგონები წრეს კრავენ და ბრუნვა-ცეკვითა და ხტუნვა-ხტუნვით ყველანი სოფლისაკენ მიდიან...

22

პატარა ტიტველი ბიჭი იმოსება ბალახებით, ყვავილებითა და მცენარეულით... მის ირგვლივ ბიჭები შეკრებილან, კრა-ვენ წრეს და ცეკვა-ხტუნვით სოფლისაკენ მიეშურებიან...

23

შიშველი ყმაწვილქალები გუთანში ებმებიან და მიათრევენ მას მდინარეში...

შედიან, ვიდრე წყალი წელამდე არ უწევთ...

24

ახალგაზრდა ქალები წყვილ-წყვილად ებმებიან ყვავილე-ბით მორთულ ურემში ხარების მაგივრად. მოხუცი ჯდება კო-ფოზე და მიერეკება მათ... ურემი ჟივილ-ხივილით, მოთქმით,

ლოცვით, ტირილით, სიცილით თანხლებული მიგორავს წყალში, ტალახში,

ნესტიანში...

25

იქუხა და მოულოდნელად ამ საერთო არეულობაში, როდესაც ყველა გუნდი (გოგონათა, ბიჭუნათა, ყმაწვილქალთა და ახალგაზრდა ქალებისა) გაერთიანდა და შეერთდა ერთ ალაგას მდინარის ორივე მხარეს, კოკისპირული წვიმა წამოვიდა...

მდინარის ერთ მხარეს ბიჭების ფერხულია გამართული – ყვავილებით მორთული პატარა ბიჭით შუაში; მეორე მხარეს კი – გოგონათა. მდინარის წყალში ყმაწვილქალები მიათრევენ გუთანს აღმა, სვამენ წყალს, ხოლო მდინარის გასწვრივ გველისებრი კლაკნილი გზით მიემართება შიშველქალებშებმული ურემი, რომელსაც მოხუცი მართავს...

სიმღერა, რომელსაც ცალ-ცალკე ასრულებდნენ, ახლა გაერთიანდა და შეერწყა ურთიერთს...

ერთდროულად ისმის ლოცვა, სიცილი, ტირილი, სიმღერა...

გოგოები, ბიჭები:

ახ, ლაზარე, ლაზარე! ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
ლაზარ მოდგა კარსა, აღარ გვინდა მზის თვალი,
აბრიალებს თვალსა, ღმერთო, მოგვე ტალახი,
ცხავი აცხავებულა, აღარ გვინდა გორახი...
წვიმა გაჩქარებულა.... ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა...

გოგოები და ბიჭები ცეკვა-ცეკვით დადიან კარდაკარ და ყოველი სახლიდან გამოდიან ქალები წყლიანი კოკით ხელში და წუნავენ მათ, თან კვერცხებსა და ფქვილს აძლევენ...

26

გაშლილ მინდორში მდგარ ხეზე ვაზი ასულა. მზის თვალია ჩამდგარი მტევანში და შიგნიდან ანათებს. თითქოს ყურძენი ამ უზარმაზარი ხის ნაყოფია, ისე გადაბწნია ხისა და ვაზის ტანი ურთიერთს. ხოლო ვაზის ნორჩი ყლორტები ოქროს შიბზედაც გადასულა და გაუცოცხლებია...

27

დარბაზს აშენებენ სოფლელები. დედაბოძს თლიან, კერას დგამენ, გვირგვინს აწყობენ...

კერაში ცეცხლს ანთებენ... ლოცულობენ ცეცხლთან...

უზარმაზარ საწნახელში ყურძენი იყრება...

სოფლის კაცები იბანენ ტანს. ჩადიან საწნახელში და იწყებენ ყურძნის დაწურვას... ამ უზარმაზარი საწნახელიდან ღვინო მთელი სოფლის მარანში ისხმება და იქიდან ყოველი სახლის მარანში იწურება ქვევრში. ზემოდან დასცქერის თითქოს მადლიანი თვალი ამ სანახაობას: სოფლის შუაგულში შეკრებილი სოფლის კაცები უზარმაზარ საწნახელში წურავენ ფეხებით ღვინოს და ეს ჯადოსნური ცეკვა მზისთვალისმფლობელ პატარა ნაკადულებად მიედინება სხვადასხვა ქვევრისაკენ...

ისმის საგალობელი. სოფლის ქალები, ბავშვები, ყმაწვილები ეზიდებიან გოდრებით ყურძენს და ცლიან საწნახელში...

ხალისი და მხიარულებაა გამეფებული ირგვლივ...

28

კარიბჭე:

ამირანი და მოხუცი მთის წვერზე დგანან და გასცქერიან სოფელს...

ამირანი ისეთივე ყმაწვილია, როგორც პირველი გამოჩენისას ვიხილეთ. მოკლე ხმალი ჰკიდია. სულ უბრალო, ტყავის ტანისამოსი აცვია. მოხუცი მშვიდად ადევნებს თვალს

ამირანს. ის თავისთავშია წასული თითქოს, დაფიქრებული თვალს ადევნებს გარემოს და უეცრად აენთება, მოწყდება ადგილიდან და თავქვე დაეშვება კლდეებზე...

მთის ძირში უზარმაზარი ლოდები ყრია. ამირანი ერთ ლოდს სწვდა, აიკიდა და მაღლა წაიღო...

მოხუცი გაუნძრევლად და მშვიდად ადევნებს თვალს ტუჩის კიდეში ოდნავ გამკრთალი ღიმილით.

იგივე ქვა ახლა ხარს ააქვს...

ამირანი კიდევ უფრო დიდ ლოდს იკიდებს...

იგივე ლოდი ოთხ უღელ ხარ-კამეჩს ააქვს...

ეჯაჯგურება კიდევ უფრო დიდ ლოდს ამირანი, მაგრამ ძვრას ვერ უშვრება, ლოდი კი ცხრა უღელ ხარ-კამეჩს ააქვს...

ეჯაჯგურება ისევ ამ ლოდს, მოხუცი კი ყურადღებით დასცქერის და როგორც იქნა, დასძრავს ლოდს ამირანი, წამოსწევს, მხარს შეუდგამს და წვერისაკენ დაიძვრება; ერთმანეთს ცვლიან ცხრა უღელი ხარ-კამეჩი და ამირანი... აიტანა ლოდი ამირანმა და მთის წვერზე დადო. მოხუცი ღიმილით უყურებს...

– მერე? რად გინდა ეგ ღონე?...

ამირანი დაბნეული უყურებს...

– ყველას მოვერევი!... ამბობს იგი...

– შიშმა შეგიპყრო შენ, ამირან... შიში სიკვდილზე უარესია. შიში თუ ტანში შეუშვი, სისხლი შეგიგუბდება. ცეცხლი გაგიქრება, ზრდას შეწყვეტ, თავნებობა შეგიპყრობს... შიში თუ ტანში შეუშვი... მამის მაძიებელი მამას მოჰკლავ, დედის მაძიებელი დედას დააქვრივებ... ძალას უფლებას მისცემ და შიშს გაამეფებ სიკვდილის წილ; ნედლ ხეს მოჭრი, თავს ვერ დაიჭერ...

– მტერია ირგვლივ... თუ ღონე არ მექნა, დევები გაგვწყვეტენ, ვენახს აჩეხავენ, სამეზობლო სახლს დაანგრევენ, მეომარს იარაღს აჰყრიან, ხარებს გუთნიდან გამოუშვებენ, ქვრივს ააწიოკებენ, დედას შეურაცხყოფენ, მამას თვალს ამოსთხრიან, დარბაზს მიწით აავსებენ, მზარდს საზრდოს მოაკლებენ... ღონე რომ არ მექნეს, მტერს ვით ვუმტრო?!.

– ნაწლავები დაიმშვიდე, ამირან. საკუთარი თავი არ გემტროს. მტერი მტვერია, ღრუბელს რომ გადმოჰყვება და ღრუბელივე გადაიტანს, მზე გაჰფანტავს... სითბოს ნუ დაჰკარგავს შენი სისხლი... მზერა შენი სითბოს ნუ დაჰკარგავს... მარტო არა ხარ შენ... მარტო არა ხარ...

მოხუცი ტყეში მიდის... ამირანი მთის წვერზე რჩება... ისმის ჩუმი ლოცვა:

„მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი,
წვრილ-წვრილნი ვარსკვლავნი, და და ძმაა ჩემი“...

29

გაშლილ მინდორში კოშკი დგას. შორს ირემი გამოჩნდება. მას მხედრები მოსდევენ. ირემი ჩაიჩოქებს კოშკთან და... გაუჩინარდება...

მხედრები, ამირანი და მისი ორი ძმა მოადგებიან კოშკს. ირემი გაქრა. კოშკს კი, რამდენიც არ უარეს გარშემო, შესასვლელი ვერ უპოვეს. ღამე გაიცრიცა ამასობაში და მზის პირველი სხივი აიჭრა მთის წვერიდან... მზის მხარეს აციმციმდა კოშკი, აენთო მისი კედელი და აკიაფდა ათასფრად...

ამირანმა კოშკს უარა ისევ, მერე მზის მხრიდან ფეხი მაგრად ჰკრა და იმავე წუთს კოშკის კარები შეინგრა და სიბნელე მზის მცხუნვარე ელვარებამ გაკვეთა. თითქოს მზის მდელო შეცურდა კოშკის დარბაზში... ამირანი, ბადრი, და უსუფი – მისი ძმები, შევიდნენ დარბაზში მზის მოელვარე სხივებში გახვეულები.

დარბაზის შუაგულში ლ ო მ ი წევს. ლომის თავთან რაშია დაბმული და ფეხით მიწას თხრის. მარცხნივ შუბია აყუდებული. შუბს რომ თვალს ააყოლებენ, ნახავენ, რომ მისი წვერი კოშკის ზედა სარკმლის თაღს ებჯინება და სიბნელეში იკარგება... ლომის მარჯვნივ ხმალი დევს. ლომს ერთ გვერდზე მოხუცი ქალი უზის, დედა. მეორეზე ახალგაზრდა ცოლი; იქით კი მამა. კუთხეში ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვების ათასფრად აკიაფებული მთელი მთაა...

ამირანი, ბადრი და უსუფი უახლოვდებიან ლომს და მათი მიახლოებისდა კვალად ლომი ადამიანის სახეს იძენს... ისმის დატირების ხმა:

ნეტავ სიკვდილსაც მისცა შვილიო,
იმას სხვა სიკვდილ შამახყარაო,
დედასა, დასამც ახდევინაო,
იქნებ წეს გამაიცვლებოდაო...

ენაცვლება ერთმანეთს დატირების ხილვები:
ღამეო, შენამც გენაცვლები,
შენამ ჩემ ნაღველ გაგიგავის,
ძალიან ბევრი გიტირებავ,
ვარსკვლავნი ცრემლად
დაგიღვრავის...

პირქუშად დგანან კაცები. ღაწვებს იხოკენ თმაგაშლილი ქალები...

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!
დალაი, დალაი,
ძნელი არს დალაობაი,
დალაი, დალაი...
სულეთს კოდნ გიდგან სამვსენი, დალაი...
სუფრა ggიდg გარიგებული,
დალაი...
ზედ გიდგას მეღვინეები, დალაი...
ამოიღებენ, დახლევენ ვერცხლისა ვეშაპებითა, დალაი...

დალაი, დალაი, ძნელი არს დალაობაი, მხედრებო... – გუ-გუნებენ მოდავენი და დამთავრებისთანავე მიაჭენებენ ცხე-ნებს და იკარგებიან ხევში...

30

მინდვრის შუაგულში მდგარი ხე დათოვლილა. ოქროს შიბს ლოლუები ჰკიდია. ღამეა. უმთვარო ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ირმის ნახტომი გადაჭიმულა ცარგვალზე...

ორნი მოდიან მინდორში.

– დავიღალე მე... – ლუღლუღებს ახალგაზრდა. მეორე, მოხუცი, ჩუმადაა.

– დავიღალე მე... აღარ გაწყდა მათი სახსენებელი... – განაგრძობს ყმაწვილი. იგი ფეხათრევით მისდევს წინმიმავალ მოხუცს, რომელიც, თითქოს უხილავი ძალით მიბმულს, მიათრევს მას.

მოხუცი უეცრად შეჩერდება. ყმაწვილი ვერ შეიმაგრებს თავს და დაეჯახება... შეშინებული ისე დაიხევს უკან, თითქოს მოხუცის ნაცვლად რაღაც მოჩვენებას დაეჯახაო...

– გველეშაპი მღერის ხის კენწეროზე, – თქვა მოხუცმა. ყმაწვილმა ყური მიუგდო, მაგრამ სრულ სიჩუმეში იყო გარემო ჩაძირული და ვერაფერი გაიგონა... მოხუცმა გაიცინა ამის შემყურემ.

– გეშინია შენ. ეგ გაყრუებს. – მოხუცი წინ წავიდა და მისი სიცილი უფრო შორიდან გაისმა. ყმაწვილი გაჰყვა მას და იმავე წამს ზედ ყურთან გაიგონა მოხუცის რბილი, დამამშვიდებელი ხმა:

– არაფერი ახალი არაა მაგ შიშში...

31

ცეცხლი ანთია კლდის თავზე. ორნი უსხედან. მოხუცი და ყმაწვილი.

– რას აკეთებენ დევები ქვეყანაზე? – კითხულობს ყმაწვილი.

– რას აკეთებენ დევები ქვეყანაზე? – გაიმეორა მოხუცმა კითხვა, – რას აკეთებენ ადამიანები ქვეყანაზე? რას ვაკეთებთ ჩვენ ქვეყანაზე? ჩვენ ყველანი აქ ვართ, ეგაა და ეგ. იქნებ ისინი ჩვენამდეც აქ იყვნენ, იქნებ ჩვენთან ერთად მოვიდნენ, იქნებ ჩვენ შემდეგ... ან იქნებ ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ ისინი იყვნენ აქ, ან კიდევ ისინი მოვიდნენ იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვიყავით... – მოხუცი დადუმდა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ თქვა: – არწივი კორტნის დევის თვალს...

32

მშვიდად ლოკავს ნაპირს ზღვის ტალღა. შრიალებს. უსასრულოდ იშლება სივრცე ღამეში. ორნი მიდიან ნაპირზე. მოხუცი და ყმაწვილი.

– კოშკში მწოლს მშობლები თუ დაუმარხე, ამირან?

– დავუმარხე...

– ლომს, კოშკში მწოლს, წესი თუ აუგე, ამირან?

– ავუგე...

– ცხენს, კოშკში დაბმულს, ლაგამი თუ ამოსდე, ამირან?

– ამოვდე...

– მჭედელს რვალისა და რკინისა ცეცხლი თუ მიუტანე, ამირან?

– მივუტანე...

– ხარი გუთანში თუ შეაბი, ამირან?

– შევაბი...

– ბაყბაყ-დევი თუ მოჰკალი, ამირან?

– მოვკალი... – არცთუ მტკიცედ ამბობს ამირანი, – ჭიები დავუტოვე... მხარი მოვტეხე... ქვას დავანარცხე...

უეცრად ჩაჩუმდა გარემო. აღარც ზღვის შრიალი ისმის. ამირანი მარტო დარჩა ამ სიჩუმით გარემოცული. სადღაც ცის კიდეში იელვა... და მოხუცის სიცილი გაისმა:

– მასხარები ვართ ჩვენ, თავს ვიტყუებთ... – ისევ ჩამოწვა სიჩუმე. ამირანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მოხუცი არსად ჩანდა... უშედეგოდ აცეცა თვალი აქეთ-იქით... მარტო იყო.

– დავიღალე მე... – წარმოსთქვა და იმავე წამს მხარზე ხელის შეხება იგრძნო. ამირანი შემკრთალი შემობრუნდა და გვერდზე ისკუპა, თითქოს რაღაც საზარი რამ იხილა. თვალმა იელვა ღამეში გამომკრთალი თავის ქალიდან და მოხუცის სიცილი გაისმა ისევ:

– როდესაც მებრძოლი თავის სიკვდილზე ფიქრობს, იღლება, და საგნები მოჩვენებად იქცევა... – თქვა მოხუცმა.

– როდესაც მებრძოლი თავის სიკვდილზე ფიქრობს – იღლება, და საგნები მოჩვენებად იქცევა... – ექოდ გადაიარა ირგვლივ და სადღაც მიწყდა შორეთში...

33

ტყე, გარიჟრაჟის ნისლში გახვეული. ამირანი და მოხუცი მიდიან ტყეში. მოხუცი განაგრძობს დაწყებულ საუბარს. ნისლი ეხვევა მას და იგი იშვიათად გამოჩნდება ხოლმე, ხან მკვეთრ სილუეტად, ხან ფორმადაკარგულ ჩრდილად. მისი თვალი გარკვევით და მკვეთრად ხედავს ტყის ყოველ დეტალს, ყოველ მცენარეს, ბალახს, მღილს... ხოლო ამირანი კი ნისლში გაურკვევლად მიაბიჯებს და ზოგჯერ კიდეც ეჯახება ხეებს, აწყდება ბუჩქებს, ტოპავს წყალში...

– სიკვდილმა შეგაშინა შენ... – თქვა მოხუცმა.

– რა არის სიკვდილი? – ჰკითხა ამირანმა ნისლს.

– სიკვდილი – დევების სახეა... სიკვდილი – ჭიებია, დევის თავიდან ამოსული, სიკვდილი – მბრწყინავი ვარსკვლავია, ღრუბელია ცის კაბადონზე, სიკვდილი – შენი ნაწლავების გვრემაა... მტვერია ქარში... სიკვდილი – ვარდია, სილაში დაგდებული, სიზმარია შენი ცხოვრების... სიკვდილი – შენა ხარ და შენი კითხვები... სიკვდილი – მე ვარ და ჩემი შეგონებები... სისულელეა სიკვდილი, წვრილმანები, მასხარაობა ჩვენი... აგერ, გიყურებს, მარცხნიდან გითვალთვალებს სიკვდილი...

ამირანი თვალს აცეცებს ირგვლივ... მერე უეცრად ხელს მარცხნივ გაიქნევს, თითქოს უნდა, რომ დაიჭიროს, მაგრამ ნისლს ეპოტინება მხოლოდ... მოხუცი იცინის...

– ვერ დაიჭირავ, რადგან არ არის აქ... საერთოდ არ არის... ირგვლივ უწყებს შემოვლას ამირანს და განაგრძობს სულ უფრო და უფრო სწრაფად:

– სიკვდილი – მეხსიერებაა. ერთადერთი ძალა, რომელიც ამაგრებს ადამიანის სულს; ერთადერთი ბრძენი მრჩეველი, მარტოობაში რომ არ მიგატოვებს... სიკვდილმა თუ დაგივიწყა, სიცოცხლე მოგბეზრდება, ცხოვრება გაგიმწარდება,

მზარდი – ზრდას შეწყვეტ, გამხარებელი – ვერ გაიხარებ, გასახარებელს ვერ გაახარებ, სიკვდილმა თუ დაგივიწყა...

ამირანი სვლას უმატებს და სირბილზე გადადის, თითქოს უნდა გაითავისუფლოს თავი მოხუცის ხმისაგან... უეცრად სიჩუმე ჩამოვარდება და ამირანიც შედგება. ირგვლივ ტყე, ნისლი და სიჩუმეა...

– მარტო დავრჩი მე? – კიდეც იკითხა და დასტურყო კიდეც. და ის იყო, გზა უნდა განეგრძო, რომ ზედ ყურთან მოხუცის ჩუმი ხმა გაისმა:

– მამა თუ იპოვე, ამირან?

– გველეშაპი მღერის ხის კენწეროზე... არწივი უკორტნის თვალს...

– უნდა იცოდე, რას ელოდები და რატომ ელოდები. მამაცი უნდა იყო. სიცოცხლეს სიკვდილი ამშვენებს და სიკვდილი სიცოცხლის ნაკლებობით ფასობს, დალის ძევ. ქვეყნის ბედია ეგ. სუფთა უნდა იყო. გულით აირჩიე გზა და მამაცად გაჰყევი მას. მამაცი არ ფიქრობს გზის დასასრულზე. იგი მიდის. მერე კი ხარობს და იცინის. ხედავს, იცის, იცინის და ახარებს ქვეყანას...

– რას ხედავს?

მოხუცმა გაიცინა:

– თავისი ცხოვრების სისულელეს... – მერე კი ხმა დაიმშვიდა და განაგრძო:

– მან იცის, რომ მისი გზა დასრულდება. ამიტომაც არ იკლავს თავს სიკვდილამდე. იცის, რასაც ელოდება და არაფერი სხვა არ უნდა თავის გზაზე. მამაცი თავის ძალას და ნებისყოფას ელოდება მშვიდად. როცა იგი სიკვდილს ხედავს, მისი ნებისყოფის ყოველი წვეთი ძალად იქცევა. თუ დაიღალე, გშია, გტკივა და ეგ გტანჯავს, აღარა ხარ მამაცი. შენი ტკივილისა და შიმშილის ძალა მოგსპობს შენ. მამაცი ერთხელ ირჩევს თავისი ცხოვრების გზას და იცის, რომ დამარცხება და გამარჯვება გარდუვალი პირობაა ცხოვრების. იგი თვითონ ქმნის დროს და მამაცი არ ნებივრობს, რადგან ყოველი მისი ძალისხმევა უკანასკნელი ბრძოლაა ამ ქვეყანაზე – აქ და ახლა...

ამირანი, რომელიც მიჰყვებოდა მოხუცის ხმას ტყის სიღრმეში, თანდათან ჩამორჩა და გზას გადაუხვია. ნისლი გადაიკრიფა. მის წინ ამის კვალად გამოიკვეთა რქებაყრილი ირემი.

ამირანი გამოცოცხლდა თანდათან. მისი მოძრაობა სხარტი გახდა. შედგა. მშვილდ-ისარი გადმოიღო, მოზიდა და ირემს დაუმიზნა. მაგრამ ირემი უეცრად გაქრა. ამირანი მისკენ გაექანა, მაგრამ უხილავ ქსელში გაებლანდა და იმავე დროს მოხუცის ხმაც გაისმა:

– ერთადერთი თავისუფლება, რომელიც მამაცს აქვს მოპოვებული – იყოს უზადო და იქცეოდეს უზადოდ. ეს ერთადერთი გზაა...

ამირანი განაგრძობს უხილავ ხლართებთან ბრძოლას, მაგრამ ძაფები უხილავი ქსელისა სულ უფრო და უფრო ეწებება და კრავს... მოხუცი კი გარს უვლის და მისი ხმაც უფრო და უფრო უგრძნობელი ხდება, ხისტი:

– ნუ ჰგონებ, რომ უკვდავი ხარ. მონადირე იყავი. მონადირე – მამაცი ოსტატია თავისი საქმის და შემთხვევისთვის მიუწვდომელი, რადგან დრო იცის. იგი არ არის არც ხარბი და არც მშიშარა, რადგან თავისი სიკვდილი იცის და არ ლამობს, დაიჭიროს იგი...

ამირანის თვალწინ ისევ გამოჩნდება ირემი. ამირანი ცდილობს მოიშოროს ხლართები. ირემი არ ქრება და თითქოს თავს აწონებს მას...

მოხუცი კი განაგრძობს დაუნდობლად:

– არც ერთ ჩვენგანს არა აქვს საკმაო დრო. შენი ცხოვრების ხანგრძლივობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ ჯადოსნური სამყაროსათვის. შენი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაშინებს მხოლოდ და გაჩვევს სიცრუეს, თავმოწონებას...

ირემი კვლავ დგას ამირანის წინ. მზე თანდათან შემოდის ტყეში და მისი სხივების ათინათი იწყებს თამაშს... ამირანი ერთსაც გაიბრძოლებს და უღონოდ გაიტრუნება ხელფეხშებორკილი...

– რა შეიძლება ჰქონდეს კაცს მისი სიცოცხლისა და სიკვდილის მეტი? რა შეიძლება წაიღოს მან თავის უკანასკნელ

ბრძოლაში? შენი ყოველი საქციელი უნდა იყოს უკანასკნელი ბრძოლა ამ ქვეყანაზე. უ ზ ა დ ო! რადგან ის გაძლევს ფარსა და ხმალს უკანასკნელი ბრძოლისათვის. ეს გაგიქარწყლებს შიშს და აგაცილებს შედრეკილ-შეშინებული ადამიანის უბედობას, რომელსაც ცდაც არა აქვს ბედის დასადგენად. მამაცი – კაცია, უზადო და მიუწვდომელი მონადირე ძალისათვის, რათა ადამიანად ყოფნის სიცივე კაცად ყოფნის სიხარულით გაათბოს – აქ და ახლა, ამ სამეზობლოში...

უეცრად გაქრა ყოველივე. სიჩუმე ჩამოვარდა. აღარც ხლართების კოშმარი ტანჯავს ამირანს. აღარც მოხუცის ხმა ესმის. არც ირემია. არც ტყე. ამირანი კლდის თავზეა ისევ. ქვევით ჯადოსნურად ლამაზი პანორამა იშლება დილის ოდნავშენათებულ ბინდ-ბუნდში სოფლებშეფენილი მთა-გორებისა. და ამ მომაჯადოებელ სიჩუმეში ამირანმა ჩუმადვე იკითხა:

– რა არის ცხოვრება?..

34

მინდორში მდგარ ხეს ბავშვები უვლიან გარს და მღერიან:

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?

მიველ, ვნახე ვენახი, – თხამ შეჭამა ვენახი.

მოდი, ვნახოთ თხა, – რამ შეჭამა თხა?

მიველ, ვნახე თხა, – მგელმა ჭამა თხა...

ხე იცვლის შეფერილობას. ფოთლები უყვითლდება – უშემოდგომდება, მერე ცვივა ფოთოლი, მერე ყლორტი ებმება, სკდება, იფოთლება, – გაზაფხულდება...

მოდი, ვნახოთ მგელი, – რამ შეჭამა მგელი?

მიველ, ვნახე მგელი, – თოფმა ჭამა მგელი.

მოდი, ვნახოთ თოფი, – რამ შეჭამა თოფი?

მიველ, ვნახე თოფი, – ჟანგმა ჭამა თოფი.

მოდი, ვნახოთ ჟანგი, – რამ შეჭამა ჟანგი?

მიველ, ვნახე ჟანგი, – მიწამ ჭამა ჟანგი.

მოდი, ვნახოთ მიწა, – რამ შეჭამა მიწა?

მიველ, ვნახე მიწა, – თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა – მიწამ ჟანგი – ჟანგმა თოფი –
თოფმა მგელი – მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა...

სიცილ-ჟივილით იფანტებიან ბავშვები მინდორში, ხოლო გარემოს კი ედება საგალობელი:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სუნნელი, სამოთხით გამოსული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.

გაზაფხული შედის ძალაში თანდათან, ხეზე გასული ვაზი ნაყოფს ისხამს და ყურძენს ჯიქანი უმწიფდება, მზის თვალი დგება შიგ თანდათან. ცას მიბმული ოქროს შიბი წკარუნობს ნაზად...

35

ნისლიანი დილა გათენდა. სამი მხედარი მოადგა მდინარის ნაპირს. მდინარე ადიდებულია, მშფოთვარედ მოღმუის კლდე-ღრეში. მხედრები ერთხანს მდინარის გასწვრივ მიჭენაობენ, ფონის ძიებაში, უეცრად ერთ-ერთი მათგანი მოწყვეტით შეაგდებს ცხენს მდინარეში და ჯიქურ ცდილობს კიდევ უფრო აღმუვლებული და მრისხანე ტალღების დაძლევას. გაიკვლევს და ამოვა მეორე ნაპირზე, ცხენი ყალყზე შეაგდო და აღმართს აუყვა ჭენებით...

36

დილის ძილიდან თავს იხსნის სოფელი. ციხე-კოშკები პირქუშად დასცქერიან მიდამოს, მოდარაჯენი. სადღაც მამალმა იყივლა, სადღაც ძაღლი აყეფდა. ბავშვის ტირილიც გაისმა... ქვა ქვას მოხვდა, ხე – ხეს, გაიჭრიალა კარმა, აბღავლდა საქონელი და გაისმა ნახირის ზარების წკარუნი... „ჰოიო, ჰიო“,

– გაატყლაშუნა შეძახილით მათრახი მენახირემ... საკვამურიდან ამოსული კვამლი გაიშალა დილის სუსხდაკრულ ცაში...

სოფლის თავზე, მთის წვერზე კოშკი დგას განმარტოებით. მხედარი იქითკენ მიაჭენებს ცხენს... ტყეს გაივლის და მთის ფერდით კოშკის ძირს მიადგება.

ხელისგულივით მოჩანს აქედან მთელი გარემო.

გაღმა, ცაში გამოკიდებულ მთის ფერდს თეთრი ხალებივით შეჰფენია ცხვარი...

მოჯადოებულივით გაირინდა მიდამო...

ყვავი აფრინდა ხის კენწეროზე...

მხედარმა, რომელშიც მიახლოებისას ამირანს შევიცნობთ, რამდენიმეჯერ შემოუარა კოშკს ირგვლივ, კარებსაც მიაწვა, მუხლიც მიარტყა... მაგრამ ამაოდ. კოშკს შესასვლელი ვერ გაუხსნა.

ისევ მოახტა ცხენს ამირანი და ტყისკენ გააჭენა.

კოშკის ზედა სარკმლიდან სიმღერისა თუ რაღაც წკრიალის ხმა გაისმა და ქალი გამოჩნდა – კამარი...

ხოლო ამირანი კი მინდორში მდგარ ხესთან მიიჭრა ჭენებით, ცხენიდან პირდაპირ ხეზე გადახტა და კენწეროსკენ ასვლა დაიწყო, იქ, სადაც ოქროს შიბი იყო გამობმული. თავისი მოუშორებელი სატევრით იკაფავდა გზას ტოტებს შორის, კაფავდა ხეზე ასულ ვენახსაც და, როგორც იქნა, მიაღწია შიბამდე. ხელი ჩაავლო და იწყო მოქაჩვა. შიბი ხის ტანს ეხვეოდა, ხოლო ამირანი კი სულ უფრო და უფრო გახელებული და გონდაკარგული კაფავდა ხის გვირგვინს და მკლავზე იხვევდა ოქროს შიბის გამოთავისუფლებულ ჯაჭვს. და ის იყო, უკანასკნელი ძალით მოქაჩა, რომ ოქროს შიბი ასხლტა, ამირანის მიერ ნაცემი ჯაჭვი გაწყდა, შიბმა ერთი გაიჟღარუნა და ცისკენ აიზიდა ისე სწრაფად, რომ ამირანმა თვალის ავლებაც ვერ მოასწრო. ოქროს შიბი ცაში დაიკარგა. ამირანს მკლავზე დახვეული მძიმე რკინის ჯაჭვი შერჩა ხელში და გვირგვინგასხეპილი ხე.

ამირანმა ჯაჭვი გრუხუნით ჩამოუშვა ხიდან, თვითონაც სწრაფად ჩამოვიდა ორი ნახტომით, ცხენს მოახტა და უკან

კოშკისაკენ გააჭენა. მძიმე ჯაჭვი გველივით მისრიალებდა მის უკან...

37

კოშკის ძირში ამირანი უზარმაზარ ჯაჭვს ატრიალებს. ჯაჭვს წვერში ჩანგლის მაგივრად მისი სატევარი აქვს დამაგრებული. კარგად რომ დაატრიალა, მთელი ძალით სტყორცნა კოშკისაკენ და თან მიჰყვა. ჯაჭვი გველივით შემოეხვია კოშკს, სატევარმა კოშკის წვერში გაჭრილ სარკმელთან გააპო კედელი და ტარამდე შეესო. ამირანმა ჯაჭვის ბოლო ცხენის უნაგირზე დაამაგრა და ცხენიდანვე დაიწყო ჯაჭვზე აცოცება...

ცისარტყელასავით გასხივოსნებული მზეთუნახავი კამარი ჭურჭელს რეცხავს. ათასფრად ელვარებს ოქროს, ვერცხლის, თიხის, ძვირფასი თვლის ჭურჭელი... ხელადები, დოქები, ჯამები... დიასახლისის ხელი ეტყობა წესრიგს...

უეცრად სარკმელში ჩამოლამდება. კამარი გაკვირვებული მოიხედავს. სარკმელში ამირანი დგას. კამარი ერთს შეჰკივლებს და გულწასული დაეცემა იატაკზე...

ამირანი თვითონაც გაშეშდა. ქალს დააცქერდა...

წამიერად მის თვალწინ დალის ღვთაებრივმა სახემ გაიელვა....

ამირანი კამართან მივიდა. დაიჩოქა და ხელი შეახო სარტყელზე, თითქოს დარწმუნება უნდოდა, ცოცხალი არსება თუ იყო იგი.

ამირანის შეხებაზე კამარი შეირხა, თვალი გაახილა. ჯერ ბუნდოვნად, ხოლო შემდეგ კი გარკვევით დაინახა ამირანი. ღვთაებრივად ლამაზი და აწყობილ-ჩამოქნილი; და კამარის თვალით თითქოს პირველად ცნობიერდება ამირანის ეს ღვთაებრივი სილამაზე, რომელიც მანამდე მისი ძალითა და სიუხეშით იყო დაფარული... კამარი მშვიდად ათვალიერებს ამირანს და შინაგანად ცისკროვანდება ღიმილში...

– წავიდეთ... – მეტი ველარაფერი თქვა ამირანმა. კამარი ხელში აიტაცა. ამირანის მკერდს შეეხო კამარი და იგრძნო მისი ძლიერი გულისძგერა. მიენდო მას. ამირანი სარკმლისაკენ შემობრუნდა და რაღაცას წამოედო შემთხვევით...

თითქოს ამას ელოდაო, იზრიალა ჩარიგებულმა ჯამ-ჭურჭელმა და იმავე წამს, ეს ზრიალი საზარ გრუხუნსა და გრიალში გადაიზარდა. თითქოს იძრაო ცა-ხმელეთი... კოშკი შექანდა...

ამირანი სარკმელს მიადგა უკვე და ჯაჭვზე ფეხი შედგა...

მძიმედ ჩამოშავდა გარემო. ღრუბელთა მშფოთვარე ჯარი დაიძრა ცაზე და ძლიერმა ქარმა წამოუბერა...

ამირანი და კამარი ჯაჭვს მოჰყვებიან, ხოლო ავდარი კი სულ მატულობს და მრისხანედ ადგება გარშემო შავ ღრუბელთა ჯარი... წვიმის მძიმე წვეთები ეცემა ჯაჭვს, აქანებს და აჟღარუნებს...

შუამდე ჩამოღწეულებს ქარტეხილსა და თავსხმასთან ერთად უკვე ელვა და ჭექა-ქუხილიც ატყდებათ თავს... თითქოს მთელი ცარგვალი რისხვითაა შემობრუნებული მათ წინააღმდეგ...

დიდის გაჭირვებით ჩამოაღწიეს კოშკის ძირამდე. ამირანი ცხენს მოახტა, კამარი შემოისვა და გავარდნა უნდოდა, მაგრამ ჯაჭვმა არ გაუშვა. კოშკმა დაიწყო წამოქცევა მათ თავზე და ამირანმა სწრაფად გაწყვიტა ჯაჭვი და გაქუსლა...

კოშკი დგრიალით წამოიქცა და მდევრად ქცეული მხედრიონი დაედევნა გაქცეულებს...

ამირანმა მდინარესთან მიაგდო ცხენი. და მეორე ნაპირზე გადადგაფუნდა კამართან ერთად. იქ იგივე ორი მხედარი ელოდა მოუთმენლად, მისი ძმები: ბადრი და უსუფი.

სამივემ გაქუსლეს ცხენები...

გაშლილ მინდორში მიაგელვებენ ცხენებს ამირანი და მისი ძმები...

ავდარი უკვე აქ მოეწია და შემოადგა ყოველი მხრით.

გამტაცებლებმა ძლივს შეასწრეს მინდვრის შუაგულში მდგარ კოშკში, რომ ისეთი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ატყდა, გეგონებოდა, მეხთამტყორცნელი თავისი ფეხით ჩამობრძან-

და ქვეყანაზეო... ირეკლავდა კოშკი მეხსა და ელვას და დევნილებმა სამშვიდობოს იგრძნეს თავი.

სიჩუმე მოულოდნელად ჩამოვარდა. იმდენად მოულოდნელად, რომ კოშკში მყოფებმა ჯერ ვერც კი მოიაზრეს, რა ხდებოდა... ხოლო როდესაც გააცნობიერეს, უკვე სრულიად სხვა ხმა და სხვა გუგუნი გაისმა...

ამირანი სათოფურთან მივიდა. ძმებიც ეცნენ სხვადასხვა მხარეს.

ოთხივე მხრიდან კოშკს მთვარის ბული უახლოვდებოდა და გარკვევით ისმოდა ცხენოსანი ჯარის თქარათქური, რომელიც მიწას აზანზარებდა.

– მამაჩემის ჯარია ეგ... – თქვა კამარმა, – დავიღუპეთ...

– კარგი კურდღელ-ხოხობი კი დაუხვდებათ მაგ მონადირეებს, – ჩაიცინა ამირანმა. გამოუცნობი სტიქიისა არა იცოდა რა, თორემ ჯარი რა ბედენაა...

– მამაჩემს ვერავინ ვერ მოერევა, – განწირულად თქვა კამარმა. ამირანს გაეცინა. ბადრის გადახედა. ისიც უხმოდ წამოდგა და მხრები გამართა...

ერთი საშინლად დაიგრგვინა ისევ და მტვრის კორიანტელში გაეხვია კოშკი. ზედა სარკმლიდან მტრედები შემოფრთხიალდნენ...

უხმოდვე წამოდგა ბადრი და ისევ ავარდა მტვრის ბული. ჩამობნელდა. სარკმელში ვარსკვლავებმა შემოანათეს... და წამოდგა ამირანიც...

ამირანის წამოდგომისთანავე ერთი საშინლად იელვა გარეთ და განათდა არემარე. კოშკის ირგვლივ უთვალავი ჯარია დახოცილი, ხოლო მინდვრის სიღრმიდან უცნაურად მანათობელი ცხენოსანი მოაგელვებს კოშკისაკენ ცხენს...

ამირანიც გაეშურა მის შესახვედრად...

შეეჯახნენ და შეებნენ ერთმანეთს... საშინელი იყო მათი ცემა. გრგვინვა და ჭექა ისმოდა და ელვათა კრთომა სერავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ღამეულ ცას...

სულ უფრო და უფრო მძიმე ხდება ბრძოლა... ამირანი უფრო მკვირცხლია, მაგრამ, იქნებ ამის გამოც ერევა დაღლა... მძიმედ მოიწევს წინ კამარის მამა, ავიწროებს მას...

უცებ კამარის ხმა გაისმის:

– მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა...

უცებ მოხუცის სახემ იელვა: „მამას ნუ მოკლავ ქალისას"... მაგრამ ამირანს უკვე აღარ ესმოდა მისი ხმა. ძალა მოიკრიბა და ფეხებში სცა გოლიათს...

მძიმედ, თითქოს შედგაო დროის მდინარება, ეშვება მიწაზე კამარის მამა...

– შე კახპა, შენა, ქმარი ანაცვლე მამას... – ძლივს წარმოსთქვა მან და მთელის ძალით დაენარცხა მიწას...

სიჩუმე ჩამოვარდა .

ამირანი კოშკთან მივიდა, აბჯარი შეიხსნა და შედედებული სისხლი, რომელსაც გაევსო უბეები ხმლის ვადიდან მდინარს, დაიღვარა მიწაზე. ცემისაგან დაღვარჭნილი ხმალი უნდოდა ქარქაშში ჩაეგო, მაგრამ ამაოდ. გადაგდება სცადა, მაგრამ ხელს მისწებებოდა ხმლის ვადა...

უეცრად ამირანის წინ თეთროსანი კაცი აიმართა და პირში შესცინა:

– ხმალაღერებული ვინ შედის სახლში, ამირან, ცოლოურების გამწყვეტს ვინ ჩამოგართმევს ხმალს და შეგხსნის აბჯარს?.. დააგდე ხმალი... – შემპარავად ეჩურჩულება იგი და თან ხმლის მოშორებაში შველის...

როგორც კი ხმალი ხელიდან გაუშვა, ამირანი კოშკისკენ შებრუნდა და ამ დროს თეთროსანმა მახვილი იძრო და ამირანს ზურგში ჩასცა...

კოშკიდან კამარი გამოჩნდა, და რომ დაინახა, რაც მოხდა, ამირანის საშველად გამოიქცა... თეთროსანი გაუჩინარდა.

ამირანი დაბარბაცდა და უღონოდ ჩაუვარდა კამარს ხელში.

კამარმა ფრთხილად დააწვინა ამირანი და თავთით დაუჯდა. ზურგში ჩაცემული სატევრის ამოძრობა ვერ გაბედა, რადგან სისხლს აკავებდა იგი, ჭრილობიდან რომ იწყებდა წვეთას და მიწაზე გროვდებოდა ჟანგივით...

გაოგნებული კამარი უსუსურად აცეცებდა თვალს აქეთ-იქით... უცებ შენიშნა პატარა თაგვი, რომელიც საიდანღაც

მოცუნცულდა და ამირანის სისხლით დაჟანგულ მიწას დაუწყო ლოკვა. კამარი ერთხანს დააშტერდა თაგვს. მერე უეცრად, თითქოს გამოერკვაო, ამირანს ჭრილობიდან სატევარი ამოაძრო და თაგვს ესროლა. თაგვი განგმირული გაგორდა მიწაზე. ამირანის ჭრილობიდან სისხლმა ითქრიალა და კამარი, ეს რა ვქენიო, შეეცადა, ხელით შეეჩერებინა სისხლის ნიაღვარი... თავი რომ აიღო, პატარა თაგვი იქ აღარ იყო, ხოლო იმ ადგილას კი მწვანე ბალახის ბღუჯა ეგდო. კამარი მისწვდა ბალახს და ამირანს ჭრილობაში ჩაუდო... სისხლმა თანდათან შეწყვიტა დენა... სრულიად დაწდა და იმავე წამს ამირანმა თვალი გაახილა... კამარს გაუღიმა...

38

„ქორწილია, ქორწილი"... დააჭენებენ მახარობლები ცხენებს მინდვრის ერთი ბოლოდან მეორისაკენ და უჩინარდებიან. ახალფოთოლაყრილი ხე მხიარულად ამწვანებული გვირგვინით ეგებება მექორწილეთა მხედრიონს. არის ერთი ჯირითი, შეჯიბრი, მხიარულება... ყმაწვილები ეჯიბრებიან ერთმანეთს... ყაბახში.

მაყრიონს წინ მოუძღვიან თეთრ ცხენზე ამხედრებულნი ამირანი და კამარი... უკან – ბადრი და უსუფი...

„მეფესა უნადირია მშვილდ-ისრით, ხმალი უკრია,
მოუკლავს ხოხობ-კაკაბი და ირემ-შველნი,
ნუკრია...
მოგვყავს და მოგვიხარია,
თვალუუუნ თეთრი ქალია,
არალე, არი არალო...
მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი..."

მღერიან და მოაგელვებენ ცხენებს. სხვა ჯგუფი, ფეხოსნებისაც, მოიმღერის:

„ცისა ცხენი მოგოგებდა და ხოლმანდულებდა, ხოლმანდულებდა,

ჰერიო, ვაჟო...
ვაჭარ შიგან და ვაჭარ ჩიტი რას ქართულებდა, რას ქართულებდა,
ჰერიო, ვაჟო...
ხიზაბავრის მინდორზედა და ხოლმანდულებდა, ხოლმანდულებდა,
ჰერიო, ვაჟო...
ზედ რომ იჯდა ვაჟიკაცი და ხოლმანდულებდა, ხოლმანდულებდა,
ჰერიო, ვაჟო..."

ახლა უზარმაზარ სუფრაზე გრძელდება ქორწილი და სიმღერა:
„ჯვარს ჯვარსაო, ჯვარი წინასა.
ჯვარს ჯვარსაო, ჯვარი წინასა,
ანგელოზები, ანგელოზები
მარჯვნივ მხარესა, მარჯვნივ მხარესა!
ია მთაზედა, ია მთაზედა,
თოვლიანზედა, თოვლიანზედა.
სამოცდასამი, სამოცდასამი
წმინდა გიორგი, წმინდა გიორგი,
თუ დასწერ ჯვარსა, თუ დასწერ ჯვარსა
ჩვენ მეფიონთა, ჩვენ მეფიონთა..."

ისმება სადღეგრძელოები, გაიცემა საბოძვარი, ხარობს მთელი სამყარო ამ საქორწილო სიხარულით, გაერთიანებული, გამთლიანებული საერთო აღტაცებაში.
ისმება სადღეგრძელოები:
– ღმერთმა ადღეგრძელოს კერა, საკიდელი, საძირკველი, სტუმარი და მასპინძელი, ეჯიბო, ჩვენს მეფეს გაუმარჯოს...
დგება თამადა:
„იდიდოს შენი სახელი, გამჩენო ხმელეთისაო,
მცხეთაში სვეტიცხოველი, ხატებო თელეთისაო.
სალოცავებო ქართლისა, ანგელოზებო ცისაო,
ხატებო ხევსურეთისა, ხატებო ფშავლებისაო,

მფარველო იმერეთისა, მაღალი სვანეთისაო,
გურია-სამეგრელოსი, რაჭისა, ლეჩხუმისაო,
ტაო-კლარჯეთის, აჭარის, სამცხისა, ჰერეთისაო,
აფხაზეთისა, თუშეთის, ხევის და ქიზიყისაო,
მფარველო კახეთისაო, ყანის და ვენახისაო.
გვიხარეთ ახალყოილი, სხივებო, ცხელი მზისაო,
ბევრი შვილები მიეცი, მაშინებელი მტრისაო.
მკლავი მიეცი მაგარი, მუხლი მიეცი მგლისაო,
ქონებ-ცხოვრება ულევი, გულში იმედი ძმისაო.
კარგი ცხენებიმც გექნებათ, გამხნევებელი გზისაო,
კარგი ხარებიმც გექნებათ, ურმით მიმტანი ბზისაო,
კარგი ვენახიც გექნებათ, ამამაღლები სულისა,
მომნიჭებელი სიცოცხლის, ცხოვრების უკვდავისაო...“

– ღმერთო, ნუ მოგვიშლი სტუმარ-მასპინძელსა, შინაურს, გარეულს, მოღვინ-მეღვინეს... დაილოცეთ...

– ეტლიან-ბებლიანი ყოფილიყავით...

– ბედიან-დოვლათიანი ყოფილიყავით...

– წაღმართი წაღმა წაგსვლოდეთ...

– მეფე-დედოფალს გაუმარჯოს...

გუგუნებს სუფრა. ისმის მრავალჟამიერი, ცეკვავენ ფერ-ხულს, დავლურს, ქართულს... გაახარე-გაიხარეს ზეიმია...

39

მონადირის სახლი. სრული მიტოვებულობის სურათია. გა-ქუცულა ნადირის ტყავი, ჭიას დაუჭამია რქები ირმისა, ჟან-გით შეჭმულა თოფები... ჩაჟანგებული ხმლები... ჟანგით შეჭ-მული ისრები... ქარი დათარეშობს ღრიჭოებში...

თითქოს ვიღაც ათვალიერებს აქაურობას. გაიჭრიალა მძი-მე ნაბიჯების ქვეშ იატაკმა. ხელიც გამოჩნდა, ხან თოფს შეე-ხო, ხან მშვილდ-ისარს... მძიმე ჯაჭვი გახმაურდა ვიღაცის ფეხქვეშ, წამოედო ალბათ...

მთელი ეს მოძრაობა სიზმარეულ ხილვას წააგავს თავისი უცნაურობით... ეს ხილვა გრძელდება შემდეგაც:

ტყეში მიდის ამირანი. ხელში შუბი უპყრია. უეცრად შუბი რაღაცას წამოედო. ამირანი შედგა, დააკვირდა, მერე გაოცებულმა თვალი ააყოლა იმას, რასაც დაეჯახა შუბით და აღმოაჩინა, რომ ვიღაცის ლაჯებშორის დგას, თვალი კიდევ ზევით ააცურა ამ გოლიათურ ტანზე და სადღაც ხის კენწეროსთან თავის ქალასაც მოჰკრა თვალი. თავის ქალა შეირხა და ამირანს ხელი წაეპოტინა. ამირანმა გაქცევა სცადა, მაგრამ საცა არ წავიდა, ყველგან მისწვდა გოლიათის ხელი. ამირანმა რამდენიმე ცრუ მოძრაობა გააკეთა და გაიქცა მთელი ძალით...

იმავე წამს დამცინავი ხარხარი გაისმა: „ჩვენ კი გაქცევა არ ვიცოდით, შექცევა ვიცოდით... ხა-ხა-ხა-ხახახა!" ზანზარებდა ტყე გოლიათის ხარხარისაგან...

40

საღამოა. ხატის ეზო უკვე საკმაოდ შეზარხოშებული მლოცველებითაა სავსე. სხვადასხვა ადგილას გაშლილი სუფრები. სვამენ. თვრებიან.

ხევისბერი ამწყალობებს საკლავს, შესაწირს. სუფრები ირევა ერთმანეთში. მთვრალი ხატიონები დაბორიალებენ ერთი სუფრიდან მეორეზე. ხან აქ სვამენ, ხან – იქ. ქალებიც ჩანან...

ღამდება თანდათან. იშლებიან სუფრიონები.

ხევისბერს გამოაქვს ხატის დროშა. წკარუნებს დროშაზე დამაგრებული ზარი, ისეთივე ხმას გამოსცემს, როგორც ხეზე დამაგრებული და ცაში გაუჩინარებული ოქროს შიბი...

მაღალი ხმელი მოხუცი უსინათლო თვალებით აღავლენს მზერას ხატისაკენ:

„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა: ღმერთო, გაუმარჯვე წმინდა გიორგის ლაშარისას, დიდად სადიდებელსა, ძვირად სახსენებელსა, მუხის წვერის ანგელოზთა, დიდად სადიდებელსა, ძვირად სახსენებელსა; წმიდა გიორგი, შენ შეგვეწიე, შენ გეხვეწებიან სამსახურის მომღებნი თავი დაბლითა, გული მართლითა. ნაშახევს გაუგონებდი, ნაქადებს არ გიმტყუ-

ნიან; შორს მყოფი ახლოს დაუხდიდე, დაიცვი დაიფარე ზვავისაგან, წყლიდან, სენითგან, სასჯლიდან; ლაღ-მწარე სიკვდილსა თავს თქვენ შეუქციდითა; ზამთარ მშვიდობისა წაგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა; ჯოხ აიღონ, ვახშამ მისცითა, სახელს სახელიანს მიატანითა, სავნებელ მოაშორითა, მტრის ხელით ხმალ ახადითა, სიკვდილობას აუსუბუქიითა, მტერთან ჭირს, ნუ დაუკარგავ, სწორთა სამართალს; გუთანს წაღმ წაგვარეთა, ყანა-მკა მოგვარითა, ღონესა ქონესა უმატითა, ცხვარ ცხვრის მკრავ უმატითა, პურსა და პურის მჭამელს უმატითა...“

ღამე ჩამოწვა ამასობაში და ხევისბერმა, რომლის ლოცვა იძირებოდა შეზარხოშებულ მეხატეთა ხმაურში, დროშა ააწკარუნა. სანთელი მისცა ხელში ვიღაცამ და ხევისბერი სახატედან გამოვიდა, ქვევით მიმავალ ბილიკს დაუყვა... ხატიონები სანთლებით ხელში უკან გაჰყვნენ. სიბნელეში მხოლოდ სანთლების ათინათი კრთება და ზარის წკარუნი ისმის...

განვიმდა.

თავდაღმართზე სიარული გაჭირდა და თანდათან იწყო შეთხელება მეხატეთა რიგებმა. სანთლები ქრებოდა. მეხატეები იშლებოდნენ და თავ-თავიანთ გზით მიდიოდნენ. იმატა სანათების სხივმა, რომელიც სცილდებოდა ხევისბერის გზას და სხვადასხვა მხარეს მიემართებოდა...

ზარის წკარუნს წვიმის შრიალი ერევა. ხევისბერი და სულმთლად შეთხელებული ჯგუფი განაგრძობენ სვლას...

წვიმა თანდათან მატულობს. სულ შორიდან ძლივსღა ისმის სახატე დროშის ზარის წკარუნი... ოდნავღა მბჟუტავი სანთელი უნათებს გზას მარტოდდარჩენილ ხევისბერს...

41

ზამთარია. სოფელში ბერიკაობა გაუმართავთ. სხვადასხვა ნიღბებში, ათასგვარ ტანსაცმელში გამოწყობილები ჭიდაობენ, ჩხუბობენ, დასდევენ ურთიერთს, ლაზღანდარობენ ბერიკები. მაგრამ ამ კარნავალს თითქოს სასიცოცხლო ძარღვი

გასწყდომია – უსიცოცხლოდ და ზანტად მიგორავს დაღლილი რუმბივით... კარნავალური მუშტი-კრივი ნამდვილ ცემატყეპაში გადადის... ამ ნიღბოსნებში მხოლოდ ამირანი დადის უნიღბოდ. ხელში მათრახი უჭირავს. ირგვლივ მცველები მოსდევენ და გზას უწმინდავენ. ამირანი ხან ვის წაუთაქებს, შემთხვევით ფეხებში გამობლანდულს, ხან ვის მათრახს გადაჰკრავს... ყველა ეცლება გზაზე, შეშინებული...

ერთი ბერიკა აეკიდება ამირანს და ჯერ შორიახლოს მიჰყვება, შემდეგ კი მოიხელთებს და გვერდით აეტუზება.

ამირანის მხლებლები ხელს ჰკრავენ ბერიკას, უნდათ მოაშორონ თავის ბატონს, მაგრამ როგორღაც ბერიკა ახერხებს ხელიდან დაძვრომას:

– მოეცალე, გასწი აქედან, შენს „ყეენს“ ებრძოლე...

– სათხოვარი ექნება მაგას ... – გააგდე იქით...

ბერიკა კი არ უგდებს მათ ყურს და უცებ ამირანს წინ გადაუდგება:

– გამოცანას გეტყვი, ამირან, თუ გამოიცნობ, – თქვა ბერიკამ.

– რა დროს გამოცანებია! – გამოენთო ერთი მცველი, მაგრამ ამირანმა ბერიკას უეცრად ხელი სტაცა და ახლოს მიიზიდა. სახეში ჩახედა. გულუბრყვილო ნიღაბი შემოსცქეროდა ამირანს...

– ჯერ ხომ არაფერი მიკადრებია... დავიხრჩვი კაცი... გამოცანას გეტყოდი... სხვა რა... – ხრიალებს ბერიკა საცოდავად.

ამირანმა უეცრად უშვა ხელი ბერიკას. მათრახი აღმართა და ბერიკას მოუქნია. უცებ გადაიფიქრა და ბრძანა:

– ხეზე ჩამოჰკიდეთ ეგ თავხედი...

– ბერიკას ჩამოკიდება არ შეიძლება, – წამოცდა ვიღაცას მხლებელთაგან. ხალხი სხვადასხვა ჯგუფებად დაიქსაქსა და, ვითომ არაფერიაო, განაგრძობდა კარნავალს. ამირანსაც შემოაჯგუფდა ხალხი. „ყეენი“ გამარჯვებული დარბოდა და გაიძახოდა:

– ჩამოჰკიდეთ, გაჯოხეთ, ჩამოახრჩვეთ...

– ხეზე-მეთქი! – მრისხანედ თქვა ამირანმა და ეს მეხის გავარდნას ჰგავდა. ყველა დადრკა. საწყალ ბერიკას ხელი სტაცეს, წამოაქციეს, გაკოჭეს და ამ გაკოჭვაში შემოჯარული ხალხიც ეხმარებოდა უკვე... ბერიკა არც ისეთი ადვილი მოსარევი აღმოჩნდა, მაგრამ მცველებმა და მოხალისეებმა, პირმოთნედ რომ იდებდნენ თავს, ბოლოს მაინც გაკოჭეს და ხისაკენ წაათრიეს, ბაწარი ხის ტოტზე გადააგდეს და თავდაყირა დაკიდეს საბრალო ბერიკა.

ამირანი და მთელი მისი ამალა, რომელსაც ხალხიც მოეჯარა, თავქვედაკიდულ ბერიკას შემოადგა. ბერიკაობა შედგა. ამირანი მიუახლოვდა ბერიკას, წვერში ხელი ჩაავლო და მთელი ბღუჯა ააგლიჯა:

– სთქვი ახლა!..

– გამოცანის თქმა გინდოდა, ბერაო! – დაცინვით გამოსძახა ვიღაცამ ხალხიდან.

ბერიკამ მოულოდნელად მხიარულად დაიწყო, ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარაო:

– დათვო, დათვო, ჩვენო დათვო, ჩვენო დათუნაო!
დათვი ხეზე როგორ ავა, ჩვენო დათუნაო!
ტოტს მაიწევს, ისე ავა, ჩვენო დათუნაო!

ამირანმა მათრახის ტარის ჩარტყმით გააკმენდინა ხმა და კიდევ აართვა ბღუჯა წვერი...

– მცველი სად არის შენი, ბერიკავ, მცველი... – იხრიალა ხალხმა.

– მასპინძელმა წვერი გთხოვა, უარი არ უთხრა! – ხორხოცებს ვიღაც მიტმასნებული ამირანის ამალას...

– სთქვი გამოცანა! – ბრძანებს ამირანი. იგი ბერიკას ირგვლივ უვლის და უნდა, რომ ნიღბის ქვეშ ჩახედოს. რამდენიმეჯერ კიდეც სცადა ნიღბის ახსნა ბერიკასთვის, მაგრამ ვერ მოახერხა...

– სთქვი, სთქვი, სთქვი! – გაცეცხლდა უცებ ამირანი და მთელი ძალით დაურთო მათრახი ბერიკას.

ამირანის ამ გაცეცხლებაზე ირგვლივ ყოველივე გაიტრუნა. ახლა არავინ აღარ ინძრეოდა თავის ალაგს და მოძრაობას შეყინული, თითქოს გაქვავდაო ამირანის ხმისგან...

ხალხში ზოგიერთმა, იგრძნო, რომ ეს „თამაში" სახიფათო ხდებოდა და ნიღბები წაიძრო... ამირანმა მათრახი ხალხსაც გადაუჭირა:

– სთქვი, სთქვი, სთქვი!

ბოლოს, გონდაკარგულმა მათრახიც გადააგდო და რადგან ირგვლივ სრული მდუმარება გამეფებულიყო, ისევ ბერიკას ეცა.

– სთქვი შენი გამოცანა! – ჩააფრინდა წვერებში, – სთქვი!

და უეცრად გაისმა მ ო ხ უ ც ი ს სიცილი და მშვიდი ხმა:

– გველეშაპი იცინის ხის კენწეროზე...

ამირანი გაშეშდა წამიერად. ჩააკვირდა ბერიკას სახეს, მაგრამ ხალხის ყვირილმა გამოაფხიზლა:

– დაგვცინის ეგ სულძაღლი ეგა, აჰხადე ნიღაბი, ნიღაბი აჰგლიჯე...

ამირანმა ბერიკას ნიღაბს ჩაავლო ხელი, როგორც იქნა, და მთელი ძალით მოქაჩა.

ბერიკამ შემზარავად იყვირა ტკივილისაგან და ამ ყვირილმა დააფრთხო ხალხი. ამირანი კი სულმთლად გაგიჟდა. შემოჯარულ ხალხს დაერია უკვე... გაიქცა ხალხი, თავს შველოდა, ვისაც როგორც შეეძლო, ხოლო ვინც ვერ ასწრებდა ამირანის რისხვას, ის მსხვერპლი ხდებოდა. ნაცემ-დასახიჩრებული, სისხლისა და კბილების მფურთხებელნი დაცოცავდნენ მტვერში ამოგვანგლილები. ამირანს თავისი მცველებიც ამოუდგნენ მხარში და დაიწყეს ხალხის რბევა... ბერიკა არც ახსოვდათ უკვე. ხოლო ბერიკა კი სადღაც გამქრალიყო, თუ ვიღაცას აეშვა... იგი უკვე აღარ ეკიდა ხეზე. და როდესაც რბევამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია, მოულოდნელად ისევ გაისმა მოხუცის სიცილი და იმავე წამს მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა.

ყოველივე გაქრა. ამირანი მარტო იდგა ხის ქვეშ. აღარც ხალხი, აღარც მხლებლები... მინდორზე დაყრილი საბერიკ-საყეენო ნიღბები და ტანსაცმელი, სადღეობო ნასუფრალი

იყო ნიშანი იმისა, რომ აქ რაღაც ღრეობა და კარნავალი იყო მოწყობილი.

ამირანმა გარემოს თვალი მოავლო და მერე ხეს შეხედა.

ხეზე ისევ ეკიდა ბერიკა. თავდაყირა. ქარი აქანავებდა მის სხეულს და ჭრიალებდა ხის ტოტი...

ამირანმა ხეს ზურგი შეაქცია და იმავე წამს ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა.

ამირანმა თავი მოაბრუნა...

42

ი ნ ტ ე რ ვ ი უ: პროფ. შარაშიძე, პროფ. ზ. კიკნაძე, დოქტრ. ჩხეიძე და სხვანი (დოკუმენტურად).

პროფ. სულიკო კალმახელიძე.

„მე ვფიქრობ, რომ ამირანიანი ისტორიული თვითშემეცნების გამოხატულებაა. ისტორიის სიღრმეში არსებითის პოვნა და მისი შემეცნება ერსა და პიროვნებას საშუალებას აძლევს აწმყოსა და წარსულის გაიგივებისა, როგორც საკუთარი არსებობისა. მითოსი, ამ თვალსაზრისით, სიფხიზლის ინსტრუმენტია. გაიხსენეთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ ზრახვათ ბოროტისა“. აქ ჩანს მიმართება ამირანის ერთ ეპიზოდთან და ეხება თავნებობის საფრთხეს, უფრო ზოგადად კი – აქ ადამიანის ორბუნებოვნების მიმართ სიფრთხილეა. თავნებობას თუ არ დასძლევ, ყოველი ღონე დამღუპველ-დამანგრეველ ძალად იქცევა... ასე მოუვიდა ამირანსაც და მითოსი გვაფრთხილებს ჩვენ: ხალხის თვითშემეცნება გვაფრთხილებს... იფრთხილებს... უფრთხის... უკაცრავად... – მოხუცი პროფესორი ჩაყვინთავს და ჩაიძინებს...

43

ტყის პირი. ბუჩქნარი და ბარდნარია, რომელთა შორის თი-თო-ოროლა ხეც ჩანს. ტყის პირზე გზა გადის.

წიწამურთან. ეტლით მოდიან ილია და მისი მეუღლე.

მათ შემხვედრად გზაზე ურემი მიიზლაზნება. ურემზე რამდენიმე კაცია, შეიარაღებული.

გზას მომდგარი ტყის პირზე ვიღაც შეიარაღებულები გადარბიან და საფრდებიან. სახეები არ უჩანთ, მაგრამ ერთნაირად კი არიან ჩაცმულნი, თავები ყაბალახით ნაკრული და სახე დამალული. ზოგს ნაბადი აქვს მოხურული, ზოგს ტყაპუჭი აცვია. ეტლი უახლოვდება ჩასაფრებულებს. აქვე მოადგება ურემიც. და ჩახერგავს გზას.

ეტლში მჯდომი კაცი – ილიაა. ქალი – მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი. ილია რაღაცას ეუბნება და რაც უფრო ახლოვდება ეტლი, მით უფრო გარკვევით ისმის მისი ხმა:

– არა, ჩემო ოლიკო, სხვა სიბნელის დრო მოდის. რა უნდათ მათ? სიძულვილზე აგებული ბედნიერი ცხოვრება სად გინახია? ყველას ბედნიერების დაფუძნება პიროვნების მოსპობით ვინ გაიგონა? ან ერთის სისხლს დასჯერდებიან განა? სიბნელე, სიბნელე მეფდება და ერთეულის მბჟუტავ სანთელს სიცივის სუნთქვა აქრობს... ყველა – ერთობა არ არის... ყოველი ქმნის ერთობას და ძალასაც...

– კარგი, ილიკო, დაწყნარდი, ახლა მაგათი დრო მოვიდა... ყმაწვილები არიან, დაღვინდებიან...

– გაგიჭირე საქმე, მაგრამ ვერ ვეგუები, რომ ნგრევის და სიძულვილის ქადაგებამ ესოდენი ძალა შეიძინა და მოედო ქვეყნიერებას. თანაც ხანი მერევა... ევროპაშიც იგივე ხდება, მაგრამ ევროპაში საძირკველია მყარი და ომი თუ არ იქნა, ამ საძირკველს ვერაფერი ვეღარ დალეწავს... ესენი კი... არ დააყრიან ეგენი სასიკეთოს ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს, რომელსაც ახლა სიმშვიდე და განათლება სჭირდება მხოლოდ. სიბნელის „თავისუფლება“ თავნებობაა, იგივ მონობაა და ვგონებ, უფრო მძიმეც... უსამართლობა და ძალმომრეობა მეფდება და ამას რევოლუციას ეძახიან... დღევანდელ აშენე-

ბულს ანგრევენ, და მომავალს ვაშენებთო, იძახიან... როგორც იქნა, მივაღწიეთ და იმპერატორს საქართველოს სამეფოს აღდგენა გადავაწყვეტინეთ – ჩყთჟ წლის ტრაქტატის საფუძველზე, კანონსაც ამზადებენ ახლა; ეგ ხომ სუვერენობის აღდგენას ნიშნავს, მკვდრეთით გაცოცხლებას. და ახლა, როცა ეს დიდი ხნის ნატვრა ასრულდა როგორღაც, და ამ უუჩჩვილესს და სათუთ ნაყოფს მოვლა და გაზრდა უნდა, ეს ქარაფშუტები რევოლუციურ ქარიშხალს მოუწოდებენ საქართველოს თავზე... რა გინდა, რომ ჰქმნა ამ უღმერთოებთან... არა, ოლიკოჯან, ახლა ახალი ნაბიჯი უნდა გადაიდგას ამის შესანარჩუნებლად და ახალი საქართველოს აღსაშენებლად, ახალი, ევროპული საქართველოსი... გვეყო აღმოსავლეთი... ახლა ჩვენს მშობლიურ, ევროპულ წიაღში უნდა დავაბრუნოთ ესოდენ ნატანჯი სამშობლო ჩვენი... და აბა, ნგრევით რას მიაღწევ... რაც გაქვს, იმასაც დაჰკარგავ... ასეა დღეს...

– კარგი, კარგი, დამშვიდდი, ჭაბუკი აღარა ხარ...

ეტლი კიდეც მიადგა ურმით გადახერგილ ადგილს. ილიამ შეწყვიტა საუბარი და ის იყო, წამოდგომას აპირებდა, რომ თოფის გრიალი გაისმა და მეეტლე უსულოდ გადმოვარდა კოფოდან. ილია თან თავის მეუღლეს გადაეფარა, თან ჯიბიდან იარაღის ამოღება სცადა, მაგრამ ისევ იგრიალა ყველა მხრიდან თოფებმა და მკერდი დაუცხრილა.

ოლღა მზერაგაშეშებული მისჩერებოდა ილიას და ხმას ვერ იღებდა...

– რას სჩადით, ილია ვარ, ილია! – წამოიძახა ილიამ და თან იარაღიც ამოიღო, მაგრამ ბოლო ტყვია შუბლში მოხვდა და გააშეშა.

– ხომ გავარტყი! – ნიშნისმოგებითა და სიხარულით წამოიძახა ერთმა თავდამსხმელმა და ყაბალახი შემოიხსნა...

ტყიდან გამოცვივდნენ თავდამსხმელები. ოლღა გადმოათრიეს ეტლიდან და უმოწყალოდ, დაუნდობელი და გონებაჩაბნელებული გაავებით სცემეს, ისედაც გულშეღონებული და ცოცხალმკვდარი. თავდამსხმელებს ახლა სახეც უჩანთ... რამდენიმე მივარდა ფეხზე დარჩენილ ილიას და გადმოგდება დაუპირეს, მაგრამ...

ცხენები, აქამდე უძრავად მდგარნი, მოულოდნელად დაფრთხნენ და ტყის პირისკენ გაქანდნენ. ილია, სასწაულებრივად ფეხზე მდგომი, თითქოს გაცოცხლდა, და ამან ისეთი შიშის ზარი დასცა თავდამსხმელებს, რომ თავქუდმოგლეჯით შეიმალნენ ტყეში...

ცხენები შედგნენ ტყისპირზე.

ეტლზე შუბლგანგმირული, მაგრამ ფეხზე მდგომი ილია იდგა და უძრავი თვალებით მისჩერებოდა დაუსაბამო სივრცეს.

გზაზე მტვერში და სისხლში ამოსვრილი ნაცემ-ნაგვემი ოლღა ჭავჭავაძისა ეგდო.

მიტოვებულ ურემში შებმულმა ხარებმა, რომლებსაც უღელი უხუთავდა უკვე სულს, ხრიალი დაიწყეს...

44

ვაშლის ხეივანი. ხეივნის ბოლოს გზაჯვარედინია. ხეივანი ადგება ამ გზაჯვარედინს.

გზაჯვარედინზე კაცი დადის წინ და უკან. მოუსვენრად ათვალიერებს გზას...

უეცრად ხეივანში მომავალი კაცი გამოჩნდება. იგი დინჯად მოდის. ჯოხს ეყრდნობა. უბრალო კაბა აცვია და გრძელი მოსასხამი. როდესაც გზაჯვარედინს მიუახლოვდა, გარკვევით დაინახა ჩასაფრებულმა მოხუცი, რომელიც ვაშლის ჭამით მოდის მშვიდად. გზაჯვარედინზე ჩასაფრებული გამოვიდა მის შესახვედრად. ახლა უკვე გარკვევით ჩანს: ამირანია იგი.

ამირანი და მოხუცი უახლოვდებიან ერთმანეთს. ამირანმა ოდნავ შეანელა ნაბიჯი, რა დაინახა, რომ მის შემხვედრად მოხუცი მოდიოდა. სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, მაგრამ მცირედი ჭოჭმანის შემდეგ მაინც მიუდგა.

მოხუცმაც შეანელა ნაბიჯი, ამირანი რა დაინახა, და ლოდინი დაუწყო...

ამირანი მედიდურად მიუახლოვდა მოხუცს და წინ გადაუდგა, გზა გადაუკეტა. მოხუცმა სცადა განზე გაწევა. ამირანმა გზა მოუჭრა.

მოხუცმა ახლა სხვა მხარეს სცადა გაწევა... ამირანი ისევ გადაუდგა წინ... მერე ხელი გაიწვდინა და მოხუცს ვაშლი გააგდებინა...

– რას მერჩი, კარგო კაცო... – მშვიდად სთქვა მოხუცმა.

– უნდა გებრძოლო! გზაჯვარედინზე ჩიტიც ვერ გადაფრინდება ჩემთან უბრძოლველად!.. – თქვა ამირანმა და მოხუცის ირგვლივ დაიწყო შემოვლა. თვალითაც ზომავდა და ხელითაც...

მოხუცმა გაიცინა. და ამ სიცილში გამოკრთა ნაცნობი სიცილი მ ო ხ უ ც ი ს ა.

– აბა, მე რა მებრძოლი მნახე...

– არ ვიცი მე, უნდა მეჭიდაო...

მოხუცს კიდევ უფრო ხალისიანად გაეცინა და კიდევ უფრო ნაცნობი გახდა ეს სიცილი. ამირანსაც ეცნაურა თითქოს, მაგრამ წამიერმა გაელვებამ არავითარი ნიშანი არ მისცა.

– მე ერთი დავრდომილი გლახაკი ვარ, რაღა დროს ჩემი ჭიდილია... საგმირო დაგელია ამ ქვეყანაზე? – ჰკითხა უწყინრად.

– შენ არავინ გეკითხება ჩემს გმირობას, – მკვახედ მოუჭრა ამირანმა, – უნდა მეჭიდაო, თორემ გაგთალე მაგ სახრესავით! – ამირანმა მოხუცის ხელიდან ჯოხის გამოგლეჯა სცადა.

– თავნება ხარ შენ, ამირან! – უეცრად გასწორდა წელში მოხუცი და ახლა ამირანის წინ მოხუცი დადგა, მისი შემგონებელი და ხელდამსხმელი.

– საიდან იცი ჩემი სახელი?! – თითქოს შეცბუნდა ამირანი, მაგრამ მოხუცის სახეცვლამ არავითარი მოგონება არ გაუღვიძა. უეცრად წამოენთო:

– თავნებობას გიჩვენებ შენ!..

– ნათლია ვარ მე შენი... – დაიწყო მოხუცმა...

– რის ნათლია! – გააწყვეტინა ამირანმა, – გეშინია და იგონებ რაღაცას. ნათლია, ბიძია, მამა... თუ გზის გაგრძელება გინდა, დამეჭიდე, თუ არა და...

– ღონეს დაუფრთხიხარ შენ, – მკვეთრად სთქვა მოხუცმა, – შიშს შეუპყრიხარ, თავნებობას შეუპყრიხარ, სიკვდილი დაგვიწყებია...

მოხუცი დაიძრა ამირანისაკენ და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის პირისპირ იდგნენ, ეს გზა უსასრულოდ გრძელი აღმოჩნდა, თითქოს დაუსაბამო სივრციდან მოდიოდა მოხუცი და მისი მკაცრი ხმა ისმოდა ერთ დონეზე:

– ხეს ყვავილოვანს შიბი შეხსენი, კოშკს ჯაჭვი შემოაგველე, გველეშაპი ამღერე ხის კენწეროზე, ნაწლავები ვერ დაიცხრე, ღონე მოირგე, სიმამაცე დაჰკარგე, თავნებობა ალაღე და გინდა, მე მებრძოლო, დავრდომილ მოხუცს და შენს ნათლიას?!.

მოხუცი ამირანს მიუახლოვდა. ხელში ნაჭერი ჯოხი მიწაში ჩაასო და სთქვა:

– მე რომ დამეჭიდო, ღონე უნდა გაგისინჯო. ამოაძრე ეგ ჯოხი და დაგეჭიდები... – ამირანმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა მოხუცის სიტყვებმა, თუმცა ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ესმოდა, დამცინავად გაიცინა და მოხუცს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, „კარგი, სიკვდილის წინ შეგისრულებ მაგ ყოყლოჩინა თხოვნასო..." – ხმამაღლა კი სთქვა:

– არ გიშველის შენ ეგ...

ამირანი ჯოხს დასწვდა ისე, რომ არც კი შეხედა. ჯოხი არც განძრეულა. ამირანს გაუკვირდა და უფრო მაგრად მოზიდა. უშედეგოდ. ახლა მიუდგა მთლიანად ჯოხს და ორივე ხელით ჩააფრინდა, მაგრამ ძვრა ვერ უყო, ხოლო როდესაც ხელის გაშვება მოინდომა, რომ ისევ ჩაჰფრენოდა, ხელი ველარ გაუშვა, ხელი მისწებებოდა ჯოხს...

მოხუცს გაეცინა:

– მამაცი ფხიზელი უნდა იყოს, ბრძენი რომ გახდეს...

ამირანი გახვითქული ებრძოდა მოხუცის მიერ დასობილ ჯოხს... მაგრამ ამოძრობის ნაცვლად ჯოხი ჯაჭვად იქცეოდა და სულ უფრო ბორკავდა ამირანს...

მოხუცი დინჯად გაუყვა გზას და ვაშლის ხეებში გაუჩინარდა...

შორიდან კიდევ მოჩანდა ხელებშებორკილი ამირანი, რომელიც თავისი ჯაჭვებისაგან ცდილობდა განთავისუფლებას... მერე ჩამობნელდა და ჯაჭვების მძიმე ჩხარუნი გაისმა...

45

კავკასიონის პანორამა. თანამედროვე თბილისი...

მოხუცი ქალი ჰყვება ამბავს (მულტიპლიკაციად იშლება ბავშვების თვალში):

„იყო ერთი მონადირე. კაი მდიდარი, შეძლებული. ამ მონადირეს მუაქ ბლომათ ნადირები. სტუმრები ხშირათ ყავს. დღეი ნადირობს, ღამე ქეიფობენ. ერთ ღამეს დიესიზმრა მას, ვითამ ყავს კაი ბიჭი ხელში და ათამაშებს. გამიელვინძა მონადირეს და ეწყინა, ნამეტარი შვილი რომ არ დოურჩა ხელში. უთხრა თავის ცოლს: მე იმფერი სიზმარი ვნახე, რომ ერთ საათში მოვკტები და დამასაფლავე, რავაც მე შემეფერებაო. კიდევაც მოკტა აი მონადირე. გათავდა იმ ღამიდან ცხრაი თუეი და ქალი მორჩა. შეეძინა ვაჟიშვილი. ქალმა მონათლა დიდი ამბით და დაათქუა ამირანი.

ბოვში შეიქნა ერთი კვირის, გეგონება ერთი წლის. შეიქნა ერთი წლის და უკვე სტავლა დეიწყო ამირანმა.

ხუთი წელი გაათავა თუ არა, საშუალო სასტავლებელი გაათავა, იმფერი ნიჭიერი გამევიდა ამირანი.

ერთ დღეს კითხა დედამისს: დედა! მამაჩემი რა მოხელე იყო, მითხარიო.

დედა ჩაფიქთა. თუ უთხრა მონადირე იყო, ეშინია, ამირანიც არ გახთეს მონადირე და სამე არ დამარცხდეს. მაშვინ უთხრა, რომ მამაშენი იყო მეთებზეო.

ამირანმა ხელათ წევიდა, იყიდა ბადე და დეიწყო თებზაობა. ჩევიდა მდინარეში, ამოყარა ბლომათ თებზი, ერთ ურმამდი დეიჭირა. მარა ერთი გამეერია დიდი უშველებელი და უშნო თებზი. მიიტანა სახში აი თებზები. დაწმინდენ ყველე. ამ

დიდ თებზს გამოუღენ მუცლიდან ერთი ოქროს თასი, ორი ბოთლი რო ჩავა, იმხელა.

ამ ოქროს თასში ჩაასხენ წყალი და გამორეცხენ. უცეფ თასიდან გადმოცვინდა ვერცხლის ფულები, უამრავი. ჩოუშუენ ღვინო თასში და გადმეიყარა თასიდან ოქროს ფულები. ჩოუშუენ ოტკა შით, გადმეიყარა ბრილიანტები. ეხლა ძაან გოუხარდა ამირანს, რომ ამდენი ქონება შეიძინა.

შევიდა ამირანი ბიბლიოტეკაში და წეიკითხა გაზეთი. გაზეთში წერია: „აღმოსავლეთის ხენწიფეს ყავს ერთი ბზისუნახავი ცხრაკლიტულში დაკილტული. გარეშემო ჯარი უდგანა, რომ ვინმე არ შევიდეს და არ გამეიყვანოს ბზისუნახავი. ყოველ სამ დღეში შევა ექიმი, აწონის, მეიმატა თუ მეიკლო ბზისუნახავმა, ან კაცი არ ყავდეს ნახილები." რომ წეიკითხა ამირანმა, თქუა მაშვინ, თუ მიშონია, მე მიშონია იი ბზისუნახავი ასეთი ოქროს და ამდენი ქონების პატრონსო. ჩეიდუა ჯიბეში ოქროს თასი, დედამის დუუბარა: „მე მივდივარ და ნუ გეშინიაო, მშვიდობით დავბრუნდებიო." გასწია და წევიდა. ბევრი სიარულის შემდეგ მივიდა ბზისუნახავის სასახლეში. დახარჯა რამოდენიმე ფული, რომ გიეგო, თუ რომელი ფუხრის კალამი ადის იმ ოთახიდან, სადაც ბზისუნახავი ცხოვრობდა. გააკეთა დიდი პწკლე, რომ ფუხრის კალამთან ასულიყო. მუაბა კალამს ბაწარი და ჩაყვა შით. ჩევიდა, სადაც ბზისუნახავი იყო. ბზისუნახავმა გაშტერდა, ამირანი რომ დეინახა, იმისანე მიეწონა. ამირანიც გაშტერდა ბზისუნახავის სიმშვენიერით. ბზისუნახავმა შიეკითხა: „რაფერ მუაწყვე ამოსვლა და ჩემი ნახულობაო". ამირანმა უთხრა:

„მე დამაინტერესა გაზეთმა, ასეთი მშვენიერი რომ მგონებოდი, უფრო ადრე გინახულებდიო".

ამ დროს ამეიღო თავისი ოქროს თასი და ჩუუშუა წყალი შით. გადეიქცა წყალი ვერცხლის ფულათ.

მერე ჩაასხა ოტკაც – გადეიქცა ბრილიანტათ.

ბოლოს უთხრა ბზისუნახავმა: მომყიდე აი თასიო.

ამირანმა მიუგო: ფულათ გაყიდვა არ შემიძლია, ფული მე რათ მინდაო. დამაწვინე ამაღამ შენთან და მიირთვი აი თასიო.

ბზისუნახავმა თანახმა გუუხთა.

მიორე დღეს ამირანმა წევიდა თავის სახში...“

46

მუხლებზე დავარდნილი ლოცულობს კაცი. ტაძრის სიმ-ყუდროვესა და სიჩუმეში ათინათად გამომკრთალი სანთლის შუქზე შემომზირალი ღვთისმშობლის სევდიანი და გულ-მოწყალე მზერა დასცქერის მლოცველს:

„ხოლო მე კი უმადლო გექმენ...

ხოლო მე კი უმადლო გექმენ...

ხოლო მე კი უმადლო გექმენ...“

გაისმის მლოცველის ჩურჩული. წყვდიადში ისმის ფეხის ხმა. ვიღაც მოძრაობს მძიმედ. მძიმე ჯაჭვის ჩხრიალიც ისმის.

„მეფობისა შარავანდნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ჩემ-თა ბილწთა მონად მივჰყიდე თავი, რამეთუ: „რომლისგანაც ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“.

ჯაჭვის ჩხარუნთან შერთული მძიმე ნაბიჯების ხმა თანდა-თან ახლოვდება...

...წურბლისა მსგავსად ვერ-მაძღარი სხუათა სოფლის კი-დეთა ვეძიებ დაპყრობად,

და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ...

წამით შეყოვნდება მოძრავი, თითქოს ყურს უგდებსო უკუ-ნი სიბნელიდან; შემდეგ ისევ ამოძრავდება...

...ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა,

და უუძლურესთა მივჰხუეჭე ნაწილი მათი.

და ვიღუწიდ უმეზობლობასა,

ვითარცა მარტოი ვმკვიდრობდი ქუეყანასა ზედა...“

შეწყდა მძიმე ნაბიჯების ხმა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ტაძარში ძლივსღა ბჟუტავს სანთელი და მის გაცრეცილ შუქზე ჩანს გულმოწყალე და სევდიანი მზერა ღვთისმშობლისა...

ისევ გაიჩხარუნა მძიმე ჯაჭვმა... ძაღლის წკმუტუნი გაისმა... ფრთების შრიალი... სიჩუმე...

გმინვა?..

სიჩუმე...

თბილისი-მოსკოვი
1980 წ. ზაფხული

„მარტოობის ქარები“
(ელიტა)

ლიტერატურული ქარგა კინოფილმისათვის

ფილმის კონცეფტი

ჩემს შვილებს

მეოცე საუკუნემ შეაბრუნა სოციალური ცხოვრების „ფიგურა და ფონი“ – პიროვნება „ჩაქრა“ და ასპარეზზე გამოვიდა „მასა“. „მასობრივი ცნობიერების“ ანუ კვაზიცნობიერების გაბატონებამ გამოიწვია ღირებულებათა სკალის დაქვეითება და „მეტაფიზიკური ხედვის“ „ნატურალისტურ-მომხმარებლური“ ხედვით შეცვლა, ამან კი თავისი მხრით წარმოშვა ინსტინქტური რეაქცია იმ სულიერი და შემოქმედებითი ელიტის მხრიდან, რომელიც „ასოციალური“ ან, უფრო ზუსტად, ზე-სოციალური და ზედროული ყოფიერებიდან, ჭვრეტდა სამყაროს. „ნატურალისტურ-მომხმარებლურ“, „ბურჟუაზიულ“ და „დეკლასირებულ“ მასობრივ არსებობას დაპირისპირებული ეს *ელიტა* ქმნიდა იმ ღირებულებებს, რომელთაც მოწოლილი „მასობრივი დეკლასირებული ცნობიერება“ ვერ იგუებდა და უარყოფდა, მეოცე საუკუნის დასაწყისში შემოქმედებითმა ელიტამ, შეცვალა რა დაცემული და დეგრადირებული სოციალური არისტოკრატია (სოც. ელიტა) შექმნა ახალი ერთობა – ზესოციალური, ზეეროვნული და საერთო ევროპული; მეტიც, – მსოფლიური. ევროპული ცივილიზაციის „ევროპულობას“ მრავალწილად განსაზღვრავდა ის, რომ კლასობრივ იერარქიულ წყობაში, რომელიც მეოცე საუკუნემდე არსებობდა, ევროპული სოციალური ელიტა ქმნიდა ერთიან „ევროპულ საზოგადოებას“, მიუხედავად სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური საზღვრებისა და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა არსებობისა, ევროპული სამეფო თუ, მთლიანად, არისტოკრატული კლასის ურთიერთთან სიახლოვე და ნათესაობაც კი, ქმნიდა იმ საერთო ველს, რომელშიც იქმნებოდა ევროპული ცივილიზაციის გამოსაცნობი მატრიცა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან და, განსაკუთრებით, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, სახეზე გვაქვს ორი შემხვედრი მოძრაობა: სოციალური ელიტის რღვევა და გაქრობა – მასების მოძალებით და ზესოციალური (ხშირად ასოციალურიც) ელიტის წარმოქმნა.

ესპანელმა ორტეგა ი გასეტმა ასე დააფორმულა ეს ვითარება: „ამ დროის ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ უფერული სული, რომელმაც იცის თავისი სიმდარე, კიდევაც ბედავს

ამ სიმდარის უფლებათა გამხნევებას და ყველგან გამეფებას... როგორც ჩრდილო ამერიკაში ამბობენ: „განსაკუთრებულობა უხამსობაა." მასა სპობს ყველაფერს, რაც მისი მსგავსი არ არის; ყველაფერ იმას, რასაც ხარისხი, ინდივიდუალობა, კვალიფიციურობა, რჩეულობა ახასიათებს. ვინც არ არის ყველასავით, ვინც არ ფიქრობს სხვებივით, ის მოსპობის საფრთხის ქვეშაა. და ცხადია, რომ ეს „ყველა" ყველას აღარ ნიშნავს. წინათ „ყველა" ნიშნავდა მასასაც და მასასთან ერთად სპეციალიზირებულ და განსხვავებულ უმცირესობებსაც. დღევანდელი „ყველა" მხოლოდ მასას წარმოადგენს. მასების ზეაღსვლა სრულ სოციალურ ძალაუფლებამდის – სიკეთედ მივიჩნევთ ამას თუ ბოროტებად – არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი დღევანდელი ევროპის სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი. მაგრამ, განსაზღვრებით, მასებს არ უნდათ და არც შეუძლიათ არც თავისი თავის მართვა და, კიდევ უფრო მეტად, არც საზოგადოებისა. ამისგან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ევროპა დღეს იმყოფება ყველაზე ღრმა კრიზისში, რომელიც შეიძლება განიცადოს ხალხმა, ერმა და კულტურამ. ამგვარი კრიზისი არაერთხელ მომხდარა წინათ ისტორიაში. მისი ფიზიონომია და მისი შედეგები ცნობილია, ისევე, როგორც მისი სახელი – მას *მასათა ამბოხი* ეწოდება...

ეს ფაქტი რთულია გასაანალიზებლად, გამოსათქმელად კი – ადვილი. მე დავარქმევდი აგლომერაციის ფენომენს, „სავსებობას": ქალაქები მაცხოვრებლებით არიან სავსე, სასტუმროები კლიენტებით. მატარებლები მგზავრებით, ყავახანები მომხმარებლებით; სასეირნო ბილიკები გამვლელებით. ცნობილ ექიმთა მოსაცდელი სავსეა ავადმყოფებით, ხოლო წარმოდგენები, თუკი მეტისმეტად უჩვეულონი და შემაწუხებელნი არ არიან – მაყურებლითაა სავსე. პლაჟები მოცურავეებმა გაავსეს. ის, რაც გუშინ პრობლემას არ წარმოადგენდა, დღევანდელი დღის მუდმივ პრობლემად იქცა – ადგილის შოვნა....

ეს არის სრული ჭეშმარიტება. მთელი მსოფლიო – ერები, ინდივიდები – არის დემორალიზებული. გარკვეული დროის

განმავლობაში ეს დემორალიზება ართობს და ილუზიას ქმნის... მალე მთელს პლანეტაზე გაისმება საშინელი ღრიალი მიმართული ვარსკვლავებისაკენ, როგორც ყმუილი უამრავი ძაღლისა, მომთხოვნი ვინმესი, რაიმესი, რაც ბრძანებს, ვინც დაადგენს საკეთებელს ან ვალდებულებას...

ქვეყნიერება დღეს მძიმე დემორალიზებაშია ჩავარდნილი, რომელიც თავს იჩენს – სხვა სიმპტომთა შორის – მასათა თავშეუკავებელი ამბოხით..." (1929 წ.)

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელ „თერგდალეულთა" ძალისხმევით ახალაყრილი ნერგი ქართული კულტურისა, მეოცე საუკუნის ევროპული ინტელექტუალური და კულტურული ღირებულებებით საზრდოობდა. ამიტომაც, ბუნებრივია ქართველთა ასეთი „შინაურული" მოვლინება ევროპის ცენტრებში. ვაჟა ფშაველამ თავის „ჩარგლულ ფანდურზე" ჩამოიმღერა ევროპული ფილოსოფიის წინაშე მდგარი პრობლემები; ხოლო ილია ჭავჭავაძემ თავისი ეროვნული ბრძოლის სტრატეგია ამ ვითარების გააზრებაზე ააგო ორტეგამდე 60 წლით ადრედაც კი, როდესაც მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას და ერთობ ერს მშვიდი ერთობისაკენ და აკავებდა სოციალისტურ მასათა აბობოქრების რევოლუციურ ნევრასტენიას, საქართველოს რომ ედებოდა თანდათან...

ამიტომაც ვხედავთ სურათის სულ დასაწყისში, ტიტრების ფონზე მოცემულ ექსპოზიციაში ილია ჭავჭავაძეს ევროპაში მოგზაურობის დროს. 1900-1901 წლებში. იგი აკვირდება ევროპას, ქართული მასშტაბის შესატყვის ევროპულ ქალაქებს, ხედავს ახალდაწყებულ მოძრაობას მასებისას, მუშათა ამოძრავებას, გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მასობრივ მსვლელობებს... ნიშნებს იმ ახალი ძალის მოვარდნისა, რომელიც თავის საბოლოო გამარჯვებას ტოტალიტარულ სისტემებში იზეიმებს. შემდეგ ვხედავთ იმავე ილიას თბილისში, „ივერია"-დან განცალკევებულ ახალგაზრდებს რომ ესაუბრება და, შემდეგ, არჩილ ჯორჯაძესთან საუბარში, როდესაც ესაუბრება პარიზში „საქართველოს" გამოცემის თაობაზე. შემდგომად ამ ექსპოზიციისა ვხედავთ ჩვენ ქართველ „ელიტას" ევროპაში – პარიზში, გიორგი დეკანოზიშვილს, არჩილ ჯორ-

ჯაძეს, და სხვებს, რომელთა საქმიანობისა და ევროპულ „ელიტასთან" ურთიერთობის ფონად ცოცხლდება ჩვენს თვალწინ მეოცე საუკუნის ქრონიკა (შესაძლებლობა ჩნდება უნიკალური ქრონიკის წარმოჩინებისაც და ფონის მხატვრულად ორგანიზებისაც). ამრიგად იქმნება ფილმის სისტემა ორ პლანზე: ფიგურის („ელიტა" ქართველი და ევროპელი პიროვნებები) და ფონის („მასა"-ქრონიკა) სტრუქტურებით.

ახალი ელიტა ადამიანის „ღვთიურსახეობის" უკანასკნელი გამოჩინება იყო „მასობრივი მატერიალისტური ცნობიერების" ზღვაში პიროვნების ჩახრჩობისა და „ღვთაებრიობის" სრული გაუფასურების გზაზე. – „ღმერთი მოკვდა"? – გაუმარჯოს მასებს! – ასეთი იყო ლატენტური დევიზი, ლოზუნგი სოციალისტური და რევოლუციური იდეოლოგიებისა, რომლებმაც კომუნისტური ტოტალიტარიზმის ფორმაში პოვეს გასრულება. ნაციონალ-სოციალიზმში მას ასეთი სახე მიეცა: „ღმერთი ჩვენთან არს – გაუმარჯოს მასებს (გერმანელებისა)!" ამას მოწმობს მეოცე საუკუნის ორი უმნიშვნელოვანესი და პარალელური მოვლენა – ჰიტლერიზმი და სტალინიზმი – რომლებმაც დააგვირგვინეს ფიგურისა და ფონის ეს ცვლილება თავისი ანტიშემოქმედებითი პრინციპებით: „სოციალისტური რეალიზმის" ან „ბიოლოგიური იდეალიზმის" ტრიუმფით. ოციანი წლების შუაში საბოლოოდ შებრუნდა ფიგურა და ფონი. ოცდაათიან წლებში ერთდროულად მოხდა: 1936 წ., გერმანიაში, მიუნხენში, გამოფენა „ანტარტეტე არტ" და მოსკოვში საბჭოთა მწერალთა პირველი ყრილობა, რომელმაც „სოციალისტური რეალიზმის" (ორივე: კომუნისტური და ნაცისტური), „ხელოვნების" ტოტალური იდეოლოგიზაციისა და გამასობრივების უპირობო გამარჯვება აღნიშნა. „მასობრივი ცნობიერების" ეს ზეიმი ორივეგან ტოტალური ტერორით აღინიშნა. ფიგურისა და ფონის ამ შეცვლას თან მოჰყვება *თვითმკვლელობათა* სერია, როგორც მეოცე საუკუნის გამომხატველი ყველაზე მკვეთრი ფსიქოლოგიური კრიზისი და დრამატული ნიშანი: მაიაკოვსკი. ესენინი, პაოლო, სტეფან ცვაიგი..... და ამ თვითმკვლელობებმა, რომელთა უკანასკნელი აქტი გათამაშდა თბილისში გალაკტიონის თვითმკვლე-

ლობის სახით, აღნიშნეს *ელიტის* გაქრობის და მასობრივი კვაზიცნობიერების ტოტალური ტრიუმფის ტრაგიკული ფაქტი. ფიგურისა და ფონის შეცვლის ეს დრამატიული გზა ჩვენს ფილმში რამდენიმე პერიოდად არის წარმოდგენილი. რამდენადაც ჩვენ *ქართული ელიტის* ბედი გვაინტერესებს, ამდენად, ძირითადი ხაზი სწორედ ქართველთა თავგადასავალი იქნება, იმ ქართველთა, რომელნიც მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში (ან ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში 1900-1960 წლებისა) მოვლენათა შუაგულში იდგნენ და ერთგვარ ხიდს განასახიერებდნენ საქართველოს, ქართულ სულს, ქართულ კულტურასა და ევროპას შორის, გალაკტიონი – სისხლით-ხორცამდე ელიტური; გრიგოლი, რომელიც სრულ მარტოობაში გარდაიცვალა 1962 წელს.... გალაკტიონი იყო სიმბოლო იმ უკანასკნელი *ელიტური თაობისა*, რომელსაც მასობრივმა კვაზიცნობირებამ დეკლასირებულმა არსებობამ თვითმკვლელობა ჩაადენინა, ან პირდაპირ, შუბლში ტყვიით. ან შემოქმედებითად – მასობრივი ტირაჟირებითა და საბაზრო მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებით.

ძველი სოციალურ-კლასობრივი და სულიერი ელიტის შეცვლა ძალაუფლებრივ-პოლიტიკური, პარტიული (ბიუროკრატიული) დეკლასირებული „ნომენკლატურით" ოციანი წლებიდან ევროპას მეტასტასიზივით მოდებულ ტოტალიტარულ სისტემებში გამოიხატა. 1918-1921 წლებში ერთ-ერთი პირველი ცდა ერთპარტიულ ნომენკლატურული სისტემის დაფუძნებისა გაკეთდა საქართველოში – საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, როდესაც აღდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მოექცნენ სოც-დემოკრატები (მემარცხენე მენშევიკები). საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ევროპის კონტინენტზე და მსოფლიოში, ორმაგი სოციალისტური ექსპერიმენტის განმცდელი – მენშევიკურისაც და ბოლშევიკურისაც. საერთო იდეოლოგიისა და შინაგანი პრინციპის ერთიანობის გამო სოციალიზმის ეს ორი ფორმა, ადვილად ტრანსფორმირებადია ურთიერთში. ქართულ ეროვნულ ძალებთან ბრძოლაში მენშევიკებმა არსებითად შეამზადეს ნიადაგი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს

დაპყრობისათვის. ქართველთა ელიტას, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად იყო ჩაბმული ევროპულ ღირებულებათა შემოქმედებაში თითქმის ყოველი მიმართულებით (პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა, მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, ლიტერატურა), საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ, წილად ხვდა უმძიმესი გამოცდა – ეცხოვრა *სრულ იზოლაციაში* და არაჩვეულებრივი ტერორის პირობებში. თუმც ევროპაში მსგავს ტერორს ადგილი არ ჰქონია, გარდა ნაციონალ-სოციალისტური რასიული შიზოფრენიის მოკლე მონაკვეთისა 1937-1945 წწ, მაინც ელიტის თანდათანი გაქრობა საერთო მოვლენა იყო, ჩვენ შევეცდებით გავშალოთ მაყურებლის თვალწინ ეს სურათი ელიტის თანდათანი გაქრობისა მთელს კონტინენტზე და მეოცე საუკუნის საქართველოს ტრაგიკული თავგადასავალი.

სურათის საერთო ტონალობა – პასტელურია, რომელშიც ალაგ-ალაგ გამოიკვეთება ძლიერი ფერწერული ეპიზოდები – ერთი მხრით, და შავ-თეთრი გრაფიკული სიმკვეთრის – მეორე.

სინათლე – მიმქრალი, ყვითელ მბჟუტავ ნათურათა და მთვარის შუქზე ხდება ძირითადად ელიტის ცხოვრება (განწყობით). იგი მოცულია შინაგანი იდუმალებით, კონტურების თანდათანი „იმპრესიონისტული" გაფერმკრთალებითა და „წაშლით". განწყობა სურათისა ერთგვარად *რომანტიკულ-მისტიურია* წმინდად „ელიტურ" ეპიზოდებში, და *ჰიპერრეალისტური* – „მასისა და ფოკუსის" ეპიზოდებში (მიტინგი, ტაში და სხვა); მკვეთრი და თავისი ამ სიმკვეთრით თვალისმომჭრელი, უსიამოვნო, ჭახჭახა. მთელი 10-იანი, 20-იანი, 30-იანი წლები არის ჭიდილი ამ „რომანტიკულ-მისტიურსა" და „ჰიპერრეალისტურ" რეალობას შორის, და ეს ჭიდილი ორი ომის ხერხემლის გადამტეხი რეალობისა და მასობრივი ფსიქოზის აპოთეოზებით მთავრდება ყოველთვის. ამ ჭიდილში იკვეთება სურათის იდეა: კეისრულისა და ღვთაებრივის ბრძოლა; ამირანული თავნებობა, იაკობური ღვთისმებრძოლობა და სხვა და სხვა და თითქოს ყოველთვის ეს ბრძოლა მაცდურის

და „კეისრის“ სასარგებლოდ წყდება, მაგრამ პიროვნებას, „ელიტას“ ყოველთვის აქვს თავისი უკანასკნელი არჩევანი ხელთ – შეაჩეროს ეს მარცხიანი ბრძოლა და თვითდაკნინება „თავგანწირული სულისკვეთებით“. თვითმკვლელობა იყო მეოცე საუკუნის ყველაზე აბსურდული (ab surdum – გონიერების გარეთ მყოფი, შეუცნობადი; შესატყვისად ტერტულიანეს “Credo, qua ab surdum est”) სიტყვა, რომელმაც არ მისცა საშუალება სიბნელეს, გამეფებულიყო სამუდამოდ, და გადაურჩინა კაცობრიობას ის ღირებულებები, რომლებიც მშვენიერებით მოსავს მას. ვნებათა გზა კეისრულის სრული მარცხით დამთავრდა, ხოლო დათმობათა გზა – ადამიანში ღვთაებრივის ჩამხუთავი აღმოჩნდა.

XX საუკუნის მხატვრობის კომპოზიციები რეალიზებული სრულიად შეუმჩნევლად, თავისთვის, – ესაა გრამატიკა ენისა.

გრამატიკით ხატვა: როდესაც დემაგოგიას ეწევიან პროპაგანდისტები – მაშინ მათი ნაჯახით გათლილი წინადადებები და სიტყვები ასე თუ ისე მდინარებენ, ხოლო, როგორც კი ადამიანურ კითხვას დაუსვამენ, ან სერიოზულ საკითხზე მსჯელობენ, ენა ებორკებათ, სიტყვას ვერ აწყობენ. ამათ საპირისპიროდ ელიტის ქართული (და საერთოდ ლაპარაკი) დახვეწილი, ნათელი და აზრიანია – ფრანგული, ქართული, გერმანული, იტალიური, რუსული უნატიფესი ჰანგი მაღალპოეტური... – ამათი ჭიდილიცაა მთელი ფილმი და მასობრივის გამარჯვებაც ენის შეცვლაში გამოიხატება; ენა თუ „ყოფიერების სახლია“, გრამატიკა ამ სახლის ქვის წყობაა, მისი ხასიათია, წყობის სისტემა გრამატიკასა (და ე.ი. ენას) და ეროვნულ ხასიათს შორისაც პირდაპირი შესატყვისობაა. ასე რომ, ქარაქტეროლოგია „ენათმეცნიერულ“ ასპექტში უნდა გაიხსნას. აქვეა კულტურფსიქოლოგიაც და კულტურფილოსოფიაც...

განწყობები: *ხილვად განწყობათა სისტემა* იქმნება...

„ელიტისთვის“ წლის დროცა და ამინდიც ზედროულად იცვლება, ასე რომ, ყოველი სცენა შეიძლება დაიწყოს ერთ დროში, ვთქვათ, გაზაფხულზე, და დასრულდეს ზამთარში; ასევე დღის დროებიც. დრო ქვავდება მხოლოდ „მასის“ ეპიზოდებში! (სტალინი, ჰიტლერი და სხვა).

მარტოობის ქარები

ღამე ჩამოწოლილა უდაბნოს თვალუწვდენელ სივრცეში.

ამ წყვდიადის გაშეშებული იდუმალების თავზედ ვარსკვლავებით გაბრწყინვებული ზეცა კიაფობს მხოლოდ. მაგრამ ზეციური ნათელის სიშორე ვერ არღვევს უდაბნოს მდუმარებასა და გაშეშებას.

თვალი, რომელიც ნელა მოცურავს ციური ბრწყინვალებიდან ღამის მდუმარებაში, წამით შეყოვნდება და აკვირდება სიბნელეს. წყვდიადში მკრთალ შავ სილუეტად გამოიხატება უდაბნოს მონასტერი და მერე ოდნავ მბჟუტავი წერტილი სინათლისა. ესაა და ეს. ამ წყვდიადში მხოლოდ ეს წერტილი ესიტყვება ზეციურ ბრწყინვალებას.

წყვდიადის შესატყვისი სიჩუმეა ირგვლივ. და გაშეშება.

თვალი წამით აკვირდება სინათლეს და შემდეგ დაიძვრის მისკენ. და ეს მოძრაობა უეცრად გამოიყვანს გაშეშებიდან და მდუმარებიდან გარემოს.

ხმა ჩნდება. ჯერ ერთი ჭრიჭინობელა, მერე ყური იწყებს გარჩევას ღამეული ხმებისას და რაც უფრო უახლოვდება სანთელს, მით უფრო ივსება სამყარო ღამეული ხმებით და იმავდროულად სინათლეც ეპარება წყვდიადს. ღამე ფერმკრთალდება. თანდათან სულ უფრო და უფრო გარკვევით მოსჩანს მონასტრის მოხაზულობა, ხოლო სინათლის მატებასთან ერთად ფერმკრთალდება სანთელიც, მისი „ღამის მანათობელი შუქი“ იცრიცება...

ხმაური მატულობს.

დავით გარეჯის მონასტრის ნანგრევებში თვალი არჩევს ფრესკათა მწუხარე დუმილს.

ახლა სულმთლად ინათა და ირგვლივაც დღის გამაყრუებელი ხმაური გამეფდა, რომელშიც პოლიგონზე მოგრუხუნე მძიმე შეიარაღების ხმები იკვეთება და აზანზარებს კიდეც გარემოს.

სატრაპეზოში სანთელი იღვენთება, მაგრამ მისი ალი აღარ ჩანს დღის კაშკაშა სინათლეზე.

თვალი მიცურავს ფრესკებზე... სახეებს აკვირდება მშვიდი, უძრავი მზერით, თითქოს უნდა შეეხმიანოს ფერფლად შერჩენილ სულს, მშვიდად გამომზირალს კედლის სიბრტყიდან...

სახეები.... სცენები...

მოულოდნელი გრუხუნი შეაზანზარებს იქაურობას და წამით თითქოს შეირხევიან კედელს შეფერფლილი სამყაროს მკვიდრნი... დაფრთხნენ გარეჯელის ირმები....

გავარდა ცოცხალ ირმების გუნდი....

ხელი მისწვდა უსინათლო სანთელს და ორი თითით ჩააქრო იგი...

უეცრად ჩამობნელდა და ჩაჩუმდა ყოველივე. კლდის ქიმს მოსწყდა უზარმაზარი არწივი და ფრთების მძიმე შრიალით გაუჩინარდა... შეერთვა სიბნელეს...

ელიტა

ტიტრების ფონზე ვხედავთ ერთმანეთის ჩანაცვლებით პარიზს, ლონდონს, ბერლინს... მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპულად დახვეწილნი, ქართული ელიტა ხან ქუჩაში, ხან ტრიბუნაზე, ხან ვიღაც მინისტრთან მიღებაზე, ხან ცნობილ ევროპელებთან მოსაუბრეთ, ხან გამოფენაზე...

ეს ერთგვარი გადაფურცვლაა ალბომის გაცოცხლებული სურათებისა; ძველი სურათების მსგავსად წარწერები ახლავს ყოველ ამ კადრს....

აქ ვხედავთ ილიას, აკაკის, ზუბალაშვილს, სარაჯიშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, მიხაკო წერეთელს, გრიგოლ რობაქიძეს, დავით კაკაბაძეს, ელიჩკა ახვლედიანს, ვარლამ ჩერქეზიშვილს, ნოე ჟორდანიას და სხვებს და სხვებს, შესაბამისად ერთად ან ცალ-ცალკე....

ილია ესაუბრება არჩილ ჯორჯაძეს: „რაც გინდათ ის სწერეთ თქვენს გაზეთში, ოღონდ მეფეს და მის ოჯახს ნუ შეეხებით, გახსოვდეთ, რომ ჩვენ ხელშეკრულება მეფესთან გვაქვს დადებული და თუ გინდათ, რომ ამ ხელშეკრულებას და ჩვენს უფლებებს საერთაშორისო სამართლის ძალა ჰქონდეს, მეფის და მისი საგვარეულოს წინააღმდეგ არ უნდა გამოხვიდეთ. ცვლილებებისთვის უნდა იბრძოლოთ და არა ნგრევისთვის. რა მეფე გადადგება, ჩვენი თავისუფლებაც უმალ იურიდიულსა და ფაქტობრივ ძალას იძენს... ამისათვის უნდა მოვემზადოთ“...

ლონდონი: ნოე ჟორდანია მიდის ქუჩაში. უკნიდან ვიღაც მოისწრაფის მისკენ და ეძახის:

– Кастров! Кастров! подождите минуточку...ნოე ჟორდანია შეჩერდება და მოიხედავს. მას ლენინი უახლოვდება. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ლენინმა მკლავში ხელი მოჰკიდა და ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა: თან ესაუბრება:

– Да не вмешивайтесь вы, грузины, в наши русские дела, вы не знаете нашего народа, его психологию, его быта... так зачем-же мешаете нам решить наши дела по нашему, по-русски. Получите вашу автономию и делайте в Грузии что хотите и как хотите. Мы не будем вмешиваться в ваши дела, да и вы не вмешивайтесь...

ნოე ჟორდანია გამომცდელად უყურებს ლენინს, მერე ეუბნება:

– Не могу вам дать ответ на это сейчас. Спрошу у товарищей, как-раз сегодня вечером у нас, грузинских социал-демократов, сходка. Там и решим...

– Вот и прекрасно, поставьте этот вопрос. Если желаете, и меня можете пригласить, но запомните мое предложение, вы, грузины, не вмешиваетесь в наши партийные дела, мы не вмешиваемся в ваши. Вы ведь видите куда направлен русский рабочий класс, большинство делегатов большевики, мы знаем друг-друга, народ настроен революционно, меньшевики оппортунисты, как же он поддержит их. Меня удивляете только вы, грузинские социал-демократы, вы – революционеры, как и мы. Что вы имеете общего с компанией...

იხურება ძველი ალბომი და ჩანს ყდაზე წარწერილი: „საქართველო“ და “La Céorgie”. მთელი ეს ნაწილი სივრცისა და დროის ერთიანობას ქმნის: ლონდონის ქუჩას პარიზისა ენაცვლება, იმას ბერლინისა უწყვეტად და სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას ქართველების ევროპაში მოფენისა და შემდეგ ერთ წერტილში თავმოყრის სურათი შევქმნათ. ამათ გარდა ვხედავთ კიდევ ერთ სახასიათო მომენტს ფონზე: აქ თუ იქ, რაღაც ჯგუფები ჩნდებიან, რომელთაც კაცი ჩაცმულობითაც განასხვავებს ამათგან და გამომეტყველებითაც, სახელდობრ კი იმით, რომ ვის ირგვლივაც არიან შემოკრებილნი, იმას ჰგვანან მეტ-ნაკლებად. ერთი-ორჯერ დემონსტრაციაც კი ჩაივლის, მაგრამ ეს ყოველივე ყოველგვარი აქცენტირების გარეშე. სადღაც მეორე თუ მესამე პლანზე...

ალბომი დაიხურა... ტიტრები დამთავრდა.

მარტოობის ქარები

ტყის პირი. ბუჩქნარი და ბარდნარია, რომელთა შორის თითო-ოროლა ხეც ჩანს. ტყის პირზე გზა გადის.

წიწამურთან. ეტლით მოდიან ილია და მისი მეუღლე.

მათ შემხვედრად გზაზე ურემი მიიზლაზნება. ურემზე რამდენიმე კაცია, შეიარაღებული.

გზას მომდგარ ტყის პირზე ვიღაც შეიარაღებულები გადარბიან და საფრდებიან. სახეები არ უჩანთ, მაგრამ ერთნაირად კი არიან ჩაცმულნი, თავები ყაბალახით წაკრული და სახე დამალული. ზოგს ნაბადი აქვს მოხურული, ზოგს ტყაპუჭი აცვია. ეტლი უახლოვდება ჩასაფრებულებს. აქვე მოადგება ურემიც. და ჩახერგავს გზას.

ეტლში მჯდომი კაცი – ილიაა. ქალი – მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი. ილია რაღაცას ეუბნება და რაც უფრო ახლოვდება ეტლი, მით უფრო გარკვევით ისმის მისი ხმა:

– არა, ჩემო ოლიკო, სხვა სიბნელის დრო მოდის. რა უნდათ მაგათ? სიძულვილზე აგებული ბედნიერი ცხოვრება სად გი-

ნახია? ყველას ბედნიერების დაფუძნება პიროვნების მოსპობით ვინ გაიგონა? ან ერთის სისხლს დასჯერდებიან განა? სიბნელე, სიბნელე მეფდება და ერთეულის მბჟუტავ სანთელს სიცივის სუნთქვა აქრობს... ყველა – ერთობა არ არის..... ყოველი ქმნის ერთობას და ძალასაც...

– კარგი, ილიკო, დაწყნარდი, ახლა მაგათი დრო მოვიდა... ყმაწვილები არიან, დაღვინდებიან...

– გაგიჭირე საქმე, მაგრამ ვერ ვეგუები, რომ ნგრევის და სიძულვილის ქადაგებამ ესოდენი ძალა შეიძინა და მოედო ქვეყნიერებას. თანაც ხანი მერევა... ევროპაშიც იგივე ხდება, მაგრამ ევროპაში საძირკველია მყარი და ომი თუ არ იქნა, ამ საძირკველს ვერაფერი ვეღარ დალეწავს... ესენი კი... არ დაყრიან ეგენი სასიკეთოს ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს, რომელსაც ახლა სიმშვიდე და განათლება სჭირდება მხოლოდ. სიბნელის „თავისუფლება" თავნებობაა, იგივ მონობაა და ვგონებ, უფრო მძიმეც... უსამართლობა და ძალმომრეობა მეფდება – რევოლუციას ეძახიან... დღევანდელ აშენებულს ანგრევენ, და მომავალს ვაშენებთო იძახიან... როგორც იქნა მივაღწიეთ და იმპერატორს საქართველოს სამეფოს აღდგენა გადავაწყვეტინეთ –1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, კანონსაც ამზადებენ ახლა; ეგ ხომ სუვერენობის აღდგენას ნიშნავს, მკვდრეთით გაცოცხლებას. და ახლა, როცა ეს დიდი ხნის ნატვრა ასრულდა როგორღაც, და ამ უუჩჩვილესს და სათუთ ნაყოფს მოვლა და გაზრდა უნდა, ეს ქარაფშუტები რევოლუციურ ქარიშხალს მოუწოდებენ საქართველოს თავზე... რა გინდა რომ ჰქმნა ამ უღმერთოებთან... არა, ოლიკოჯან, ახლა ახალი ნაბიჯი უნდა გადაიდგას ამის შესანარჩუნებლად და ახალი საქართველოს აღსაშენებლად, ახალი, ევროპული საქართველოსი... გვეყო აღმოსავლეთი... ახლა ჩვენს მშობლიურ, ევროპულ წიაღში უნდა დავაბრუნოთ ესოდენ ნატანჯი სამშობლო ჩვენი... და აბა ნგრევით რას მიაღწევ... რაც გაქვს იმასაც დაჰკარგავ... ასეა დღეს...

– კარგი, კარგი, დამშვიდდი, ჭაბუკი აღარა ხარ...

ეტლი კიდეც მიადგა ურმით გადახერგილ ადგილს. ილიამ შეწყვიტა საუბარი და ის იყო წამოდგომას აპირებდა, რომ

თოფის გრიალი გაისმა და მეეტლე უსულოდ გადმოვარდა კოფოდან. ილია თან თავის მეუღლეს გადაეფარა, თან ჯიბიდან იარაღის ამოღება სცადა, მაგრამ ისევ იგრიალა ყველა მხრიდან თოფებმა და მკერდი დაუცხრილა.

ოლღა მზერაგაშეშებული მისჩერებოდა ილიას და ხმას ვერ იღებდა...

– რას სჩადით, ილია ვარ, ილია... – წამოიძახა ილიამ და თან იარაღიც ამოიღო, მაგრამ ბოლო ტყვია შუბლში მოხვდა და გააშეშა.

– ხომ გავარტყი! – ნიშნისმოგებითა და სიხარულით წამოიძახა ერთმა თავდამსხმელმა და ყაბალახი შემოიხსნა...

ტყიდან გამოცვივდნენ თავდამსხმელები. ოლღა გადმოათრიეს ეტლიდან და უმონყალოდ, დაუნდობელი და გონებაჩაბნელებული გაავებით სცემეს ისედაც გულშეღონებული და ცოცხალმკვდარი. თავდამსხმელებს ახლა სახეც უჩანთ... რამდენიმე მივარდა ფეხზე დარჩენილ ილიას და გადმოგდება დაუპირეს, მაგრამ...

ცხენები, აქამდე უძრავად მდგარნი, მოულოდნელად დაფრთხნენ და ტყის პირისკენ გაქანდნენ. ილია, სასწაულებრივად ფეხზე მდგომი, თითქოს გაცოცხლდა, და ამან ისეთი შიშის ზარი დასცა თავდამსხმელებს, რომ თავქუდმოგლეჯით გადახტნენ გზიდან და ისევ დაუშინეს თოფები... მერე გაიქცნენ...

ცხენები შედგნენ ტყისპირზე.

ეტლზე შუბლგანგმირული, მაგრამ ფეხზე მდგომი ილია იდგა და უძრავი თვალებით მისჩერებოდა დაუსაბამო სივრცეს.

გზაზე მტვერში და სისხლში ამოსვრილი ნაცემ-ნაგვემი ოლღა ჭავჭავაძისა ეგდო.

მიტოვებულ ურემში შებმულმა ხარებმა, რომლებსაც უღელი უხუთავდა უკვე სულს, ხრიალი დაიწყეს...

ფერადი ბუშტები
(პაოლო იაშვილის მოტივზე)

პარიზი, 1914 წ. სენის ხიდებქვეშ; კათედრალების გალავნებში; სძინავთ მათხოვრებს...

თენდება.

მათხოვრები ედებიან ქუჩებს, აგროვებენ პაპიროსის ნამწვავებს, ძონძებს, დაყრილ ქაღალდებს...

ეზოებში შედიან სამათხოვროდ. ზოგი სერიოზული სახით ხელში გაზეთით თავს გაზეთების გამყიდველად აჩვენებს პოლიციელს და ის თითქოს ვერ ხვდება, ხოლო მათხოვარი კი ჩუმად უმხელს „საიმედო" გამვლელს თავის საიდუმლოს...

ზოგჯერ ტყუვდება და მაშინ პოლიციელიც იძულებულია, ქეჩოში სწვდეს...

საღამოვდება და თანდათან ნათდება პარიზი. კაფეები ხალხით ივსება... ყველას თავისი ადგილი აქვს, თავისი რჩეული კუთხე პარიზის კაფეთა მომაჯადოებელ სამყაროში...

მათხოვრებსაც აქვთ თავიანთი კუთხე – სენის ნაპირები. აქ გროვდებიან ისინი და იწყება ის განუმეორებელი სანახაობა, რომელსაც ვერც ერთ „დიდ" საკრებულოში ვერ ნახავ: – იწყება სჯა-ბაასი: ომზე, რევოლუციაზე, ჟორესის მკვლელობაზე, რუსეთზე, გერმანელებზე, ინგლისელებზე, ახალგამოგონებულ ქიმიურ იარაღზე, გაისმის ფილოსოფიური სენტენციები, კვალიფიკაციები მოვლენებისა, ერებისა, პიროვნებებისა, ახსენებენ ნაცნობ პოეტებსა თუ მხატვრებს... ეს ყოველივე თანადროული გაზეთებიდან თითო-ოროლა სიტყვით და მსახიობთა იმპროვიზაციით...

მშიერი და დაღლილი მათხოვრები ადრევე იძინებენ და ვეღარ უგდებენ ყურს ფალიერის – სახელგანთქმულ მათხოვარს გასტონ დელაროშს, ყოფილ პრეზიდენტს რომ ჰგავს.

გასტონმა, რომელმაც ის-ის იყო შეაჯამა ერთი მათხოვრის, ვრცელი სიტყვა მიმართული ქიმიური ომის რაობისა და მის საშინელებათა წინააღმდეგ, თვალი მოჰკრა ახალგაზრ-

დათა ჯგუფს, რომელიც სენის ნაპირას ჩამოვიდა და მათხოვართა გრძელ რიგს მოჰყვებოდა.

ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ პაოლო იაშვილი, ერენბურგი, აპოლინერი და ორიოდ მხატვარი ცნობისმოყვარედ უგდებდნენ ყურს მათხოვრების გაცხარებულ კამათს.

გასტონი მათ მიუახლოვდა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სენის მათხოვრების კავშირის სხდომაზე...

– თქვენ ალბათ ნორვეგიიდან ჩამოსული ტურისტები ხართ, ან... ესპანელი მომღერლები, გაინტერესებთ პარიზი და ჩვენი ცხოვრება. მე გახლავართ გასტონ დელაროშ, კეთილშობილი მათხოვარი, მცხოვრები სენის ნაპირას, დეპუტატ ჟორესის მეგობარი და მისი ამომრჩეველი.

დიახ, ბატონებო, გამათხოვრებას დიდი დრო არ სჭირდება დღევანდელ პირობებში; ცხოვრების ტალღას, როგორც პოეტი იტყოდა, „ყოფიერების ნამსხვრევებით თამაში უყვარს და განთიადზე გველვიძება ჯიბეცარიელთ"; მაგრამ, ბატონებო, ისმინეთ, რას გეტყვით კეთილშობილი მათხოვარი გასტონ დელაროშ – სავსე ჯიბე არც სავსე გულს ნიშნავს და არც კეთილშობილ ბუნებას, ღირსებას ასიათასჯერ მეტი ფასი აქვს ცარიელ ჯიბესთან. და როგორც ხვდებით, ჩვენ აქ ფულს არ გთხოვთ: ხედავთ მთვარეს, როგორ წასწვეტებია რქები – ეს კი ნიშნავს, რომ გათენებისას აქ, როგორც ყოველთვის, ძალიან ეცივება. გთხოვთ, გაიაროთ აქედან კაფე „პასკალში" – თქვენ, რა თქმა უნდა, გსმენიათ პასკალის სახელი, და დაუკვეთეთ ჩემთვის ორი ჭიქა პუნში, ხვალ დილით მივალ და თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ... ამით ღირსეულ პატივს მივაგებთ ურთიერთს..."

„მაგ ყბედობას, ერთი ნაღდი სენდვიჩი გეთხოვა, სუნით მაინც გავიძღებდით კუჭს", – გადმოსძახეს მათხოვართა ჯგუფიდან გასტონს. ფალიერიმ ხელები გაშალა.

– შე მართლა მათხოვარო! ვერა ხედავ, დიდებულ პოეტებს რომ ვესაუბრები? ეგენი რომ სენდვიჩებს ქმნიან, შენი კუჭის საძღომად არ გამოდგება! – მერე პაოლოს და აპოლინერს მიუბრუნდა:

– ცივა, და ხალხი აღარ გამოდის ქუჩაში... – თქვა მან თავისი ამხანაგის გასამართლებლად.

– საიდან მიხვდით, პოეტები რომ ვართ? – იკითხა ილია ერენბურგმა.

გასტონმა მრავალმნიშვნელოვნად და თან დამცინავად უპასუხა:

– „როს მთვარემ რქებით გადისროლა მანტია დღისა,
მხოლოდ პოეტნი მიჰყვებიან სენის ნაპირებს
და საუბრობენ მათხოვრებთან...“

მერე აპოლინერს შეხედა საოცრად თბილად და წარმოსთქვა:

“Cordes faites de cris
Sons des cloches à travers l’Europe
Siècles pendus
Rails qui ligotez les nations
Nous ne sommes que deux ou trois hommes
libres de tous liens
Donnons-nous la main
Violente pluie qui peigne les fumées
Cordes
Cordes Tissées
Câble sous-marins
Tours de Babel changées en ponts
Araignées-Pontifes
Tous les amoureux qu’un seul lien a liés
D’autres liens plus ténus
Blancs rayons de lumière
Cordes et concordes
J’écris seulement pour vous exalter
O sens ô sens chéris
Ennemis du souvenir
Ennemis du désir
Ennemis du regret
Ennemis des larmes
Ennemis de tout ce que j’aime encore.”

ლექსმა ზოგიერთი მძინარე მათხოვარიც გააღვიძა და გასტონ დელაროშსა და მის სტუმრებს შემოადგნენ გარს და ბოლო სტროფები ერთგვარი პოლიფონიით გაიშალა ამ უცნაურ საკრებულოში.

პაოლომ აპოლინერს გადახედა. იმანაც გამგებად თავი დაუკრა.

– ათი პატივცემული მათხოვარი „როტონდაში", – ჩუმად ჩაულაპარაკა პაოლომ გასტონს. იმანაც ღირსეულად შეაფასა ეს ჟესტი და თვალის დახამხამებაში დააძვრინა მათხოვართა გუნდიდან ათი კაცი. ეს უცნაური კორტეჟი ხმაურით დაიძრა მონპარნასისაკენ.

„როტონდა" სავსეა მწერლებით, მხატვრებით, ლიტერატორებით და მათ ირგვლივ შემოტმასნული ხალხით. ერთიანი მეგობრული ატმოსფერო კიდევ უფრო ახურებს და აღაგზნებს იქაურობას.

მათხოვრების დანახვამ ყველა აღაფრთოვანა, ხოლო მსხვილი რიბეირა, ესპანელი მხატვარი, რომელიც ნახევრადტიტველი იყო, სათითაოდ ეხვევა მათ. მერე მიდის მდიდარ მეცენატთან, რომელიც შეყვარებული სახით თვალს არ აშორებს თევზივით მოფართხალე ზანგ ქალ ჯელიკას, მბრძანებლურად ურტყამს ჯოხს „კოტელოკზე" და „აბა, ვახშამი! ვახშამი! გრანდებისთვის!" – უყვირის მრისხანედ. მეცენატს თავი მართლა ეტკინა, მაგრამ გაიცინა და ვახშმის გამართვა ბრძანა.

მათხოვრები, პოეტები და მხატვრები მეცენატის სტუმრები შეიქნენ.

დიასახლისობენ ჯელიკა და მარევნა – თბილისიდან ჩამოსული მხატვარი ქალი. ამ არეულობაში და მხიარულებაში ვხედავთ თითქმის ყველას სახეს, ვინც ამ დროს პარიზში ცხოვრობდა და ქმნიდა მსოფლიოს სულიერ ელიტას – ქართველები, რუსები, ესპანელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები, ამერიკელები... პოეტები, მხატვრები, ფილოსოფოსები და სხვა და სხვა – ეს სცენა ერთგვარი კვანძია. წარმოდგენილია მეოცე საუკუნის სულიერი ელიტის გაელვება.... ყველა თავისი განუმეორებელი ინტერესითა და ხასიათით,

სახითაც კი – კრისტალი, რომელიც არაჩვეულებრივ სხივმფენია... ზოგი მათგანი ამ ორომტრიალშიც კი ახერხებს განმარტოებას და მუშაობას... სულიერი ვიბრაციების ატმოსფეროთი ძალამოცემული და შთაგონებული...

რიბეირა სვამს მეცენატის სადღეგრძელოს და ბრძანებს, რომ „როტონდას“ პატრონმა მეცენატის ხარჯზე ხუთ-ხუთი ფრანკი დაურიგოს მათხოვრებს.

მეცენატი იბუტება. წყინს. მაგრამ ჯელიკას ჯადო ძლიერია. ხელზე კოცნის თავის სათაყვანებელს...

„მეგობრებო“, – ამბობს ჯელიკა, – „ ჩვენ გვეწვივნენ „სენის მოქალაქენი“, ასეთი სურათი ჯერ „როტონდას“ არ ახსოვს. ჩვენ შორის დღეს არ არის ის, ვინც გაოცდება ამ სურათით – მისცემს მას უკვდავებას. ჩემი წინადადებაა, გაეგზავნოს ავტომობილი პაბლო პიკასოს და ეთხოვოს მას აქ მოსვლა.“

აპოლინერი ტუჩებში კოცნის ჯელიკას....

მეცენატი თვალებს ხუჭავს, რომ გული არ გაუსკდეს...

ავტომობილი ცარიელი ბრუნდება – „დღეს დილით პაბლო პიკასო ომში წავიდა“.

წამიერად შედგა, გაქვავდა დრო... დაცხრა სიცხე... და მთელი სცენა უეცრად სხვა ტონალობაში გადავიდა.

ერთი ხანშიშესული მათხოვარი, ელიმ ადერი, წამოდგა სიტყვის სათქმელად:

– „მოქალაქენო, მსოფლიოს მოქალაქენო, ეს უბრალო საღამო არ გახლავთ, ეს არ არის მშიერთათვის სამოწყალო ვახშამი, ღვთისნიერი გულით გახსნილი კარი დამზრალის გასათბობად... დღეს აქ უდიდესი აქტი ისტორიისა აღსრულდა. თავისუფალ ადამიანთა ორი პოლუსი შეხვდა ერთმანეთს და ეს არის დღესასწაული ამ შეხვედრის აღსანიშნავი. დაიმახსოვრეთ ეს დღე, მოქალაქენო. ჩვენ ყველანი – მოავლებს ხელს თავის ამხანაგებს, – ჩვენ ყველანი პირობების მონები გავხდით და ამ პირობებმა და ამ მონობამ დაგვამხო ჩვენ, ხოლო თუ პირობები გამხობს და მონად გაქცევს, პიროვნება აღარა ხარ უკვე... ეს დაგვემართა ჩვენ... ჩვენ დავკარგეთ, დავივიწყეთ, უგულებელვყავით, წავბილწეთ ქრისტიანობის

ყველაზე დიდი მონაპოვარი, ყველაზე დიდი მცნება – პიროვნების პირობებზე ამაღლება, მოქალაქენო... და ახლა ეს ომი... ომი აღნიშნავს დასასრულს არათუ ისტორიის მონაკვეთისა, არამედ მთელი ეპოქისა – მე არა ვარ წინასწარმეტყველი, და არ ვიცი, ეს ომი როდის დამთავრდება და ვისი გამარჯვებით. მაგრამ ერთ რამეს კი ვხედავ: ომის შემდეგ ქვეყნიერება სრულიად სხვა იქნება, იმდენად სხვა, რომ მოგვენატრება სენის ნაპირებზე ულუკმაპუროდ ხეტიალი და ერთმანეთისათვის თვალებში ჩახედვა... – მოხუცს ზლუქუნი აუტყდა მოულოდნელად და სიტყვა ველარ დაამთავრა. ამ დროს „როტონდას" მოხუცებული და კეთილი გარსონი ლუი მივიდა მასთან, ისიც აზლუქუნდა და თქვა:

– „ბატონო ემილ, ნუთუ ვერ მიცანით, მე ლუი ვარ, გარსონი კაფე „რიშიდან", ბევრი ლუიდორი მახსოვს თქვენგან ნაჩუქარი; დიდი ხანია, გავიგე თქვენი დაცემა, გაღარიბება; მე უცოლო ვარ და კარგი ოთახი მაქვს, გადმობრძანდით ჩემთან ბინაზე... – მოხუცი გარსონი წელში გაიმართა და ყველას მიმართა, – ახლა კი, ბატონებო, ნება მიბოძეთ, ბატონ ემილ ადერის პატივსაცემად მოგართვათ ექვსი ბოთლი ბურგუნდიისა...

მძიმე ღრუბელმა გადაიარა და მოულოდნელად ისევ იფეთქა სიხარულმა. აირია და აბოლქვდა „როტონდა" და პოეტურმა ნაპერწკლებმა გაახალისა ახალგაზრდობა...

მოხუცი მათხოვარი ემილი და გარსონი ლუი გავიდნენ წარსულის მოსაგონებლად....

ელიტა

ომში უკვე ველარ არჩევ სახეებს. ჯარი – ჯარს... თვითმფრინავიდან ადამიანებიც ცხვრის ფარას წააგავენ... ეს უკვე აღარაა ის ომი, მოპირდაპირეს თვალებში რომ ჩახედავდი... ახლა „ვიღაცა" „ვიღაცას" ესვრის... მერე აღმოჩნდება, რომ ეს „ვიღაც" გიომ აპოლინერია,... ან კიდევ პიკასო, ან სხვა...

მასავით სულიერად ამაღლებული გერმანელი, ქართველი, რუსი, ესპანელი...

(ქრონიკა და რამდენიმე ეპიზოდი)

შავებში ჩაცმული მგლოვიარე ხანდაზმული ქალი აღებს კარებს. ფოსტალიონი მას წერილს გადასცემს. ქალი შედის ოთახში, ხსნის წერილს და კითხულობს:

„ქალბატონო, ჩემმა შვილმა, არტილერიის ლეიტენანტმა, რომელიც იბრძოდა თქვენი ქმრის წინააღმდეგ, მთხოვა მე, თქვენთვის შემეტყობინებინა და დამერწმუნებინეთ, რომ თქვენი მეუღლე დაასაფლავეს დიდის პატივისცემით და მის მოწინააღმდეგეთ მოურთეს საფლავი. ვჩქარობ შევუერთო ჩემი ღრმა თქვენდამი თანაგრძნობა ჩემი შვილისას. ჩემი შვილი მთხოვს შეგატყობინოთ, რომ თქვენი მეუღლის გულზე ნახეს ოქროს მედალიონი სამი პატარა გულით. იგი თქვენს განკარგულებაშია. ბ-ნი დრიანი დაასაფლავეს ეთიენ რენუარდის, იმავე 57-59 ფეხოსან ბატალიონის კომანდირის, საფლავთან ახლოს, კორის ტყის ნაპირს, ბომონის და ფლაბას შუა. ამ საფლავს ექნება კვლავაც კარგი მოვლა, ასე რომ ზავის დროს თქვენ მას ადვილად იპოვით.

მიიღეთ, ქალბატონო, ჩემი უღრმესი პატივისცემა

ბარონესსა ფონ შროტტერ."

* * *

ფრანგების აეროპლანი გადაიფრენს ვოსჟის პატარა ქალაქს ზევით (ეს ქალაქი ფრანგებისაა, მხოლოდ ახლა ის გერმანელებს უჭირავთ) და ჩამოაგდებს წერილს გერმანულ ენაზე და გვირგვინს...

გვირგვინი ეკლესიის შორიახლოს ეცემა. მღვდელი მიდის გვირგვინთან, იღებს მას; პოულობს წერილს, ხსნის და კითხულობს...

„ბატონო მარკრიხის მღვდელო!

ჩემმა ოჯახმა შეიტყო შვეიცარიის წითელი ჯვრის საშუალებით, რომ მამაჩემი პოლკოვნიკ-ლეიტენანტი ფევრი, ორა-

სოცდამეათე პოლკის კომანდირი, გარდაიცვლილა სენტ-მარშში 22 აგვისტოს 1914 წელს.

ძალიან დამავალებდით, თუ ამ გვირგვინს დადებდით მის საფლავზე.

დავრჩები დიდის პატივისცემით,

დ. ფევრ, მფრინავი-ლეიტენანტი."

ყველაფერი შესრულებული იყო, როგორც სურდა ლეიტენანტ ფევრს.

ფრანგების საავიაციო ნაწილი. ფრანგ ლეიტენანტს, რომელიც წინა ეპიზოდში ვნახეთ, ეძახის თავისი ამხანაგი:

– ეი, ფევრ, აქ შენთვის წერილია...

ფევრი მორბის ამხანაგთან და იღებს გაზეთს, კითხულობს:

„ვოსჟ, ივლისი, 1616 წელი.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გვირგვინი, რომელიც თქვენ ჩამოაგდეთ ჰაეროპლანიდან, ჩვენ ვიპოვეთ და თქვენი სურვილისამებრ დავდევით თქვენი მამის საფლავზე. უმაღლესი ბრძანებით ეს აქტი შეასრულა ერთმა ოფიცერმა.

უეჭველია, თქვენთვის სასურველი იქნება იცოდეთ, რომ ბატონმა მამათქვენმა, როგორც ამას გადმოგვცემს თავისი თვალით მნახავი მონმე, სამი ტყვიით დაჭრილმა პოვა სწრაფი სიკვდილი და იქმნა იქვე დასაფლავებული გერმანელი ჯარისკაცების მიერ. მის საფლავს კარგად უვლიან, და ინახავენ ისეთის პატივისცემით, როგორც ეს შეეფერება ვაჟკაც მებრძოლს."

(ამ ფაქტებს იტყობინება „ქართული გაზეთი", 1916 წ. 16 სექტემბერი.)

* * *

რამდენიმე გაყვითლებული ფოტო პარიზის ქუჩებისა, კაფეებისა და სხვა 1916-1918 წლებისა... იმავე დროის მუსიკით...

თბილისი

იცრიცება ღამე. ცის კაბადონზე რიჟრაჟის ფერმკრთალმა ზოლმა გაკვეთა მთის წვერებს მძიმედ დამხობილი სიმუქე.

ცარიელი ქუჩები. სიჩუმე... და უცებ ფეხის ხმა. გალაკტიონი მოდის ქალაქში და ამას იმითაც ვგრძნობთ, რომ რხევას იწყებს ჩადუმებულ-უძრავი ქალაქი და ქარმა ახვეტა დაცვენილ ფოთოლთა გროვა...

იხსნება ტაძრის შესასვლელი. შიგ, სანთლების ლიცლიცში ჩანს ჯვრისწერა: დედოფალი ღვთაებრივად ლამაზი, მაგრამ საოცრად ნაღვლიანი მზერით... სიჩუმეა. მთელი ეს ჯვრისწერა სიჩუმეში მიმდინარეობს, რაც სრულიად არარეალურს ხდის ყოველივეს...

და მხოლოდ გალაკტიონის შემობრუნებისას, ერთვება ხმები... წვიმის, სწრაფი ნაბიჯების ხმა. მერე ნაბიჯები წყდება და კედელს მიკრული ნაბადშემოხვეული კაცი ქვითინით ჩაემხობა კედელთან...

ისევ იგივე მშვიდი დილა... სადღაც ჩიტმაც კი წამოიჭიკჭიკა... გალაკტიონი ბარბაცით მოლასლასებს ქუჩაში. ქარი ხან წამოუბერავს, ხან ჩადგება – თითქოს ქანაობს პოეტურ სამყაროსა და სიცხადეს შორის... და უეცრად შედგა: შედგა ეკლესიის კართან... შეიხედა... და შევიდა...

ქუჩიდან ეკლესიის ბნელ სივრცეში თვალი ნელ-ნელა ეჩვევა და არჩევს საგნებს. კუთხეში, სანთლის მოფარფატე სინათლეზე გამოიხატა დამხობილი მლოცველის სილუეტი... გალაკტიონი უხმაუროდ მიუახლოვდა და იქვე ბოძს მიეყრდნო...

მლოცველს ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ მეძავი იყო. მისი ლოცვის ხმა არ ისმოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მთელის არსებით ლოცულობდა, ზოგჯერ კიდეც წამოიტირებდა...

გალაკტიონი თვალს არ აშორებდა ამ გულმხურვალედ მლოცველ მეძავს...

უეცრად ქარი შემოვარდა ეკლესიაში... ჩააქრო სანთელი, სიბნელეში ჩაიძირა ყოველივე და ამ სიბნელეში იწყო გაელვება სახეებმა...

„დედაო ღვთისა, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია,

და შორეული ცის სილაჟვარდე...“
წვიმა და ქარი არხევს ჭადრების მძიმე ფოთლებს.

პეტერბურგი

ახალგაზრდა კაცი მოდის რევოლუციურად აღგზნებულსა და აფორიაქებულ ქუჩაში. გადადის ქუჩიდან ქუჩაზე. ხან ვიღაცას ეჯახება, ხან ვიღაც უხეშად ხელს ჰკრავს... ახალგაზრდა კაცი თითქოს ვერც ამჩნევს, რა ხდება ირგვლივ. ეს გალაკტიონია. იგი ცდილობს თავი დააღწიოს ამ ორომტრიალს და მყუდრო ალაგს მიაგნოს... მთელი მისი მოძრაობა, რომელიც დასრულდება გემით „დალანდი“, მიმდინარეობს მეტად ნაღვლიანი მუსიკის ფონზე (ვთქვათ, შუბერტის „მეგობრის გარდაცვალებაზე“), რომელიც სრულ დისონანსშია მოულოდნელ და მკვეთრ რევოლუციურ ხმებთან და მოძრაობასთან: რევოლუციური მანქანები შეიარაღებული მასებით,... დემონსტრანტები პლაკატებით... საქმიანად ოთახიდან ოთახში გადადიან ვიღაცეები... შედედებული სურათი რევოლუციური პეტერბურგისა (ქრონიკა).

თოვლი ეფინება პეტერბურგის ქუჩებს. ქარი ქრის. ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს...

ვიღაც გაბოროტებული, დანით ხელში მიადგება გალაკტიონს და პალტოს გააძრობს და ჯიბეებს უცარიელებს...

(უპალტოობა მთელი მისი ცხოვრების „ანტირევოლუციური“ მოტივია!)

გათოშილი მიიპარება გალაკტიონი...

ერთ-ერთ ხიდზე ზის პატარა ბავშვი და ტირის...

გალაკტიონი შედის ლავრაში და იწყებს ლოცვას, მაგრამ უეცრად ცეცხლი მოედება ლავრას და ისიც გამორბის ისევ ცივსა და მიუსაფარ ქუჩებში...

გადის სადგურში. აქ, ქუჩებში, ერთგვარად განზავებული მოძრაობა და ორომტრიალი ერთად შეყრილა თითქოს... სუნთქვა ჭირს... გააფთრებით იკვლევს გზას მატარებლისაკენ....

გალაკტიონი დგას უზარმაზარი გემის ბაქანზე. გემი გაჭედილია ხალხით... ლტოლვილებით, სამხედროებით... გემს აწერია დიდი ასოებით – „დალანდი“...

უზარმაზარი მზის დისკო გახელილი თვალივით ნელა ეშვება ზღვაში...

თბილისი

ოფიცრის საზამთრო შინელში გამოწყობილი კაცი, ნიკოლოზ მეორეს რომ ჩამოჰგავს სახით, დახეული ჩექმებითა და უცნაური ტოპრაკით ხელში შეაღებს რესტორანის კარებს და მოწიწებით კითხულობს, გადაავლებს რა თვალს სავსე დარბაზს:

– ერთი ეს მიბრძანეთ, ქართველი პოეტები ხომ არ არიან აქ?

– არა, ჩემო ძმაო, არავინ მინახავს, პოეტი ვარო, რომ სწეროდა შუბლზე და რა ვიცი ახლა მე... – ჩაილაპარაკა ულვაშაწკიპულმა ოფიციანტმა აქროლ-ჩაქროლებაზე, ისე რომ თვით მას თვალს ძლივს მოჰკრავდი...

– არც ბატონი პაოლო იაშვილი გახლავთ?

– ეი, კაპიტან, მოდი აქ, დაგვეწვიე! – გამოსძახეს დარბაზის სიღრმიდან ახალგაზრდებმა, გაშლილ სუფრას რომ უსხდნენ...

კაპიტანი გაივლის მაგიდებს შორის. მეტად ზრდილად და მშვიდად, ერთგვარი ღირსებითაც მიუახლოვდება მაგიდას. ერთმა ახალგაზრდამ მენიუ გადმოუდო მისთვის გამზადებულ ადგილზე: კაპიტანმა სკამი მოირგო, დინჯად გაშალა მენიუ და... ფურცელზე ჩამოცურებული თითი ყველაზე ძვირი კერძის გასწვრივ შეჩერდა...

პაოლო იაშვილი ნელა მოდის ქუჩაში. ერთ ადგილს რომ მიუახლოვდა, ფეხი შეანელა. დააკვირდა კიდეც ქუჩაში მოშორებით მდგარ მათხოვარს. მერე გზა განაგრძო. მათხოვარს რომ მიუახლოვდა, მათხოვარმა მოულოდნელად ხელი შეახო და გააჩერა:

– მე თქვენ გიცნობთ, მე კაჩერგას მეგობარი ვარ. ჩემი შვილი კამოს სასწავლებელში სწავლობს. კაჩერგა მტკვარში გადავარდნილა და ბარათი დაუტოვებია თქვენთვის, ინებეთ, მე დღეიდან აქ ვიდგები, უბედურის სამაგიეროდ.

პაოლო დასცქერის ბარათს და ძლივს კითხულობს:

„ბატონო მწერალო, ჩემს ნაცვლად მიხედეთ ამ ბარათის მომტანს და მის ქალს.

თქვენი მადლიერი ლ. კაჩერგა“.

პაოლო იაშვილი სწრაფად მიემართება მტკვრისპირისაკენ, მუხრანის ხიდის ყურთან. შედის ეზოში, რომელიც მტკვარზე გადადის. შეიხედავს ოთახში. არავინაა. ეზოს ბოლოში, მტკვრის ნაპირას, მიწაზე ქალი ზის. მას ვიღაც მსუქანი ქალი ამშვიდებს. ქალს აშკარად მეძავის იერი აქვს. ორ ნავზე მებადურები დგანან და ჩანგლებს ისვრიან წყალში: გვამს ეძებენ.

პაოლო ქალაქში გამოვიდა.

ქალაქში დიდი ზეიმი იყო. ქუჩები ხალხით იყო სავსე. ისმოდა ორკესტრის საგმირო მარში.

ცხელოდა.

ციციანოვის დაღმართზე ქალაქისკენ მოდიოდა წითელწვერებიანი მალაკანი და მოჰქონდა წითელი, მწვანე და ცისფერი ბუშტები.

მარტოობის ქარები

1917-1924. (ქრონიკები):

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს.

სვეტიცხოველში შეკრებილი სამღვდელოებისა და საზოგადოების თანდასწრებით კათოლიკოსი კირიონი აღავლენს ლოცვას...

უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის 26 იანვარს.

თავდება პარაკლისი და აკაკი ჩხენკელი ხსნის უნივერსიტეტს:

„საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით გილოცავთ პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნას და ავბედობის გამო შეწყვეტილი ქართული სულიერი და გონებითი ზეაღსვ-

ლის საფუძველის აღდგენას. ეს დღე დაუვიწყარ დღედ დარჩება ქართველი ერისათვის. დღეს არსდება პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც, უეჭველია, მტკიცე საფუძველი შეიქმნება ჩვენი კულტურული შემოქმედებისათვის. ამ უნივერსიტეტმა უნდა აღანთოს ქართველ ერში გონებრივი განახლებისა და აღორძინების ლამპარი, მან უნდა გადმონერგოს ჩვენში ევროპის გონების საგანძური....

ეროვნულმა განთავისუფლებამ ფხიზლად უნდა უდარაჯოს ქართულ მეცნიერებას და ქართულმა გონებრივმა კულტურამ, უმწვერვალესად განვითარებულმა, უნდა განამტკიცოს პოლიტიკური თავისუფლება.

სალამი და დღეგრძელობა ქართველთა მეცნიერების ტაძარს...“

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს ეროვნული საბჭო იკრიბება სხდომათა დარბაზში. კრებას ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობს. დარბაზი ხმაურობს. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს. თანდათან ჩუმდება საკრებულო. ნოე ჟორდანია დგება, სოციალისტები ტაშს უკრავენ. ისინი რაღაცით ჩამოჰგავენ ერთმანეთს... სხვები ცივად იშმუშნებიან...

– დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაღიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ეხლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა... – ამბობს იგი.

დარბაზი ახმაურდა რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში...

ნოე ჟორდანია განაგრძობს კითხვას დოკუმენტისა, რომელიც ხელში უჭირავს:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ამიერ-კავკასიამ თვით იდვა თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფო შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს (1918 წლის 26 მაისს) აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა...

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობ-

ლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელს საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ვიდრე ნოე ჟორდანია კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს (ვხედავთ, თუ რა ხდება თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებში), მთაწმინდაზე ვლასა მგელაძემ ატეხა ზარების რეკვა და ჩასძახის მთაწმინდაზე განსვენებულ ქართველ დიდებულებს: „გიხაროდენ, ახდა თქვენი ოცნება!.."

(ქრონიკა)

ხალხი გამოეფინა ქუჩებში...

არაჩვეულებრივი საზეიმო განწყობილებაა... და ყოველივე ამის ფონზე ვხედავთ, გერმანელებიც ჩნდებიან აქა-იქ...

გერმანელთა რაზმები იკავებენ თურქეთ-საქართველოს საზღვრის ხაზს მთავარ ადგილებში...

ამ საერთო აჟიოტაჟში გადის დრო, რომელიც უწყვეტი გადასვლით მიედინება გაზაფხულიდან ზამთრისაკენ...

თურქებთან შეჯახებაში დაღუპული გერმანელი ჯარისკაცის დაკრძალვას მთელი თბილისი ესწრება...

აქვეა გენერალი ფონ კრესენშტაინი... რომელთანაც გაიმართა ქართველთა ვიწრო წრის შეხვედრა. მათ შორის ვხედავთ იმათ, ვინც საბჭოშიც იყო, ოღონდ „მარჯვნივ" იჯდა, ოპოზიციაში...

გენერალი ამბობს:

„ადრე თუ გვიან, ჩვენ, გერმანელები წავალთ კავკასიიდან. თქვენი მმართველი წრე კი არ ჩქარობს შეჰქმნას საფუძვლიანი საარსებო დაწესებულებანი. ქართული ჯარის შექმნისათვის მიღებული პროექტი აქამდის გაუნაღდებელია. მეზობლებთან არა გაქვთ კარგი განწყობილება. თუ თქვენ გსურთ, დაიცვათ თქვენი თავისუფლება, გმართებთ დღე და ღამ იმუშაოთ. თქვენ თანამემამულეთა დიდი ნაწილი უდარდელია. ამ უდარდელობით ვერ აშენდება ეროვნული სახელმწიფო...“

იცვლება დრო....

ელიტა

ტერენტი გრანელი სახაბაზოში ზის და ფეხსაცმელს უკირკიტებს. განყენებულ მზერაში ეტყობა მხოლოდ, რომ მისი არსება სადღაც შორეულ სივრცეებში დაქრის, ხოლო ხელები კი მისგან დამოუკიდებლად მუშაობენ.

ტერენტის ვხედავთ სასაფლაოზე. მის ფეხებთან დახტის შავი ყვავი. ზამთარია: მარტოობით მოცული, იგი დააბიჯებს საფლავებს შორის. ამგვარი ეპიზოდი რამდენჯერმე ჩნდება.

ტერენტი რუსთაველზე დგას ვიღაც ხალხით გარშემორტყმული. ისინი იცინიან და რაღაცაზე აქეზებენ ტერენტის. უთითებენ კაცზე, რომელმაც ჩაიარა. ტერენტი, შეშლილის სახით და თვალებით უკვე, გაქანდება და ზურგზე შეახტება იმ კაცს. ელეგანტურად ჩაცმული, თეთრი ხელთათმანებითა და მოსასხამით კაცი შეყოვნდება წამიერად, მერე, განაგრძობს სვლას ისე, თითქოს ბუზი დააფრინდა მხრებზე. არც საუბარს წყვეტს...

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ტერენტი ჩამოხტება და გაოგნებული, შეცბუნებული ღიმილით გაქვავდება ერთ ადგილზე, მისი სახე რაღაც შინაგანი სევდითა და სინათლით ნათდება... და წამიერად ისევ ჩნდება ხატი სასაფლაოსი, შავი ყვავითა და თოვლით.

კაცი ბოდიშს მოიხდის ქალთან, მოსასხამს გადაიძრობს, ურნასთან მივა და ჩააგდებს, ხელთათმანებსაც წაიძრობს და იქვე ჩაყრის.. ეს გრიგოლ რობაქიძეა. ტერენტის წამქეზებლები, რომლებიც აქამდე ხარხარებდნენ, უეცრად გაშრნენ, გრიგოლის მომნუსხავი თვალის გადავლით მათზე.

თბილისური ბოჰემა

ოთახი იაფფასიან სასტუმროში.

ოთახში მაგიდასთან ასე ოცდაათიოდე წლის კაცი ზის და მუშაობს. მაგიდა წიგნებითაა სავსე, ხელნაწერებით...

აკაკუნებენ. კაცი თავს აწევს:

– მობრძანდით, – ამბობს ის.

კარი იღება. სასტუმროს დიასახლისს შემოჰყავს ახალგაზრდა. ჩაცმულობაზე და სიარულზე ეტყობა – სოფლიდანაა ჩამოსული. ხელში ხონჩა უკავია.

– თანამოკალმე მოგიყვანეთ. დარწმუნებული ვარ, შეეწყობით ერთმანეთს, – ამბობს დიასახლისი. დამხვდური თავს ანებებს წერას. დგება.

– მობრძანდით. ადგილი სამყოფია. – ხელს ართმევენ ერთმანეთს: გიორგი – ბერიკა.

– მოისვენეთ... ბოდიშს ვიხდი არეულობისათვის, წიგნზედ ვმუშაობ და ხომ იცით...

– ეგ არაფერია. ჩვეული ვარ.. ნუ შეწუხდებით...

ახალმოსული თავის საწოლთან მიდის. დიასახლისი მაშინვე გადის. ხოლო ყმაწვილი კი ჯერ ფანჯარას მიადგება, ქალაქს გახედავს. მერე დაკმაყოფილებული შემობრუნდება. ხონჩას გახსნის და იქიდან ხელნაწერები ამოაქვს. კაცი ყურადღებით აკვირდება. ახალგაზრდა დემონსტრატიულად ალაგებს თავის კუთხეს...

– თქვენ მწერალი ბრძანდებით?! – კითხვა-მტკიცებით ამბობს კაცი;

– პოეტი... – თავმომწონედ პასუხობს ბერიკა.

– ოო, დიდებულია, ახლა თბილისში ბევრი პოეტია...

– პოეტი ბევრნაირი არსებობს. – ეს უფრო ნიშნავდა „განა ყველა პოეტი პოეტია“-ს; ყმაწვილს თვითდაჯერებული ტონი აქვს, – ერთი კვირაა, ჩამოვედი და ვნახე, რა პოეტებიც არიან...

– „ქიმერიონში“ თუ იყავით...

– „ქიმერიონში“? ეგ სადა? რად უნდა ვყოფილიყავი?!

– შორს არ არის. ხიდს გადაღმა, დიდ გამზირზე... ყველამ იცის... „ცისფერყანწელები“ იკრიბებიან იქ... სხვებიც... რუსეთიდან ჩამოსულებიც... ფრანგებიც...

ყმაწვილი ერთ რვეულს აიღებს და შეფარული სიამაყით მიუტანს კაცს. გაუწვდის. თან მაგიდაზე დალაგებულ წიგნებს შეავლებს თვალს – ბევრი წიგნი გაქვთ...

– სამართალმცოდნეობაში ვმუშაობ, დიდ ცოდნას მოითხოვს... – განყენებულად პასუხობს გიორგი.

გიორგი გადაფურცლავს რვეულს და ჩასცქერის. თითქოს არ ესმის ყმაწვილის ხმა. ყმაწვილი რიგრიგობით აიღებს რამდენიმე წიგნს, გადაშლის, ისევ აბრუნებს, ახლა სხვას იღებს... კაცი თავს აწევს:

– მე მგონი, კარგი იქნება, თუ მიხვალთ „ქიმერიონში“, დიდი პოეტები იკრიბებიან იქ, თქვენც გაგიცნობენ, მათაც გაიცნობთ, გაგიგონიათ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ესენინი, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე... ყველანი იქ არიან ხოლმე...

– ჰოდა, მივალ... – ისე ამბობს ყმაწვილი, რომ „მივალ და ვაჩვენებ მაგათ პოეზიასო“ – ისმის შეფარვით.

– მე კი გავაგრძელებ მუშაობას. არ მოგერიდოთ, როდესაც გენებოთ, მაშინ დაბრუნდით. დილამდე ვმუშაობ ხოლმე...

– ნუ დარდობთ, სხვისი შეწუხება არც მე მიყვარს...

ყმაწვილი კიდევ შეყოვნდა ერთხანს. არჩევდა ნაწერებს. მერე, ხელნაწერი რომ შეარჩია, „საღამო მშვიდობის“ ჩაილაპარაკა და გავიდა.

ყმაწვილი მიდის შესაღამოებულ ქუჩაში. გადადის ხიდზე. მის ირგვლივ განუმეორებელი სურნელებით ფეთქავს დამოუკიდებლობის წლების (1918-1921) თბილისი... საღამოც უჩ-

ვეულოდ მშვიდი და სურნელოვანია. „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“ (ტერენტის განწყობა). ყმაწვილი გადის გოლოვინის პროსპექტზე. უყურებს გამვლელებს... უახლოვდება „ქიმერიონს“, ერთხანს ყოვნდება, და როდესაც მოახელთებს შემსვლელებს, თვითონაც შედის.

„ქიმერიონში“ თუმც ფორმით განსხვავებული, მაგრამ ისეთივე სულიერი ატმოსფეროა, როგორიც ვნახეთ პარიზში, „როტონდაში“. სიცხის, კვამლის, ხმაურის ბუღია. ვიღაც ხმამაღლა კითხულობს ლექსს. ვიღაც ცხარედ კამათობს... ნაწყვეტებად ისმის რაღაც სენტენციები, ფრაზები, პოეტური კუპლეტები... ქართულად, რუსულად, ფრანგულად... ყმაწვილს თავგზა აებნა. აცეცებს თვალებს. თანდათან უწყნარდება გონება ყმაწვილს და თითქოს გარემოც წყნარდება. ახლა უფრო გარკვევით ესმის, როგორ წარმოსთქვამენ ლექსებს პაოლო, ტიციანი... და სხვები... ცვლიან ერთმანეთს და დგას საოცარი ჰარმონია პოეტური სიტყვისა – თითქოს ერთ დიდ ლექსს წერენ ყველანი... ყმაწვილი ვერ უძლებს ამ ნიაღვარს... სვამს და თვრება, და რაც უფრო თვრება, მით უფრო გარკვევით ესმის პოეზიის ჟღერა და მით უფრო უმძიმდება სული... გამოუცნობი და მძიმე განცდა უხუთავს სულს... და რაღაც მომენტში მკვეთრად წამოვარდება და გამორბის გარეთ...

თბილისი განთიადის შემპარავი სინათლითაა განათებული. ქალაქი ცარიელია. გაშეშებული. ჩაჩუმებული. იმ ხმაურის შემდეგ ეს სიჩუმე საიდუმლო გარსაცმელივით ეხვევა ყმაწვილს... იგი უახლოვდება ხიდს. ჯიბიდან დაუფიქრებლად იღებს თავის ხელნაწერებს, და აპნევს გზაზე... მხოლოდ ხიდის კიდესთან მისული დაიხედავს ცარიელ ხელებზე და თითქოს ახლა მიხვდაო ამ სიცარიელის მნიშვნელობას, ერთი ამოიოხრებს თავისთვის, მწარედ გაიღიმებს და გადაეშვება ხიდიდან...

გაცრეცილი, ფერმკრთალი მთვარე ცივად გაშეშებულა უვარსკვლავო ცაზე...

გალაკტიონი დგას მთაწმინდაზე და უყურებს მთვარეს. მერე მზერა გადააქვს თბილისზე... მთვარე მომაჯადოებელ სურათს ქმნის და მთვარის ნათელი თანდათან ეშვება ღამეული ქალაქის ქუჩებში...

ქარი ქრის და აშრიალებს ჩამოცვენილ ფოთლებს... გალაკტიონი დადის ქალაქში, ვითარცა თავისი პოეტური ხილვების ქსოვილ სივრცეში... ქარი ერთადერთი განუწყვეტელი თანამგზავრია მისი. და ეს მოძრაობა გალაკტიონისა დღისით თუ ღამით მხოლოდ ამ ქსოვილის სინამდვილეში ხდება (ყოველ ეპიზოდში). როდესაც გალაკტიონი მოძრაობს, ქუჩა გაქვავებულია, მხოლოდ ქარია და ფოთლების შრიალი, დღისით თუ ღამით... განცდა აყოლილი ლექსში: „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი, მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი"... ეს არის ქსოვა გალაკტიონის პოეტური სამყაროსი. იგი სამყარო უპირისპირდება „ნამდვილ", „ობიექტურ" რეალობას. და როდესაც ეს „ობიექტური" რეალობა ვიღაცის ხმით, შესიტყვებით, დაძახებით, „გამარჯობათი" თუ ხელის ხლებით იჭრება გალაკტიონის სამყაროში, გამოჰყავს იგი მარტოობის და „სხვად ყოფნის" მომაჯადოებელი სინამდვილიდან – გალაკტიონი სახეშეცვლილი შემოდის მასში. ხმაც ეცვლება, ლაპარაკიც უჭირს (მის ნამდვილ ყოფიერებაში ანუ ლექსთა ქსოვილ სამყაროში გალაკტიონის ხანდახანი ახმიანება მუსიკალურ ხმოვანებასთან შესიტყვებით სრულიად სხვა ტემბრისაა და სხვა ჟღერადობის).

გალაკტიონის ეს პირველი სვლა დროის, ფერთა, განათებათა და გარემოს გაშეშებულ ცვალებადობაში მხოლოდ ერთხელ დაირღვევა (ამ პირველ გავლაში, პირველ მოქსოვაში ამ ქსოვილისა: როდესაც გამზირზე ტაბახმელიდან წამოსული ქართველი იუნკრების მწყობრი გაივლის და მცირე ხანში გაშეშებული გალაკტიონის და ამოძრავებული გარემოს წინ მეთერთმეტე არმია შემოვა ქალაქში. წინ ცხენზე ამხედრებული იმ კაცით, რომელიც ადრე ვნახეთ ილიას მკვლელთა შორის...

ბათუმი

ქალაქში სროლის ხმა ისმის...

რეიდზე ჩამომდგარი გემების გემბანზე თავი მოუყრიათ ნოე ჟორდანიას და მის მთავრობას და ჩამოლამებული სახეებით გასცქერიან ქალაქს. ნელა მიცურავს გემი და იკარგება ჰორიზონტზე. გემის საყვირის ხმა, ვითარცა კივილი სულისა, ფარავს სროლის ხმას... გემები უჩინარდებიან...

თბილისი

გალაკტიონის პოეტთა მეფედ კურთხევა 1921 წლის 25 იანვარს.

ყველანი, ვისაც ვხედავდით „ქიმერიონში", და სხვანიც მთელი ქართული ელიტა...

უხილავი ძაფებით გადაქსოვილი უთვალავი ფერით აელვარებული სივრცე გრანდიოზული ტაძრისა, რომლის გუმბათს ქვეშ სერიოზულ და ამაღლებულ ანგელოზთა გუნდს შემოჰყავს გრძელ თეთრ სამოსში ჩაცმული გალაკტიონი. გალაკტიონი იჩოქებს ტახტთან. აღმოსავლურად გამოწყობილი მოგვები თავზე გვირგვინს ადგამენ, მდაბლად თავს უკრავენ, აჰყავთ შემაღლებაზე და სვამენ ტახტზე.

– დიდება მეფეს პოეტებისა... დიდება მეფეს...

მთელი ეპიზოდის განმავლობაში მხოლოდ გალაკტიონი ინარჩუნებს სერიოზულობას, მაშინაც კი, როდესაც პოეტური „გიჟმაჟობა" კარნავალურ იერს იძენს და იწყება დამათრობელი ჩაძირვა ამ კარნავალურ ყოფიერებაში... გალაკტიონი უცნაური სინათლით გაცისკროვნებული ზის ტახტზე, ვითარცა ნამდვილი მეფე – უფლებითა და რჩეულობით, მხოლოდ დროდადრო მის თავში შეირხევა აჩრდილი იმ, თავისი სამყაროსი და გაისმის შორეული ჰანგი... მაგრამ მხოლოდ ათინათად გაკრთება ამ კარნავალურ თავდავიწყებაში ჩაძირულ წამისყოფაში...

ამ კარნავალის კულმინაციაში, როდესაც ფერადოვანი ელვარება და მხიარულება მიაღწევს თავის თავდაუოკებელ ელვარებამდე, უეცრად ქარი იწყებს ქროლას. ქარი თანდათან ძლიერდება და გადადის გრიგალსა და თქეშში. ილუმპება

ირგვლივ ყოველივე, თალხდება ფერები, ცარიელდება საყდარი... ქრება სანთლები...

გალაკტიონი, კვლავინდებურად იდუმალი სინათლით განათებული და სერიოზული, ზის თავის ტახტზე, მერე ნელა დგება და გამოდის გარეთ.

თოვს...

ქალაქი დაცარიელებულია. ფოთოლდაცვენილი ხეების ტოტებში შეყუჟულან ბელურები.

მარტო, ყველასაგან მიტოვებული მიდის, თითქო მიიპარება ცარიელ ქუჩაში...

(განცდა: „უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა...)

თბილისი

1921 წელი. სტალინი ჩამოდის საქართველოში. შეხვედრა მუშებთან: კრება თვით სტალინმა გახსნა და დაიწყო იმით, რომ მიესალმა მუშებს ოქტომბრის რევოლუციის სახელით, აღნიშნა რა მათი მოწინავე როლი რევოლუციურ მოძრაობაში მთელ კავკასიაში.

ერთი ძველი მუშა წამოდგა და თქვა:,

– ამხანაგებო, უკეთესი იქნებოდა, ამხანაგმა სოსომ თავი გაანებოს თბილისის მუშების როლზე ლაპარაკს და სთქვას, თუ რისთვის შეკრიბა მან ეს ხალხი, თვითონ ის აქ ვინ მოიწვია; და რისთვის დაღვარეს აუარებელი სისხლი რუს და ქართველმა მუშებმა...

კრებამ მოლაპარაკეს ერთხმად მხარი დაუჭირა. მაშინ სტალინმა უეცრად ტონი შეიცვალა და დაიწყო თავის მართლება. სტალინის სიტყვები არ ისმის, მხოლოდ დამსწრეთა სახეზე ჩანს ამ სიტყვებით გამოწვეული რეაქცია და გაქვავებულ ჩეკისტთა „ნაჯახივით“ სახეები. სტალინი ამართლებდა მოსკოვის პოლიტიკას საქართველოსადმი და მთელ შეტაკებასა და სისხლის დაღვრისათვის დანაშაულობას საქართველოს ყოფილ მთავრობას აწერდა და მოათავა შემდეგი სიტყვებით:

– რისთვისა ღელავთ? ცუდი რა გიყავით? ჩვენ ვიცავთ თქვენს ინტერესებს, ყველა მუშის ინტერესებს, თქვენ კი ეს არ გესმით. თქვენ ხომ იცით, რომ ყველა მუშის ინტერესები ერთი და იგივეა. – გაათავა ლაპარაკი და დაჯდა.

სწორედ ამის შემდეგ ადგა მუშა ალექსანდრე დგებუაძე და მიმართა მას შემდეგი სიტყვებით:

– სოსო, შენ ჩვენ კარგად გვიცნობ და ჩვენც შენ კარგად გიცნობთ. ამ კრებაზე სრულებით საჭირო არ არის ერთმანეთის თვალის ახვევა. შენ გვიპასუხე კითხვაზე: ნუთუ ამისათვის იბრძოდნენ რუსი და ქართველი მუშები მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, რომ მისი მოსპობის შემდეგ ერთმანეთის სისხლი დაგვეღვარა?! და ვინ მიიყვანა საქმე აქამდე? განა ჩვენ დავეცით მოსკოვს, თუ, პირიქით, თქვენ შემოიჭერით სამხედრო ძალით, აიძულეთ რუსი და ქართველი მუშები სისხლი დაეღვარათ, რაც მათ სრულებით არ სურდათ. განა თქვენ რუსეთში ცოტა გაქვთ მოსანესრიგებელი საქმეები?! თქვენთან სიმშილია, სიცივე, მეზღვაურების აჯანყება ამის ნიადაგზე, და თქვენ კი მოძვრებით ჩვენკენ და არ გვაძლევთ შესაძლებლობას, ჩვენი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენ გვინდა. იმპერიალისტური ომი მოთავდა, თქვენ კი ისევ საშინელ ძმათამკვლელობის ომს აწარმოებთ. განა ეს მუშების ინტერესების დაცვაა?! მერე რა სახელით ხდება ეს?! რუს მუშებთან ჩვენ თვითონ მოვრიგდებით შენს დაუხმარებლად, – ისინი ჩვენ გაგვიგებენ და ჩვენც მათ გავუგებთ, შენ მხოლოდ გვიშლი და წყალს გვიმღვრევ... ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ჯარების გაყვანას ჩვენი ქვეყნიდან, ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობიანობასა და სისხლის ღვრის მოსპობას.

კრება მხურვალედ მხარს უჭერდა მის ყოველ სიტყვას. შემდეგ სხვებიც გამოვიდნენ, მათ შორის პირველი სათათბიროს დეპუტატი ისიდორე რამიშვილი... ყველა ლანძღავს სტალინს და ჯარების შემოჭრას საქართველოში... ბოლოს წამოდგა ძველი მუშა, მეტად სათნო და კეთილი კაცი, მივიდა სტალინთან ახლოს და უთხრა:

– სოსო, შემომხედე პირდაპირ თვალებში! გრძნობ და გამოტყდები თუ არა ყველა იმაში, რაც შენ აქ ჩაიდინე? შენ

ჩვენში არასოდეს არ გქონია თანაგრძნობა იმიტომ, რომ შენი საქმე და საქციელი ყოველი პატიოსანი მუშისათვის საზიზღარი იყო. შენ ამხედრებდი ჩვენს წინააღმდეგ საზოგადოების ყოველგვარ ნაძირალებს, რომელთა მეთაურიც შენ იყავი, და ამით ხელს უშლიდი ნამდვილ მოძრაობას. შენი საქმე აქ ბანდიტობა იყო, და ჩვენ მოგიშორეთ ჩვენი წრიდან, გაიძულეთ, საქართველოდან წასულიყავი. დიდი ხანია, რაც ჩვენ შენ აღარ გვინახიხარ; ჩვენ ამის მოხარულიც ვიყავით, ახლა კი მოხვედი და მერე რითი? ხელში იარაღით, მერე ვის წინააღმდეგ? ბურჟუებისა და არისტოკრატებისა? აქ ეს რა კრებაა? მუშებისა? მაშ, რა საჭიროა აქ შენი ჩეკისტები? (უჩვენებს ჩეკისტებზე. რომლებიც ყოველ კუთხეში დგანან), ასე მძიმედ რომ შეიარაღებულან? განა ეს მუშების კრებაა? განა ეს ის თავისუფლებაა, რომლისთვისაც ჩვენ ამდენ სისხლსა ვღვრიდით და თავსა ვნირავდით? არა, შენ ხარ მოძალადე. რა ეშმაკი ზის შენში?! ვისი შექმნილი ხარ? ადამიანისა თუ ეშმაკისა? მგონი, ეშმაკისა, მაშ, შორს ჩვენგან, სატანა, ნუ მოგვიახლოვდები!.. შენ ყოველთვის ბანდიტი იყავი და ბანდიტივე დარჩი, აი, რას გეტყვი მე შენ, სოსო!.. – თქვა თავისი სათქმელი და სწრაფად გაბრუნდა და გავიდა. დარბაზი გაინაბა. ჭექა-ქუხილს ელოდნენ. ჩეკისტები ბრძანებას უცდიდნენ.

სტალინი გამხეცებულია, მაგრამ არ იმჩნევს, გაფითრებული იღიმება და ვითომც არაფერი მომხდარაო, ხელს ავლებს ქუდს, ზურგს აქცევს კრებას და გადის თავის ამალასთან ერთად. ჩეკისტებიც გაუჩინარდნენ დარბაზიდან.

იმავე ღამეს მოიწვია სასწრაფოდ საქართველოს ცკ: შეცვალა „ლიბერალური“ ფილიპე მახარაძე და დანიშნა მაგარი ბუდუ მდივანი, უბრძანა რა ურჩების დაპატიმრება. „დედლებო! ეს რას ჰგავს, სადა სჩანს აქ ბოლშევიკური ხელი? აქ საჭიროა რკინის გავარვარებული უთო. მან მთელ საქართველოზედ უნდა გაიაროს, რომ ძირფესვიანად მოსპოს არსებული სული. აი, რა არის აქ საჭირო, თქვენ კი მათ ეფერებით“.

* * *

სტალინი, ორჯონიკიძე, და ორიოდ რუსი ბოლშევიკი, ერთი სამხედრო და ერთიც ტყავის ტყაპუჭიანი სხედან ოთახში. სტალინი წამოდგება და ნერვიულად დადის ოთახში... ერთხანს ყველანი გაჩუმებულები არიან...

– Надо обломать им клыки, – ამბობს უეცრად ორჯონიკიძე, – ისე მაგათ ვერაფერი ვერ გააჩერებს. რუკაზე წითელი ფანქრით აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილს ჩამოაჭრის და აზერბაიჯანს მიუერთებს... ბორჩალოს ნაწილსაც ასევე შემოხაზავს სომხეთის სასარგებლოდ.

– Да, надо подрезать их немножко, – ამბობს ტყაპუჭიანი.

– Правильное решение, – ამბობს სამხედრო.

– თუ არა და ჩაგვიშლიან მთელ საქმეს...

– მე ვიცი, რაც გააჩერებთ მაგათ... – შეჩერდა მოულოდნელად სტალინი, – Головоломку им устроить у них же. Я из них таких империалистов сделаю, что навсегда забудут о сепаратизме. Я им покажу кто завоеватель, и всему миру... всему мировому пролетариату! – იგი მაგიდაზე გაშლილ რუკასთან მიდის და აცქერდება. მერე წითელი ფანქრით აფხაზეთს შემოავლებს რკალს: მერე სამურზაყანოსა და სამეგრელოს ნაწილსაც შიგ ჩაურთავს და დააწერს: Абхазская ССР.

მერე შიდა ქართლს მიადგება, შემოხაზავს ნებისმიერად და დააწერს: Осетинская Автономная Область... – შეჩერდება და ზემოდან დააწერს: Южно, ახლა აჭარას მიადგება, ასევე შემოხაზავს და დააწერს – Аджарская Автономная ССР, – კმაყოფილი დახედავს რუკას და დააყოლებს – Пусть уклоняются сейчас! – ორჯონიკიძეს გადახედავს, – იხტუნონ ახლა და დანარჩენი მე ვიცი.

– Осетин тоже республикой надо бы выделить, – ამბობს ტყაპუჭიანი.

– რატომაც არა, – ამბობს ორჯონიკიძე

– არ შეიძლება, – ცივად ამბობს სტალინი, მერე უეცრად ჩაიცინებს ცინიკურად, თავისთვის ცივადვე:

– შოვინიზმს დამაბრალებენ...

– А согласится ли товарищ Ленин... – გაუბედავად კითხულობს სამხედრო...

– Согласится! – ერთხმად პასუხობენ დანარჩენები.

თბილისი, 1922 წ.

სატვირთო მანქანების გრძელი რიგი შემოდის ერთ-ერთ ქუჩაში და ჩერდება. მანქანებიდან ჯარისკაცები გადმოხტებიან და მოეფინებიან ეზოებსა და სადარბაზოებს. ოპერატიულად, საქმიანად, უსიტყვოდ გამოჰყავთ მაცხოვრებლები და ავსებენ მანქანებს. მოჰყავთ მიმდებარე ქუჩებიდანაც. ქართველები, სომხები, ქურთები, ბერძნები, რუსები თუ სხვა მაცხოვრებელი ჭრელი თბილისური უბნისა...

დააკაკუნეს იმ ბინაშიც, სადაც მანდელშტამები, ოსიპი და ნადეჟდა იყვნენ. დაბნეულები და შეშინებულები უყურებენ ჯარისკაცებს შემოყოლილ ტყაპუჭიან ჩეკისტს.

მასპინძელი ამბობს:

– Я нахожусь в командировке, из Москвы...

– Вот ваш новый ордер, будете жить по этому адресу, - შეხედავს შეშინებულ მანდელშტამებს, – А они кто?

– Гости из Петербурга... поэт Осип Мандельштам с супругой...

– Ваш адрес?

– Временно здесь проживаем у Товарища ...

– Следуйте за мной, – გააწყვეტინა სიტყვა ტყაპუჭიანმა... მანდელშტამები დაიძრებიან, მაგრამ ტყაპუჭიანი მკაცრად გადმოუგდებს თავმოუბრუნებლად:

– С вещами...

ყველანი ქუჩაში გამოდიან. გასახლებული ხალხით დატვირთული მანქანები თანდათან აცარიელებენ ქუჩას.

შესასვლელთან მდგარ პატარა საბარგო მანქანასთან მიდიან. თავიანთი საცოდავი ტოპრაკებით. ტყაპუჭიანი ამბობს, – Погружайтесь, – და, როდესაც ისინი ბარგს ძარაზე შეაგდებენ და ძლივს აბობღდებიან, ეკითხება:

– Вам куда? – მოულოდნელი იყო ეს კითხვა და მანდელშტამები გაოცებული შეაჩერდებიან ერთმანეთს.

– Вам куда? Ваш Адрес?..

– Дом искусства! – ერთად აღმოხდათ ჯერ კიდევ გაოგნებულ მანდელშტამებს. ფანჯარაში მძღოლმა გამოყო თავი, გაიცინა და თავი დაიქნია: „ხელოვნების სახლი"?! – მანდელშტამებს კიდევ უფრო გაკვირვებული გამომეტყველება აღებეჭდათ სახეზე... მძღოლი ზანგი იყო.

მანქანამ გადასერა აფორიაქებული თბილისის ქუჩები და ხელოვნების მუშაკთა სახლს მიადგა. მანდელშტამები გადმობარგდნენ. ზანგი მძღოლი ბარგს შენობაში შეუტანს და სულ ისევე გაცინებული სახით თავს უქნევს მათ, ხელს ართმევს და მიდის. მანდელშტამები მარტონი რჩებიან შენობაში. ერთხანს იცდიან და როდესაც არავინ გამოეგებებათ, იწყებენ სხვადასხვა კარის შეღებას. ერთ-ერთ კაბინეტს აირჩევენ და შიგ განლაგდებიან. ბარგს ამოალაგებენ, ორიოდ ტანსაცმელს ჩამოკიდებენ და შემდეგ ქალაქში გამოდიან.

მანდელშტამების მიერ დაკავებულ კაბინეტში ვიღაცამ შემოყო თავი და გაკვირვებულმა წამოიძახა:

– ვაჰ! ეს რა ამბავია!

– კაცო, ვინ არიან ეგენი, აგრე დაუკითხავად რომ შემოგვისახლდნენ! რა უფლებით! – გამოეპასუხა სხვა.

– წადი, ამხანაგ კომისარს შეატყობინე! მე მაგათ ვუჩვენებ სეირს! – შემობრუნდა პირველი, – მოიცა, ერთად ავიდეთ!

კომისრის ოთახში მაგიდასთან ზის რუსი მოხელე – კომისარი ბრეხნიჩევი. „ხელოვნების სახლის" ორი მუშაკი მორიდებით შედის ოთახში და როდესაც საჭირო პაუზის შემდეგ კომისარი თავს წევს, თითქმის ერთხმად ეუბნებიან:

– Товарищ комиссар, там какие-то русские без разрешения окупировали кабинет в Доме искусства, ни ордера, ни приказа вашего, непорядок! товарищ комиссар...

ბრეხნიჩევი საქმიანად დაფიქრდება და მერე მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს:

– Выгоните вон! Какие еще там русские!

საღამოთი დაღლილი მანდელშტამები მოადგებიან ხელოვნების სახლის კარებს. კარები დაკეტილია. კარების წინ კი მათი ბარგია გამოდებული.

მანდელშტამი აბრახუნებს კარებზე. კაცი არ ჩანს. კიდევ უფრო მაგრად ანჯღრევს კარებს. კარს უკან ვიღაც გამოჩნდა.

– რა გნებავთ? რას ანგრევთ კარებს?

– Откройте! Мы русские поэты!

– Какие еще поэты! არ არის ადგილი!.. Ордера нет у вас, разрешения, без этого нельзя!...

– Откройте, Впустите нас... не на улице же ночевать?! Женщина со мной...

ხმაურზე სახლმა გამოცოცხლება დაიწყო. აქა-იქ ცნობისმოყვარე სახეები გამოჩნდნენ. ხალხის მომრავლებამ აიძულა შეუვალი ბიუროკრატი, კარები გაეღო და ისე დალაპარაკებოდა მანდელშტამს. კარების გაღებისთანავე ცოლ-ქმარი შიგნით შევიდა, მიუხედავად მოსამსახურის პროტესტებისა... და ამ დროს კიბეებზე გამოჩნდნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. ეს გამოჩენა ისეთი „მეფური“ იყო, რომ ყველამ თვალი მიაპყრო მოლოდინით.

პაოლო დინჯად დაეშვა კიბეებზე, ხმაამოუღებლად. მოსამსახურემ ერთგვარად შეცბუნებულმა მისკენ მიიწია:

– ამხანაგო იაშვილო, უწესრიგობაა; განათლების კომისარიატიდან გვიბრძანეს, არ შეუშვათო, ორდერი არა აქვთ, ამხანაგმა ბრეხნიჩევმა...

პაოლო არც კი უსმენდა. ისევე მეფურად, ძლიერი ხელით მიაგდო ატლიკინებული მოსამსახურე გვერდზე და მანდელშტამების ბარგს დასწვდა.

Кто посмеет выставить за дверь гостей “Голубых рогов”? Здесь мы хозяева!.. Пожалуйте!

საღამოა. ხელოვნების სახლის ეზოში, ტერასაზე სხედან პაოლო, ტიციანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი... და მანდელშტამები.

როგორც ჩანს, გაცხარებული კამათი მიმდინარეობს, რადგან ვიდრე ახლოდან დავინახავდეთ, რა ხდება, პაოლო რამდენჯერმე წამოვარდება, ასევე წამოვარდება მანდელშტამიც საპასუხოდ...

– Какой должна быть поэзия? Да может, она совсем не должна, никому она не должна, кредиторы у нее фальшивые!

– Слова, слова... Стихотворение живо внутренним образом, тем звучащим слепком формы, который предворяет написанное стихотворение, ни одного слова нет, а стихотворение уже звучит... Так вот надо выслушивать это звучание, а не выискивать обозначения...

მიახლოებისას ისინი ისევე სხედან, ხოლო ტიციანი კითხულობს ამ სტრიქონებს:

„მე მინდა გითხრა სამძიმარი,
რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.
ჩამოდი ჩვენთან, მე მგონია
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და მშვენება
გიშველის ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი...
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
ლოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.“

– Да, да, но многим любителям русского символизма невдомек, что это – огромный махровый гриб на болоте девяностых годов, нарядный, множеством риз облаченный... Самое удобное измерять нашу поезию градусами поезии Блока..., но... всегда будет любопытно и загадочно, откуда пришел поэт Блок...

– Да кто вы такой, чтоб нас учить?! – აენთო უეცრად პაოლო. ახალგაზრდები უხერხულად იშმუშნებიან – Надо еще дорости до Символизма...

საიდანღაც მოვარდნილმა ქარმა აშალა დაცვენილ ფოთოლთა ჯარი და შეარხია ჭადრის ვეება ტანი. ცივი მთვარე გაეჩხირა ჭადრის ტოტებში. ვიღაცის ლანდმა ჩაიარა ეფემერულად და მოსწყდა ადგილს ლურჯა ცხენების რემა... მანდელშტამმა გადაიტანა საუბარი:

– А вот откуда идет это? Этот ураган слова, пронесшийся по Грузии, с корнем выкорчевывающий деревья?

Твои встречи – люди мирные,

Непохожие на воина –

Темнокурый враг железо ест

И деревья выкорчевывает...

– Ну, это уже совсем другое, это – гений, – ამბობს პაოლო.

– Он идет из самых недр грузинской поэтики – это и есть ГЕНИЙ! – ამბობს ტიციანი.

– Да, гений, все, что он говорит, невольно становится образом, но ему мало слова – он его как бы рвет зубами на части, широко пользуясь и без того страстным темпераментом грузинской поэтики...

თანდათან ისევ შორდება თვალი და შორდება ყურთასმენას პაოლოს ხმაც: აი, ის მაგმა, რომლიდანაც ინდივიდუალური პოეტური პიროვნება ყალიბდება. ესაა სახლი, რომელშიც ოსტატის ყოფიერება შლის ფრთებს. როგორ გინდა, გადაიტანო ეს...

გალაკტიონი, რომელიც მოშორებით მჯდარი ხმას არ იღებდა, ასევე უხმოდ დგება და მიდის...

პაოლო კითხულობს:

„მოყმემან პირშიშველამან,

შიბნ გაიარნა მთისანი,

გადინადირნა, ვერ მახკლა,

ვერცა ირემი რქიანი,

გზად ვეფხვი შამაეყარა...“

ქარი არ ცხრება და სულ უფრო ძლიერად აშრიალებს უზარმაზარი ჭადრების ტოტებს....

გალაკტიონი მძიმედ ამოდის კიბეებზე. ქარი ქრის და კვლავ აეშვა ჭენებით ლურჯა ცხენების რემა...

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით..."

ისევ დარბიან მოსამსახურენი:

– Товарищ Комиссар... Там какие-то русские без разрешения окупировали кабинет в Доме Искусства, ни ордера, ни приказа вашего, непорядок, Товарищ Комисар...

კანდელაკი საქმიანად დაფიქრდება და მერე მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს:

– Выгоните вон! Какие еще там русские!

საღამოთი დაღლილი მანდელშტამები მოადგებიან ხელოვნების სახლის კარებს. კარები დაკეტილია. კარების წინ კი მათი ბარგია გამოდებული.

მანდელშტამი აბრახუნებს კარებზე. კაცი არ ჩანს. კიდევ უფრო მაგრად ანჯღრევს კარებს. კარს უკან ვიღაც გამოჩნდა.

– რა გნებავთ? რას ანგრევთ კარებს?

– Откройте! Мы русские поэты!

– Какие еще поэты! არ არის აქ ადგილი! Ордера нет у вас, разрешения, без этого нельзя!..

– Откройте! Впустите нас... не на улице же ночевать! Женщина со мной...

ხმაურზე სახლმა გამოცოცხლება დაიწყო. აქა-იქ ცნობისმოყვარე სახეები გამოჩნდნენ. ხალხის მომრავლებამ აიძულა შეუვალი ბიუროკრატი, კარები გაეღო და ისე დალაპარაკებოდა მანდელშტამს. კარების გაღებისთანავე ცოლ-ქმარი შიგნით შევიდა, მიუხედავად მოსამსახურის პროტესტებისა... და ამ დროს კიბეებზე გამოჩნდნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე. ეს გამოჩენა ისეთი „მეფური" იყო, რომ ყველამ თვალი მიაპყრო მოლოდინით.

პაოლო დინჯად დაეშვა კიბეებზე, ხმაამოუღებლად. მოსამსახურემ ერთგვარად შეცბუნებულმა მისკენ მიიწია:

– ამხანაგო იაშვილო, უწესრიგობაა; განათლების კომისარიატიდან გვიბრძანეს, არ შეუშვათო, ორდერი არა აქვთ, ამხანაგმა კანდელაკმა...

პაოლო არც კი უსმენდა. ისევე მეფურად, ძლიერი ხელით მიაგდო ატლიკინებული მოსამსახურე გვერდზე და მანდელშტამების ბარგს დასწვდა:

– Кто посмеет выставиь за дверь гостей "Голубых Рогов"! Здесь мы хозяева!.. Пожалуйте!..

დახურული სატვირთო მანქანა მიქრის თბილისის ქუჩებში:

მანქანის ძარაში ხელ-ფეხზე ხუნდებდადებულები სხედან ჯერ კიდევ სამხედრო განმასხვავებელი ნიშნებით შემოხეულ ფორმებზე, სასტიკად ნაცემ-ნატანჯი 1922 წლის აჯანყების მეთაურები: ალ. ანდრონიკაშვილი; გენ. ვარდენ წულუკუძე; კოტე აფხაზი; პოლკ. გიორგი ხიმშიაშვილი; პოლკ. როსტომ მუსხელიშვილი; მიხეილ ზანდუკელი; სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი ოფიც. ფარნაოზ ყარალაშვილი; იასონ კერესელიძე; ივანე ქუთათელაძე; სვიმონ ჭიაბრიშვილი; პოლკ. ალექსი მაჭავარიანი; პოლკ. ელიზბარ გულისაშვილი; ოფიც. ლევან კლიმიაშვილი; პოლკ. დიმიტრი ჩრდილელი – დაძაბული სიჩუმეა მანქანაში. ხანშიშესულები უაღრესად მშვიდი და ნეტარი სახეებით სხედან თვალმილულები. ახალგაზრდები კი ანთებული თვალებით შესცქერიან ბადრაგს და ლამის არის, თვალებით გამოღადრონ ყელი. ბადრაგის დამცინავი მზერა კიდევ უფრო ახელებს მათ.

ერთ-ერთ მოსახვევთან მანქანის წინ უზარმაზარი დოგი აღიმართა. გაავებული ყეფით შეახტა მას და მიაწყდა წინა შუშას. შეშინებულმა მძღოლმა საჭე მკვეთრად მოაბრუნა და მოულოდნელად და მკვეთრად დაამუხრუჭა. ყველანი ჩაკეტილ კარებს მიაწყდებიან და მიასრისავენ ბადრაგს ისე, რომ ხელის განძრევას ვერ ასწრებენ ჯარისკაცები. კარები იღება. კარებთან მყოფნი გადაცვივდებიან გარეთ.

წამიერი ყოვნი, როგორც გაელვება განწირული გადაწყვეტილების წინაშე ყოფნისა...

– ღმერთი გფარავდეთ... – ჩურჩულებს კოტე აფხაზი.

მუსხელიშვილი წამოდგომას ცდილობს, მაგრამ... ფეხი აქვს მოტეხილი... მაინც წამოვარდება და გარბის. მას უკან მისდევს უზარმაზარი დოგი, თითქოს იფარავსო თავისი სხეულით;

სხვა მხარეს გარბიან ახალგაზრდა ოფიცრები...

მაგრამ გონსმოსული ბადრაგი უკვე გამოუდგა მათ. მუსხელიშვილის დაწევა არ იყო ძნელი, მაგრამ რამდენჯერაც სცადეს გამოკიდება, დოგი იმდენჯერ მრისხანედ შემოუბრუნდა და, მაშინ სროლა ასტეხეს ჯარისკაცებმა. დოგმა ორ ტყვიას გაუძლო, და მძიმედ მაინც მიათრევდა სხეულს თავისი პატრონის დასაფარავად. მუსხელიშვილსაც მიეწია ტყვია და იგი მოსხეპით დაემხო ქვაფენილზე. დოგი მძიმედ შედგა. საწყალობლად შეჰყმუვლა. მერე უსულოდ დამხობილს პირი ჩაავლო და თრევა დაუწყო...

ტყვიამ შიგ თავში გაუარა და სისხლის შხეფები დააწვიმა მუსხელიშვილის უღონოდ დამხობილ სხეულს...

უმოწყალოდ გათელეს ფეხებით, ვიდრე აათრევდნენ და მანქანისაკენ წაათრევდნენ. დანარჩენი გაქცეულები, რა ეს დაინახეს, შედგნენ... მერე მანქანისაკენ დაიძრნენ ისეთი სახეებით, რომ მათ დადევნებულ ჯარისკაცებს შეეშინდათ: ჯერ შედგნენ, და მერე მანქანისაკენ დაიწყეს დახევა; ისროდნენ, მაგრამ შიშისაგან აცახცახებულნი ვერ ახვედრებდნენ. ასე დაბრუნდნენ მანქანასთან გაქცეულები და ავიდნენ ძარაზე. სასწრაფოდ ჩარაზეს კარები...

მანქანა დაიძრა.

მთელი ამ ამბის განმავლობაში არავინ გამოჩენილა და არც სინათლე ანთებულა ფანჯარაში. მხოლოდ, როდესაც მანქანა გასცდა მოსახვევს და სხვა მოსახვევში თვალს მიეფარა, დაინახავდა კაცი მოშორებით, აჩრდილივით კედელს აკრულ რამდენიმე კაცს კარგად შეიარაღებულს... მანქანამ ვერ მიაღწია დანიშნულ ადგილამდე...

თბილისს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი "M-I". მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

(ეს მანქანა დროდადრო ჩნდება, ჩაივლის და გაუჩინარდება...)

სოფლის სასაფლაოზე ხალხი შეუკრებიათ და აყურებინებენ საფლავების ამოთხრას. ერთი აქტივისტი განსაკუთრებული აღგზნებით უვლის გარს სახეჩაღამებულ გლეხებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ბავშვებსა და ქალებს და ყველას საფლავებისკენ ახედებს: „ესაა თქვენი წმიდათა წმიდა? ამაზეა რომ ლოცულობთ? აბა თუ სასწაულის მოხდენა შეუძლიათ მაგათ, ახლა მოახდინონ სასწაული? აბა რამე მიქნას თქვენმა ღმერთმა! თქვე ბნელებო! უზნეო და ბნელი სამღვდელოების გაბრიყვებულებო!..“

მივარდება საფლავს, ჩახტება შიგ, ამოყრის ძვლებს, ამოხტება, ძვლებს აქეთ-იქით ისვრის და ყვირის:

– აბა რამე მიყოს თქვენმა ღმერთმა! აბა მიქნას რამე თქვენმა წმინდანმა!.. ბნელებო... ბნელებო... მიქნას რამე!

ერთი თეთრწვერა მოხუცი მშვიდად მიემართება და აიღებს ერთ ძვალს, მერე მეორეს და ასე აგროვებს, მერე წამოიმართება აღგზნებული აქტივისტისკენ სახით და ამბობს:

– მეტი რაღა უნდა გიქნას, გადოუყვანიხარ ჭკუაზე, ბაბაია!..

მაგრამ მართლაც გაგიჟებულს არაფერი ესმის და ყრის საფლავებიდან ძვლებს და გაუჩერებლად ყვირის: „აბა მიქნას რამე! აბა მიქნას რამე! აბა მიქნას რამე!..“

სახეგაცრეცილ განაწამებ კათალიკოს ამბროსის კვადრატულსახოვანი გამომძიებელი ქაღალდს უფრიალებს ცხვირწინ და სახეში ჩასძახის რაღაცას, მაგრამ მხცოვან, ღონემიხდილ კათოლიკოსს არაფერი ესმის მისი სიტყვებიდან; მხოლოდ სახეს ხედავს თავისი თვალების წინ. ხმა ლოცვისა და გალობისა ავსებს კათოლიკოსის არსებას: და რაღაც მომენტში სიცხადე ვითარებისა გამოარკვევს თითქოს. შინაგანი ხმები წყდება. წამიერ დუმილში ისმის ღრიალი მწვალებლისა: სთქვი! სთქვი! სთქვი, ვიდრე წამებით ამოგაღებინებდე ენას!!!

და კათოლიკოსი საოცრად მშვიდი და ნაწამები მოხუცისათვის მოულოდნელი სიმტკიცით ამბობს:

– სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – სამშობლოს, ხოლო ჩემს მძორს რაც გინდოდეთ, ის უყავით. – შებრუნდება და დაიჩოქებს ღრმა ლოცვაში წასული...

შეფიცულების ბანაკში ცეცხლს უსხედან ნაბდებში გახვეული ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი შეფიცულებით და მღერიან... ეს მცირე გუნდი, შემოკრებილი სადღაც ტყეში და ღამეში დაკარგულ ცეცხლის ირგვლივ ჩამოწოლილ სიბნელეში ვარსკვლავივით ჩანს და ერწყმის ცის უსასრულო ნათებას...

მარტოობის ქარები

სერგეი ესენინი იღვიძებს თავის ღარიბულ ოთახში, თბილისში. თავი უსკდება ნამთვრალევს და თვალის გახელა უჭირს. ცდილობს, ხელის ფათურით ბოთლი მოიხელთოს. ოთახში შემოპარული პაოლო ჩუმად შეუცვლის წყლის ბოთლს არყით და კარებისაკენ მიბრუნებული თვალს ჩაუკრავს კარებში ბრემენელი მუსიკოსებივით ნიღბებში ერთმანეთზე შესკუპებულ პოეტებს – ტიციანს, ვალერიან გაფრინდაშვილს, და სხვებს... ესენინი, როგორც იქნა, ბოთლს მოიხელთებს და მიიყუდებს. წყლის მაგივრად ყელში გადასული არაყი ელვასავით დაუვლის ტანში და წამოაგდებს საწოლიდან. ერთბაშად გახელილი გაფართოებული და ცრემლმორეული ცისფერი თვალების მზერაში ჰალუცინაციასავით გამოჩნდებიან ბრემენელი მუსიკოსები და მათ წინ ბახუსის ყანწით ხელში პაოლო – ყურძნის აკიდოების გვირგვინით თავზე. ბრემენელი მუსიკოსები მღერიან, ხოლო ბახუსი-პაოლო კი რიხიანად ამბობს

„ – გათავდა ნადიმი, სად არის მხლებელი!

ცხენები მზად არის? – თავადო, გელით.“

ესენინის ცისფერთვალება სახე გაოცებული ბავშვის გამოხედვით ერთხანს რჩება ცოცხლად ეკრანზე;

მთვრალი ესენინი ამბობს ლექსს...

მთვრალი ტიციანი:

„გაუხედნავი კვიცი იყავი, და სისხლიანი, როგორც ჩაღატარ...“

მთვრალი პაოლო ხარშავს კეპკას;

კუთხეში გაუთავებლად სკდება ღრიალით არღანი... და ამ ღრიალში ისმის ქარის სისინი; გამყინავი, ძვალსა და რბილში, ძარღვებში რომ იჭრება გაყინული სიმივით...

შორიდან ჩანს განათებული დუქანი და ისმის შემაღონებელი ხმა მოღრიალე არღნისა...

გალაკტიონი და ოლიკო ფეხშიშველები „მობოდიალებენ“ შემოდგომის მრავალფერი ფოთლებით მოფენილ ბაღში. მსუბუქი ნიავი აშრიალებს ფოთლებს და როდესაც რომელიმე მათგანი ფეხით ძლიერად აფანტავს, ფოთლები ერთხანს უზარმაზარი, ზღაპრული პეპლებივით ფარფატებენ ჰაერში... ჰაეროვან ამჩატებულები, ოლიკო და გალაკტიონიც ფარფატებენ თითქოს ათასფერი ათინათებით აცისკროვნებულ სივრცეში და ამ თავბრუდამხვევ ბრუნვასა და ცურვაში ისმის ბაგეთა ოდნავი შერხევით წარმოთქმული:

ოლიკო – ო, შორეული საუკუნეები გადაიხდიან გალკის საიუბილეო ზეიმსაც. მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით ამქვეყნად და შიში მიპყრობს, რომ ჟამთა ვითარებამ არ წარყვნას იმ დროისათვის გამოუქვეყნებელი გალკის ნაწარმოებები და არ დაამახინჯოს ისინი...

გალაკტიონი – კარგია, როცა ლამაზი ქალი სიყვარულს გიხსნის...

თოვლის ფანტელებით ივსება ჰაერი, მაგრამ მათ მოძრაობაში არაფერი იცვლება, კვლავ განაგრძობენ აცურებას...

– რა მშვენივრად მიდის ეს ზამთარი ჯერჯერობით...

– არის ჯიოკონდას ბაგეები და არის ქალის – მარსელიეზას მომღერალი ქალის დაღებული ხახა... ორივეში სხვადასხვა ხანაა გამოხატული...

სინათლისა და თოვლის ნარევი თანდათან მკრთალდება... იცრიცება სიმკვეთრე სხეულთა და თვით ისინი იძენენ გამჭვირვალებას... ტონალობაც იცვლება საუბრის...

– უდარდელი ახლა ჩიტიც აღარ არის...

– მკვდარი ჩიტის დამარხვა უყვართ ბავშვებს...

– მე სულ სხვა ვარ...

– შენ სულ სხვა ხარ

– შენ სულ სხვა ხარ...

* * *

სტალინის სახლ-მუზეუმი. „მაგიური" ოთახი. ოთახში ვიღაც დადის, სიცივისაგან ორთქლის ოხშივარი ასდის იქაურობას. ამ შეორთქლვისა და გაყინულ გარემოში ისახება ტახტზე მჯდომი თვალდახუჭული პილატე და მის წინ მდგარი სილუეტი ქრისტესი.

პილატე – ესე იგი, მეფე ხარ.

იესო – შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა. ყველა, ვინც ჭეშმარიტებიდანაა, ისმენს ჩემს ხმას.

პილატე – რა არის ჭეშმარიტება?

ქრისტე ჩუმად იღიმება.

ოთახის სიღრმეში მდგარი საწოლიდან ახალგაზრდა სტალინი წამოვარდება და ქრისტეს გასწევს:

– ძალაუფლება, ძალაუფლება.. ძალაუფლება... – მაგიური ოთახი ნათდება მჭახედ და აკანკალებული სტალინი მოუხმობს მშველელს: დედა, დედა... – ყვირის ის. კეკე თავს წამოადგება და გულში იკრავს. სტალინი წყნარდება და კეკეც იცინის... იცინის და მის ნაცვლად ეშმაკის მარადიული გამყინავი სიცილით, უხმოდ და ცივად, თეთრად სწევს თავს სატანა:

– ახლა რაღა გინდა, ძალაუფლება ხომ გაქვს...

ხანდაზმული სტალინი უეცრად გამოფხიზლებული, თითქოს ხელში ჩაიგდო ის, ვინც სურდა, მშვიდი ხმით:

– არა, ჯერ არა...

– ამიხსენი... შვილო... – სტალინი ჩაიცინებს და საწყალობლად შეხედავს:

– ძალაუფლება მაშინ იქნება ჩემი, როდესაც ის, რაც მათ საკუთრებას შეადგენს, ჩემს საკუთრებად იქცევა, როდესაც ისინი ნებით მომცემენ იმას, რასაც მე ძალით ვართმევდი... მაშინ... მაშინ...

ეშმაკი სიცივისაგან გაშეშდა:

– არც ერთ ჩემს ჩამომავალს არ მოსვლია ჯერ ეგ თავში... რა დედამ გშობა? თუ სწორად მიგიხვდი, რასაც ფიქრობ...

– მე ყველა დედის შვილი ვარ და ყველა შვილის მამა – არ იცი განა?! შენს ნაშიერებს არ ვეკუთვნი, რადგან მე თვითონ შენ ვარ. შენ პირველმა დამითმე ის, რაც შენ გეკუთვნოდა განუყოფლად – უღმერთობის ძალა და უშიშრობა. შენ ვერასოდეს ვერ შეძელი ბოლომდე გახსნა, შენი ძალის სრულად გამოვლენა, რადგან ღმერთის სადიდებლად იყავი ღმერთისვე მიერ დადგენილი, კაცთა მაცდურად... და გეშინოდა, მარადისობა არ დაგეკარგა. მე კი, მე თვით მარადისობა მოვსპე და მით თავად ძალაუფლებად ვაქციე ჩემი თავი, ჩემი სახელი... არა! ჯერ არა... მაგრამ კიდევ ერთი ნაბიჯი, ერთი მცირე გადაბიჯება და მოსული ვარ, მოსული ვარ სამარადისოდ – სიცოცხლითა სიცოცხლის მკვლელი, მარადისობის აღმდგენელი მარადისობის სრული მოსპობით... დრო იმეფებს და დრო კი მე ვარ...

ჩაიხითხითა ეშმაკმა და თავი გაიქნია: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – სამშობლოს, ხოლო ჩემს მძორს რაც გინდოდეთ, ის უყავით“, – თქვა და სტალინის გაოცებული მზერა რომ დაიჭირა, ისე გადაიხარხარა, რომ ძარღვებში სისხლი გაუყინა უეცრად დაპატარავებულ სტალინს.

– მაშინ ყველა უნდა მოსპო...

– მოვსპობ!

– ყველა და შენი საკუთარი თავიც

– მოვსპობ!

– ძალაუფლებაც გაქრება... და ჭეშმარიტებაც...

– მე ვარ ჭეშმარიტება და ძალაუფლება და არა სხვა, შენებრ მაცდური ძალა; ამას ვერ მიხვდი შენ.

– რა აქვს პოეტს?
– შთაგონება...
– რა აქვს ხელოვანს?
– ხელოვნება...
– რა აქვს მეცნიერს?
– მეცნიერება...
– რა აქვს ბრძენს?
– სიბრძნე...
– რა აქვს მღვდელს?
– რწმენა...
– რა აქვს გლეხს?
– ?
– რა აქვს მუშას?
– ??
– რა აქვს ინტელიგენციას?
– ???
– რა აქვს მამას? – მამობა! რა აქვს შვილს? – შვილობა! და კიდევ....
– ჯაჭვები... ჯაჭვები... ჯაჭვები... შენ მათ ჯაჭვებს დაისაკუთრებ! – ხითხითებს ეშმაკი.
– ჰო! მაგ ჯაჭვების ერთადერთი მფლობელი და მბრძანებელიც მე ვარ თავად...
ეშმაკი უეცრად საოცრად თბილად ჩაიკრავს სტალინის თავს მკერდში. სტალინი სიცივისაგან სულ ცახცახებს. ეშმაკი, დედად გადაქცეული, ეფერება და ეუბნება: „შენ სიკვდილის შიშს შეუპყრიხარ... სიკვდილის ორეული გამხდარხარ შენ... ჩემი კი არა.... გინდა, რომ ყველას ეშინოდეს, ყველას სციოდეს, ყველა კანკალებდეს და თუ ყველას შეეშინდება – შენ გახდები იმ ერთადერთის ერთადერთი მესაკუთრე, რომელიც ასე გაშინებს და ძილს გიფრთხობს – სიკვდილის, – ჩასჩურჩულა ისე, რომ სიცივე ამ სიტყვისა ნისლად შემოეხვია თავზე და სახე დაუმალა სტალინს, – და მაშინ ყველა შენ დაგემსგავსება და თუ ყველა შენ დაგემსგავსა... მაშინ გადარჩი... სიკვდილი ველარ მოგაწვდენს ცელს, ველარ გიპოვის... ვერასოდეს... ვერასოდეს... ვერასოდეს...“

თბილისს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი “M-I”. მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

გალაკტიონი ოლიკოსთან ერთად დაბორიალებს ქალაქში... ღამეა...

– ადამიანის ბედნიერება თვითონ მასზეა დამოკიდებული...

– რა უნდა ვქნა ახლა?

– ადამიანი თავისუფალია თავის სიცოცხლეში და არავითარი ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს, თუ არსებობს შეგნება, თვითვე შეჰქმენი პირობები, თვითვე გამოსჭედე ბედი! – ამ ქვეყანაში მუდამ მხიარულება მხოლოდ სულელს შეუძლია, ბრმაც რომ არის და ყრუც...

– არა, ჩემო... არა... მე უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნია მხიარული ბრმა და ყრუ...

– ღამით ცხოვრებას რა სჯობია, ღამით ვიცხოვროთ, დილით მოვისვენოთ...

– შენს მარტოობას ვერვინ გაიგებს...

თბილისს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი “M-I”. მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

გერმანია. მიუნხენი (ქრონიკა)

ნაც-სოციალისტების მიერ მოწყობილ გამოფენაზე, რომელსაც “Entartete art” ჰქვია. ნაცისტური იდეოლოგიის მიერ დაგმობილი თანამედროვე ხელოვნებაა გამოფენილი.

გახსნის დღე. მასა ირევა. ჰიტლერი, გებელსი და სხვანი ათვალიერებენ გამოფენას... პარალელურად გამოფენილია

„დიადი ნაცისტური“ ხელოვნება – ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიით ნაკურთხი...

მოსკოვი.
სამხატვრო თეატრი
გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ ფინალი. აღფრთოვანებული მაყურებელი. ყვავილები და ტაში... ვიღაც კაცი მიდის ახმეტელთან და რაღაცას ეუბნება. ის თავის მხრივ მიდის სხვებთან. ყველა აღფრთოვანებით თანხმდება. დარბაზი იცლება. ფარდა დახურულია. უეცრად იღება ყველა კარი და ჩრდილებივით კარებში აიტუზებიან წამით და გაუჩინარდებიან, თითქოს ჩაეზარდნენო კარებს შეიარაღებული მამაკაცები. მთავარი ლოჟის ფარდა ოდნავ შეირხევა. სტალინი ზის ლოჟაში. ფარდა აიხადა და დაიწყო ერთადერთი სპექტაკლი მსოფლიო თეატრის ისტორიაში – ტრიუმფის შემდეგ ერთი მაყურებლისთვის გამეორებული...

თბილისი. 1936 წ.
ოპერის თეატრი
ევგენი მიქელაძე დირიჟორობს „აბესალომ და ეთერის“.
აბესალომისა და მურმანის დუეტის ტრიუმფალური შესრულების შემდეგ დარბაზი ინგრევა ტაშით. მთავრობის ლოჟიდან ნელა ჩნდება ბერიას სახე. ხალხი შენიშნავს მას და უკვე მისკენ მიბრუნებული, რაღაცით მასვე დამგვანებული, ბერიას უკრავს ტაშს. თითქოს თავისთავს უკრავდეს ტაშს...
ბერია ოდნავ გადაიხრება დირიჟორისაკენ და თავის დაქნევით ანიშნებს – „გაიმეორეთ!“, მაგრამ ამ ბრძანებას ევგენი არავითარ ყურადღებას არ აქცევს – „ვერ ხედავს“ ბერიას. ბერია ჩურჩულებს, ისე კი, რომ გასაგონი იყოს: „გაიმეორეთ!“ – არავითარი რეაქცია ევგენის მხრიდან. ორკესტრანტები ევგენის მისჩერებიან, თანაც უხერხულად იშმუშნებიან. ბერია მთლად გამოვიდა ლოჟის ფარდის წინ, გადმოიხარა ორკესტრისაკენ და ხმას აუწია: „გაიმეორეთ! გაიმეორეთ!“ ევგენიმ უახლოეს მუსიკოსს შეხედა, თვალი ჩაუკრა და საკმაოდ გასაგონად სთქვა:

„აქ მე ვარ უფროსი!" და განაგრძო ოპერის შემდეგი სცენა...

ბერიას სიკვდილის ფერი დაედო და შეიწია ფარდის სიბნელეში. დარბაზში ზოგიერთები კიდევ უფრო დაემგვანენ მას; სხვებმა კი თავისი სახე მიიღეს უფრო მკვეთრად...

თბილისს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი "M-I". მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

ქუჩები ცარიელია. წვიმს...

ორნი მიდიან ქუჩაში... მდუმარედ. მხოლოდ ფეხის ხმა ისმის...

– ნუ გამოხვალ... დაანებე თავი...

– ნუ გამოვალ? ყელამდე სისხლში არიან ჩაძირულნი! გამგები გაიგებს ნამდვილ აზრს... ვილაც ხომ უნდა გამოვიდეს? როგორ გავერიდო?

– იყოს ის, ვილაც... ყველამ თავისთავს უყოს...

– იმათ აღარაფერი უშველის...

– ვერც ჩვენ გვიშველი...

ორნი მძიმედ მიაბიჯებენ...

წითელი მიხაკი დავარდება წვიმიან ქუჩაზე...

თბილისს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი "M-I". მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

მოსკოვი.

მწერალთა ყრილობა. პაოლოს გამოსვლა. პაოლოს სახე სრულიად შეცვლილი აქვს. თითქმის ძნელად საცნობი. რაღაც უჩვეულო გარდაქმნა განუცდია თითქოს...

"...К тем преступлениям, которые вскрывались на процессе агентов фашизма, изменников, террористов и вредителей, присоединяется еще гнусная деятельность тех врагов грузинского народа и всех народов СССР, чья причастность к троцкизму, к

блоку Зиновьева и Каменева, к блоку Пятакова и других, была выявлена процессом.

Фамилии их известны...

Это те фамилии, которые проклинают во всех уголках Грузии, на каждом перекрестке, в каждом доме Грузии, ибо эти люди готовили покушение на великого Сталина и одного из лучших его учеников – руководителя грузинского народа тов. Берия.

Я хочу предостеречь молодежь от наших ошибок. Каждого человека, с которым ты общаешся, надо проанализировать, и проверить. Нужно быть бдительным к каждому его шепоту и поступку. Если зоркость писателя будет обрашена к каждому человеку, с которым он общается, ему не трудно будет разгадать врага. Обязанность писателя – быть наблюдательным, бдительным и зорким. этому нас учит великая партия.

(აპლოდისმენტი ფარავს პაოლოს სიტყვებს...)

"...В этой связи я не могу не вспомнить о верном сыне большевистской партии, преданном ученике Сталина – тов. Лаврентия Берия, который так много сделал для расцвета культуры национальностей Закавказья... (აპლოდისმენტი).
Когда мы хотим сказать: – Да здравствует Великая Октябрьская Революция! – мы говорим: – Да здравствует товарищ Сталин! Когда мы говорим: – Да здравствует наш Великий Советский Союз – это сильнее всего выражается в возгласе: Да здравствует товарищ Сталин! И когда мы говорим: Да здравствует товарищ Сталин, то это значит мы говорим – Да Здравствует Победа Ленинизма во Всем Мире! (ხანგრძლივი აპლოდისმენტი).

მოსკოვს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი "M-I". მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

„შავი ყვავები" („ვორონები") ზედიზედ გამოდიან სიბნელიდან, თითქოს ჯურღმულიდან და მიემართებიან სადგურისაკენ. სრული სიცარიელეა ქალაქში. მხოლოდ ხანდახან ვიღაც გარბის...

„ვორონების“ კოლონა სადგურს მიადგება და იქიდან ჯერ ძაღლები და ჯარისკაცები გადმოხტებიან, შემდეგ კი ამათ მიერ გაკეთებულ კორიდორში – ქალები. ბევრი სახე ნაცნობია, ისინი სხვადასხვა სცენაში აქა-იქ გაელვებულან (ვინც დაიმახსოვრა!), ხოლო ერთი სახე კი თითქოს განსაკუთრებით იზიდავს ყურადღებას: ესაა ოლიკო ოკუჯავა გალაკტიონისა. საოცარ სიჩუმეს მხოლოდ მატარებლის საყვირის გამყინავი ხმა კვეთს დროდადრო: ზედიზედ იხურება და იბეჭდება ვაგონების კარები. ჯარისკაცებიც სადღაც ქრებიან და ცარიელ სადგურზე ეს დაბეჭდილი მიტოვებული მატარებელიღა რჩება ერთხანს. ორთქლმავალი ააგრუხუნებს ძლიერად თავის მანქანებს, ერთსაც საზარლად შეჰკივლებს და დასძრავს ვაგონებს...

ისევ ისმის ვილაცის ფეხის ხმა, მატარებლის გრუხუნს რომ ფარავს და მისდევს განწირულის ძალისხმევით...

თბილისი.

პაოლო მოდის ქუჩაში, მოდის მკვდარი სრულიად. მას ეწევა ვილაც კაცი. ხელს გაუყრის და მიჰყვება ერთხანს. ეუბნება რაღაცას. პაოლო თითქოს გამოერკვევა ოდნავ. შეჩერდება და მძიმედ უყურებს თავის მეგობარს:

– რა მოგივიდა, ვაჟკაცი არა ხარ?! დიდი, დიდი, რამდენიმე წლით დაგაპატიმრონ, ამან უნდა წაგახდინოს?

– პატიმრობას და, თუნდაც, სიკვდილს ვინ ჩივის, უარესს მიპირებენ, უარესს!.. – აღმოხდა მას განწირულად და დაამატა:

– რაც ჩასახდელი იყო – ჩავიხადე; რაც მისაცემი იყო – მივეცი, თავიც მოვისპე. აღარც პოეტი ვარ და აღარც კაცი, ჩემი გამოსვლის შემდეგ და ახლა უნდათ, იუდასავით თავიც ჩამოვიხრჩო?!! – ვერ ეღირსებიან ჩემს იუდობას... ვერ ეღირსებიან... ვერა!!

თქვა და გაშორდა სწრაფად...

თბილისი.

მწერალთა ყრილობა

თავმჯდომარე კითხულობს: „ქართველ მწერალთა მიმართვები ამხ. ლ. პ. ბერიას, ამხ. ეჟოვს და საკავშირო კგბ-ს..." რიგით მივყვეთ და ერთხმად მივიღოთ კიდეც...

პაოლო დგება, დინჯად გადაკვეთს დარბაზს და გადის. თავმჯდომარე მიმართავს უკმეხად: „ამხანაგო იაშვილო! თქვენ სად მიბრძანდებით. არ იზიარებთ ჩვენს აზრს?!!"

პაოლო არც შეხედავს მას.

– ამხანაგო იაშვილო!! – მუქარით ყვირის თავჯდომარეც და პარტკომიც...

პაოლომ უკვე გააღო დარბაზიდან გასასვლელი კარი. დარბაზის რეაქცია იყო ჩაჩუმება და გასუსება.

– ვაჩვენებთ ჩვენ მაგას სეირს! ეს არის ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის...

ამ დროს გაისმა თოფის გასროლის ხმა. პარტკომი გაშრა. წამით დარბაზში მსხდომთა სახეებიც კი იცვალნენ და ინდივიდუალური გამომეტყველება შეიძინეს (საკუთარი სახე მიიღეს). მერე ყველა აიშალა და დარბაზის კარებს მიაწყდა.

დარბაზის შესასვლელში გართხმულიყო პაოლო იაშვილის ვეება სხეული...

მდუმარედ დასცქეროდა შემოჯარული ხალხი. სახეებმა თანდათან ისევ ის, ერთი და იგივე იერი მიიღო. მხოლოდ ისინი, ვინც დარბაზშიც თავიანთ სახეს ინარჩუნებდნენ, განცალკევებით იდგნენ გაშეშებულნი. მიხეილ ჯავახიშვილი დადიოდა მხოლოდ აქეთ-იქით და გაუჩერებლივ იმეორებდა: „ვაჟკაცი ყოფილა! ვაჟკაცი ყოფილა! ვაჟკაცი ყოფილა!.."

მწერალთა სახლის საჯარო დარბაზი: სხედან სრულიად ერთსახოვანი მწერლები. ზოგი ამ ერთსახოვნებაში ბერიას ნიშნებს ატარებს, ზოგი სტალინისას... ზოგიც საერთოდ უსახოა... და სხვა. არ ჩანან ისინი, ვინც წინა ეპიზოდში ინდივიდუალურ ჯგუფს ქმნიდა. არც მიხეილ ჯავახიშვილი, არც სხვები...

თავმჯდომარე – ინფორმაცია პრესისათვის. ინფორმაცია ყოფილი პოეტის პაოლო იაშვილის მიერ ჩადენილი პროვოკა-

ციული აქტის შესახებ... – დარბაზში უთვისებო ერთსახოვნება გაქვავებულ მანეკენთა უაზრო სახეებით ისმენს... – „მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს, წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში!" – მთელი დარბაზი იმეორებს ამ სიტყვებს...

თბილისს მთელს სიგრძეზე გადაკვეთს შავი "M-I". მასში ზის ტყავის ფორმებში გამოწყობილი ოთხი კაცი: ერთი წინ და სამი უკან. ერთნაირი სახეებით...

თბილისი , 1937

ბერია გამოდის ამომრჩეველთა წინაშე:

„ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები: ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, მიხეილ წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ რობაქიძე და სხვანი ერთ დროს თავის თავს სთვლიდნენ ქართველი ინტელიგენციის რჩეულ ნაწილად, ქართველი ხალხის წარმომადგენლებად.

საქართველოს მშრომელთა მიერ გაძევებულნი, ისინი გაიქცნენ თავიანთ საზღვარგარეთელ პატრონებთან, აშკარად და ცინიკურად გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები და ლაქიები.

მიჰყიდდნენ რა ხოლმე თავს განურჩევლად ყველას, ოღონდ კი ფული ეძლიათ, ერთსა და იმავე დროს მსახურობდნენ რა უცხოეთის რამდენსამე დაზვერვაში, ეს საზიზღარი გამცემლები ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ თავიანთ შავ ზრახვებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ....

ქართველმა ხალხმა შეაჩვენა ისინი, როგორც ყველაზე მოსისხლე მტრები...

ფაშისტური ოხრანკის აგენტები, მოღალატეები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები: ელიავა, ჯანდიერი, ცქიტიშვილი, წერეთელი, ლეონიძე, ინჟინერი ჭიჭინაძე, რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორი სანდრო ახმეტელი,

ოპერისა და სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ევგენი მიქელაძე, მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის ყოფ. დირექტორი დავით წერეთელი, ცნობილი მენშევიკი გაიძვერები ქარცივაძე, სეით დევდარიანი, მახარაძე და სხვები.

ისინი ეწეოდნენ ძირგამომთხრელ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ...

ისინი, უკლებლივ ყველანი, ეწეოდნენ ჯაშუშობას, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული უცხოეთის დაზვერვებთან, აგროვებდნენ და მათი საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

თავიანთ შავბნელ ძირგამომთხრელ მუშაობაში ისინი არ თაკილობდნენ არავითარ საშუალებას, არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ, ისინი ამზადებდნენ წყლის მოწამვლას ნატახტარის წყალსადენში, ამზადებდნენ ბაქტერიოლოგიურ დივერსიას, რომელიც ნაწილობრივ განახორციელეს სიღნაღის რაიონში, სადაც ბაქტერიების გამოყენების გზით შარშან მათ მოახერხეს გამოწვევა მასობრივი დაავადებისა მუცლის ტიფით, რამაც *ღრ* კაცზე მეტი იმსხვერპლა.

მერე რით დასრულდა მთელი ეს დანაშაულებრივი მუშაობა ხალხის მოსისხლე მტრებისა, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების ნაძირალათა ფსკერზე მოექცნენ?

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს (ხანგრძლივი ტაში, რომლის დროსაც პირველად ვხედავთ დარბაზს. დარბაზში სხვადასხვა მიახლოებით მიმგვანებული ბერიები სხედან და ტაშს უკრავენ). მთელი ქართველი ხალხი ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ (სურს გადაფაროს ტაში. დარბაზი ცხრება).

ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც გაბედავს მძლავრი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას (ისევ დარბაზის მქუხარე ტაში. მსგავსება ბერიასა და დარბაზში მჯდომთ შორის მატულობს).

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მტრები კიდევ დარჩნენ, რათა განაგრძონ ფარული ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენში გამოგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს, ჩვენკენ საზღვარგარეთიდან გამოიწვდიან ბინძურ, სისხლიან ხელებს...

ამხანაგებო! მხოლოდ სამი დღე გვაშორებს იმ ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოების ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხი აირჩევს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე (ტაში. დარბაზი სავსებით იდენტური ხდება ბერიასი; შემდგომი სიტყვები სულ ტაშისცემაში მიმდინარეობს).

უდიდესი მიღწევებით, ურყევი შინაგანი მორალური და პოლიტიკური ერთიანობით ეგებება საბჭოთა ხალხი ამ ისტორიულ დღეს.

ჩვენს გამარჯვებას უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას... (ბერიას ამ სიტყვებზე დარბაზი უკვე თავს ველარ იჭერს და სრულიად დამსგავსებული ბერიას – ეს ბერიების დარბაზია უკვე – სხვადასხვა ენაზე ყვირის შეშლილი: გაუმარჯოს დიდ სტალინს, „ურა", ვაშა – ამხანაგ სტალინს! მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისათვის!" ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს, საქართველოს ჰიმნს, საბჭოთა კავშირის ჰიმნს. ოვაციები ახლდება და კვლავ შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ, უკრაინულ... და სხვა ენებზე... ამ ფონზე ჩანს ბერიას დაპატიმრება, პროცესი, და დახვრეტა... დარბაზი თანდათან წყნარდება და ჯდება. პაუზა. და ვიდრე ტრიბუნას მიუბრუნდებოდეს თვალი, ისმის მეტად მშვიდი, თვითდაჯერებული ხმა სტალინისა (ჩანაწერი):

– მე ვიცი, რას ნიშნავს ნდობა. იგი ცხადია, მაკისრებს ახალ, დამატებითს მოვალეობებს და, მაშასადამე, ახალ, დამატებითს პასუხისმგებლობას. რა გაეწყობა, ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვჩვევია, უარი ვთქვათ პასუხისმგებლობაზე. მე მას

ხალისით ვკისრულობ (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. სტალინი მორცხვად, მაგრამ მშვიდად, იღიმება და განაგრძობს):

– ჩემი მხრით, მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ამხანაგებო, რომ თამამად შეგიძლიათ ენდოთ ამხანაგ სტალინს (მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები დარბაზიდან „ჩვენ კი ყველანი ამხანაგ სტალინთან ვართ"). შეგიძლიათ იქონიოთ იმედი, რომ ამხანაგი სტალინი შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე (ტაში), მუშათა კლასის წინაშე (ტაში) გლეხობის წინაშე (ტაში), ინტელიგენციის წინაშე. (მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციები. ვხედავთ დარბაზს, რომელშიც სტალინები სხედან და ყვირიან: დიდ სტალინს, ვაშა! ამხანაგ სტალინს, ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა! გაუმარჯოს პირველ ლენინელს, ამხანაგ სტალინს!..).

ეს ხდება დიდ თეატრში, მოსკოვში, რუსულ ენაზე. ეს ოვაცია და ვაშა აპოთეოზს აღწევს თანდათან და გადადის უზარმაზარ სტადიონზე შეკრებილი ხალხის ოვაციებში.

სწრაფი მიბრუნება ტრიბუნისაკენ ჩვენი მზერის ფოკუსში ჰიტლერს მოახვედრებს.

იგი ხელის აწევით ესალმება ამ ზღვა ხალხს, რომელიც ექსტატიურად ყვირის: „ჰაილ ჰიტლერ, ზიგ ჰაილ!" მერე თანდათან მშვიდდება და ჯდება... ჰიტლერებად.

მთელი სტადიონი ჰიტლერებისა აღტაცებული უგდებს ყურს ჰიტლერს...

„შესაქმე ჯერ არ დამთავრებულა, თუნდაც იმისა, რაც ადამიანს ეხება. ბიოლოგიური თვალთახედვით ადამიანი სუფთად მეტამორფოზის ფაზას მიუახლოვდა. ადამიანთა ახალი ვარიანტები იწყებენ გამოხატვას – მეცნიერული თვალსაზრისით და ბუნებრივი თვალსაზრისით ერთგვარი მუტაცია. ადამიანთა ჩვენი სახეობა უკვე შევიდა გადაგვარების სტადიაში. შემოქმედების მთელი ძალა კონცენტრირებული იქნება ახალ სახეობაზე. ორი სახეობა სწრაფად განვითარდება საწინააღმდეგო მიმართულების განსხვავებულობით. ერთი გაქრება, მაშინ როდესაც მეორე გაივრცობა და დიდად გადაასწრებს დღევანდელ ადამიანს (ტაში). მე საკმაო

სურვილი მაქვს, ვუწოდო ამ ორ სახეობას ადამიანი-ღმერთი და ცხოველი-მასა (ტაში).

დიახ, ადამიანი არის რაღაც, რაც დაძლეულ უნდა იქნას. დიახ, ადამიანი იკავებს ღმერთის ადგილს, ეს არის სრულიად მარტივი ჭეშმარიტება. ადამიანი არის მიმავალი ღმერთი. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, გადალახოს თავისი საკუთარი საზღვრები. როგორც კი ის გაჩერდება და იხურება, ის შედის საშიშ დეგენერაციაში და ეცემა ადამიანურ დონეზე უფრო დაბლა. ის უახლოვდება ცხოველურობას. ღმერთისა და ცხოველების სამყარო, აი რა გვაქვს ჩვენს წინაშე... გესმით თქვენ ახლა ჩვენი ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ღრმა აზრი? მოძრაობა შეიძლება იყოს რამე უფრო დიდი და უფრო დიადი? ნაციონალ-სოციალიზმი მეტია, ვიდრე რელიგია: ეს არის მისწრაფება ახალი ადამიანის შექმნისა. (სტადიონი ფეხზე წამოიჭრება და აღტაცებული ყვირის: ჰაილ ჰიტლერ! ზიგ ჰაილ!.. ზუსტად მასეა! – ყვირის თავისი მხრივ ჰიტლერი და ხალხიც ჩუმდება) – თქვენ ძალიან კარგად გამოხატეთ ჩემი ნააზრევი. ჩვენს დროს ყოველი პოლიტიკა, რომელსაც არა აქვს ბიოლოგიური საფუძველი ან ბიოლოგიური მიზანი, არის ბრმა პოლიტიკა. მხოლოდ ნაციონალ-სოციალიზმმა შეიცნო აუცილებელი მისწრაფებისა. ჩემი პოლიტიკა არ არის ეროვნული პოლიტიკა. ის ამყარებს თავის ღირებულებებს და მიზნებს გაცილებით უფრო ფართო სკალაზე. ის შეიცავს ადამიანის ცოდნას ბუნების კანონების და ცხოვრებისა.

ახალი ადამიანი ჩვენს შორის ცხოვრობს. ის აქ არის. გაკმაყოფილებთ ეს? – მე ვხედავ ახალ ადამიანს. ის არის intrépide და დაუნდობელი. მე ვძრწი მის წინაშე!" – ტრიუმფალურად ყვირის ჰიტლერი (სტადიონი ექსტაზში წამოიჭრება ფეხზე). იმეორებს: ახალი ადამიანი ჩვენს შორის ცხოვრობს. ის აქ არის. გაკმაყოფილებთ ეს? – ჩვენ ვხედავთ ახალ ადამიანს. ის არის უშიშარი და დაუნდობელი და ჩვენ ვძრწით მის წინაშე – როდესაც სტადიონის ექსტაზი უმაღლეს წერტილს მიაღწევს, სრული ერთსახოვნება გაქვავდება, ისმის ჩურჩული:

Если тебе трудно, то вспомни о Сталине...
Если тебе некуда деться, то вспомни о Сталине...
Ели тебе не светит солнышко, то вспомни о Сталине...
Если тебя обуял страх смерти, то вспомни о Сталине...

დარბაზში, დიდ თეატრში შემოდის სტალინი და უეცრად, ერთხელ კიდევ წამოიშლება დარბაზი სტალინებისა. სტალინის 70 წლის საიუბილეო ზეიმზე მოსკოვის დიდ თეატრში. უცხოელები, დიპლომატები, კომუნისტურ პარტიათა ლიდერები და სხვა და სხვა, ყველანი აღტაცებულნი ოვაციებს უმართავენ სტალინს და თანდათან მათში ვლინდება ის სტალინური პირველსახე.... ასე რომ, როდესაც სხდებიან, თუმც სხვადასხვანაირად გამოწყობილნი, ყველანი სტალინები არიან, სხვადასხვა მიახლოებით, ხოლო სცენიდან ვიღაც სტალინი – სტალინს მიმართავს სიტყვით.... გაერთიანებული გუნდი მსოფლიოს ხალხებისა მღერის:

Сталин наше знамя боевое,
Сталин наше имя и почет,
Песней и стихами запивая
Наш народ за Сталиным идет!

(დოკუმენტური ქრონიკა გვიჩვენებს მთელს მსოფლიოს სტალინზე გლოვის მომენტში).

ელიტა

რუსთაველზე მოიპარება „მთვრალი" გალაკტიონი. რუსთაველი მკრთალადაა განათებული. გალაკტიონი ცდილობს არ შეინიშნოს თავი, მაგრამ რამდენიმე ახალგაზრდა მაინც აედევნება, მორიდებით. ზემელზე მისული, ელბაქიძის კუთხეში, აფთიაქთან ჩამოჯდება. ფეხზე გაიხდის და ფეხსაცმელებს გვერდით დაიწყობს. ერთხანს არის ასე გარინდებული, მზერააცურებული მიუსავალ სივრცეში. გაცლილი რეალობას სრულიად. დროდადრო თავს აქნევს მხოლოდ, თითქოს რაღაცას ეპასუხება შიგნით აჟღერებულს...

პატარა ბიჭი ნელა მიუახლოვდება და გვერდით დაუჯდება. ასე სხედან ერთხანს. მერე გალაკტიონი შეუხედავად ხელს გადაადებს მხარზე ბიჭს:

– რა მქვია მე?

ბიჭი არ პასუხობს. ზის გაქვავებული, თითქოს ხელი კი არ ედოს მხარზე, გალაკტიონის მძიმე ხელი, არამედ უნატიფესი ფაიფურის ჭურჭელი...

– პოეტი ხართ თქვენ, – ძლივს გასაგონად ამბობს.

– ვინ ვარ მე?

ბიჭი ახლა კი შეხედავს დაეჭვებით, მაგრამ მაინც პასუხობს:

– გალაქტიონი...

– გალაკტიონი ვარ მე... გალაკტიონი...

– წაგიყვანთ სახლში. თქვენი მეზობელი ვარ მე.

– მივ...დიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.
მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.
მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს –
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

– წამიყვანე... – ისმის შორეთიდან, სხეულს განშორებული სულიდან, რადგან სხეული ამ დროს ცდილობს წამოდგომას.

– გვიანაა შენთვის... – ამბობს გალაკტიონი.

თავიც, ტანიც დამძიმებული აქვს და ვერ დგება. ბიჭი ეხმარება. ბოლოს, როგორც იქნა, წამოდგა გალაკტიონი, ვიღაც

გამვლელმა ხელიც შეაშველა... ბიჭს ხელი გადახვია, გვერდზე მიიკრა და დაეშვა ოდნავ განათებულ, ნახევრადბნელ დაღმართზე...

გალაკტიონი ზის რესტორანში. წინ ერთი ბოთლი ღვინო უდგას და მცირეოდენი საჭმელი. მოშორებით დახუნძლულ სუფრასთან რამდენიმე მწერალი ზის.

– გალაკტიონ, ჩვენო გალაკტიონ, რატომ ზიხარ მარტო, ჩვენთან მოდი... – გადმოსძახეს ამ სუფრიდან გალაკტიონს.

გალაკტიონს თვალები ისევ აენთება ირონიული ნაპერწკლებით, წვერზე ხელს ისვამს, თითს აიშვერს და ამბობს:

– არა, ძამიკო, არაფერი გამოგივათ, ვერაფერს გამომტყუებთ, არაფერი გამოგივათ, ასე მირჩევნია...

ღამეა.

გალაკტიონი ჩამოდის მთაწმინდიდან. შორიდან შემოესმება საოცრად გრძნობიერი ხმა დუდუკებისა და უნებურად გეზს იქით აიღებს. ჩაბნელებულ ქუჩისპირს ერთ ადგილას სარდაფიდან ამოფენილი შუქი ანათებს. ხმაც იქიდან ამოდის. გალაკტიონი ახლოს მივა. ერთხანს უსმენს დუდუკების კვნესას. მერე იქვე ჩამოჯდება სარდაფის რბილი სინათლით განათებული. სარდაფში ორ მედუდუკეს თავისი მეგობარი ქალი დაეპატიჟებინა და სამუშაოს შემდეგ თავისთვის ქეიფობდნენ. ორი ბოთლი ღვინო, მწვანილი, ყველი და ქართული პური – სხვა დროიდან მოსულებს ჰგვანდნენ...

გალაკტიონის იდუმალ გარინდებულ სახეზე ცრემლები ჩამოიღვარა.

ქალმა თავი ასწია და ფანჯარას ახედა. შეშფოთებით მიუბრუნდა თავის მეინახეებს: „ვიღაც არის იქ“...

დუდუკების ხმა მკვეთრად შეწყდა და მედუდუკეები ფანჯარას მიადგნენ...

– ჰეი, ვინა ხარ მანდა...

– ჩვენთვისა ვართ, გვაცალე რა... – გალაკტიონმა სახე მიაბრუნა ფანჯრისაკენ, – უკაცრავად, ძამიკო...

– ვაჰ! – აღმოხდა ერთ-ერთს, გალაკტიონის დამნახავს, – გალაკტიონ! გალაკტიონს გაუმარჯოს!

– ვინ გალაქტიონია? – გაისმა ქალის ხმა...

– ვინ გალაკტიონი?! ადი, ჩამოიყვა, – მიუბრუნდა მეორეს, ქალს კი უთხრა, – ჩემი ძმაკაცია, პოეტი... – მერე დაამატა, – იცი, რა პოეტია?! – და ვიდრე მისი ამხანაგი ქუჩაში გამოვიდოდა და გალაკტიონს მიიპატიჟებდა, „მესაფლავე" წამოიწყო: თან აქა-იქ დუდუკსაც აკვნესებდა...

შებინდებულია. გალაკტიონი და მისი ორეული მოდიან ქუჩაში. გვიანი შემოდგომის ცივი ქარი ქრის. გალაკტიონი ნასვამია. ორეული ზედ ყურთან ეუბნება:

– დაწერე განცხადება...

– დავწერ განცხადებას და რაც მოხდება – მოხდეს:

– გთხოვთ, პირადი საჭიროებისათვის, გასცეთ განკარგულება, რათა მომეცეს მატერია საზამთრო პალტოსა და კოსტიუმისათვის...

– უნდა შეხვიდე დირექტორთან....

– ცივა და პალტო უნდა მომცენ...

– გაცნობებთ ყოველივე ამას, სავსებით დარწმუნებული, რომ თქვენი მზრუნველობა ხელოვნების მსახურთადმი საშუალებას მომცემს მე, ამდენი ტანჯვის ამტანს, ცოტათი მაინც ადამიანურად მოვაწყო ჩემი ცხოვრების, შესაძლებელია, უკანასკნელი დღეები.

– დიპლომატია! დიპლომატია! დიპლომატია!

– შევიდეთ საწყალი კაცის აფთიაქში – სამიკიტნოში.

– შედი დირექტორთან!

– თუ გინდა, დირექტორთან საქმე გააკეთო, მომენტი უნდა შეურჩიო – რა ხასიათზეა!

– რომ გაგიჭირდება, თავის ჩამოსაღრჩობ თოკსაც ველარ იპოვი... ყველა თოკი გამოიყენეს უკვე...

– შედი რაღა – ჰეე!

– ძირს გაუბედაობა!

– შედი რაღა! შედი რაღა!..

გალაკტიონი უახლოვდება უზარმაზარ კარებს, უეცრად საოცრად დაპატარავებული მათ წინაშე და უჩინარდება კარს უკან...

გალაკტიონი დგას ქუჩის კუთხეში. ღამეა. მთვარე ცივად დასცქერის ქალაქის გარინდებულ ქუჩებს. ქარი ნელა არხევს იასამნის რტოს...

„შესრულდა ზუსტად ორმოცდათხუთმეტი წელიწადი, რაც მე პირველად ვიყავი არჩეული პოეტების მეფედ. არც ერთი იმათგანი, ვინც ამირჩიეს პოეტების მეფედ, ეხლა ცოცხალი აღარ არის. ვადა, დანიშნული მათ მიერ, გასულია. გთხოვთ, თუ ჩემი უკმაყოფილო ხართ, აირჩიოთ სხვა. ამას მოითხოვს ტრადიცია."

უეცრად ხმა ესმის და მხარზე ხელს შეახებს ვილაც – „გალაკტიონ! გალაკტიონ!"

გალაკტიონი შემობრუნდება.

მზიანი მკვეთრი ამინდია. ვილაცეების სახეს გაშტერებული უყურებს, ვერა ცნობს ერთხანს. მერე თავს მოიმთვრალებს და სრულიად სხვა ხმით, ხელოვნურით უწყებს ლაპარაკს... ბლუკუნით, ენას იკიდებს, სიტყვებს ვერ მარცვლავს...

პასტერნაკის ნობელის პრემია და მისი დაგმობა (ქრონიკა).

მწერალთა კავშირში დაგმობენ პასტერნაკს და მოაგროვებენ ხელმოწერებს.

ხელიდან ხელში გადადის ტექსტი დაგმობისა და იზრდება ხელმოწერათა რიცხვი...

– გალაკტიონს მოაწერინეთ ხელი, არ დაგავიწყდეთ! – ამბობს თავმჯდომარე, როდესაც ფურცელი მასთან მივა.

გალაკტიონი საავადმყოფოში წევს. მოსულს ეუბნება, მას შემდეგ, რაც ტექსტი წაიკითხა გულდასმით:

– ძამიკო, სახალხო პოეტი და ორდენოსანი გალაკტიონი ასეთი ქართულით შედგენილ წერილს ხელს ვერ მოაწერს, წაიღეთ ეგ წერილი და წესიერი ქართულით შეადგინეთ. ხელს როგორ არ მოგიწერთ გალაკტიონი!.. კაცი მიდის. გალაკტიო-

ნი ძლივს წამოდგება, მივა ფანჯარასთან და უყურებს მიმავალს... მერე მზერა სადღაც შორეთში გადააქვს...

– უარი მივიღე... – ჩუმად ამბობს ის.

სივრცე თანდათან ივსება გამჭვირვალე ფოთლებითა და ციმციმა სინათლით, რომელშიც ჩნდება პარიზი.

გალაკტიონი დგას ნოტრდამთან შეჯგუფებულ მაყურებლებში. მიდის მისტერია. მუყაოს ფრთებიანი ცისფერი ანგელოზები ღია ცის ქვეშ, სცენაზე, რომელიც გამოხატავს მოძრავ სამოთხეს. ღრუბელი ეშვება და ამ დროს გამოჩნდება ციური მხედრობა. მარჯვნივ უზარმაზარი ურჩხული მწვანე თვალებით და კოშკით ზურგზე გამოხატავს ჯოჯოხეთს. იქიდან ხანდახან, კოშკის კბილებს შორის, გამოჩნდება ეშმაკი. კოშკიდან, ხანდახან ამოდის ცეცხლის ენები. ისმის გალობა, ორგანის ხმა და ზარების რეკვა... (ტექსტი, რომლის ნაწყვეტებიც ისმის – *არნულ გრებანისა*, შუა საუკუნეების ჰუმანისტისა).

როდესაც მაცხოვარი შეუდგა გეთსიმანიის ბაღში ლოცვას, უეცრად დაუშვა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა... არტისტები ქიტონებში ეხვევიან, საზოგადოება კი გარბის. ნოტრდამის კოშკებიდან ხარხარებენ ქიმერები...

ეშმაკი მარტო რჩება სცენაზე. ხოლო გალაკტიონი ადგილიდან არ იძვრის მისი შემყურე.

მოედანი დაიცალა. დარჩნენ მარტო გალაკტიონი და ეშმაკი, რომელიც, დაინახავს რა ჯიუტად წვიმაში მდგარ გალაკტიონს, მის წინაშე იწყებს გათამაშებას პანტომიმისას. გამოათრევს უზარმაზარ სკივრს, გახსნის და იწყებს მასში ქექვას.

ერთმანეთის მიყოლებით მოსცვივიან სკივრიდან სხვადასხვა სახეები... ბოლოს ამოიღებს ორს: ჰიტლერსა და სტალინს და იწყებს გათამაშებას ამ ორი სახისა... რეზინის ნიღბებს ტანად უზარმაზარი ნაჭრები ჰკიდიათ...

მთელი ამ პანტომიმის განმავლობაში გალაკტიონი, „ეშმაკის" ერთადერთი მაყურებელი, არ იძვრის ადგილიდან. ქარმა გადარეკა კიდეც წვიმა. ჩამოღამდა. ლამპიონებმა მეჩხრად გაანათეს პარიზის ქუჩები. „ეშმაკი" უეცრად წყვეტს თავის

პანტომიმას... გალაკტიონი ტაშისცემით მიდის სცენასთან. „ეშმაკი" დარცხვენით გაულიმებს, და სიმორცხვის დასაფარავად იწყებს თოჯინების სკივრში ჩაყრას... გალაკტიონი ადის სცენაზე და ეხმარება... მიფრინავენ სკივრში სტალინიცა და ჰიტლერიც... სკივრი დაიხურა. „ეშმაკი" და გალაკტიონი ერთად ტოვებენ სცენას და შედიან მკრთალად განათებულ პარიზის ქუჩაში...

მთვრალი გალაკტიონი და „ეშმაკი" – ხანდაზმული მსახიობი, მხიარულად დააბიჯებენ პარიზის ქუჩებში... მონპარნასზე, „როტონდაში" თვალს მოჰკრავს გალაკტიონი მაგიდის ირგვლივ მჯდარ შვიდ მოხუცს (ბოდლერის „შვიდი მოხუცი")... „ეშმაკი" იწყებს ცეკვას მათ წინ...

გალაკტიონს წამით სპლინი ეუფლება და მიათრევს „ეშმაკს" დახლისაკენ... სვამენ... კიდევ უფრო ითვრებიან... მოხუცები სადღაც გაქრნენ... ისევ განაგრძობენ ხეტიალს...

და სხვადასხვა ადგილას ხედავენ ერთმანეთის მიმყოლად იმავე შვიდ მოხუცს... გალაკტიონი აკვირდება და ხედავს, რომ მოხუცებს ერთნაირი სახეები აქვთ და ყველა ისინი „ეშმაკს" ჰგვანან....

მსახიობი და გალაკტიონი სენის ნაპირას ცეკვავენ.... და თანდათან იცრიცება ეს სურათი და იცვლება სხვა სურათით...

გალაკტიონი ფეხშიშველი მიდის ცვრიან მინდორზე. განთიადის მკრთალი ნათელი ეფინება არემარეს...

მატარებლის მოულოდნელი კივილი...

ძაღლი ძუნძულით მოჰყვება ცარიელ ლიანდაგებს...

ისევ ჰკივის მატარებელი...

ძაღლს თავში ტყვია ხვდება და უსკდება თავის ქალა. დარტყმისაგან ჰაერში ასროლილი ძაღლი ენარცხება ლიანდაგებს...

მატარებელში სხედან გალაკტიონი და დედამისი.

დედა გაფაციცებით ეძებს რაღაცას...

– შენთვის მინდოდა...

– რა, დედა?

– შარმადინა... შარმადინა... შარმადინა....

მზე მთელი თავისი ახალი და დიადი ელვარებით პირდაპირ მომდგარა გალაკტიონის ფანჯარაზე. აღტაცებული ბავშვი მზის ელვარებაში ჩაძირული მივარდება ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემოდის და უწყებს კოცნას ფანჯრის მინებს... მზის შუქს...

– შვილო, შვილო, შვილო! რა მოგდის, შვილო? – ისმის დედის შეშფოთებული ხმა...

ბავშვი შემობრუნდა და დარცხვენით გაჩერდა დედის წინაშე... დედამ სახე აუნია, თვალებში ჩახედა:

– შემომხედე, გატუნია! შვილო, რა მოგივიდა?

– დიდი იმედები... – ძლივს ლუღლუღებს ბავშვი.

– რაო? რას ამბობ, შვილო!

– დიდი იმედები, დედა, დიდი იმედები... – ყვირის ბავშვი აღტაცებით...

სინათლის მორგვი უეცრად იფანტება და შემოიჭრება არაჩვეულებრივად, თვალის სატკენად კონტრასტული და ფოკუსში მოქცეული სახე კაცისა, რომელიც ეზოდან უყვირის რაღაცას გალაკტიონს და თან აფრიალებს ქაღალდების დასტას.

– აქა მაქვს ყველას ხელმოწერა! ამ ახალ ტექსტზე!..

კაცი გადის მზერის არედან.

გალაკტიონი უძრავი მზერით იყურება შორეთში... და მისი მზერის არეში მყოფი მთელი სივრცე, ცისფერი სივრცე თანდათან ყვითლდება, თითქოს გაუდაბნოებულ ქვიშაქარს ამოყოლილი, აშლილი და ქარში მქროლავი ფოთლებით ივსება და ამ ფოთლებში უმკვეთრესი თვალისდამწველი სხივი იჭრება მზისა, და ეს სხივი რაღაც წამიერად ავარვარებს მზერას და ქრება ყოველი ხატება... თეთრი სიცივე შეექვავა სივრცეს...

კაცი, რომელიც გახარებული შემოვარდება დერეფანში, უეცრად შედგება. აქეთ-იქით იხედება. მერე ხან ერთ კარს გამოაღებს, ხან მეორეს...

– მთელი ცხოვრება ასე გვამაიმუნებს... – ბურტყუნებს თავისთვის და უაზროდ მიდის ფანჯარასთან. პაპიროსს უკიდებს, ასანთს გადააგდებს და მექანიკურად გააყოლებს თვალს...

გალაკტიონის უსულო გვამის ირგვლივ ხალხმა უკვე იწყო შემოკრება...

ჟენევა

გრიგოლ ზის თავის აივანზე და პირმოკუმული გასცქერის შორეთს. თვალებში სევდაცა და რაღაც ჩაუკლავი რწმენა უნთია. მზერა მიცურავს გაშლილ სივრცეში და სწვდება საქართველოს, მის შუაგულს – მცხეთას. თითქოს შემოევლება სიყვარულით ჯვარსა და სვეტიცხოველს. შემდეგ განსხეულებული ეს მზერა შედის სვეტიცხოველში. გრიგოლ ლოცვად მდგარი.

„მიდამო მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე.
ძველი საჯვარე, სურნელება დამჭნარი დაფნის.
სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და წუთხე.
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.
დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის.
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მიღოღავს სველი
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე
მოვთქვამ და ვტირი:
საჯვარის დუმილს ერთხელაც არის გასერავს დანა –
მიმასვენებენ მის კედლებში გასუდრულ ცხედარს.
დავენანები ყველას, უფრო ლაშარის მხედარს
და დამადნება ტკბილი ხმებით მე „სულთა-თანა“
გადმოვარდება სარკმელიდან მზის სხივი მკვდარი –
გაციებულ შუბლს დაეცემა მწარედ და ცივად.
სადღაც შორს ქალი გაფითრდება, ისედაც მხდარი –
ობოლი ცრემლი გაურჩება წამწამზე მძივად.

შენ იცი მხოლოდ,
მშობელო მიწავ: თუ რისთვის ვენთე.

უკანასკნელი
მიიღე ჩემგან სიცოცხლის ღვენთი:
ჩუმი და უთქვი –
და შესვი სუნთქვით.

ღამე ჩამოწოლილა უდაბნოს თვალუწვდენელ სივრცეში.

ამ წყვდიადის გაშეშებული იდუმალების თავზედ ვარსკვლავებით გაბრწყინებული ზეცა ვიბრირებს მხოლოდ. მაგრამ ზეციური ნათელის სიშორე ვერ არღვევს უდაბნოს მდუმარებასა და გაშეშებას.

თვალი, რომელიც ნელა მოცურავს ციური ბრწყინვალებიდან ღამის მდუმარებაში, წამით შეყოვნდება და აკვირდება სიბნელეს. წყვდიადში მკრთალარ შავ სილუეტად გამოიხატება უდაბნოს მონასტერი და მერე ოდნავ მბჟუტავი წერტილი სინათლისა. ესაა და ეს. ამ წყვდიადში მხოლოდ ეს წერტილი ესიტყვება ზეციურ ბრწყინვალებას.

წყვდიადის შესატყვისი სიჩუმეა ირგვლივ. და გაშეშება.

თვალი წამით აკვირდება სინათლეს და შემდეგ დაიძვრის მისკენ. და ეს მოძრაობა უეცრად გამოიყვანს გაშეშებიდან და მდუმარებიდან გარემოს.

ხმა ჩნდება. ჯერ ერთი ჭრიჭინობელა, მერე, ყური იწყებს გარჩევას ღამეული ხმებისას და რაც უფრო უახლოვდება სანთელს, მით უფრო ივსება სამყარო ღამეული ხმებით და იმავდროულად სინათლეც ეპარება წყვდიადს. ღამე ფერმკრთალდება. თანდათან სულ უფრო და უფრო გარკვევით მოსჩანს მონასტრის მოხაზულობა, ხოლო სინათლის მატებასთან ერთად ფერმკრთალდება სანთელიც, მისი „ღამის მანათობელი შუქი“ იცრიცება... ხმაური მატულობს.

დავით გარეჯის მონასტრის ნანგრევებში თვალი არჩევს ფრესკათა მწუხარე დუმილს.

ახლა სულმთლად ინათა და ირგვლივაც დღის გამაყრუებელი ხმაური გამეფდა, რომელშიც პოლიგონზე მოგრუხუნე მძიმე შეიარაღების ხმები იკვეთება და აზანზარებს კიდეც გარემოს.

სატრაპეზოში სანთელი იღვენთება, მაგრამ მისი ალი აღარ ჩანს დღის კაშკაშა სინათლეზე.

თვალი მიცურავს ფრესკებზე... სახეებს აკვირდება მშვიდი, უძრავი მზერით, თითქოს უნდა შეეხმიანოს ფერფლად შერჩენილ სულს, მშვიდად გამომზირალს კედლის სიბრტყიდან...

სახე... თვალები...

პარიზი, 1987
გაზაფხული.

ლექსები
გადაწერილი ბლოკნოტებიდან

1956 -1957 წწ.

1.
მე მინდა – ქვეყანაზე არ იყოს ასფალტი
და მიწა ჩანდეს ყველგან!
მინდა ვიარო ქუჩაში თამამად
და თავისუფლად ვსუნთქავდე.
მე მინდა:
რომ ქვეყანაზე არ იყოს „სიმშვიდე“
და ადამიანებს გვაცალონ ცხოვრება –
ყველამ!
მე მინდა:
იყოს უძირო ზეცა
და ადამიანებს უხაროდეთ წვიმის წვეთები...
მინდა – ჩემი ნაკვალევი აჩნდებოდეს მინას
და ის იყოს ღრმა...
მე მინდა – რომ ქვეყანაზე იყოს ღვთის ნათელი – მზე!
და ძალიან ბევრი მინა...

2.
ახლა თოვლია...
ფანჯრების იქიდან თეთრად ანათებს ზამთრის სიცივე.
და შენ მარტო ხარ...
ფარდებიდან გასცქერი ქუჩას.
მოლოდინი
შენს იქიდან ეკრობა სხეულს,
როგორც თოვლის ფანტელები სევდიანად ავსებენ
ჰაერს...
სადღაც შენს მიღმა,
უფრო ადრე, ვიდრე შენა ხარ,
ჩნდება სიჩუმე.
და გამოწვდილი თეთრი ხელები
გევედრებიან,
სიახლოვეში – განშორების გამოძახილით...
გარეთ თოვლია,
შენზე მშვიდი და უსასრულო.
თოვლის ფიფქებს განუწყვეტლივ მოაქვთ

შენს იქით
ღმერთის ფიქრები.
მეტი სიჩუმე...
უფრო ცივი,
ვიდრე შენკენ გამოწვდილი თეთრი ხელები...

3.
ოთახის კედლებს ზანტად ედება
ჩვენს იქიდან მომავალი სიწყნარე.
მიმქრალ სინათლეს არაფერი აღარ ეშველა
(ამ სიბნელეში ვეღარა ძლებს ჩემი სხეულიც)...
რა სიჩუმეა!
აღარც ფიქრი, აღარც ხმაური...
სადღაც ჩვენს მიღმა განისვენებს დაღლილი სული.
ჩუმად გაისმის სევდიანი წყნარი სიმღერა...
ლოცულობს ვიღაც...
და ჩვენს მიღმა, სადღაც შორეთში მიიძინა
სულ ყველაფერმა...

ოთახის იქით
თეთრი თოვლი
წყნარი და მშვიდი
მოითხოვს შველას...

4.
ფილტვებდაბერილ
დამძიმებულ ღრუბელთა სუნთქვა.
გულამღვრეული ზღვის ღმუილი
და თეთრი თოვლის ნაზი ფიფქით გადაპენტილი
ცივი ქალაქი...
სადღაც დანახულ უცხო სიზმრად თუ რამე ითქვა –
ეს ქალაქიც და ეს სითეთრეც იქიდან არის...

აქ აღარ მოჩანს პირდაღებულ ვეშაპის თვალი,
მზის სიახლოვით სისხლის ტბად რომ გადიქცეოდა.

არც მეთევზეთა ვიდოდიან აქ ქარავანნი,
არც სევდიანი მომლოდინე ქალები დგანან.

ფიქრს მინდობილი,
თოვლში და კარში
ვდგავარ ღრუბლებით გატენილ ზღვასთან
და დამშეული,
ხახაგამშრალი ვეშაპივით
მოუთმენელი
ველი მზეს...

ზღვა კი არ ცხრება და უფრო მაგრად ეტმასნება
დაბერილ ღრუბლებს...
ქალაქის შიგნით
თეთრი თოვლი
და შეღამების სიმშვიდე სუფევს...

5.
როდესაც
ჩვენი სხეულები იძირება სიჩუმეში
და ერთმანეთში ჩაგრეხილები ვემსგავსებით
იეროგლიფებს...

სადღაც ჩვენს მიღმა
ჩვენი სულები
ისვენებენ ცისფერ მდელოზე.

მისტიური, ალმოდებული და საოცრად
დარცხვენილი
სული –
ჩვენთაგანის...

(იქნებ თუ მინდვრის სიცისფრემ არცხვინა?)

აგონიაში, ათინების ექსტაზში მყოფებს,
იეროგლიფად გადაქცეულს ჩვენს სხეულებში
დაიბუდებს სიცარიელე.

მხოლოდ
სიჩუმე და სიწყნარე მოიცავს სხეულს...
და,
განშორება... სევდიანი... აღსდგება სრულად...

6.
ჩემი სიყვარულის სევდა იპყრობს სხეულს,
როგორც გარეთ, ქალაქის ქუჩებს
ედება თოვლი,
თეთრი და ცივი.

სადღაც ჩემს გვერდით, თვალების გასწვრივ
სხვისი თვალები
ჩემკენ გამოწვდილ თეთრი ხელებით
მიწვევს თავისკენ...

ქალაქის გარეთ ნაღვლიანად ანათებს მთვარე.

აქ ყველაფერი მეჩვენება სხვისი და ცივი.
სიცარიელე, სევდა, სიცივე
კივის ჩემს შიგნით
და ამ ღამეში სიმთვრალეში ვახვევ ჩემს სხეულს...

რჩება მხოლოდ შავი ღამე,
თეთრი თოვლი და ვიღაცის ცივი სხეული,
ჩემი თვალების სისწორეზე რომ ითხოვს შველას...

7.
მთაში ვარ, ბარის ამბავს ვწერ, იქ წავალ – დავწერ მთისას.
ყველას ერთთავად აღგიწერთ: უშბის და თეთნულდისას;
წამომდგარიყვნენ დევებად, გადმოეკიდათ ენები –

ულამაზესნი მყინვარნი, მოუდრეკავი ვნებები,
ყვითლად დამწვარი ბალახი, კლდე – ჯიხვის საბუდარი...
მთის წვერზე გახვალ – მაღლდები, მთაც შენი არის, ბარიც.

მთის ჰაერს სუნთქავ სუფთას,
გულ-ღვიძლი გეწმინდება.
ყოფნა-არყოფნა კაცის
საღირლად გეჩვენება...
გულსაც ენდობი სხვისას, უნდოდ არ ეკიდები
რასაცა გასცემ გულით, არც როს გაეკიდები.

მხოლოდ იმაზე არ დავწერ, რაც დაუკარგავს ჩვენს მთებსა...
რამაც ხელ-ფეხი შეუკრა, ხალხს აუბნია გზა-კვალი.
მთა – ისევ მთაა, ხალხი კი... ის აღარ არის, რაც იყო,
ყველა „განათლდა", გავაჭრდა, მთების დაჰკარგეს მათ ალღო.
ამათზე არაფერს ვამბობ, ისედაც გასაგებია,
მე გული მეთანაღრება, რომ ასე ცუდი მსმენია...
იმასა ვნატრობ, რომ ხალხმა მთას დაუბრუნოს ერთობა,
ის სილამაზე, კაცობა, რაც ერთ დროს ასე შვენოდა...

მთაში ამბავს ვწერ ბარისას
იქ წავალ – დავწერ მთისას.
ბუნების ძალს ვთხოვ – შემინდოს,
თუ რამ ვერა ვთქვი ღირსად.

8.
ადამიანებმა ქალაქიდან განდევნეს მთვარე.
და ახლა იგი დარცხვენილი იყურება შორიდან –
ცივი და უსინათლო.
(იგი ხომ ჩვენთვის ანათებდა მხოლოდ)
ადამიანებმა მთვარეს ჩაუკეტეს ქალაქი
ლამპიონებით,
უთვალავი ლამპიონებით...
და ახლა იგი ანათებს მხოლოდ ქალაქგარეთ.

მოქალაქეებს ყოფნით დღე და ლამპიონები,
რომელნიც გაშეშებულნი დასცქერიან
მოხეტიალე ძაღლებს და გაშეშებულ გამვლელებს,
როდესაც ისინი მიიპარებიან ქუჩის კიდეში...
აღარავინ გადის ქალაქიდან მთვარის სანახავად,
რადგან ცხადი გახდა, რომ მთვარე გაყინული გროვაა
მტვრის,
რომლადაც ყოველი ჩვენგანი უნდა გადაიქცეს...

მხოლოდ,
გადაიქროლებს ეული ნიავი ყვავილოვანი მინდვრის თავზე,
და ეჩურჩულება თავისთავს:
„მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამა ჩემი,
წვრილ-წვრილნი ვარსვლავნი
და და ძმაა ჩემი“...
გადაქანდებიან ყვავილები და ამღერდებიან ხმაწვრილად:
„ჯიმა ნანა ჩქიმი,
თუთა – მამა ჩქიმი,
ჭიფი-ჭიფი მურიცხეფი
დო და ჯიმა ჩქიმი“...

9.
მე დავიბადე შუაღამისას
და ჩემს სათუთ სულს ვიღაც პირუტყვი
დაეპატრონა.
მე დავიბადე სიცოცხლისათვის
და აკვანშივე აღმეკვეთა თავისუფლება.
რომ დამიბრუნონ ჩემი სული,
თავისუფლება, – აკვანშივე არტახგაკრული,
მე აღვსდგებოდი მაშინ დავითად
(განა აღმდგარა ვინმე უსულო?!)
და ჩემს სულს
შევსწირავდი თავისუფლებას,
რომლისთვისაც მე დავიბადე.

10.
შორეული უდაბნოის ცხელი სიყვითლე
იპყრობს ჩემს სხეულს
და დასიცხული აქლემები სთელავენ ჩემს სულს.
და მე მარტო ვარ ამ ღამეში,
ამ სიყვითლეში...
უცხო სიცივე ბოროტად სუნთქავს ჩემს სხეულიდან
და აქლემებმა მარტოობაც აღარ მაკმარეს...
ღამის წყვდიადში ბორიალში ვეძიებ შველას
და არაფერი აღარ მრჩება ამის სანაცვლოდ.
ამ სიცივეში ველარ იტევს სხეული სუნთქვას
და დასიცხული, ბნედიანი, იღვრება, ლექსად...

და ამ ღამეში, ამ სიცივეში
ეს არის შველა.

11.
ამის იდუმალებით შემოსილან ვერხვები,
დგანან შემოძარცვულნი, დაცვენილან ფოთლები...
თავზე – რუხი ზეცაა, არ ჩანს წვიმის წვეთები.
არც თოვლის ფანტელებით დაფარულან ველები...
რანაირი დრო არი... უცნაური დარები...
აღარც სიცოცხლე არის, აღარც „ცისა ფერები"...
და მეც ისევ მარტო ვარ, მარტო დავიარები...

12.
ტაძარში ინთება სანთლები...
და სიჩუმეში ირწევიან
ანარეკლები ჩვენი სულების...
მხოლოდ მყუდროება
რჩება უმოძრაოდ
ჯვარცმულის სახეზე...

13.
თივა ზვინებში,
თინა თივებში,
ბაგეგაპობილ ზეცას შესცქერის...
მზე თვალს უხუჭავს,
მზე სახეს უწვავს,
თინა ღიმილად თივას მიეკვრის...
თივა – მზისაგან ყვითლად მწველია,
თინაც თივისგან – თაფლისფერია...

თინა – თინებში,
თივა – თივებში
ბაგე – გაპობილ ბრონეულებად...
მწველი სურვილი, თივის სურნელი
და სიყვარულის ვნება ძლიერი...

„მოვა? – არ მოვა! ალბათ...“
მზე დაიჩრდილა...
თინას ეთბილა...
და სადღაც იგრძნო დაღლა.

მაღლა ზეცაში მზემ აიწყვიტა,
მოკვდა სიცილით
და...
გ ა ს კ დ ა!

14.
თავზედამხობილ სიშავეში,
როგორც
აა-ااا ჰ კი-ი ი...ვილი!
ყინვა შეიკრა თეთრ სუდარად ქალაქის თავზე.
ადამიანებს აღარ აქვთო ქვეყნად ადგილი...
მთვარე – ჩასხმული დასანთხევად
ბედისა თასში.
ადამიანი... შიში... ძრწოლა...

ა პ ო კ ა ლ ი ფ ს ი ს...
და,
სადაც ჩვენს მიღმა,
პატარა ბავშვი,
ცისფერ მდელოზე
დაკრიფავს იებს...

15.
ახლა ღამეა და მე ისევ მომეძალება
უცხო ლანდები,
ჩემს სულში რომ გამუდმებით ბორიალობენ.
და მე ვიღვრები ალმოდებულ ლექსის სტრიქონად
ახალი ღამის, ძველი ლანდების და
ჩემი სულის მესაიდუმლედ.

ყოველი ღამე, ყოველი ღამე იწოვს ჩემს ნაღველს,
ჩემს იმ დაკარგულ იმედებზე ოცნებას იწოვს,
სათუთად ახვევს თეთრ სუდარაში,
რომ მომავლისთვის შემოინახოს...

და როცა ერთხელ,
ვიღაც პოეტი
უძილობისგან
გატეხავს ღამეს,
მაშინ ჩემი ღამეები მოუთხრობენ მას ჩემზე.
ჩემს ოცნებებზე... იმედებზე...
და იქნებ იმან,
უძილობისგან ღამესთან მყოფმა
ვიღაც პოეტმა –
გამიგოს მე!

16.
მთაში ბალახთან ვსაუბრობ, ბუნების ძალს ვემონები;
სულითაც ვთავისუფლდები, სხვები მგონია – მონები.
ღმერთს შევსთხოვ, ისე მოაწყოს, ხშირად ვიდოდე მთაშია,

მთიდან რაც სიწმინდე მომაქვს, არ დამეკარგოს ბარშია,
არ დამვიწყნოდეს არასდროს – უშბის ძირს დილა ცვრიანი,
გოროზად თავის შებურვა, უკარებლობა, დგრიალი...
თეთნულდის ჟანგიანობა, ადიშის მწველი მყინვარი...
ვით დევის ენა გადმოდის, სახე აქვს მშვიდობიანი,
შიგ ისეთს ვნებას ატარებს, თვალი ვერ უძლებს ყურებას,
ამბობენ: – ის თუ დაიძრა, ვერ ავწონთ უბედურებას!
მშვიდად წევს და იღიმება კავკასიონის დევია,
იმისი ამოძრავების ჯერ არ დამდგარა ჯერია.
ძირს ენა გადმოუყვია, მზეს ეფიცხება წყნარად,
მარჯვნიდან თეთნულდი უზის, მარჯვენა უთქვამს შხარად,
თვისი შიშველი კლდეები – ჯიხვების საბუდარად.
თუ მოეწონე – მიგიშვებს, ჯიხვსაც მოგიგდებს კლდეზედა,
თუ არა, – შენს თავს იჩუქებს, დაგინვენს ცივსა მკლავზედა.
და მაინც მას ვემონები, მის საჯიხვეებს მზიანსა,
მის ზვიად ტანსა, – თავებთეთრს, და იმის სულსა
მაღალსა...

მთაში ბალახთან ვსაუბრობ, ბუნების ძალს ვემონები,
ყველაზე მაღლა დავდივარ, დაბლა რჩებიან მონები.

17.
წინად ის იყო პოეტების სავანე წმიდა,
სავსე გრძნეული იდუმალებით.
აქ სიბერისგან ჩამომჭკნარ სახლებს
პოეტის სული ეფერებოდა.
იქნებ ის სული უხილავი ახლაც ბორიალობს
და ნაღვლიანი ეძებს პოეტებს,
რომელნიც უკვე აღარ არიან...
და იწვის სული,
პოეზია იწვის უსულო.
მისთვის უცხოა უპოეტო ძველი ქალაქი,
ქალაქი, რომელიც გამოტენეს რუხი ასფალტით
და სახლებით,
რომლებშიც მას სული ეხუთება.

და სტირის სული, პოეზია სტირის უმწეო
ადამიანებს,
რომლებსაც ჩაუკირეს ყველა გრძნობები...
და მხოლოდ მაშინ,
როდესაც ღამე,
სიცარიელით და სიცივით მოსილი ღამე
დაისადგურებს მისგან მიტოვებული ქალაქის ქუჩებში,
პოეზიის მომაკვდავი სული ეწვევა მთაწმინდას
და დასტირის თავის დაკარგულ შვილებს,
რომლებმაც იგი მარტოდ-მარტო გასწირეს
ამ უპოეტო და სირუხით მომხრჩვალ ქალაქში...
რომელსაც ერთ დროს ერქვა
თ ბ ი ლ ი ს ი.

18.
ის ხშირად რჩებოდა ღამესთან
და მინდობილი ვარსკვლავების შორეულ ციმციმს
ოცნებობდა...
მისი ოცნება იყო უსახელო
და უსასრულო,
როგორც ყოველღამე ვარსკვლავების მშვიდი ნათება.
ზოგჯერ,
როდესაც მისი ოცნებები ბრუნდებოდნენ გუშინდელ
დღეში,
ის იგონებდა იმ დღეს...
მაშინ იყო სრული ურთიერთგაგება
აზრის, გრძნობების და მიმართების,
და იყო რაღაც სხვაც...
ის იდგა მარტო
თამბაქოს კვამლით გატენილი ოთახის შიგნით.
ის იყო მარტო.
უცხო რითმებად მის წინ, მის ირგვლივ
განუწყვეტლივ ეძლეოდა მოძრაობას რაღაც აზრი...

და ის წავიდა.
და დარჩა ღამე,
სიცარიელე
და სადაც ცაში დაკარგული მისი ოცნება.

19.
ფანჯრიდან – ფიჭვნარი...
ფიჭვნარი...
თეთრ კედლებზე თოვლს ხვეტავს კარი.
იქ,
როგორც ნაკაწრები ქვიშაზე
თეთრი ბილიკები ჩვენი წარმოდგენების:
თოვლზე დაგდებული დიდი ფორთოხალი,
მზეა გაყინული,
თეთრი და ცივი...
და გზაზე ცვივა...
გზაზე ცვივა... წუთები – წვეთებად,
როგორც კრიალოსანს მოხუცის ხელში,
მძივები უსასრულოდ ცვივადი.

ფანჯრებს იქითი
თეთრი კარი
ებრძვის სიმშვიდეს.

20.
დევი უდარდელი,
გრანიტის ლოდები
და დილის ცისფერი ნისლი...
კავკასიონის მთებს უტოლდები,
გრძნობა მაღლდება, ვიწმინდები, ვცარიელდები
და ვარ – იოგა.

უშბა დგრიალით გრანიტებს მაყრის
გულზვიადი და მიუკარები...
მე ვდგავარ მარტო.

უცხო ფიქრებად გარს მახვევია ცვრიანი დილა...
უშბა ლოდებად მაყრის სიბრაზეს
(რამ გააბრაზა ნეტავ?!)
მაგრამ ვერ მწვდება;
მერე ცოფდება და
გაოფლილ სახეს ღრუბლებში მალავს.

სიჩუმეა...
ცისკრის სიჩუმე...
მე ვდგავარ მარტო ცვრიან მიწაზე,
ვიღიმები და ვგრძნობ –
უნდა ავიდე იქ,
მწვერვალზე.

(ჩაასრიალა არწივმა მზის სხივი ხევში)

სიჩუმეა:
მთელ ქვეყანაზე სიჩუმეა...
შშშშშშშშშშშშშშშშ...

თ ე ნ დ ე ბ ა...

21.
მე სულმოუთქმელად ველი იმ დღეს,
როდესაც ქალაქის და მყრალი თამბაქოს
ბოლით გატენილ ფილტვებს ჩემსას
გავრეცხავ ცისფერი ჰაერით
და სისხლდაწმენდილი
ჩავემხობი ბალახში...

მაშინ,
მე ვიშოვი ერთ კვერცხ
მზეს,
და სიამოვნებით
გავაბოლებ.

22.
მთელი დედამიწა
შავი კვადრატები და სიბრტყეები
დაღარული და გადამსკდარი
ყვითელი სხივით.

შორს,
შარაგზაზე
მოედინება პროცესია კვადრატების შესაერთებლად.

და ნაპრალებში ისახება ლტოლვა ზეცისკენ...

ძაძითმოსილი პროცესია,
ძირსდამხობილი სისხლიან მიწას
ღაღადებს ღვთისკენ.

და სიკვდილამდე,
სანამ ვინმე მოიფიქრებდეს,
ის ჩნდება ნამდვილ,
წმინდა ფერად
და გაოცებულ, სუნთქვაშეკრულ მოკვდავის თვალში
ხდება სიმშვიდედ.

„და... მაღლდებიან... მინდვრები... ცაში...“

23.
როდესაც, ცივ და თოვლიან ქალაქში,
სადაც უთვალავი ღრუბლიანი დღეა
და მზის ამოსვლის ყოველგვარი იმედი დაკარგულია,

მე, თავშიშველი, გულგაღეღილი,
დავაბიჯებ ქუჩაში
და თავის თბილ ქურქებში გახვეულებს
თავს ვაწონებ...
გადასასვლელთან

პატარა გოგონა,
ღაწვებწითელი,
ცისფერთვალება
ჭამს ფორთოხალს.

დიდ ყვითელ ფორთოხალს –
სინათლით სავსეს.

24.
მზე...მზ-ზზე...მზზზზზეეეეეე!

ჰკივის სული,
ჰკივის ბუნება
(ცისფრად რონინებს ღმერთის სიტყუა)...

ზეცის იდეებს ვეღარ სწვდება ძახილი მიწის
და
არეკლილი,
დასუსტებული
ღრუბლებში კვდება.

25.
ეს იყო დიდი ხნის წინათ...
თეთრი მინდვრების თავზე
მზე იყო ისე მწველი –
თეთრი გვირილა ცაზე...
ეს იყო დიდი ხნის წინათ.

ტყე იდუმალებით თრთოდა,
(ტყე ჩვენი წარმოდგენების)
ირგვლივ სითეთრე იდგა
და
თოვდა... თოვდა... თოვდა...

ეს იყო დიდი ხნის წინათ...
შენ მარტო იყავი ცაზე,
თეთრი გვირილა იყავ,
მზესავით გული გქონდა.
თეთრი მინდვრების თავზე

შენ მზის ცრემლებად იქეც.

ეს იყო დიდი ხნის წინათ
და
თოვდა, თოვდა, თოვდა...

26.
მოხვედ, ჰოი, ღმერთო!
ცეცხლწაკიდებულ სულებს ჩვენსას დაეპატრონე.
ადამიანს ხორცის მეტი აღარა შერჩა,
ფისგადასხმული ცხოვრებიდან მოითხოვს შველას.
მოხვედ – შენ – ღმერთო.

ის,
რაც არსებობდა ყოველ ჩვენგანზე
უფრო ადრე
და რამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია,
არის წითელის და ცისფერის
აგონია, – ღმერთის ექსტაზი.

სევდიანი თეთრი ხელები სიახლოვეში
სხვის სხეულში ეძიებს შველას,
სიჩუმის შემდეგ
სევდა უფრო იპყრობს მის სხეულს
სიცარიელის და
სიცივის ამარა რჩება...

თეთრი თოვლი
თეთრ სუდარას

თოვლის საბნად წააფარებს დედამიწას.

მზის ამოსვლისას ჯერ კიდევ სუფთა,
ღმერთის ფიქრებად დაფენილი თეთრი ფანტელი
ქალაქის შიგნით შავ ტალახად გადაიქცევა.

გაცილებით უფრო ადრე,
სანამ ვინმე წაიკითხავდეს
ა პ ო კ ა ლ ი ფ ს ი ს!

27.
ცაში აიზიდა ყვითელი მიწა.
მზე და ჰაერი გაიტენა ხორბლითა
და ზანტი ხარებით.
მთელი დედამიწა
უზარმაზარი ყვითელი წრეები
და შიგ,
როგორც ფორთოხალში ალები,
როგორც მზის მზერაში
ხარები – ზანტად – შოლტები – ბავშვები
და –
ქალები... ქალები... ქალები...
და მხიარულად კარს გაყოლილი ხორბლის ნამქერი
და ჰაერი – ყვითელი მზისგან და ნამქერისგან.

ცაში:
იისფერი, ლურჯი, ც ი ს ფ ე რ ი
და ერთი უდიდესი, მთლიანი სიყვითლე მზის.
და სუნი:
ადამიანის
ხორბლის
ხარის
მიწის და
ცის.

და დასიცხულმა მაგრად მოვხვიე ხელი გოგონას
და წავიყვანე მდინარესთან.
ოო! მდინარესთან ის მოდიოდა
როგორც ჩემი ძველი ოცნება,
უსასრულო და ახლობელი.
გარშემო ელავდა თეთრი კაბა
და ჰაერი
გატენილი საამო შრიალით...

და დარჩნენ ზემოთ
დიდი, ყვითელი ფორთოხლები მიწაზე
და სუნი:
ადამიანის
ხარის
მიწის
ხორბლის და
მზის.

მედეა ევრიპიდეს წინააღმდეგ

ანტი-აბსურდი

ჩემს მეგობრებს

მოქმედი პირნი:

მსახიობი ქალი, იგივ *მედეა*

რეჟისორი, იგივ *ევრიპიდე*

მსახიობი კაცი, იგივ *იაზონი*

მედეას ბავშვები, რომლებიც თავის ჭკუაზე დარბიან და თამაშობენ.

ქოროები:

ევრიპიდეს პერსონაჟების, მწერლების, ხალხების

– იგივ ტრავესტების

ბრმა *ხევისბერი*

ვირგილიუსი და *დანტე* და

ძიძა

მელიტა – ევრიპიდეს ცოლი

კორინთოს მოქალაქენი

მაყურებელი

დამდგმელისათვის:

მედეასა და ქოროების ტექსტი პოლიფონიურად (მარაოსავით) იშლება შესრულებისას, ისე, რომ ერთდროულად შეიძლება იქნას აჟღერებული დოდეკაფონიური ან სერიული პრინციპით. ქორო მედეას ტექსტსაც ინაწილებს. მედეა „ამოდის" თავისი ტექსტით ქოროს მიერ გახმოვანებული ამ „მაგმიდან". ყოველ მსახიობს შესაძლებლობა აქვს, აქცენტი იქ გააკეთოს, სადაც თავად სურს, ანუ იმ ტექსტით „ამოვიდეს", რომელიც მას მიაჩნია მნიშვნელოვნად. ტექსტსა და მოქმედებას შორის შესატყვისობა შეიძლება არსებობდეს და შეიძლება – არც არსებობდეს, ვის როგორც სურს...

საზეიმო საყვირთა ხმა

ავანსცენაზე, ჩამოშვებული ფარდის წინ ქალებისა და კაცების ქოროები გაივლიან საზეიმო აღლუმით – სილამაზის კონკურსის მსგავსად. ყოველ მათგანს ხელში უკავია დაფა ევრიპიდეს დრამების პერსონაჟების სახელებით. ჩაცმულნი არიან შებრუნებით – ქალები კაცებად, კაცები ქალებად (ტრავესტები)... ამ ხმაურიანი დასაწყისის შემდეგ უეცრად ჩამოვარდნილ სიბნელესა და სიჩუმეში ისმის შორიდან თანდათან მოახლოებული ხმა...

ძიძა

მდინარეებმა აღმა ქნეს პირი, სიმართლის ძალა გაქარწყლებულა, უპირო გახდნენ მამაკაცები, ღვთისმოსაობა გამქრალა სრულად. ამიერიდან ქალების მოდგმას დასდებენ პატივს. დე, ჩვენი ძვირი ვერვინ გაბედოს. თუ ძველ პოეტებს უთქვამთ ლექსები ქალთა ღალატზე, ვერაგობაზე, ახლა შეწყვიტონ მაინც სავსებით ჩვენი აუგად მოხსენიება. თებევ, მფარველო მგოსანთა სიტყვის, დრომ მოიტანა, სიმღერა ითქვას კაცთა ღალატზე, ორპირობაზე.

შენ, მამის სახლ-კარს მოშორებულო, დაკოდილ გულით, ზღვათა სივრცეთა, კლდეთა საზართა, აქ, უცხო ქვეყნად მოტანებულო, შენ, აბეზარო, ბოროტ ქმრისაგან ძვალმოტეხილი უნდა წახვიდე დევნილობაში.

გაქრა სირცხვილი და აიორთქლა. ფიცს დაჰკარგვია თავისი ძალა დიად ელადას! არც მამის სახლი, არც გამკითხავი, არც რამ ადგილი თავშესაფრად. ქმრის სარეცლით სხვა დედოფლისგან განტევებულო. როგორ მიგიღოს წმინდა მდინარემ, ქალაქმან, ანდა, ვინ მეგობარმა მოგცეს საშველი შვილების დამკვლელს? განა ეგების საქმე ამგვარი? რა საშინელი იქნება ხილვად ჭრილობა ბავშვის ნორჩ, ნაზ სხეულზე? ჰოი, შენს მუხლებს შემოვევლები, თხოვნით, მუდარით მოგმართავ, ქალო, შვილთ ნუ დახოცავ. როგორ გეყოფა შენ სითამამე, საკუთარ ხელით ყელი გამოსჭრა საკუთარ შვილებს! ოდეს იხილავ მიამიტ ბავშვთა მიამიტ სახეს, როგორ აღმართავ ხელს სასიკვდილოდ, რას გეტყვის გული?

ტრავესტების ქორო
(შემოადგება ძიძას)
საშინელია იგი! სასტიკია სული მისი! ვერცა დიდებას და ვერცა სახელს ვეღარ მოიხვეჭს ვეროდეს კაცი ველურ ტრფობით გახელებული. მაგრამ ზომიერ ტრფობა-ალერსსა, ო, რა ნანატრი მოაქვს სიამე. ნუროდეს მტყორცნი, ო, ღმერთქალო, შენს ოქროს ისრებს, რომ არ დამდაგოს ტრფობის ალმურმა. ზომიერებავ, ციურო ნიჭო, სნორუპოვარო, ო, ნურასოდეს ნუ დამატყვევებ, ღმერთო, ამგვარი მძაფრი ტრფობითა, რომ ჩემმა გულმა ჩემს უნებურად მიმცეს ვაებას და მწუხარებას, ცეცხლს და გენიას დაუშრეტელსა, ან ჭკვიდან ისე გადამაცდინოს, რომ მოვისურვო სხვისი საცოლის დაპატრონება.
ოი, მამულო, სახლ-კარო ჩემო, ნურც მღირსებოდეს ყოფნა უშენოდ, ობლად შთენილსა. რა უნდა იყოს უმძიმესი ამგვარ ყოფაზე? სიკვდილს ვირჩევდი, არარაობას, ვიდრე ჩემს სახლ-კარს მოშორებულს და შორს გადახვეწილს მშობელ ქვეყნიდან წილად მხვდომოდა საწყლად ცხოვრება. ვხედავ შენს ყოფას და შენს ვაებას. არცა სამშობლო, არც მეგობარი, არც გამკითხავი – გულს მოგიფინოს ჭირში ჩავარდნილს, დაობლებულსა, ტანჯულს და გვემულს. ო, უთვისტომოდ, უჭირისუფლოდ გულს ვის გაუხსნი, შენს დარდს ვის ეტყვი? ყურს ვინ დაგიგდებს?

(ევრიპიდეს ოთახი. ევრიპიდე წერს. კუთხეში სძინავს მის ცოლს – მელიტას და ბავშვებს. გარედან ისმის ხმაური და ოთახში შემოიჭრება კორინთელთა ჯგუფი. ევრიპიდე ეგებება მათ შეცბუნებით).

ევრიპიდე
რამ შეგაწუხათ, კორინთელნო, წყვდიადსაც რომ არ შეუშინდით და სიზმართა ჯადოსნურ სრბოლას აარიდეთ ნატიფი მძორი?

კორინთოს მოქალაქე
ო! ევრიპიდე! თუმც მოტევებას გთხოვთ, რომ ამ ღამით მოულოდნელად დაგირღვიეთ მშვიდი ცხოვრება, მაგრამ გარწმუნებ, რომ კორინთოს ბედის გამგედ დაგასახელა დღეს განგებამ და შენზე არის ჩვენი სახელის ხსნა მომავლისთვის.

ევრიპიდე
ვერ გამიგია, მე, ლექსთამთხზველს, უბრალო მოკვდავს, ვით შემიძლია ესოდენი სამსახური მშობელთ ქალაქის?

ქორო
ნუ იქმ საზარსა ჩვენს საქმესა, შემარცხვენელად ბერძენთა მოდგმის.

ევრიპიდე
რომელ საქმეს?

ქორო
თავადაც უწყი, რომ კორინთოს ბრბოს გახელებულს მედეას შვილთა სისხლი ადევს და ტრაგედიის გთხოვთ გასწორებას.

ევრიპიდე
ბავშვების სისხლი... წმიდა სამსხვერპლოს წამბილწავი ბოროტქმედება, გაავებული ბრბოს უაზრო შურისძიება... ღმერთებს სწყურიათ, რომ სიმართლე ვთქვა, რადგან სწყრებიან ღმერთნი ელადის...

კორინთოს მოქალაქე
ღმერთებზე უფრო შთამომავალთა წყევლა გვაშინებს,
ჩვენს სულს რომ გახდის მიუსაფარს თავად ჰადესშიც.

ევრიპიდე
მე რა ძალმიძს... განა ჩემს სიტყვას რა ძალა აქვს. ვით შეუძლია საწყალ ტრაგიკოსს, შეაბრუნოს ეგ ბედისწერა და ააშოროს წყევლა-კრულვა ბოროტების მქნელთ...

კორინთოს მოქალაქე
შენ კარგად უწყი, რომ სახელი გვირგვინშემკული დიდებითა სწორედ შემძლეა, ჩააჩუმოს ბოროტი სიტყვა და დააჯეროს მოკვდავი ყველა, რომ სიმართლე სწორედ ისაა, რასაც ის ჰყვება. ჭეშმარიტებას მთქმელის სკამი ანიჭებს ძალას და ვინ დაიწყებს გამორკვევას სინამდვილისა... გაივლის დრო და გვირგვინოსანი ევრიპიდეს მხოლოდ სახელი შეინარჩუნებს სინამდვილედ მედეას ამბავს.

ევრიპიდე
მედეას ამბავს?!..

ქორო
ჰო, მედეასი, შვილთა მკვლელის...

ევრიპიდე
მაგრამ... შვილები... ვინ შვილები?.. განა კორინთოს მეფისა და მისი ასულის მკვლელთა მკვლელნი...

კორინთოს მოქალაქე
აი, ამ ყუთში იპოვი პასუხს კორინთოს ძეთა...

(მელიტას გაელვიძა და წამოიწია საწოლზე. უგდებს ყურს საუბარს და თანდათან ებმება მოქმედებაშიც. ქორო შემოადგება გარს მელიტას).

ქორო
განა აიღებს ტრაგიკოსი საფასურს ამას და უღალატებს თვის სინდისსა საყვირი ღმრთისა?.. როს უბედობა აიძულებს, აიღებს კიდეც. კალმის მოსმა განა თვალის ამოთხრა არის...

კალმის მოსმა... და გადარჩება კორინთოს ხალხი და მის სანაცვლოდ შვილთა მკვლელი გახდება დედა უცხოტომი, ვისი სახელიც მომავალში შეაძრწუნებს ელინთა მოდგმას... (ამ დროს მელიტა ძალით მიფანტავს ქოროს და უახლოვდება ევრიპიდეს)...

მელიტა

(მიდის ევრიპიდესთან და ვიდრე იგი რამეს მოიფიქრებდეს, გამოჰგლეჯს ყუთს ხელიდან კორინთელ მოქალაქეს. გახსნის და გაოგნებული დასცქერის. მერე მობრუნდება ევრიპიდესკენ და ისეთის მრისხანებით შეხედავს, რომ ევრიპიდე შეშინებული უკან დაიხევს. ეს არ გამოეპარება კორინთელ მოქალაქეს).

კორინთოს მოქალაქე

რა გენაღვლება, ევრიპიდევ, ვილაც უჯიშო ქალის ბედი. შენ კორინთოზე იზრუნე ახლა და დაიცავი მოყვასი შენი.

მელიტა

რას ევაჭრები! თავადაც უწყი, რომ თუ არ გექნა საშუალება, ოლიმპოს გვირგვინს შორიდანაც ვერ დაინახავ. აბა, განსაჯე, ვინ მიგიღებს მთელს ელადაში, კორინთოს ხალხი თუ შეაძულე თვის თანამოძმეთ...

კორინთოს მოქალაქე

(მელიტას გამოართმევს ყუთს, თუმცა მელიტას უჭირს მიცემა, და გაუწვდის ევრიპიდეს) ჰა, გამომართვი ეს ტალანტნი და ნუ ჯიუტობ.

მელიტა

ხუთი ტალანტი...

(სინათლე მოულოდნელად ქრება. და ისევ სწრაფად ნათდება ევრიპიდე, რომელიც დგას ოთახის შუაგულში. ოთახი ცარიელია. მელიტას და ბავშვებს სძინავთ).

ევრიპიდე

ხუთი ტალანტი... ფულზე გავცვალო სინამდვილე? ჭეშმარიტება?... ჰმ, ვინ რა უწყის ჭეშმარიტება, თუ ღვთის მსახურთაც არ დაიცვეს ბავშვთა სიცოცხლე და გაავებულ ბრბოს მიუგდეს... მაგრამ ბავშვების ხელით ქმნილი ბოროტებაც ხომ ბოროტებაა, და შემოქმედი მისი არის დედა ბავშვების და მაშ, გამოდის, რომ იგი არის მათივე მკვლელიც. ასეა სწორედ! ბრბო ასრულებდა სწორედ მის ნებას, საიდუმლო გზით თავს მოხვეულს გონებააშლილს... მას რომ არ ექნა ის, რაცა ჰქნა, მაშინ ხომ ბავშვებს არც ის საფრთხე შეექმნებოდათ და არც ტაძარში თავშეფარვა დასჭირდებოდათ...

(გაუცნობიერებლად ეფერება ტალანტებს)

ხუთი ტალანტი... მთელი წელი მეყოფა სარჩოდ და მელიტასაც ჩავაჩუმებ. თან მომეცემა საშუალება, ოლიმპოზეც წარვდგე ძლიერად... ბოლოს და ბოლოს, ტრაგედია ხომ ის არ არის, რაც მართლა მოხდა... ჩემი ნებაა, და კანონიც მისი მასშია, და სინამდვილეც ის არის მხოლოდ, რაც მასშია, ხოლო მის გარეთ, ისტორიის ბრუნავენ ჩარხნი... ის მართალი სთქვეს, მთელს ელადას ვაამებ ამით, როს უცხო ვინმეს, გარდმოხვეწილს მივაწერ ცოდვას...

მედეა

(შორიდან)

ოო! ევრიპიდე, ევრიპიდე; არ უწყი თავად, რას უმზადებ ადამის მოდგმას, დედას რომ შვილებს აკვლევინებ, მამას ღალატის ბუდედ სახავ და ზნედაცემულთ ტრაგედიის გმირებად აქცევ. როგორღა იდგეს ან ოჯახი დიდი ელადის და ან შვილებმა რით ირწმუნონ სიქველე მამის და სიყვარული თვის დედათა, როს მათ ძუძუთგან სასიკვდილო ნაღველი წვეთავს...

ო! ზევსო! ღმერთო! მამაჩემო! მზეო ჰელიოს! პაპავ ჩემო და მამაო ჩემი მამისავ! ერთი შეხედეთ, რას უმზადებს კაცობრიობას ნაშიერთა შენთა სიმდაბლე... ბედისწერა ელინთათვის განწესებული, მათ სათამაშოდ როგორ აქცევს სხვა ტომთა შვილებს. თვის ღვთაებათა სიძლიერეს სხვათ სისუს-

ტეში რატომ სახავს? ოჰ, ევრიპიდე, ევრიპიდე, განა ღმერთები მოკვდავებივით იყოფიან ტომად, ერებად? ჰოი, სიბნელევ უმეცრების და სიხარბისა უძლურებავ... ო! ევრიპიდევ, ღმერთი – ღმერთია, თუნდაც ორბის მოებას თავი თქვენს დასანახად...

(მედეას ხმა ისმის მაღლიდან და ჩანს მკრთალად განათებული ბუნდოვანი ხატება ვარსკვლავებიან კაბაში ეტლში ბავშვებთან ერთად მდგარ მედეასი, სინათლე ევრიპიდეს საწოლში ქრება. სცენაზე სიბნელეა).

* * *

მედეა

(შორიდან ისმის მისი ხმა)

ვქმნა თუ არა ვქმნა?! დამესვა კითხვა. ზევსო, სიმართლევ, და სხივო მზისა, ახლა კი ძლევა გვექნება მტერზე; გზა ხსნილი ვნახე თავდასაღწევი და შურს ვიძიებ მტერზე სასტიკად, რადგან ეს კაცი ჩვენდა სასურველ ნავსაყუდლად, საფარად გაჩნდა. ან ჩვენი გემის საბელს გადვუგდებთ ათენ ქალაქის ნაპირსა ზღვისას. ახლა კი გეტყვით სრულ ჩემს განზრახვას: ნუ ჰგონებთ, თითქოს ვთქვა რამ საამო... მსახურ ქალს ვისმე ვაახლებ ჩემს ქმარს, რომ გამოცხადდეს იგი ჩვენს თვალწინ. მოსულს მივმართავ მოთაფლულ ენით, ვეტყვი, თანახმა ვარ ყველაფერზე. მომხრე ვარ შენი ქორწინებისა, დიახაც მომწონს მეფის ბრძანება, ვემხრობი-მეთქი შენს ქორწინებას! რარიგ კარგია ეს არჩევანი! ნეტავი ბავშვებს ნება უბოძონ აქ დარჩენისო. მიტომ კი არა, – მართლა დავტოვო მტრის ქვეყანაში. არა, მსურს, ამ გზით რომ მოვსპო მტერი და მეფის ქალი მოვკლა მზაკვრულად... ვითომ, ბავშვები რომ არ განდევნონ, შვილებს გავატან ძღვნად პატარძალთან ძვირფას სამოსელს და ოქროს გვირგვინს, ისეთი შხამით გავლესე ოქრო, ოდნავ სხეულზე თუ მიიკარა, დაიღუპება ტანჯულ სიკვდილით და მასთან ყველა, ვინც ხელს შეახებს. ვაი, რომ საქმე ამით არ მორჩეს, იმას დავტირი, რაც კვლავ უნდა ვქნა. დავხოც ჩემს

შვილებს, ვერც ვინ დაიხსნის. როცა დავამხობ იაზონის სახლს, წავალ აქედან შვილების მკვლელი, საზარ საქმისთვის შეჩვენებული. ნურც გაიცინოს მტერმა ჩვენზედა, ნურც არაოდეს გაუცინია. მერე თუნდ მოვკვდე, აბა, რად მინდა თავი ცოცხალი? არცა სამშობლო, არც რამ საშველი ბოროტისაგან თავდასაღწევად. ო, რად მივენდე მე ტყუილ ფიცსა, სახლს რომ ვტოვებდი და ელინის მჯეროდა თქმული. მაგრამ ღვთის მადლით, მივუზღავ ნაცვალ პატივისცემას იმის ღალატის შესაფერისსა. ვერც ჩემგან ნაშობ შვილების ცქერით ვერ გაიხაროს. ვერც პატარძალმან უშვას სხვა შვილი... ჩემის შხამისგან გაიწირება დასაღუპავად. ვერვინ მიწოდებს სუსტს და უღონოს, რადგან სულ სხვაა ბუნება ჩემი: მტრისთვის სასტიკი, მოყვრისთვის კი კეთილმოწყალე!

ესეა წესი ამაყი სულის.

(მედეა ნელა გამოდის სცენის სიღრმიდან. მისი სვლის მიყოლებით ქორო, შავ გრძელ მოსასხამებში, შემწკრივდება კედლად მის უკან და ასე ამოდის მასთან ერთად სცენის შუაგულისაკენ, თანდათან ავსებს რა სივრცეს).

ხალხების ქორო

რაკი თვით გვამცნე შენი ფიქრები შენი სიკეთის გულწრფელ მოსურნეს, კაცთა კანონის პატივმდებელსა, მინდა, გირჩიო, თუკი გამიგებ, ამ განზრახვაზე აიღო ხელი.

მედეა

სხვა გზა არ არის. შენთვის კი რჩევა როდია ძნელი, როს ამგვარი რამ არ განგიცდია.

ხალხების ქორო

ნუ, ნუ გასწირავ შენს სისხლს და ხორცსა.

მედეა

მე ამით ჩემს ქმარს დავსჯი სასტიკად...

ტრავესტების ქორო
მაშ, ვინ იყოს შენზე ბედშავი?

მედეა
დაე, აღსრულდეს! რად მინდა სიტყვა არრის მაქნისი,
ვაი! ავაიმე! ბედკრულს, უბედურს, ავაი, სად ხარ სიკვდილო ბნელო;
ვაიმე, ვაი, ნეტავ დამეცეს თავზე ღვთის ცეცხლი,
ვაი, რა დამრჩა კიდევ... ავაი, რისთვის ვცოცხლობ?
ოი, სიკვდილო, დამხსენ სიცოცხლეს, რომ გავეცალო ამ სატანჯველსა, ოი, მამაო, ვაიმე, სამშობლოვ! საბრალო ძმაო ,ჩემგან მოკლულო!...

(მედეა ისე უეცრად მიუტრიალდება ქოროს, რომ იგი პანიკური ყვირილით გაიფანტება და შეერწყმის სიბნელეს).

მედეა
კორინთოს შვილნო, თქვენთან გამოველ, რომ არ დამძრახოთ, ბევრს ვიცნობ კაცსა, გაკიცხულს მისი ქედმაღლობისთვის, თუ კარს არ გადის, ან თუ გულს ერჩის უცხო ქვეყნებში მოგზაურობა და არც ის უყვარს, ვინც ნათესავში მისვლას და მოსვლას დაზარებულა. ზოგჯერ აცდუნებს კაცს თვისი თვალი, თუ კაცის სულის გამოუცნობლად ერთი შეხედვით გამოაქვს დასკვნა, მიტომაც ცუდი კარგი გგონიათ, ცამდე მართალ კაცს ბოროტად სახავთ. და რა სიფრთხილე მართებს უცხოელს, რა თავდაჭერა, როცა თქვენიანს არ ინდობთ მისთვის, რომ თავის გულში არ ჩაგახედათ. მე უმისოდაც შემემთხვა ჭირი, სულის ამრევი, და მძაგს სიცოცხლე, შავი სიკვდილის მონატრებულსა. რაც იყო ჩემთვის უძვირფასესი, რასაც შევწირე სიცოცხლე ჩემი – ყველა გაცუდდა. ყალბი გამოდგა. გაცუდდა კაცი, ქმრად არჩეული...

(ქორო იძრობს შავ მოსასხამებს და თანდათან გამოდის სიბნელიდან ტრავესტებად გამოწყობილი. და მოძრაობს ნე-

ლი რხევით მედეას მონოლოგის რიტმში და მისი მოძრაობა ცეკვად იშლება).

მედეა

ამა ქვეყნიურ არსებათ შორის ქალზე საცოდავს ვერაფერს ნახავ; ჯერ არის... და ქმარს ყიდულობ ფულით, მერე ბატონად მოგევლინება. პირველ ჭირს სჭარბობს ჭირი მეორე. ძნელი ის არის, რომ ბრმად ყიდულობს, მისი ავ-კარგის არა იცის რა. ქალს ხომ თავს მოსჭრის ქმრისაგან წასვლა?! არც უფლება აქვს, გააგდოს ქმარი. ქალი ქმრის სახლში უცხო წესს ხვდება, გონს ვერ მოსულა, სად, ვისთან მიდის. არაფრის მცოდნეს, არრის გამგებსა ის დარჩენია, რომ იმკითხაოს. ბედნიერია ხომ მაშინ ცოლი, ყველა შეჰნატრის იმ ქალის ხვედრსა, როდესაც ქმარი ერთგულობს უღელს. და თუ არადა, სიკვდილი გვიჯობს, რადგან ქმარს, სახლში თავმობეზრებულს ხომ ძალუძს, გარეთ გულს მოულხინოს, დრო გაატაროს ტოლ-მეგობრებში?! ჩვენ კი მას უნდა ვუცქერდეთ მხოლოდ. ამბობენ, ქალი შინ ზისო მშვიდად, როს ქმრები ბრძოლის ველზე მიდიან. რა სიბრიყვეა! ერთხელ დედობა არ სჭარბობს სამგზის ომში შესვლასა? მაგრამ ჩვენს შორის დიდი ზღვარია, თქვენ გაქვთ სამშობლო, თქვენ გაქვთ სახლ-კარი ლხინში სიამედ, ჭირში – იმედად, მე კი მარტო ვარ ქმრისგან გვემული, გადმოხვეწილი უცხო ქვეყნიდან, და გაუკითხველს, უჭირისუფლოს არავინა მყავს შემწედ, დამხმარედ: არც დედა, არც ძმა, არც ნათესავი. მხოლოდ ერთი მაქვს მე სათხოვარი, თუ ვპოვე ღონე ქმრის დასასჯელად, რომ გავუსწორდე ავის მოქმედსა და შური ვაგო ღალატისათვის; დავსაჯო ქალიც, მამაც და ქმარიც, გთხოვთ, რომ არ გამცეთ. სუსტია ქალი, მას აფრთხობს რკინის ოდენ დანახვა, მაგრამ სარეცელს თუ შეუბღალვენ, შურს მისებრ მწარედ ვერვინ იძიებს.

(ნელა გადის სცენიდან. ასე რომ, ბოლო სიტყვები უკვე სიბნელიდან ისმის ძლივს).

ტრავესტების ქორო

გაქრა იმედი ბავშვთა ხსნის,

სიკვდილი ელით უთუოდ.
საწყალმა სასძლომ ხელთ იპყრა
უცხო რამ ჯილდო, რომ აელვარდეს ჰადესის კარად
ოქროს გვირგვინში თმა ოქროსფერი.

მოსავს სამოსი ოქროთ ქსოვილი, მასთან გვირგვინიც პატარძალისა, ის სამკაული ქორწილ-ზეიმის მინიჭებული ბედისწერისგან. ბოროტ სიკვდილის ბადეს გაახვევს მისარქმეველად აღსასრულისა. მისი ხვედრია, ვერც გაექცევა.

შე უბედურო, ბოროტ ქორწილის შესახვედრად გამზადებულო,
სიძედ მეფისგან ამორჩეულო, განა ვერ ხედავ, ბრმავ, უგუნურო, რომ ბავშვებს ელით ან აღსასრული და რომ პატარძალს, არაფრის მცოდნეს, ჩირაღდანს უნთებ საბედისწეროს.

თქვენს ხვედრს დავტირი, საბრალო ბავშვნო,
დედავ, შვილთ მოკვლად გამზადებულო.
შეურაცხყოფილ სარეცელისთვის,
ქალო, სისხლს ეძებ შურისსაგებლად.
გსურს, მტერს მიუზღო სამაგიეროდ
ღირსი სასჯელი ათასჯერ მწარე.

მწერლების ქორო
(გამოეყოფა ტრავესტების ქოროს)

მოთქმა-გოდება მოისმის ისევ, შმაგობს და წყევლის შეუსვენებლივ მისი სარეცლის შემბილწავ ქმარსა. შეურაცხყოფილს, უცეცხლოდ დამწვარს ზევსი, თემიდა პირს აკერია. რად ჩამოაგდო ბედმა ამ ქვეყნად აქ, ელადაში, კოლხელი ქალი, იმ გადამთიელ უკიდეგანო ზღვათა სივრციდან.

რად არ გვიჩვენებს, ერთი მოჰკითხეთ, ის თავის სახეს კარს გამოსული? ან რად არა სურს ჩვენი მოსმენა, იქნებ დაუშრეს სიშმაგის ცეცხლი, გადაეყაროს სევდა გულიდან, მეგობრისათვის მუდამ მზადა გვაქვს კეთილი რჩევა გულის მალამოდ. გამოიყვანეთ მედეა ჩვენთან, ვიდრე ავს რასმე ის არ შეჰყრიდეს თვისთა მახლობელთ, მძიმე სევდისგან გაოგნებული.

ზევსო, მიწავ და ნათელო დღისა, გესმით დედოფლის ტანჯვა საზარი? შე უბედურო, რაზედღა გდიხარ ცივსა სარეცელს?

განა სიკვდილი თვით ვერ მოგნახავს? თუ ქმარმა დათმო შენი საწოლი ახალ ცოლისთვის, თავს რაღად იკლავ?!

მიენდე ზევსსა, ის მოგცემს შვებას, შენს გულს ცრემლებში რატომღა აღრჩობ?

ყური მოვკარი საზარ გოდებას, კოლხელ დედოფლის მესმა ვაება. მითხარ, მოხუცო, მედეას რისხვა ჯერ არ დამცხრალა, მძვინვარებს ისევ?

ფრიად მაწუხებს მე ამ ოჯახის უბედურება.

(ქოროს ტექსტი ხან ცალ ხმად ჟღერს, ხან ჯგუფისად, ხან კი იკვრის გუნდად).

(მედეა შემოდის სცენაზე შვილებით. მოსეირნობს სცენაზე გაფანტულ ტრავესტებისა და შავმოსასხამიანთა ქოროში. იწყებს ლაპარაკს, როდესაც ქოროს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი ტექსტი...).

მედეა

ჰოი, შვილებო, თქვენ გაქვთ ქალაქი, მეფის სასახლე! მშობელ დედისგან განშორებულნი იცხოვრებთ აქა. მე უბედურს კი მომიწევს უცხო ქვეყნად წრიალი და თქვენს სიხარულს ვერ მოვესწრები. დედა-მშობელი წითელ შუქურით ვერ გაგინათებთ ქორწილის დარბაზს. ო, სიამაყევ, ჩემო დამკვლელო, რაზედ დაგბადეთ მე უბედურმა! ო, რა ტკივილი, რა ჭაპანწყვეტა თქვენი შობისთვის დამითმენია. ფუჭი იმედი მანუგეშებდა, რომ სიბერის ჟამს მეყოლებოდით მომვლელ-პატრონად და მიცვალებულს ცრემლს დამაყრიდით, გულმდუღარენი. დედაშვილობის მადლით მოსილი ამ ქვეყნით მშვიდად გარდავიდოდი. ახლა კი გაქრა ტკბილი იმედი, ოხერ-ტიალი უნდა ვეხეტო მე კარით-კარად მიუსაფარი, ვერც ვერასოდეს ვეღარ იხილოს დედა-მშობელმა აწ თქვენი სახე. ვაიმე, ვაი, რაზედ მიცქერით, შვილებო, ასე... რაზედ იცინით? კიდევ გეწეროსთ ასე ღიმილი? რა განვიზრახე, ვაიმე, გული! გული

ჩამაწყდა, როს მომღიმარე სახე ვიხილე ჩემი შვილების. არა, არ ძალმიძს, შორს, შორს, განზრახვავ! თანვე წავიყვან მათ ჩემთან ერთად, რად მინდა, მამის ტანჯვა ვიყიდო ჩემს უსაშინლეს ვარამის ფასად. ნუ, ნუ იყოფინ, შორს, შავო ზრახვავ... მაგრამ ეს რაა!.. მტერი ვაცინო და დაუსჯელად დავტოვო იგი?! უნდა გავბედო! ვაჰ, ჩემო თავო, ტყვევ, ქალაჩუნავ, ლმობიერების... შინ შედით, ბავშვნო. თუ ვინმეს აფრთხობს იმა მსხვერპლის დროს ჩვენი ყურება, მოგვშორდეს ახლავ! მე კი არ შევდრკე!..

ვაიმე, ვაი...

გულო, რას სჩადი? ნუ გაიმეტებ! დედაშვილობის მადლს ნუ შებილწავ. იხსენ შვილები, შე უბედურო, იმედად გყავდეს დევნილობაში. ჰადესსა ვფიცავ შურისმგებელსა, რომ არ ჩავაგდებ შვილებს სხვის ხელში, სულერთი არის, იმათ დახოცავს მეფის სახლობა. მიტომაც უჯობთ, ჩემგან შობილნი ჩემგანვე მოკვდნენ! მორჩა, ყოველი გზა გადაიჭრა, კარგად ვიცი მე, პატარძალს, შემკულს ოქროს გვირგვინით, საშინელ ტანჯვით ელევა სული. შევმდგარვარ გზაზე საალალბედოს, მაგრამ მათ შევყრი უარეს შავ ბედს, აბა, ჯერ შვილებს გამოვეთხოვო. აქ მოდით, დედას მოეცით ხელნი. ო, ნაზო ხელო, ტურფა ღაწვებო, სახის იერო კეთილშობილო! იბედნიერეთ იქ, რადგან მამამ მოგტაცათ ბედი ამქვეყნიური. ტკბილო ამბორო, ნაზო სხეულო, ო, სულთა ფშვინვავ უძვირფასესო, წადით, გამშორდით, ბოროტით ძლეულს ჩემი შვილების ცქერა არ ძალმიძს. კარგად ვიცი მე, რაც განმიზრახავს, ვნება რომ სჭარბობს ჩემს გულისთქმასა, ვნება, სათავე დიდთა ცოდვათა!

(მიჰყავს ბავშვები სცენის სილრმეში და სიბნელეში. ქორო მძიმედ დაიძვრის და ისიც იწყებს გაუჩინარებას... ბნელდება. უეცრად მედეა ისევ შემობრუნდება სცენისაკენ, უკვე როგორც <u>მსახიობი</u> ქალი და მოაქვს სივრცე ყვირილით).

მსახიობი ქალი-მედეა (იძრობს მედეას ტანსაცმელს და გრიმს...)

არა! აარაა! აარრრაااა!

(უეცრად მთელი სცენა ნათდება მკრთალად. მედეა მოდის სცენის სიღრმიდან თავის შავ, ფართო, ვარსკვლავებით მოფენილ სამოსელში, თითქოს ეფინებაო მთელ სცენას. მისი ხმაც ექოდ ვრცელდება სივრცეში).

არა! არა! ეს ტყუილია! ტყუილია! გამოგონილი მოკვდავთაგან!.. მე ვერ შევძლებდი... ტყუილი კაცთა! არაააა! არაააა! არ შემიძლია!

(ისტერიულად მიაწყდება სცენის კიდეს და ჩერდება, თითქოს კედელს მიჯახებული)

რეჟისორი

(ცივად დგება დარბაზიდან, მეტად წყნარად და მტკიცედ)

გეყოფა ეგ ისტერია, საკმარისია. შეწყვიტე ეხლავ!

(მაყურებელთან მობოდიშებით...)

ამ ადგილს რომ მიადგება, გიჟდება მართლაც...

მსახიობი ქალი-მედეა

(ისტერიულადვე)

არა! არ მეყოფა! ტყუილია! ვერ მოვკლავდი მათ!

იაზონი (მსახიობი)

(გამონათებული კუთხიდან „არგოს" ნანგრევებში მიწოლილი წამოყოფს თავს, ახალგამოღვიძებული. ხელში სათამაშო „არგო" უკავია).

რა ხდება? კოლხურმა ნანამ ისე ტკბილად ჩამაძინა, რომ მართლაც იმ ჯადოსნურ ქვეყანაში მეგონა თავი!

(მიმოიხედავს... გაოგნებული...)

აღარ ვთამაშობთ?

(კითხულობს ბავშვივით. გამოიყურება კიდეც, როგორც ჩასუქებული და განებივრებული ბავშვი, მოდებილო).

რეჟისორი
(მოემართება სცენისაკენ)
რა აბსურდია! ახლავ შეწყვიტეთ ეს უაზრობა. ხალხს ნუ ამასხრებთ. თავსაც საკუთარს ნუ იმასხრებთ გამოგონებით! (მოკრძალებით მიმართავს დარბაზს) ბოდიშს ვიხდი, მე, პირადად, უნებლიე ისტერიისთვის... ხდება ხოლმე... ახლავ ხელახლა შევუდგებით... *(მიუბრუნდება სცენას)* აბა, შევუდგეთ...

მსახიობი ქალი
არა! არა! მას არ მოუკლავს! არ მოუკლავს! მე არ მომიკლავს!.. ჩემი გული გრძნობს, რომ ტყუილია მონაჭორი ქალთ დასამხობად. უცხოტომის უარსაყოფად... მე ვერ შევძლებდი... ბავშვების... მოკვლას... ბავშვების... მოკვლას... ბავშვების...
(კანკალი აიტანს. მსახიობში ხან მედეა იჩენს თავს, ხან თვითონ მსახიობი)

იაზონი
(კვლავინდებურად გაოგნებული და გაბუტულიც იმის გამო, რომ არ ესმის, რა ხდება)
ვინ მოკლეს?

მსახიობი ქალი-მედეა
(იაზონს შეაცქერდება, თითქოს, ახლა შენიშნაო. მზერაცარიელი, ვით შემყურე სიცარიელის)
მე არ მომიკლავს ჩემი შვილები...

რეჟისორი-ევრიპიდე
(უეცრად ჩაებმის. მძულვარედ)
არც შენი ძმა? ნუთუ, ისიც არ მოგიკლავს? ნუთუ, არც ის დაგიჭრია ნაკუწებად მდევართა შიშით?..

მედეა-მსახიობი
არც ძმა მომიკლავს.

(ისტერიულად, მსახიობის ხმით)
ტყუილია! ტყუილი...

რეჟისორი-ევრიპიდე
(უახლოვდება მედეა-მსახიობს)
ნუთუ, არც საცოდავი პელიასი მოახარშვინე თავის შვილებს...

იაზონი
(გაბუტულ-გაწიწმატებული)
ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რა ხდება აქა?

რეჟისორი-ევრიპიდე
(განაგრძობს შეტევას მსახიობზე)
არცა კრეონი, კორინთოს მეფე? და მისი უცოდველი ქალიშვილი – ნუთუ, არ დაწვეს შენს ჯადოსნურ საპატარძლო სამოსლის ცეცხლში?

მსახიობი ქალი
(ნელ-ნელა იხევს სცენის სიღრმისკენ. ქორო იკრიბება და იწყებს ამოსვლას ავანსცენისაკენ. მსახიობი ქალის მოძრაობა იწმინდება და მშვიდდება – „მედეური“ ხდება).

იაზონი
ვინ მონამლეს?
(ზლუქუნით)
ბოლოს და ბოლოს, მე ხომ იაზონი ვარ! მითხარით მაინც, რას ვთამაშობთ?

რეჟისორი-ევრიპიდე
(იაზონს)
მედეას, ევრიპიდეს „მედეას“, რომელმაც შურისძიებით მოკლა თავისი ორი შვილი და თავისი სიყვარული სიძულვილით დააგვირგვინა...

(მიუბრუნდება მსახიობ ქალს)

„მედეას“ ვთამაშობთ... მედეას, ჩემო იასონ, ხომ მართალია ქალ...ბა...ტონო... მე დე ა!

(მსახიობი ქალი გაუჩინარდა, შერწყმული ქოროს. რეჟისორი-ევრიპიდე აწყდება ქოროს მის ძებნაში)

დაწყევლილ დედას... სამარადისო მედეას...

მედეა

(სიშორიდან)

ოი, ევრიპიდე, ევრიპიდე! ყველაზე უკეთ თვით მე ვიცი, რა ჩავიდინე... უკვდავ სულში ხომ უცვლელნი ვრჩებით?! მე ვარ მედეა, და და დედა, ცოლი და შვილი... თვით მე ვარ, მითი... თქვენ კი... ადამიანები ხართ თქვენ... კაცები... მოკვდავნი ხართ თქვენ და მოკვდავია ისიც...

ტრავესტების ქორო

უკვდავ სულში უცვლელნი ვრჩებით... უცვლელნი ვრჩებით... უცვლელნი ვრჩებით... მოკვდავნი ხართ თქვენ... მოკვდავია ისიც... მშიშრები ხართ თქვენ... მშიშარაა ისიც... უცვლელნი... უცვლელნი...

რეჟისორი-ევრიპიდე

კაცები... ქალები...

მე არ ვაპირებ გენიოსთა ქმნილების შეცვლას...

(ჩამქრალი ხმით)

ქალბატონო... ქალბატონო... მედეა... ქალ...

(უეცრად ამოენთება სრულიად შეცვლილი და გარდასახული. მრისხანედ, ისტერიულად)

გაჩუმდით! ხმა ჩაიკმიდეთ... არ გავიგონო არც ერთი სიტყვა!!

(ქორო ჩაჩუმდება და იწყებს სტოქასტიკურად მოძრაობას სცენაზე. ჩუმად. რეჟისორი იწყებს სიარულს სცენაზე და გამუდმებით აწყდება ქოროს... ბუტბუტებს გაუჩერებლივ სხვადასხვა ტონალობაში...).

ბოროტო თესლო სიძულვილის....

(როგორლაც გამოითავისუფლებს თავს ქოროსაგან, რომელიც აბლაბუდასავით ეხვევა ირგვლივ... გასძახის სიბნელეში).

ყოველ ქალში არის მძინარე მედეა და ყოველ კაცში – იაზონი.

ამას გაუწყებთ მე, ევრიპიდე!

ვიცი ეს კარგად და შენც იცი ასევე კარგად, რომ მე ისეთივე იაზონი ვარ, ვით შენ – მედეა! გესმის! და ისიც ვიცი, რომ შენ მოკლავდი მათ, და რომ კიდევ მოკლავ და ჩაიდენ ღალატს; რომ სამშობლოს გაყიდი უცხოელის ლურჯი თვალების გულისათვის... დიახ... მაცდურო რასავ... და უგულობის კარო... შიშის და სიძულვილის წყაროვ... აღშფოთებული ვნებების დაუოკებელო ოკეანევ... (ყვირის) ბოზო, როსკიპო...

იაზონი

(თითქოს ნიადაგი მოიპოვა თავისი თავის გამოსაჩენად და ჩაებმება რეჟისორ-ევრიპიდეს მიყოლებით, როგორც მისი ორეული)

ახლა მჭირდება მახვილი ენა, როგორც მესაჭეს, სიფრთხილე მმართებს, აფრა დავუშვა დაუყოვნებლივ, რომ ავენობის მძაფრმა გრიგალმა ჩვენ არ წაგვლეკოს სულ ერთიანად. თუმც დიდად სახავ შენს დახმარებას, ყველაზე მეტად მაინც კიპრიდეს უნდა ვმადლობდე. აბა, განჭვრიტე სიბრძნე აზრისა, თუმც კი ჭკუაში არ დაგიჯდება, მაგრამ რას იზამ, ტრფობის ღვთაებამ დაგჭრა შენ ისრით და წაგაქეზა ჩემდა საშველად. ხომ მართალს ვამბობ? შენც კვერს დამიკრავ, თუ გიჭრის ჭკუა სიბრძნით ქებულსა. მაგრამ ამაზე, მგონია, კმარა. განა უარვყოფ შენს სამსახურსა? მაგრამ, დაფიქრდი, ჩემი ხსნისათვის განა ასწილად არ გეც პატივი? ჯერ აქ, ელადას, ამოგიყვანე იმ ბარბაროსთა შორეულ ქვეყნით, მერე გაეცან კანონს, სამართალს იქ გამეფებულ მძლავრობის ნაცვლად, აქ, ელადაში, ყველა ბრძნად გსახავს, შორს გავარდნილა შენი სახელი. იქ რომ გეცხოვრა, იმ ქვეყნის კიდეს, მაშინ შენს სიბრძნეს ვინ შეიტყობდა? რაში მჭირდება ფარული ოქრო, ან ორფეოსის ბრწყინვალე ნიჭი, თუ არვინ იცის ჩემი ამბავი.

თვით მაიძულე, თორემ ამის თქმას, სიმართლე გითხრა, არ ვაპირებდი. მეფის ასულის შერთვაზე გეტყვი: ჭკუით მოვიქეც, პირველ ყოვლისა, მერე – ვით შენი კეთილისმყოფიც. იოლკის მხრიდან გამოქცეულსა, შენც კარგად იცი, რა ჭირი შემხვდა და ჩავარდნილსა ამგვარ განსაცდელს მეფის ასულის შერთვაზე კარგი რა უნდა მექნა, აბა, დაფიქრდი! ამაოდ ფიქრობ, თითქოს შემძულდი, ვითომ გულისთქმით ვირთავდე ცოლსა, ან მსურდეს ბევრი შვილის ყოლა. მეყოფა, რაც მყავს. ცოლი შევირთე, კარგად გვეცხოვრა და სიღარიბე არ განგვეცადა. ღარიბს გაურბის თვით მეგობარიც. მინდოდა, შვილი რომ გამეჩინა გვარიშვილობით ჩვენდა საფერი, და ღირსეული მიეცა ძმები ჩვენთა შვილთათვის, რომ ჩემს ნაშიერს სვებედნიერად, კარგად ეცხოვრა. შენ რაღად გინდა კიდევ შვილები, მე კი მჭირდება, რომ ვემსახური იმათ, ვინცა მყავს, ხომ მართალს ვამბობ? კვერს დამიკრავდი – თუ არ საწოლი, ქალებს ყველაფრის ატანა ძალგიძთ; მხოლოდ თუ შეხვდა რამ დაბრკოლება სარეცელს თქვენსას, მორჩა, გათავდა, უმალ ბოროტად გიჩანთ სიკეთე. რა იქნებოდა, ბავშვთა გაჩენა გამოეგონათ რაღაც სხვა წესით – ისე, რომ ქალი არ გარეოდა სულაც ამ საქმეს. მაშინ კაცები გადავრჩებოდით, ვინ იცის, რამდენ დავიდარაბას და ძაღლი ჩვენ ბედს აღარ დაჰყეფდა.

(იაზონი თანდათან ემსგავსება სოფლის დებილს და ისე ლაპარაკობს, სიტყვების ფლაშა-ფლუშით; დორბლები ჩამოსდის... და სხვა).

ევრიპიდე-რეჟისორი
მოჰკალ ისინი!.. მოჰკალ ისინი!.. მოჰკალ ისინი!..

ტრავესტების ქორო
მოჰკალ... მოჰკალ... მოჰკალ... მოჰკალ...
(და ასე აგრძელებს მედეას მთელი მონოლოგის ფონად)

მედეა-მსახიობი

(წამოადგება მოულოდნელად იაზონს. რომელიც შეშინებული ლეკვივით მოიკუნტება და იხუტებს თავის სათამაშო არგოს)

ყოვლად წამხდარო! სხვა რა ვუწოდო მაგ ავკაცობას, ენით უთქმელსა. აქ მოსვლას ბედავ, მტერზე უმტრესო, შე საზიზღარო ღვთისთვის, კაცისთვის. გაბედვა ჰქვია... ან სითამამე... მოყვარეს ვნებდე, პირში უმზერდე? ეს არის კაცის სენი საზარი, ურცხვობა ჰქვია მაგას სახელად. მე გიხსენ! მოწმედა მყვანან სრულად ელინნი, ვინც არგოს გემით კოლხეთს ეწვია; ცეცხლოვან ხართა შებმა-გახედნა, თუ სასიკვდილო იმ ველის დახვნა, თუ თავზარდამცემ, ხილვად საზარი გველის პირიდან ოქროს საწმისის გამოტაცება, საკუთარ ხელით მომიკლავს იგი და ამინთია ლამპარი ხსნისა. უკუმიგდია შენი გულისთვის მამა მშობელი, სამშობლო ჩემი და მერე იოლკს, უკან რომ მოგყევ, ჭკუით კი არა, გულით მოქმედმან პელია მოვკალ, შენი ორგული, ყოვლად საზარელ ბოროტ სიკვდილით: მის ქალიშვილებს დავაკვლევინე!..

ეს ყოველივე მიიღე ჩემგან, ყოველთა კაცთა უსაძაგლესო, და მადლობის წილ ღალატი გვიყავ. უშვილო იყო, გაპატიებდი ახალ საწოლის ნდომა-სურვილსა...

გგონია, გაქრა ღმერთების ფიცი, ანდა, ღმერთები თვით შეიცვალნენ? თუ დარღვეულა მათი კანონი? ბოროტო კაცო, ვაი, რამდენგზის ხელი შემახე, როგორ გაცუდდა ყველა იმედი გულს ჩასახული, კვლავ რა აღმიდგენს შენში მეგობარს? შენგან რა კეთილს უნდა ველოდე, გკითხავ და შეგრცხვეს ამ კითხვისაგან! საით წავიდე: მამის ოჯახში? შენთვის გმობილი კარგად მიმიღებს? ანდა პელიას ქალიშვილებთან? დიდ პატივს მცემენ იმათ მამის მკვლელს. ასეა საქმე. მტრად გავხდომივარ შენი გულისთვის მშობლებს, მეგობრებს, ვინც სულ არ იყო ბოროტის ღირსი. აჰა, დიდება, დაპირებული! ელინთ ქვეყანას ვით მიმასპინძლეს? რა საკვირველსა ველირსე ქმარსა! თუ გაგდებული მისი ქვეყნიდან, სულ უმეგობროდ, შვილებიანად უნდა ვეხეტო. სახელს მოუხვეჭს მეფეთა სიძეს, მისი მხსნელი და ბავშვებიც მისი მათხოვრად ვლენან სხვათა

კარდაკარ? ო, რად არ მიეც, ზევს, კაცს უნარი ყალბი ოქროს გამოსაცნობად, ხოლო ფლიდს შუბლზე არ ამოშანთე დაღი სანიშნოდ ბოროტებისა!

ქოროები

ო, დედამიწავ, ყოვლის მნათობო მზევ, ეს რა ხდება, რას შევესწარით? რა განუზრახავს ამ ქალს, საშინელს, უნდა დახოცოს ღვიძლი შვილები? შენს ოქროს მოდგმას შთამომავლობენ, მზეო, დიადო! ნუ დაიღვაროს ღვთაების სისხლი. ნათელო მზისა, ღვთით მომდინარევ, ძლევას ნუ მისცემ ერინიებსა და გააძევე შენი სახლიდან აბორგებული შურისგებითა.

გაცუდდა შენი ძეობის ტანჯვა. ამაო იყო შენი ჩამოსვლა და გადალახვა პირქუშთა კლდეთა. ო, უბედურო, რაღად ღვრი სისხლსა შენ იმ სისხლიან საქმეთა შემდეგ, რაც მოახდინე. ვაი, მოკვდავთა თავის სისხლ-ხორცის მომკვლელ-მომსპობთა! ვაი, ვაი, შენ! ეს რა ღვთის რისხვა არის შენს თავზე, ოი, ბედკრულო, საბრალო ქალო!

(ქოროების მოძრაობა სულმთლად არეული ხდება და თანდათან იძარცვავს ტანზე სამოსს. განათების ფერადოვნება და ინტენსივობის ცვლა ხატავს მათი სულის მოძრაობის შინაგან ვითარებას...).

იასონი

(მოთქვამს და იხოკს ღაწვებს, მოტირალი ქალივით)

ჭირო და სნებავ, ენით უთქმელო, შე საზიზღარო, ჩემთვის, კაცთათვის, და შემაზრზენო ღმერთთა მაღალთა. მითხარ, მახვილი როგორ აღმართე შენგანვე შობილ ღვიძლ შვილთა ზედა? შვილნი დახოცე და ამის შემდეგ ციურ მნათობებს უსწორებ თვალებს? ამის მოქმედი კიდევა ბედავ, რომ შესცქეროდე ცას და ქვეყანას? ახლა კი მივხვდი მე უგუნური, ბარბაროსთ ქვეყნით ელინთ ქვეყანას ჩემდა ვაებად ვინ მოგიყვანე. ღვიძლი მამის და მშობელი ქვეყნის ხარ მოღალატე და გამცემელი. ჩემდა სასჯელად ღვთით მოვლენილო! ღვიძლი ძმის მკვლელო, ავო, ბოროტო, სანამ არგოზე ამოხვიდოდე, ამით დაიწყე. ცოლად

გამომყევ და წარმოშობე ჩემგან შვილები, აწ რომ დახოცე ჩემს ახალ ცოლზე გაჯავრებულმა. ამის მოქმედ ქალს მთელ ელადაში ვერ მონახავდი. მე, უბედურმა, ჩემს მოსასპობად ელინთა ქალებს შენ გამჯობინე. ქალი კი არა, შენ ხარ ძუ ლომი! სქილას საგულეს თუკი აქვს გული, იგი შენს გულზე ნაზი იქნება. გინდ საყვედური, გინდ შეჩვენება, ჩემგნით შენს თავზე სიშმაგით თქმული, რაღას დააკლებს შენს თავხედობას? შორს, საშინელო, მკვლელო შვილების! მე კი დავსჯილვარ ჩემი ღმერთისგან ახალ ცოლთანაც გაუხარელი, ღვიძლი შვილებიც, დაბადებულნი ჩემად იმედად, ჩემგან აღზრდილნი უკვე ხელიდან გამომეცალენ – აწ უსულონი, მკვდრები არიან.

(ილებს თავის სათამაშოებს – არგოს, თოჯინებს: თანამგზავრ ელინ გმირებს და სათითაოდ ყრის, ესვრის მედეას და ქოროს.... რეჟისორი აგროვებს სათამაშოებს და სათუთად აძლევს იაზონს. მედეას სიტყვები, ამდენად, საერთოა მათთვის).

მედეა

მაშ, რად გინდოდი? საშოდ შენთა შვილთა შობისთვის? თესლის ჭურჭელად, შენს ბერწ მოდგმას რომ შევწეოდი? თუ სხვა ქალისთვის მისართმევად ვაჩენდი შვილებს, ცხრა თვე რომ ჩემი გულით ფეთქავდა მათი გული და ჩემი სისხლით ცოცხლდებოდა იმათი სული? რა ვიყავ შენთვის? ქალი? თუ ძროხა, მშობიარე მანქანა, კოლბა, ბერწი ცოლის შემცვლელი საშო... ოი, ევრიპიდე! როგორღა შობს ქალწული ღვთისშვილს, რომ ცოდვილ მოდგმას ადამისას ღვთის წილი მისცეს და აღუდგინოს სახიერება ღვთაებრივ ბაღის აღსაშენებლად?! თუმცა, შენ ეგ რა გესაქმება?! შენ საქმიანი ხელშეკრულება გავალდებულებს, დედას დედობას შეეცილო და უღმერთოთა სამართალი აბატონო ღვთის განგებაზე... ეგ სამართალი თვით შენ მყისვე მოგიბრუნდება, როს შენი შვილი უცხო დედის მიერ შობილი, გაყიდული თესლის ნაშიერი და მოწყვეტილი მშობელ დედის თბილ გულისცემას, აღმოაჩენს საქმიანი ცივი სამართლის შეურაცხმყოფელ უსულობას,

ღვთისსახიერი ადამის მოდგმის დამაკნინებელს.. ო! სატანურო ცდუნებაო მოკვდავთ სამართლის, ათასწილ გმობით შერისხულო კაცთ თავნებობავ! ოო! კაცნო, კაცნო ცხოვრებისა, სად აღიგავეთ, სად დამარხეთ რაინდული თქვენი ზნეობა, ოცდაათ ვერცხლად გამყიდველნო უბინო კრავის, ოო! საქმოსნებო! დახარჯული ფულის საზომით რომ ზომავთ ტკივილს დედის საშოდან აგლეჯილი ცოცხალ არსების... სისხლსაც რომ საკვებ სითხედ მიიჩნევთ, და არა სულად, უსულო გვამს რომ სინათლით მოსავს. განა არ იცით, ცხრა თვე მიტომაც დაგიდგინათ გამჩენმა ღმერთმა, რომ სული სისხლად მდინარებდეს და ზეციური კარი იღებოდეს ყოველთვე ერთი, რომ ცხრა პლანეტამ თვისი წილი დაიდოს ბავშვში და დედობრივი სიყვარული ათბობდეს იმ წყლებს, რომელთ წიაღში კოსმიური ოკეანეს ტალღა შრიალებს. დედის მიერ შვილთა განირვა თვითმკვლელობაა, უფრო საზარი, ვიდრე თავად თავის მოკვლა და მეტიც კიდევ – მოკვლა ღმერთისა. მხოლოდ სიბნელით და სიგიჟით მოცულ არსებას, როს აცდუნებს ბოროტისა მაცდური ძალა, ძალუძს აღმართოს თვისი ხელი საკუთარ შვილზე... ხოლო, რამდენი მამა იცი მკვლელი შვილისა? ევრიპიდე! ჰოი, ევრიპიდე! ვერაგო კაცო, უღმერთობის კარიბჭევ ფლიდო, მითების მკვლელო, დილეგო ვნების, სიძულვილის გოდოლო და ვაჭარო შურით, რას უქადი მოდგმას ბერწ ქალთა და ნაყიდ შვილთა, რომელიც მოვალს, თუ შენ დედას, სიყვარულით და სინაზით შვილთა მზრდელსა, თავის შვილებს მოაკვლევინებ? თესლით ვაჭრობას გზას გაუხსნი, შვილით ვაჭრობას, ქალს სარეცელად დაიგულებ, მის საშოს ჭურჭლად, ხოლო სიყვარულს, რასაც შვილი კურთხევად ახლავს – საქმიანი ხელშეკრულების სამართლებრივ ვალდებულებად. მაშინღა ნახავ უგულობას შვილთა და ცოლთა... რა პასუხს მისცემ ერთარსებას, მზეს ცხოვრებისას, ზევსს და ღმერთებსა, ვინც საკუთარი წილი მისცა კაცობრიობას და ჯვარცმულ შვილსა, როს გაჰყიდიან მერამდენედ, – დედობრივსა ღვთაებრიობას!

ოი, ევრიპიდე! ევრიპიდე! მითის მკვლელობა ღვთის მკვლელობას ეთანაბრება – უკვდავთ მკვლელობას. დედის

მიერ შვილთა მოკვლა – ბნელ სარკეში დანახული ავადმყოფი ბუნების მიერ ნახილვები, რომლის სწრაფვა სიყვარულის მოსპობა არის... აბა, განსაჯე, ვით უყვარდეს მამას – დედა, შვილსა – ორივე, თუ ერთი წამიც აფეთქების, დამწველი ვნების წამისყოფა, თუნდაც აღგზნება ვნებიანი მათ არ ჰქონიათ და შობა შვილის იყო საქმე ხელმოწერილი – თესლის გაყიდვის და საშოში დაბინავების. ჰმ, ჰმ, სული წმიდა თესლად როდი განსხეულდება, ევრიპიდევ, ქალთა მოძულევ! და სატანური ალი დასნვავს იმავ შვილებსა, როს თვით მათ გულში აღეგზნება სიყვარულის ცეცხლი მარადი – რა პასუხს მისცემ იმა მოდგმას, ხელმოწერის ძალით გაჩენილს?! ჰოი, ევრიპიდე! ის დროცა მოვალს და სულ მალე, რომლის კარიბჭეც შენ შეხსენი მითებთან ბრძოლით და ტრაგედია სატანურ ფარსად დაუსრულდება კაცობრიობას. აღარც ღმერთი, აღარც დედობა, აღარც მამა – მხოლოდ აღმზრდელი მანქანები, მშობი კოლბები, ნაქირავები საშო და ნათხოვარი თესლი... და... მოსამართლე, რომელიც განსჯის, იყო თუ არა სრულად ქმნილი ყოველი მუხლი კონტრაქტისა და, არის თუ არა ბავშვი სანდო გენეტიურად... ახალი რასა, ახალი თესლი, ახალი საშო...

რეჟისორი

რაებსა როშავს? სად კითხულობს ამ ტექსტს? მედეა, შესდექ! დაუბრუნდი ისევ შენს სახეს და ნუ ურევ ურთიერთში წარსულს და იმას, რაც გულს გვხვდება დღესდღეობით. გემუდარები, ტექსტს მისდიე, ტრაგედიის ტექსტს. თორემ იაზონს სულ აებნა თავგზა საცოდავს. კარგი, კმარა! ყველას დაგვდევს წამი სიგიჟის...

კმარა. დავუბრუნდეთ ჩვენს „მედეას" და ჩვენს ევრიპიდეს. აბა, ქორო! ჩემთან ერთად გაიმეორეთ, რიტმში ყველანი: „მოკალით, მოკალით, მოკალით!.."

ქოროები

მოკალით, მოკალით, მოკალით, მოკალით...

(შემოდის ბრმა ხევისბერი დროშით და ზარების წკარუნით. ქორო განაგრძობს თავის მოთქმას ხევისბერის მონოლოგის ფონად, დაბალ ხმაზე).

ბრმა ხევისბერი

კაცები კლავენ ქალებს... ქალები – კაცებს... და რაღა რჩებათ იმის გარდა, ბავშვებს მიადგნენ და დასახონ თავის თავის უბედურებად... განა ფინევსმა, აპოლონის მიერ წინასწარხილვის ნიჭით ცხებულმა, სიძულვილით გონებაბნელმა, არ დააბრმავა თვისი შვილნი და არ მიუგდო მხეცთ დასაგლეჯად? მამამ დედაზე იძია შური...

ან კი გული რად შეაღონა შვილების ხოცვამ? ძმის განწირვამ, მამის ღალატმა, რად არ შესძრა მთლად გონება, გული, სამყარო? რად არ აღშფოთდა მთლად ელადა, როცა მედეამ იმ გულუბრყვილო ყმაწვილ ქალებს საკუთარი მამა მოახარშვინა უკვდავების მისანიჭებლად?

განა არ ნიშნავს ეს ამბავი, რომ მოკვდავთათვის ბოროტების უბედურებას ახლობლობის ნიშანი საზღვრავს...

არგოის შვილნი როს მოვიდნენ კოლხურ მიწაზე, კოშკს ბალავარი შემოერღვა, დარბაზს დედაბოძი გამოეშალა, საკუთარი ცხოვრება გავაჩერეთ, სხვისით ვიცხოვრეთ, როს მოადგნენ ელადის შვილნი კოლხეთის ნაპირს... და აჰა, მთესნი სიკეთისა ბოროტს იმკიან, სიყვარულის მზრდელთ – სიკვდილი შობეს, და ჩვენს მედეას, ასულს მზისას, კეთილ ჯადოქარს დაუნდობელ ქალად ნათლავენ... ჰოი, სიბრიყვევ უკეთურთა... კაცთ სიმდაბლეო, რამ განგკურნოს სიძულვილისგან? საკუთარ სიზმართ ტყვეობაში მყოფნო მოკვდავნო, გამოიღვიძეთ, ახლოვდება დრო... კარიბჭესთან დგას მოსამართლე ყოველ ცოდვათა... განახვნეთ კარნი გულისანი და წაიკითხეთ, რა წერია მაგ თქვენს კარებზე: უხმო სიტყვები, უსიტყვო ზმები, უკვდავთ წერილი მოკვდავთათვის... ჩუ! დრო მოდის, დრო აპიი მელიფერა ანდანსონების, დრო მკვლელების, ბარბაროსების, სავსებობის... და, ავხორცობის...

(ბრმა ხევისბერი დროშის ზარების წკარუნით გადის. ქორო და რეჟისორი განაგრძნობენ სულ უფრო და უფრო ხმამაღლა

თავის რეფრენს: მოკალი... მოკალი... მოკალი... და აიძულებენ მედეას, კვლავ შევიდეს ტექსტში).

მედეა

ჰოი, შვილებო, თქვენ გაქვთ ქალაქი, მეფის სასახლე! მშობელ დედისგან განშორებულნი იცხოვრებთ აქა. მე უბედურს კი მომიწევს უცხო ქვეყნად წრიალი და თქვენს სახარულს ვერ მოვესწრები. დედა-მშობელი წითელ შუქურით ვერ გაგინათებთ ქორწილის დარბაზს.

ო, სიამაყევ, ჩემო მკვლელო. რაზედ დაგბადეთ მე უბედურმა! ო, რა ტკივილი, რა ჭაპანწყვეტა თქვენი შობისთვის დამითმენია. ფუჭი იმედი მანუგეშებდა, რომ სიბერის ჟამს მეყოლებოდით მომვლელ-პატრონად და მიცვალებულს ცრემლს დამაყრიდით, გულმდუღარენი. დედაშვილობის მადლით მოსილი ამ ქვეყნით მშვიდად გარდავიდოდი. ახლა კი გაქრა ტკბილი იმედი, ოხერ-ტიალი უნდა ვეხეტო მე კარითკარად მიუსაფარი, ვერც ვერასოდეს ველარ იხილოს დედა-მშობელმა ან თქვენი სახე. ვაიმე, ვაი, რაზედ მიცქერით, შვილებო, ასე რაზედ იცინით? კიდევ გეწეროსთ ასე ღიმილი?..

რა განვიზრახე, ვაიმე, გული! გული ჩამაწყდა, როს მომლიმარე სახე ვიხილე ჩემი შვილების. არა, არ ძალმიძს, შორს, შორს, განზრახვავ! თანვე წავიყვან მათ ჩემთან ერთად, რად მინდა, მამის ტანჯვა ვიყიდო ჩემს უსაშინლეს ვარამის ფასად. ნუ, ნუ იყოფინ, შორს, შავო ზრახვავ. მაგრამ ეს რაა, მტერი ვაცინო და დაუსჯელად დავტოვო იგი? უნდა გავბედო! ვაჰ, ჩემო თავო, ტყვევ, ქალაჩუნავ ლმობიერების. შინ შედით, ბავშვნო. თუ ვინმეს აფრთხობს იმა მსხვერპლის დროს ჩვენი ყურება, მოგვშორდეს ახლავ! მე კი არ შევდრკე!

ვაიმე, ვაი.

გულო, რას სჩადი? ნუ გაიმეტებ! დედაშვილობის მადლს ნუ შებილწავ. იხსენ შვილები, შე უბედურო, იმედად გყავდეს დევნილობაში. ჰადესსა ვფიცავ შურისმგებელსა, რომ არ ჩავაგდებ შვილებს სხვის ხელში, სულერთი არის, იმათ დახოცავს მეფის სახლობა. მიტომაც უჯობთ, ჩემგან შობილნი ჩემგანვე მოკვდნენ! მორჩა, ყოველი გზა გადაიჭრა, კარგად ვიცი

მე, პატარძალს, შემკულს ოქროს გვირგვინით, საშინელ ტანჯვით ელევა სული. შევმდგარვარ გზაზე საალალბედოს, მაგრამ მათ შევყრი უარეს შავ ბედს, აბა, ჯერ შვილებს გამოვეთხოვო. აქ მოდით, დედას მოეცით ხელნი. ო, ნაზო ხელო, ტურფა ღაწვებო, სახის იერო კეთილშობილო! იბედნიერეთ იქ, რადგან მამამ მოგტაცათ ბედი ამქვეყნიური. ტკბილო ამბორო, ნაზო სხეულო, ო, სულვა-ფშვინვავ უძვირფასესო, წადით, გამშორდით, ბოროტით ძლეულს ჩემი შვილების ცქერა არ ძალმიძს. კარგად ვიცი მე, რაც განმიზრახავს, ვნება რომ სჭარბობს ჩემს გულისთქმასა, ვნება, სათავე დიდთა ცოდვათა! (ბავშვებს კარის იქით უშვებს და კარს ხურავს, ისმის ბავშვების ყვირილი: დედა, მამა, გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ... ქორო მიირბენს კართან და ძალით აბრახუნებს, რომ გააღებინოს კარი. ამ დროს ქორო აგრძელებს: მოკალით, მოკალით, მოკალით!)

იაზონი

ზევსო, ხომ ხედავ, როგორ გაგვწირა? რა დავითმინე ამ ურჩხულისგან, საკუთარ შვილთა დამკვლელ ლომისგან. სულ ცრემლთა მღვრელი ვევედრებოდი, მან კი დახოცა. ღმერთნო მაღალნო, მეყვით მოწმედ, ჩემს შვილებს ახლოს არ გამაკარა, რომ დამეტირა და დამემარხა. ნეტამც არასდროს არ წარმომეშვა, თუკი შენგან გაგუდულნი უნდა მენახა!

მწერალი

(გამოეყოფა ქოროს)

დიადო ზევსო, ოლიმპოს მკვიდრო, მრავალ ფუჭ იმედს აღუძრავ მოკვდავთ და ის არ ხდება, რასაც მოელი. სულ ახალ რასმე ამხილებს იგი მაღალ განგების შესაფერისად, როცა საქმეზე მიდგება ჯერი... ამგვარივეა ამ ტრაგედიის დასასრულიც...

(სრული სიბნელე სუფევს სცენაზე და ისმის კოლხური ნანა. ელვა ანათებს სცენას და მოჩანს არგოს ნანგრევებში წამოწოლილი სხეული იაზონისა. სიბნელე ისევ და ისმის ამ სხე-

ულის ძახილი. მედეა შემოდის ქალღმერთივით ჩაცმული. სცენის სიღრმეში, ზღვის სანაპიროზე ევრიპიდე დადის იქითაქეთ).

მედეა

(უაღრესად მშვიდად, თხრობითად, როგორც ჩურჩული ევრიპიდეს, და იაზონსაც, რომ ესმის შინაგან)

მედეას თავგადასავალი კიდით-კიდემდე მოეფინა კაცობრიობას. მისი სახით ბავშვებს აფრთხობენ, ნანად უმღერენ საშინელთა მისთა საქმეთა: ბოროტ ჯადოქრის, სიძულვილით აღვსილისა სამყაროს მიმართ, ძმისა და საკუთარ შვილთა მკვლელის; სულ უბიწო სასძლოთა მტანჯველს, საკუთარი ქვეყნის გამძარცველს და მოღალატეს თვისი მამის – ბავშვებს სიზმრებში აყოლებენ ამ მოჩვენებათა, ავადმყოფურმა უგნურებამ მათმა რომ შობა, გასამართლებლად თვის სიმდაბლეთა. აჰა, რამდენმა საუკუნემ განვლო უეცრად, რამდენ მედეას საშო უნდა აღვსილიყო შურისძიებით და სიძულვილით, ამ მარტოხელა გოგონასი... გესმით? გოგონას სიძულვილი უწოდეთ თქვენა... და გააშავეთ, ნაცვლად სითეთრის მოსავლენად მზის სინათლეზე, რომ ამტყდარიყო ომთა შორის უსასტიკესი – ომი სქესთ შორის, ომი ქალთა და მამაკაცთა, დედათ და შვილთა...

ძნელი ყოფილა მოკვდავთათვის ცოდვათა თვისთა გადალახვა და სიძულვილის სიყვარულის მადლით განკურნვა. ძნელი აღმოჩნდა სიყვარული მოყვასისა, უცხოსიც, მტრისაც, როს სიძულვილის დასაძლევი ძალა არ მოგცათ ზეციერმა მამამ ყოველთა, თქვენმა ზევსმა, ცივი ოლიმპოს მბრძანებელმა, ვინც საკუთრებად მიგითვალათ მოკვდავნი ქვეყნად... აჰა, მოხუცო, თუმც შემქმენი ბოროტების სახედ შენისად და ამ ნიღბით გსურს მატარო საუკუნენი, აჰა, გაგანდობ უკანასკნელს საიდუმლოთგან, რომელთა ცოდნას ანაცვალეთ ბაღი ედემის: მხოლოდ სიცოცხლეს და სიკეთეს აქვს არსებობა, ხოლო სიკვდილი არარაა – განშორების ტკივილი მხოლოდ. და ის, რისიცა გეშინოდა, კაცო მოკვდავო, მოსახვევია ერთი მხოლოდ იმ გრძელი გზისა, რომელზე შემდგარს აღარ ძალუძს არყოფნად იქცეს, თუ მისსავე სულს ბოროტების ალ-

ში არ დასწვავს და ნატიფ არსთ უსიცოცხლო ქვად არ გარდაქმნის... მაშინ კი გზიდან გადააგორებს გზად მიმავალი ყარიბი ვინმე, უკან მომავალთ გზა რომ გაუხსნას, არ შეაფერხოს...

ოქროს საწმისი რომ გინდოდათ ხარბი გულით, რატომ არ ჰკითხეთ მისი სიბრძნე მზე-ვაჟ აიეტს? ხომ მოგცათ კიდეც, რად არ დახედეთ, რა ეწერა ზეციურ ტყავზე? – სიბრძნე ვერძის, სიბრძნე კრავისა, სიბრძნე მოკვდავთა უკვდავების გზაზე დგომისა... თქვენ კი მახვილნი გაილესეთ, შური ამეფეთ და მოტაცებულ ჯადოქარის ტანჯვით ტკბებოდით...

უმანკო ბავშვებს რას ერჩოდით? შეძრწუნებულთა გადამეცით დასაწყევლად უღმერთო მოდგმას... უბინო სისხლი... მილიონთა, რომელთა მიმართ განაჩენი თქვენვე გამოგაქვთ უზენაესი ძალით... ძალისა! უბინო სისხლი ჩჩვილ ყრმათა და მათთა დედათა, სიყვარულის ღმერთს რომ მიუძღვნა ბნელმა ირ0დემ, კიდევ უფრო დაბნელებულმა ღვთაებრივი სინათლის შობით მის სამეფოში... მაგრამ, მოხუცო, ამის შესახებ შენ არა უწყი. ბედისწერით ზღვარდადებული კვლავ ახალ აღმართს შეუდექი განსაწმენდელში, რომ ძველი მტვერი მოაშორო სულს დამძიმებულს და აღმაფრენის ნეტარება განაცდევინო...

მიტომ მაქციეთ ჯადოქარი ფილისტერ ქალად... სად წავიდა ჩემი ძალა, ჩემი სიბრძნე და ჯადოქრობა, რომელსა სახე შეუცვალეთ და თქვენს ქვეყანას ბოროტებად აჩვენეთ მხოლოდ, რომ დაგემალათ... ჰმ, ქალაჩუნა იაზონიც ჭკუას მასწავლის და კვლავ ცდილობს ჩემს მოტყუებას გულაჩუყებით... და მიმითითებს მონასტერზე... შენ თვითონ წადი მონასტერში, იაზონ, რათა განთავისუფლდე შიშისაგან... არარობავ, ვით შეგშვენის სახელი კაცის...

იაზონი

(ყვირილით წამოვარდება)

მედეა! მედეა! ღმერთმან დაგწყევლოს! აღარ ვიცი, ვის მივმართო... ამიხსენით, გემუდარებით, რად არ მოჰკალით

თვით იაზონი? რატომ დაინდე დაუნდობელო და უღირსო სისხლო!.. სისხლო!.. სისხლო!..

მედეა

სისხლი?! ლემნოსელ ქალებს სარეცელში რომ ჩაუგორდით, რად არ გახსოვდათ მათი ქმრები? კაცნი არ იყვნენ, რომელთა სისხლის მდინარებაც არ დამშრალიყო, თავდავიწყებას რომ მიეცნენ ელადის გმირნი?! იმავ ქალთაგანს, ჰიპსიპილეს რომ ჰმორჩილებდნენ, დასაძრახისი მკვლელობისთვის ვერა რა ჰკადრეთ! თუ... სხვისი ცოდვა და სხვისი ტანჯვა ელინთა ღმერთებს არად მიაჩნდათ?

იაზონი

განა შვილები ამ ხელთა მოჰკლეს? თვით შენ ინებე და ნურც ნურვის აბრალებ ახლა! ჩემთა სიკეთეთ უარი უთხარ და სიჯიუტით მეგობრებიც ჩამოიშორე... ტანჯვაც შენი მით გააღრმავე...

მედეა

ოი, იაზონ, იაზონ, მთელი ელადის გმირნი ისხდნენ მაშინ „არგოში", კოლხეთის ნაპირს როს მოადგა. რად არ გიშველეს?.. რად დასტოვეთ გმირთა-გმირი ჰერაკლე ტყეში? ან რად დაგჭირდათ კოლხი გოგოს თქვენ სიყვარული? თუნდ ჯადოქარის? ჰა, გადიშალა ჩემი გული შენდამი ტრფობით და რა აიღე ამ გულიდან? სიყვარულის ამ ბაღნარიდან რა მიიტანე შენს სალოცავში? ოქროს საწმისი? განა ვინმე მალავდა იმას? ყოველმა ბავშვმა კოლხეთისამ იცოდა სიბრძნე საწმისისა, ყოველმა ბავშვმა! სიბრძნე? ძალა? რა გაიტაცე მედეასთან ერთად ქვეყნიდან?..

იაზონი

ბავშვთაც იცოდნენ?.. მაშ, გველეშაპი ამ საუნჯეს ვისგან იცავდა?

მედეა
ცეცხლის ურჩხული? საფრთხობელა, რომ ანც კოლხ ბავშვებს ჯადოსნური ბალახები არ გაეთელათ საწმისის მინდვრის... ერთსაც გეტყვი: ეგ ურჩხული მტრისთვის იყო შელოცვილი მამაჩემისგან და ცეცხლს აფრქვევდა, როს ვერაგებს დაიგულვებდა... მოკეთეებს ყველას სცნობდა...

ევრიპიდე
(შორიდან უყვირის მედეას)
მაგრამ შენ... რატომ შენ...

მედეა
თქვი, რას დადუმდი?

ევრიპიდე
სიზმარსა ჰგავს ეს ყოველივე... ერთი სიტყვაც არ შემიცვლია ძველი მითოსის...

მედეა
სტყუი, კაცო! ხუთი ტალანტი ხომ მიიღე კორინთელთაგან უმანკო ბავშვთა ღვთის ტაძარში დაღვრილ სისხლის ჩამოსაწმენდად... ძველი მითოსიც მხოლოდ ამბავს ბერძენთას ჰყვება, ბერძენ ღმერთთა და გმირთა-გმირთა თავგადასავალს ყოფიერების შესაქმისთვის... შენ კი... შენ კი... მათ დანაშაულს გულისტკივილი შეუზავე და საკუთარი ვნებათღელვა თავს მოახვიე კაცებრივი მითიურ არსთა... უცხო ერის და უცხო ღმერთთა დასამცირებლად მითს ტრაგედია უწინამძღვრე.

როგორ გგონია, მზე-ვაჟი აიეტ იმავე მზის შვილი არ იყო, ელადის გმირებს რომ უნათებდა? ნეტავ რას ჰფიქრობ – მე, მედეა, რომელი მზისგან ვარ შექმნილი, კოლხეთისა თუ ელადისა?.. ხუთმა ტალანტმა დაგიბრმავა ეგ შენი ნიჭი!

ევრიპიდე
(ნელ-ნელა ეპარება)
ვიცი, რასაც ფიქრობ! ეს მზე, ელადას რომ ანათებს, თქვენთვის არ ბრწყინავს, კოლხეთის შვილნო... და შენც, შენც სხვა ხარ, სხვა რასისა, სხვა ბუნების ხარ! ელადის ქალთ არ უქმნიათ, რაც ჩაიდინე!

მედეა
ისევ სტყუი! თუმც კი იცი, რასაც ვამბობ და სიმართლეც ხომ თავს არ დაჰფარავს. ერთი მითხარი, დედაშენი, საყვარელი, ტკბილი დედა, თუ არ ვცდები, მწვანილებს ყიდდა... და ბალახებშიც ერკვეოდა იგი უთუოდ; იქნებ წამლებსაც გიმზადებდათ ყმაწვილებს იგი... ან ტკბილსა ნანას დაგმღეროდათ სიზმრად შეცურულთ... ხელის დადებით გიგრილებდათ შუბლს დასიცხულებს... ნათელი დედა, მემწვანილე, მიუწვდომელი, შორეულ ქვეყნის სიზმარივით ჯადოდ ქცეული, – მე ვარ იგი, შემომხედე, მე ვარ, მედეა, დედაშენი... ბალახთ ფერია... ყოვლის შემძლე... ნაზი... კეთილი...

ევრიპიდე
ტყუიხარ! სტყუი! ტყუილია! დედაჩემი მემწვანილე არა ყოფილა! (მედეა უახლოვდება ევრიპიდეს)

მედეა
არა! არ ვსტყუი! უკვდავები არა სტყუიან! კარგად შემხედე... დამაკვირდი, მე ვარ მელიტაც... შენი ცოლი...

ევრიპიდე
(შეძრწუნებული)
ტყუიხარ! სტყუი!..

მედეა
რად მიმატოვე? რად წახველ სხვასთან? რად არ უთხარი, რომ ცოლი გყავს და გყავს შვილები? რომ ერთგული ხარ მეოჯახე, მზრდელი მომავლის... შეწირულება რომ მიიღე ჩემი უსიტყვოდ და სიყვარულსაც რომ ფიცულობდი, ღმერთებს

და გულსაც მთავაზობდი სამარადისოდ, რას ატორღდი ბუღა ხარივით ახალგაზრდა ქორფა ძროხის შენ დანახვაზე?!..

იაზონი და ევრიპიდე (ერთად აღმოხდებათ)
აღარ მიყვარდი!..

მედეა
აჰ! აღარ გიყვარდი! მე კი, მკითხე თუ გიყვარდი? ათი წელი ისე გავიდა, რომ ერთი სიტყვაც არ დაგცდენია სიყვარულისა... მხოლოდ საქმე, მხოლოდ ცუნდრუკი და როდესაც გასაჭირი მოგაწვებოდა მაშინ... მედეა, საყვარელო, უნდა მიშველო, ვიღუპები, და მისთანანი...

ევრიპიდე
(ჩურჩულით)
ეს დედაჩემის სიტყვებია... *(იხევს სცენის სიღრმეში)*

იაზონი
დაუნდობელი და უღირსი სისხლი... სისხლი... სისხლი...

მედეა
ცდუნების კერპნო, რომ გაჩერდეთ, იყოთ ერთგულნი, დაიოკოთ ვნებანი ლტოლვის, არც შურს, არც ძულვას არ ექნება თავშესაფარი...

ევრიპიდე
(უკნიდან)
მაგრამ მან ხომ თვით მიმატოვა...
მედეა
თვით მიგატოვა? სხვასთან წავიდა? განა იგი კაცი არ იყო? რად მიიღო? რად შეაცდინა? ქალი – ქალია, ევრიპიდევ, ქალი – ქალია, მის შეცდენას არ სჭირდება ღმერთთა ჩარევა, ხოლო თუ კაცი აღარ კაცობს ამ ქვეყანაზე, ზნეობას ღვთიურს ვინ დაიცავს, ვინ უპატრონებს ამ ქვეყანას თქვენთვის ბოძებულს უკვდავთა მიერ, მოსავლელად, აღსაშენებლად...

ჩვენ მსხვერპლშეწირვას გასწავლიდით, იაზონ, გმირო, მსხვერპლშეწირვას თვისი თავისას... რით უპასუხე შენს მედეას, რომელმაც შენთვის ყველა დასთმო? აღარ მიყვარხარ, სხვა მიყვარსო, დღეს, ხვალ სხვა უნდა შევირთო, სთქვი და მორჩა! შეიხსენი იგი სარტყელი, მოიშორე მოსასხამი გულისამრევი...

ჰოი, მოკვდავნო, დრო მოგეცათ ყოვლის მკურნალად და ჩვენმა ზრუნვამ გაგინელათ გულისტკივილი, მაგრამ მსხვერპლი საპასუხოს ოთხოვს სიკეთეს... თავს სხვებზედ მაღლა თუ აყენებ, მსხვერპლსაც მიითვლი, ვით მოსასყიდს ან გასამრჯელოს სიდიადისას... ის დროც მოვა, როს გასწირავთ ღმერთს სიყვარულის და გაამეფებთ უღმერთობას, თავისუფლებად გარდარქმეულს.

ოი, ევრიპიდევ, კიბე, რომელსაც შენ მიჰყვები, სულ ქვევით ჩადის, მარტოობის იმ უდაბნოში, საცა სიძულვილს მხოლოდ ერთი ჰყავს საძულველი – თვით თავი შენი, საკუთარი, და როცა ტანჯვით და წამებით ვნებული სული ამოსავლის ძებნას დაიწყებს, მაშინ მიხვდები, რა დათესე...

უფრთხილდი შენთა მოგონებათ სიცარიელეს...

იაზონი

მედეა! მედეა! ღმერთმან დაგწყევლოს! რად არ მოჰკალ იაზონი! რად არ მომკალი?!..

მედეა

(მსახიობის ოდნავ დაღლილი ხმით და თანაგრძნობით მედეასი)

უკვდავები არ კლავენ მოკვდავთ! მხოლოდ წვრთნიან, რომ ასწავლონ ქვეყნის შენება და გაულესონ გონებაცა მნიშვნელობის განსაჭვრეტელად. თქვენა კლავთ მხოლოდ... შენი შვილებიც შენ მოჰკალი, მზის შვილთაშვილნი... ამიტომაც დაეხეტები მიუსაფარი და ველარ პოვებ თავშესაფარს, ვიდრე ერთხელ იგივ „არგო“ არ დაგექცევა სამუდამო სამარედ თავზე...

ჰოი, იაზონ! სული შენი უდაბნოა, სხეული კი ქარიხვეტია...

ევრიპიდე-რეჟისორი
(ყვირის შორიდან)

იაზონ! იაზონ! ეს ყოველივე სიზმარია, გესმის, სიზმარი! ყურს ნუ უგდებ... მათი ბრალია ყოველივე, რაც ჩვენ გარდაგვხვდა!.. ფლიდნი, ორგულნი, მატყუარები, საკუთარ ხორცის მოყვარენი, ჩვენ შვილთა მკვლელნი, დამაქცევარნი ოჯახისა, სამშობლოს მტერნი... არარაობავ!.. როგორ მძულხართ... უსისხლ-უხორცო...

მედეა-მსახიობი ქალი
(დაღლილი ხმით, პათოსის გარეშე)

სისხლი... სული... სიძულვილი...

ჩვენ არასოდეს არ გვყვარებია მოკვდავთა სისხლი... საბრალო კაცნი!

თავი კი მოაქვთ, მაგრამ ძალა არ შესწევთ ფრენის... მგონი, მართლა შევურხიე ღრმა სატკივარი... არაფერია... ერთხელ ხომ მაინც უნდა ეთქვას მასაც სიმართლე, რომ ჩვენ არა ვართ თოჯინები, აჩრდილნი მათი სიზმრებისა, შექმნილნი მათის ბრძანებების აღსასრულებლად...

სიძულვილიო... ვიღაცას უთქვამს ეგ სისულელე, თითქოს ნაბიჯი მცირე იყოს სიძულვილიდან სიყვარულამდე... არა... პირიქით, სიყვარულიდან სიძულვილამდე, თუ ისევ უკუ...

შესაძლოა, მოკვდავთა შორის ასეც იყოს, მაგრამ უკვდავნი... უკვდავნი ხომ მხოლოდ სიყვარულს ამკვიდრებენ, რადგან სიძულვილს არც იცნობენ; ამგვარი გრძნობა არც ერთ მითოსს არ გაუხსნია... უკვდავთა სულიც სისხლი არ არის... იგი სული მოკვდავთათვის შედედდა სისხლად, მათის სხეულის საცოცხლებლად, რომ სიცოცხლე მიეღოთ ქვეყნად, ცისფერ მდელოზე კოსმიური ყვავილნარისა... და რა? ქალებს გამოუდგნენ, ქალებს ეკვეთნენ საომარად, მოსათრგუნავად...

თაგუნ-დევ-გმირნი, ჭეშმარიტი განსაცდელის ჟამს ისევ ჩვენს კალთას რომ ჩაჰფრენიან შიშით და თრთოლვით, ვით პატარა, ბრიყვი ბავშვები, დედის კალთაში თავს რომ რგავენ გადასარჩენად...

ქვეყნის შენებას, სიკეთეს და გონიერებას ქალებთან ომი ამჯობინეთ, სისხლი ამეფეთ, უგუნურნო, და საზღაურად რაც მიიღეთ, ყოველი ხედავს – ღალატი, შური, იჭვიანი უნდობელობა, ოჯახის ნაცვლად – საქმიანი ხელშეკრულება...

ოო-ო, აიეტო! ბრძენო მამავ კოლხთა ქვეყნისა! ბოლო მებაღეევ მითიურო, სიკეთის თასო! მოკეთეთ იმედს, მტერთა რისხვას, ძლიერს, მოწყალეს, მეგობრობის ხიდების გამდებს, მეზობლებისთვის ბურჯის ამგებს, სიბრძნით მორჭმულს მზის შვილს უებროს, ვით არ შეგვედრო ჩემი სული მრავალტანჯული, მოკვდავთა მიერ უგულობით განწირული შენი ასული, კდემამოსილი, ნაზი მედეა, სიძულვილის და შურისგების სიმბოლო გახდა.

ელადის მუზავ! ამპარტავანთ თავშესაფარო! სხვათმოძულევ, თავისთავის განმადიდებო, შენ შთაუნერგე ევრიპიდეს სიძულვილი ქალთა მოდგმისა!..

ევრიპიდე

ჩემი ლანძღვით თავსაც ილანძღავ! ჩვენი სახელი განუყოფლად გადაბმულია...

ქოროები

(მოძრაობენ სცენის მთელ სივრცეში ჩუმად)

მედეა

ჩერჩეტთა მოდგმის გონებაში... თორემ იცოდეთ, კოლხეთიდგან მე არ გავსულვარ და იაზონს ორეული გამოვაყოლეთ, მოჩვენება, სახე სიზმრის...

იაზონი

(ამოეფარება ევრიპიდეს ზურგს)

დაინყო ისევ... ხომ გეუბნებით, იმ ჯადოქრის სული ჩაუდგა... მაშ, მე მოჩვენებასთან მიცხოვრია და ბავშვებიც მასთან მეყოლა... მოჩვენებები...

ევრიპიდე
დაწყნარდი, იაზონ...
(მედეას)
ორეულიო? მაშ, რაღას იცავ იმ ორეულს, იმ სიზმარს შენ-სას, რას მედავები?..

მედეა
ქალია ისიც, უკვე გითხარ, დედა შვილების და თავის ძმის და შვილი მამის. თანაც... მოკვდავი. სამტროდ მოსულ ფლიდ სტუმართა გამოსაცნობად ბრძენმა აეტმა შექმნა ზუსტად ჩე-მი აჩრდილი, სისხლით და ხორცით თქვენნაირი, მხოლოდ ბუ-ნებით ღვთაებრივ მზის მადლიანი წილის შემცველი. სი-მართლე რომ ვსთქვა, ვეღარც ვიტყვი, რომელია ჩვენში ნამდ-ვილი, რადგან არც იმას არ უქნია ის სისაძაგლე, შენ რომ და-ხატე, „ლომგულო კაცო", ქალთმოძულევ, მონაო ქალის, სიზ-მართა გმირო, მკვლელო მითოსის, თავის ტკივილის ტრა-გედიად გარდამქცეველო...
იცოდე ისიც, რომ ბოლო წამს, როს იაზონმა, სიხარბის თასმა, უზნეობის უდაბნოის ქარიხვეტიამ, ცეცხლს მისცა სახლიც, თვისნი შვილნიც და ცოლიც თვისი, მედეა, მისთვის შემწირავი მთელი ცხოვრების, რათა მიეღო უსასყიდლოდ კორინთოცა და ოქროს ვერძიც, მე დავიხსენი ის მედეა მზისა შეწევნით და შვილნიც მისნი, მე უკვდავმა მითმა კოლხეთის, ქართულმა სულმა...

ქოროები
(განაგრძობენ სცენაზე მოძრაობას)
...მზის დახმარებით მედეა და მისი შვილები მე დავიხსენი, მე, უკვდავმა მითმა კოლხეთის, ქართულმა სულმა...
ევრიპიდე
კოლხეთი... საქართველო... მითი ქართველთა... უცხო ტომთა ბრძენი ღმერთები... მხოლოდ ელადის განდიდება მიბ-რძანა მუზამ, ოლიმპოს ღმერთთა სადიდებლად, სხვებისა რისხვად.

რა მესაქმება თქვენს შინაურ მიეთ-მოეთში... დიაღაც, მოჰკალ შენი ძმა და შენი შვილები, არც უცხო ტომის შვილნი დაინდე, როს მოგერია სიძულვილი შენს მოქიშპეთა და ასე იზამ, ვიდრე ებრძვი ბუნებას შენსას და ბედისწერას გსურს უცვალო გზა სამართლისა... განა არ ხედვენ თვით ღმერთები, რომ ხარ უტეხი, სიძულვილის თასის მსმელი, უთვისტომო, ბარბაროსთა ჩამომავალი, ადამიანის მოდგმის მტერი...

მედეა
(მიჰყვება მშვიდ ტონში)

რაღა თქმა უნდა, ადამიანნი მარტო თქვენ ხართ, შვილნი ელადის! ჩვენ, ბარბაროსთა, უნტერმენშთა, ველურთა ჯიშით მხოლოდ თქვენი წყალობანი უნდა მივიღოთ... შორიდან მოსულს, უცხოს ტომით, მარტოს, უძიროს, თქვენი მზის ქვეშ არ აქვს ადგილი. მხოლოდ თქვენია წესი, რიგი, ჭეშმარიტება, ძმობა, ერთობა, თავისუფლება, სახელისათვის ამაყი თრთოლა, ოჯახი, ფუძე, ღრმა ფესვები, ქალაქნი, შრომა, სიამაყე, თავგამოჩენა, რაინდობა და... თვით ღმერთნიც თქვენნი არიან, თქვენი სახის, თქვენი ბუნების შემოქმედნი, დამაარსებნი. ახლა კი მივხვდი, რად მდევნიდი, რად ნადირობდი უცხო მზის შვილზე, რად მოატარე მთელი ელადა და აღვრევინე ამდენი სისხლი, რომ აღგეკვეთა ქვეყნიერება და ის მიგელო საკუთრებად, რაიც მას ჰქონდა... კაცი ქალობას ესწრაფოდი, ქალი კაცობას... აგრე დაიწყო ქვეყნის გარყვნაც...

აბა მითხარი, სად წავიდეს ახლა მედეა? შეძულებული ყველასაგან, მკვლელი შვილების, უცხო ცის ქვეშ მოხეტიალე? კოლხეთში – მამის ღალატი და ძმის სისხლი პასუხს რომ ელის? ელადაში – სად ყოველ ქვაზე ხუთი ტალანტის საფასურად საძულველი სახეა მისი, სისხლით მჟონავი? მოხეტიალე ქარად ქცეულს სულს დაობლებულს ვინ შეიფარებს, სიძულვილის კარს ვინ გაუხსნის, რომ სასიკეთოდ შეუბრუნოს ტანჯულსა ბედი?..

ოოო! ევრიპიდე! ეს მე ვარ ქარი, მობერილი უკვდავებიდან, და წამიერი ათინათი მარადისობის. მე ვარ, მედეა, ჯვარზედ ცმული შენი ბოროტი ზრახვისათვის... მე ვარ, მედეა, ბჭე ვე-

ლურობის, ხარბი, ავხორცი, მკვლელი ქალთა, მკვლელი ბავშვთა, მკვლელი მოხუცთა... ქვეყნიერების!..

ოოო! ევრიპიდე! მე ვარ ქარი ბოროტების, ნისლი შხამის, ჯოჯოხეთის ცეცხლი სატანის, დამანგრეველი ქალაქების, ერთა მომსპობი, ეს მე დავთესე ღალატის ხე, რომლის ნაყოფი კაცთა მოდგმას მთლად დააბრმავებს...

ოოო, ევრიპიდე! ეს მე ვარ ქარი სიძულვილის, რომლის მობერვა ჭკუაზე შეშლის მთელ მსოფლიოს, ქალებს და კაცებს...

ოოო, ევრიპიდე! ევრიპიდე! ეს მე ვარ, ქარი ციმბირისა, ქარი კატინის... ტაიშეტის... დახაუს... ნგრევის... ქარი სისხლის... ულირსობის... ქარი განწირვის... ეს მე ვარ ქარი... ქარი შეშლის... ბარბაროსობის... ქარი... ქარი...

ქოროები

(თანდათან სტოქასტიკური მოძრაობიდან გადადიან მწყობრებში, ნიღბებჩამოცმულნი მარშით იწყებენ სვლას. ნიღბები ნებისმიერი შერჩევით. შემდეგ იშლებიან ცალ-ცალკე ქოროებად. ბოლომდე ნიღბებით რჩებიან).

ევრიპიდე და იაზონი

ქარი... ქარი... ქალი... ქმარი... შვილები... შვილები... შვილები...

ტრავესტების ქორო

(იწყებს მოძრაობას ორ წრედ, რომელიც ხან უერთდება ურთიერთს, ხან იშლება)

ქარი... ქალი... ქარი... ქმარი... შვილები... შვილები... შვილები...

ხალხების ქორო

(ასევე ორ წრედ, იგივე შეერთება-გაშლით)

მოკალით... მოკალით... მოკალით...

დანტე და ვირგილიუსი

(გამოდიან ქოროდან, იხსნიან ნიღბებს, დადიან ქოროების წინ. მწერლების ქორო ცეკვას იწყებს დანტეს და ვირგილიუსის ირგვლივ ჩუმად)

ცოდვილს შეხედე ამ ახოვანს; მოემართება
და, როგორც ხედავ, ერთ ცრემლსაც კი არ აგდებს
თვალით.
თან რა მეფური ზვიადობით მოადგამს ნაბიჯს!
იაზონია მარჯვე იგი და გაბედული,
წარმტაცებელი კოლხეთიდან ოქროს კრაველის.
მოინახულა მან გზადაგზა კუნძული ლემნოს,
მალე მას შემდეგ, როს იმ ქვეყნის მკაცრმა ქალებმა
იქ ამოსწყვიტეს მამრობითი სქესი მთლიანად.
იქ მან ფიცით და მოთაფლული სიტყვებით შესძლო
ნორჩ ჰიპსიფილეს მოტყუება, რომელმაც უმალ
ყველა თავისი დობილები მოატყუილა.
შემდეგ მან იგი დააგდო და დასტოვა მარტო;
ამ ბოროტების ჩადენისთვის ისჯება აქ ის,
აქვე სასჯელი დასტეხია მედეას გამო.
მას თან მოსდევდნენ შემცოდენი ამავე ცოდვით.
აწ შენ საკმაოდ გაეცანი მღვიმეს პირველსა
და მის წიაღში გამომწყვდეულ ბედშავ ცოდვილებს.

ბრმა პატრიარქი

(უცვლელი დროშითა და ზარების წკარუნით გადაჰკვეთს სცენას)

იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,

განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.

ქოროები
ევრიპიდე! ევრიპიდე! ევრიპიდე! ევრიპიდე!
(ევრიპიდე მიდის სცენის ბოლოში და მუხლებზე ვარდება. იაზონ წვება „არგოსის" ნანგრევებში. ისმის კოლხური-მეგრული „ნანა". მედეა ადის ვარსკლავებისაკენ. ისმის მისი მშვიდი ხმა)

მედეა
მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი
წვრილ-წვრილნი ვარსკვლავნი
და და ძმაა ჩემი...
(ისმის ჩურჩული)
ევრიპიდე! საბრალო ევრიპიდე!
(ფარდა ეშვება)

(ფარდა რომ აიწევა მისალმებისათვის)

ქოროები
ევრიპიდევ,
შენაც ამბობდი,
რომ მედეა თქვენს სამყაროს არ ეკუთვნოდა.
ის სახლში იჯდა, თქვენ მიხვედით და აურიეთ მზის შვილიშვილს სულის სიმშვიდე.
აი, რას გეტყვი, ევრიპიდე,
მხოლოდ საკუთარ ღვთაებათა რომა გაქვს რიდი,
ხოლო სხვათა კი ჰსახავ მტრებად და ბოროტებად,
რად არა ჰფიქრობ, ქვენაარსო, რომ იქ,
სივრცეში დაუსაბამო ყოფიერების,

ერთნი არიან ღვთისშვილები, ოჯახის წევრნი,
ერთი მამის ნების შვილნი,
რომელთ განგებამ წილად უძღვნა ქვეყნის შენება
და წარმართვა მიწიერისა.
როს მიითვისეთ თქვენ მედეა
და აღავსეთ თასი იგი ღვთაებრიობის მოკვდავთა ვნებით,
მით შესცვალეთ კეთილისა სახე ბოროტზე.
აბა მითხარი, სიკეთისკენ მისწრაფებულსა,
რომელს უვლია ბოროტის გზით?
კეთილი კეთილს არ წარმოშობს? ბოროტი – ბოროტს! და
ჰა, ქვეყანა, აღვსებული ბიწიერებით,
სად სიკეთისთვის ბოროტებას მიჰმართავს კაცი
და თავს იმშვიდებს,
რომ მომავალ ბედნიერებას უშენებს მოდგმას ადამისას.

დიადო ღმერთო, ზეცას მჯდომარევ,
მრავალ ფუჭ იმედს აღგიძრავს კაცი,
და ის არ ხდება, რასაც მოელი.
სულ ახალ რასმე ამხილებს იგი
მაღალ განგების
შესაფერხებლად,
როცა საქმეზე მიდგება ჯერი.
და ამ დრამისაც დედააზრი ესაა მხოლოდ...

დასასრული?

მიუნხენი, 1985 წ., აგვისტო

საშოგაო მოთხრობა

სალომეს

თუ ღრმად დაუფიქრდება კაცი იმას, რაც ამ შობის ღამეს მოჰყვა პარიზში, შესაძლოა, გასაკვირი არც არაფერი იყოს და მოვლენები ბუნებრივი, უნდა მეთქვა, ლოგიკურია, რადგან ლოგიკა ბუნებრიობის ერთი გამოხატულებაა, თუმცა, ვისღა ახსოვს ახლა ეს და ან სერიოზულად ვის უნდა დაფიქრება? რადგან დაფიქრებას ისევ ის ურჩევნია, რომ სხვა ვინმემ მოიფიქროს და შემდეგ, ყურის მოსაფხანად ტელე და მულტიმედიის ეკრანიდან ან, უკიდურეს შემთხვევაში, რომელიმე სულელური წიგნის ფურცლებიდან ამცნოს ამ თავისი დაფიქრების შედეგები ყურცქვიტა მსმენელ-მაყურებელს, რომელსაც აღარც გაოცების ემოცია შერჩენია ამ ზვავივით მომსკდარი მოვლენების განურჩევლობისაგან და ცნობიერებაში, თუ ცნობიერებამდე რამე მიაღწევს ამ ზვავის ქვეშ მოხვედრილი, გამეფებული ინფორმაციული ქაოსისგან, რომელშიც რაიმე ბუნებრივი სიმწყობრის შეტანა შეუძლია მხოლოდ გადასახადებისა და ხარჯების შეფარდებას შემოსავლის იმ ნაწილთან, რომლითაც განზრახული ჰქონდა ცხოვრება, მაგრამ ცნობიერებამდე გასავლელი გზის შემცირების ერთადერთი საშუალება მხოლოდ იმ შობის ღამეს მომხდარ გასაოცარ ამბავს შეეძლო, ვინმე რომ ჩაფიქრებოდა და მისი ბუნებრიობა შეეგნო, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და დილით, როდესაც ნამძინარევმა კლოშარებმა თავი წამოყვეს და მათ თვალწინ ეს უცნაური სურათი გადაიშალა, ისინი სრულმა აპათიამ მოიცვა, რომელმაც ზოგიერთის სახეზე სიხარულის ცრემლები აწვიმა, ზოგი სიცილით გაიგუდა, ზოგმა კიდევ სასწრაფოდ დაიწყო თავისი ხარახურის შეგროვება და სასწრაფოდ გაცლა, მითუმეტეს, რომ გზები გახსნილი იყო და ქარი ოთხივე მხრიდან ერთდროულად მიმოქროდა პარიზის ქუჩებში, თუმცა იმას, რასაც ისინი ხედავდნენ თავის ირგვლივ, ქუჩები აღარ დაერქმეოდა... .

პარიზის ქუჩებში მოდის თოვლის ბაბუა და მისი გავლის და კვალად, მის უკან ცოცხლდებიან ქანდაკებები, სახლების პერიოდის მაცხოვრებლები – ერთი სიტყვით, ყველა ეპოქის პარიზი ცოცხლდება და იწყება დროთა წრებრუნვაში უწყვეტი კავშირის სარტყელში წინასაშობაო ზეიმი-ნოსტალგია,

რომელიც იმათ დაეუფლათ იმ, თავიანთი პარიზის მიმართ. ასე ამოდიან სულები პარიზელებისა, ათინათები ცოცხალი მოგონებებისა და ცხოვრობენ ამ თავიანთ ქალაქში, მაგრამ ყოველი მათგანისათვის ეს ქალაქი ამავე დროს არის გამოუცნობი: მზერა იქიდან აქეთ. გამოუცნობობა ეპოქებს შორის შებრუნებულ სიმეტრიაში. სივრცე თანდათან შევსებული ხდება იმ ახალი ნაგებობებით, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქას მოჰქონდა და მაშინ იწყება თავისი ეპოქის მოხსნა და წაღება, სივრცის განთავისუფლება. როგორც ადამიანები უთავისუფლებენ ადგილს ახალმოსულებს, ასევე სახლებიც უთავისუფლებენ ადგილს ახალ სახლებს და როდესაც თანდათან იწყება ეს უკუმოძრაობა, რჩება მხოლოდ თანამედროვე სახლები: ბობური, მონპარნასის კოშკი, დეფანსი და სხვა... თვით ოსმანის სივრცეებიც კი ქრება, რადგან უკვე აღარ შეესაბამება იმას, რასაც თანამედროვეობა ეწოდება და აღარავინაა მისი სწორად აღმქმელი... რჩება პარკები, მიწისქვეშა სადგომები მანქანებისათვის. სადგურების ახალი ნაწილები, მხატვრებს მიაქვთ თავისი შემონაქმედი, მოკლედ, ცარიელდება ანუ თეთრი ლაქებით იფარება მთელი სივრცე, სულიერი, კულტურული და ფიზიკური. ქრება ძველი ხიდები – რჩება მხოლოდ ახალი. ახალი ხალხი... – ბევრი ვერც კი ამჩნევს ამ ცვლილებებს, რადგან მათი გზა მეტროდან – სახლამდე – სამსახურამდე და სხვა ან ახალ უბნებში და ა.შ. არანაირად არ კვეთს ამ კულტურულ სივრცეს. ახლა ქალაქში ნორმალურად გრძნობენ თავს მხოლოდ ისინი, ვისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ ღირებულებით კვანძებს: ემიგრანტები და ფრანგი სოციალისტები, კომუნისტები, მემარცხენეები... ფრანგი-არაფრანგები... გაოგნებული ტურისტები ეკითხებიან მათ, სად არის ესა თუ ის შენობა, მაგრამ იმათ არც იციან, რაზეა ლაპარაკი, არც გაუგონიათ; ნოტრდამი? ის ხომ დიდი ხანია დაინგრა – აი, კინო რომ გადაიღეს, იმაზე ლაპარაკობთ? ეგ ხომ არც აუშენებიათ; ააშენეს, მაგრამ, მგონი, ვერ დაამთავრეს, ეგრევე დაინგრა. არ ვიცი... და სხვა. ტურისტები ტირიან: უკან დაბრუნება მათ არ შეუძლიათ, რადგან ბილეთი იაფად აქვთ შეძენილი და თარიღი დაფიქსირებუ-

ლია. პროტესტები ტურისტების... მთელი ეს ორომტრიალი თავს იყრის ერთ წერტილში: განთიადის ჟამს, როდესაც თოვლის ბაბუას უეცრად გამოღვიძებული უსახლკარო კლოშარი ფეხზე ხელს წაავლებს და შეაჩერებს და სახეგაბრწყინებული ეუბნება: „ნათლის შობას გილოცავთ, დრო დადგა?" (Joieu noël le temps est venu) რაზედაც თოვლის ბაბუა, თითქოს უეცრად გამოსული ტრანსიდან, გამხიარულებული ეუბნება: „დრო დადგა, შვილო, ბედნიერ შობას გისურვებ..."

დილით კლოშარი გაყინული იპოვეს ბობურის წინ გაშლილ მოჩურჩულე ტყეში – ის სხვადასხვა ენაზე ჩურჩულებდა: „ბედნიერი შობა, ჟუაიო ნოელ, შასტლივოგო როჟდესტვა, ჰეფი ჰოლიდეი" და ა.შ. სხვადასხვა ენაზე....

სარჩევი

ამირანიანი 3
„მარტოობის ქარები“ (ელიტა) 61
ლექსები – გადაწერილი ბლოკნოტებიდან 137
მედეა ევრიპიდეს წინააღმდეგ 157
საშობაო მოთხრობა 203
სარჩევი 208